

კვირის პალიტრა



N23 (261) 9/VI

ფასი 60 ლ

სერჟანტი ფანი
ჯულაყიძე:
„ბადაყვებოდას
დადაგოთილას
მოვიწონა...“

სვ



1168
2005

„ჯარისქალები“ — მითები და ფაქტები

კლესები:
„დაუნდობელია...
მკარდით სუნთქავს...
მეტი ჟონი აქვს...“

მინუსები:
„ნანიკაში ადვილად
ვარდება...
ბყვად ჩაპარდინისას კი...“

უთამოგავლობა — გიორგი სანაკაძის გენი... ამერიკაში



ნირო ლეჟავასას ახაკით
უმსროსი მამაკაცის
სიყვარული ეწვია —
„ის ერთი თბილისელი ბიჭია...“



„არაგვის სჯაროდა ჩემი
ქართველობა...“ — საკითხი,
რომელზეც საუბარი მიუღებელია

გაგოვინდა ივნიისის ნოველი

ლიტერატურული პალიტრა

უკვე

1421

გვერდი

- მუხრან მაჭავარიანი
გამოუქვეყნებელი ლექსებიდან
- ვახუშტი წაყვანიძე
კოდორში ხობელი
- ზორბეგ ანაძე
დასავლო მოთხრობა
- ვახუშტი წაყვანიძე
სამეცნიერო ნაშრომები
- ნესტან ცხინველი
ნაწარმოები
- თეიმურაზ ლავროვი
დებუტური რომანი
- მონატრება
- გურამ ფანჯიანი
თვალი პაციოსანი
- ვახუშტი ვახუშტი
განთავსება
- ალექსანდრე მანასია
აბრეშუმი (მხოვლოო ბესტსელერი)

№ 6 (9)

ივნი, 2005

თქვენ სოგ გაგოვინებინანი
აკითხველი ბრძანებებით...



მინიატურები

გაიმარჯვოს უპოლირესმა ანუ „არჩვენები არაღნების ბარეშე“ 3

ერთი კითხვა 4

პრობლემა

ფული, გავნებლები, მოსახლეობა – გაგვწირავს თუ არა სახელმწიფო?... 5

ფსიქიკალი

ქართველი რეჟისორი კანში „კუთვნილი“ ჟურნალისტების ბარეშე გაემგზავრა 7

თემა

„ჯარისქალები“ – მითები და ფაქტები 9

კრიმინალი

დიდგელი ავტორიტეტის მკვლელობა 24 წლის ახალგაზრდას ეღებ ბრალად 13

ლეგენდა

ინსტინქტად ქმეული ლტოლვა, 7000-კასინანი ღარბაში და ქალის ფეხზე წაწერილი ავტობრაფი 16

სიყვარული

„გოგას თქვით, მისთვის ქალის იღალი ვარ“... 18

გზავნილები

„...ახლა თავზე საბანი მაქვს წაფარებული და ბოლო თეთრებით გწარ მისიღს...“ 20

ანტიფარსნატი

ინფორმაციულ-მეგობრებითი კოლაჟი გოგა ღვალის უბის წიგნაკიდან 22

ტრადიციები

რა სარგებელი ნახა ქართველი გოგონა უსსო ერის ფოლკლორში 24

სმენა

ღაუვიწყარი წლები მოსკოვის ინტელიგენციასა და შავებთან ერთად 26

მსახიობი

გამნათებლად დაწყებული კარიერა, ქართული თეატრის ჯაღოქრები და სკამზე აყვანილი ხელმძღვანელის თავყვანისცემა 28

ფსიქარი

მეგავი მამაკაცი 30

სალონი

ტელემაყურებელმა უნდა დაინახოს მოვლილი და არა გადაკრანჭული სახე 32

ჯანმრთელობა

- როსა მგე აქტიურდება... 34
- სათესლე ჯირკვლის კიბო – როგორ დავიცვათ თავი? 34

ტაქარი

...და შვიბიკენთ უმალეს ქრისტიანულ სათნოებას – სიმდაბლეს 36

„ჯარისქალები“ – მითები და ფაქტები




რა შეუძლია და რა არ შეუძლია ჯარისკაც ქალს? რა პრობლემების წინაშე დგება ყაზარმაში მოხვედრილი ქალი და რა პრობლემებს უქმნის იგი სხვებს – თანამებრძოლ მამაკაცებს თუ თავის მეთაურებს? როგორ აფასებენ ექსპერტები ქალს, როგორც მებრძოლს?... ამ კითხვებზე ექსპერტები გვიპასუხებენ.

9

„გოგას თქვით, მისთვის ქალის იღალი ვარ“ ...

„თეატრალურ სარდაფში“ ჩვენმა საერთო მეგობარმა გაგვაცნო ერთმანეთი. იმ დღეს, მეც და გიორგიც სწორედ მისი სპექტაკლის სანახავად მივედით. ადრე, ჩემს თანატოლ მამაკაცთან ურთიერთობაც კი მიჭირდა, მაგრამ დღეს ყველაფერი სხვაგვარადაა...“



18

გიგა კვენეტაძეს პაემნებზე არ უპართლებს



„ამ დროს, ჩემი შეყვარებულის – ნინოს განწირული ყვირილი მომესმა: გიგა, აქ არ დამგოვო! გაეჩერდი და უკან დაუბრუნდი. ვიფიქრე, ყველაზე ცუდის იქნება, თუ გადამივლიან, საუკეთესო შემთხვევაში კი, ავტოგრაფს მომთხოვენ-მეთქი...“

58

ინსტინქტად ქმეული ლტოლვა და ქალის ფეხზე წაწერილი ავტობრაფი

„ერთმანეთთან საოცარი დამოკიდებულება ჰქონდათ. თვალებში ერთი ჩახედვით ხვდებოდნენ, თუ რა უნდოდათ და რისი თქმა სურდათ ერთიმეორისთვის. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ამ ჭერქვეშ ისინი ცოლ-ქმარი არ ყოფილან...“



16

უთამოყავლოა	
გიორგი სააკაძის ბენი, გაულანგული საბვარეულო განკეულობა და მრავალსაუკუნოვანი გზის ბაზრელება... ამერიკაში	37
მინდორზე და მინდორს მიღმა	
მურთაგ ხურცილავა მწვრთნელს საკუთარ წონას უმაღავდა	40
რომანი	
მისეილ იაშვილი. მახსია (ბაზრელება)	42
ბედი ქაშისა	
„კაბაგას“ ღახმარებით ამერიკის „ტყვეობიდან“ თავღაღნული იმიგრანტის თავგაღასავალი	46
ტესტი	
ერთგული მკითხველი	48
ავტო	49
ვარსკვლავი	
სანღრა ბალოკი – საუკეთესო კანდიღატურა მათ შორის, ვისას სხვაბის ბანწყობიღების აბაღღება კაღსკმ	50
გოგონელი	52
ფავორიტები	
ფრანსისკა ვან აღმსიკი: „სამსი ჩემთვის საუკეთესო ღოკინღბია!“	53
ამღღა	
ოსნებაღ ქსეული ღუბი და... უსნობის მიერ მიკღვნიღი ბრიღიანტისთვლიანი ბეჭედი	55
კაღრს მიღმა	
პროფსიღით – მემი, სულით – მემოქმეღი, სამქმიანობით – კონსულიტანტი...	56
მირველი პაემანი	
მიგა კვენეღაემ: „გოგონამ ბამაჩერა, ჩერ ავტობრავი მისროვა, მერე ტირიღი ღაღწყო...“	58
მეამღრმეთ მქვენი სოღღა	
ბესტი ერულიღინაგე	59
პოროსკოკი	
კვირის (9-15 ივნისი) ასტროლოგბიური პროგნოგბი	60
სკანეოროღი	61
იუმორი	62
ტესტი მამაქახეღისთვის	
რამღენაღ კარბაღ ინსოგბთ ქაღის ფსიქოლოგბიას?	63
კაღღიღოსკოკი	
ჩრეღ-ჩრეღი ამბებ	64

ბარეკანღე: ირმა ღიპარტაღიანის კოღაში

საფოგაღოგბრბიგ-პოღიტიკური შურნაღი „გზა“ ბამოღის კვირავი მრთესულ, სუთუგაბათობი ბავსით „კვირის პაღიტრის“ ღამატქება შურნაღი ხელმღღენღობის თავისუფალი პრესის პრინციპბით. რეღაქციის აზრი შესაღღა არ ემთხვეღღეს მასაღის ავტორის აზრს. მთავარი რეღაქტორი: ზურაბ აბამიღე რეღაქტორი: ვონა ტყემელაშვიღი მენეჯერი: მათე კბიღაღე მისამარი: თბიღისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32 email: gza@kvispalitra.com შურნაღი იბეღღება გამოღღემღობა „კოღორში“

ღაუგინგარი წღები მოსკოვის ინტელიგენსიასა და უაგეგთან ერთაღ



„არჩიღ გომიამღვიღი ჰონონარს ღოღარეღით გვისღღდა, თუმცა, ჩვენს რომ იგყვიან, ვირეღიღით ვშრომობღით. ჩენი წარღგენისას ბაგონი არჩიღი ამბობღა ხოღმე: Они не ресторанные певцы, они профессионалы и тут находятся не от хорошей жизни-ო.“

26


ბენემოღღად ღანგეგული გარიგრა და სკაგზე აგენიღი ხელგღგენღლის თავგანისღება

„გრავმა ფიღმის გაღასაღებე მოეღანგე მივიღე. სიუჟეტი ასეთი იყო: მე, გურა ყიფშიღე და გურამ ფირცხაღავა ვბგებოღით გემში. ამ ღროს სხვა გემი ამოქრავღა და ჩვენმა გემმა რყევა ღაიწყო...“



28

„სამსი ჩემთვის საუკეთესო ღოკინღბია!“




ფრანცისკა ვან აღმსიკი ერთ-ერთი იმ საოროგსმენთაგანია, რომელიც სამოგაღოების მუღმიღი ყურაღღების ცენგრში მხოლოღ თავისი საოროგული მიღწევებით როღია მოქცეული. იგი მამაკაცთათვის საოცნებო ქაღად ითვღება. ათენის ოღიმპიურ თამაშებზე, ეჭვი არავის ეპარებოღა, რომ მას კონკურენციას ვერავინ გაუწეღდა, მაგრამ...

53

მამცღია

მისეილ იაშვილი

აღბათ, – საყვარელიღე წამით ჩაფიქრღა, – მათ შორის უთანსმოება წარმოიშვა. ხშირია შემთხვევა, საქმეს მოამთავრებენ ხოღმე და მერე ღაერევიან ერთმანეთს... მაგალითაღ, თანხის გაყოფაზე ვერ შეთანხმდენ... არა, არა... თუ კასეგის მიხეღვით ვიმსჯეღებთ, გამოსასყიდის მიღება უჭირთ ღა...



42

გაიმარჯვოს უძლიერესმა ახე „არჩევნები არჩევნების გარეშე“



დემოკრატია ისეთი კარგი რამე ყოფილა, მძასავით რომ ამოვიდგება გვერდით, გაგამხნეებს და კაცად გაგარძობინებს თავს. შენც ამაყი ხარ და გინარია, რომ დემოკრატიულ ქვეყანაში ცხოვრობ, სადაც შენს სიტყვას ფასი აქვს და რაც შენ და შენისთანა „ბეყვი-რათებს“ ვინდათ, ყველაფერი ისე მოხდება – არჩევნების წესით...

მაგრამ ზედმეტი არაფერი ვარგა (მათ შორის, დემოკრატიაც). რაც მთავარია, პრეზიდენტი და პარლამენტი ხომ ავირჩიეთ ხალხმა? დანარჩენის არჩევა და მოწონებ-დაწუნება იმათ მივანდოთ. ყველაფერში არჩევნები არ გამოვია მე! ამ ოპოზიციას კიდევ, ოღონდ სალაპარაკო მიეცი და მეტი რა უნდა: მოუკრავთ ყური, ევროკავშირი მერების არჩევითობას ითხოვსო და მიტინგს მიტინგზე მართავენ – გადავაგდოთ ეს ხელისუფლება თავისი დანიშნული მერებიანადო...

პრეზიდენტმა უნდა დანიშნოს მერი, აბა, მერი ხომ არ დანიშნავს პრეზიდენტს?! არადა, ევროკავშირში შეძრომა ისეთი კარგი ყოფილა, რომ თურმე ედემის ბაღში გეგონება თავი (ვივლით შიშვლები ისე, რომ ამ სიშიშვლეს ვერც დავინახავთ და ვჭამთ, რომელი ხის ნაყოფიც გვინდა), ამაზე უარის თქმა იქნება?! ამიტომ ისე უნდა მოვიქცეთ, რომ არც მწვადი დავწვათ და არც შამფური: მერის არჩევნები უნდა ჩავატაროთ, მაგრამ ის უნდა ავირჩიოთ, ვისაც პრეზიდენტი დანიშნავდა, ეს არჩევნები რომ არ ყოფილიყო. აბა, ხალხი შტერი მასა ვართ და რა ვიცით, ვინ იქნება კარგი მერი!..

მაგრამ აქაც ერთი სირთულეა: როგორ უნდა მივხვდეთ, ვინაა პრეზიდენტის ფავორიტი კანდიდატი?.. როგორ უნდა მივხვდეთ და კარგად უნდა ვუსმინოთ მის ბრიფინგებსა და პრესკონფერენციებს და ვარიანტი არაა, „ნამიოკი“ არ მოგვცეს. მაგალითად, იტყვი: ახლა მაგათ ძველი დრო ხომ არ ჰგონიათ, ფულებს რომ ჭამდნენ?! თავებს დავაძრობ მაგ მაფიოზებს. დღეს გვჭირდება პროფესიონალი კადრი სუფთა წარსულით, უღვაშებით, დასავლური განათლებით, სათვალთა და ლოყაზე ხალითო... და „ვისიო“ – უკვე იცი, ვინც უნდა შემოხაზო იმ ბიულეტენებზე...

მოახლოებულ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებზე გაცილებით იოლად მოხერხდა ყველაფერი: თავიდან სამი ცნობილი ფეხბურთელის კანდიდატურა დადგა; მეოთხე იყო თავისთვის უცხოეთში და სულ არ იცოდა, ფედერაციის პრეზიდენტობა

თუ უნდოდა. თვითონ არ იცოდა, მაგრამ ხელისუფლებამ ხომ იცოდა, აბა, რის ხელისუფლებაა?! ამიტომ პირველმა სამმა, – უი, უი, შეგვეშალა, ჩვენ არ გვენდომებია პრეზიდენტობაო – და ერთმანეთის მოყოლებით მოხსნეს თავიანთი კანდიდატურები იმ მეოთხის სასარგებლოდ. ასე არ ხვობია?! აბა, ფეხბურთელებმა რა იციან, ვინ იქნება მათი ფედერაციის კარგი პრეზიდენტი?! ახლა დარჩა ერთი კანდიდატი და „კაცმა არ იცის“, – ვინ გაიმარჯვებს ამ „უარადნებო არჩევნებში“...

აბსოლუტურად განსხვავებული და სამარცხვინო სურათი გვაქვს პროფკავშირებში, სადაც თავმჯდომარეს მოადგილემ კაბინეტი აუჭედა, სართული გისოსებით ჩაუკეტა და არც შესვლას ანებებს, არც – გამოსვლას. მოკლედ, „ჯარისკაცის მამაში“ რომაა, ისეთი სიტუაციაა შრომის სასახლეში: – „პირველ სამ სართულზე გამაგრებული არიან მოწინააღმდეგეები. მეოთხეზე ალყაში ჰყავთ ჩვენები“, – „გოდერძი, შვილო“ და „მიდი, მოვდივარ!..“

კი გაიმახიან, სასწრაფოდ უნდა ჩატარდეს ახალი თავმჯდომარის არჩევნები, მაგრამ როგორ უნდა ჩატარდეს, ჯერ მამა-მარჩენალს არ მოუცია „ნამიოკი“. ვინმე ისეთი რომ აირჩიოს ხალხმა, ვინც მას არ ეამება, ხომ მოგვეჭრა თავი?! თუ არადა, იფოს ორი თავმჯდომარე: ორმეფობა ავიტანეთ ქართველებმა საუკუნეების მანძილზე და პროფკავშირების „ორთავმჯდომარეობა“ რას მიქვია?! ასევე იქნება პოლიტიკაშიც:

ოპოზიციის (შრომის) ლიდერი მაინც აცხადებს, ალტერნატიული პარლამენტი უნდა შევქმნათ და იქნება „ორპარლამენტიანობა“; მერე ალტერნატიულ სახელმწიფოსაც შექმნის – „საქართველო +“, თვითონ „პრეზიდენტი +“ გახდება და ორპრეზიდენტობასაც მივაღწევთ. აბა, დემოკრატია თუ გვინდა, ასეა...

ოპოზიციის (შრომის) ლიდერი მაინც აცხადებს, ალტერნატიული პარლამენტი უნდა შევქმნათ და იქნება „ორპარლამენტიანობა“; მერე ალტერნატიულ სახელმწიფოსაც შექმნის – „საქართველო +“, თვითონ „პრეზიდენტი +“ გახდება და ორპრეზიდენტობასაც მივაღწევთ. აბა, დემოკრატია თუ გვინდა, ასეა...

P.S. სიტუაცია ორგანიზაციის თავმჯდომარის არჩევნებზე:

- ამომრჩეველი საარჩევნო კომისიის წევრს: – ბოდიში, შვილო, სათვალე დამრჩა და წამიკითხე, ვინ რომელი ნომერია, რომ შემოხაზო!..
- ნუ შეწუხდებით, ქალბატონო, შემოხაზულია უკვე; პირდაპირ ჩაუშვით ურნაში...

პროვოკატორი



აპიდამიის საშიშროება მატულობს

— სასმელ წყალთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ხომ არ შეიქმნა ეპიდემიური აფეთქების საშიშროება და ძირითადად რა გართულებებია მოსალოდნელი?

პაატა იმნაძე, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი:

— სტიქიური უბედურების დროს, დაზიანებული წყლის მოხმარებისას, ყველაზე ხშირად ნაწლავური ინფექციების შემთხვევა მატულობს. ამიტომ მოსახლეობას განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს წყლის მიღებასთან დაკავშირებით. მცხეთა-მთიანეთში, მესტიაში, ქუთაისში, კახეთის დაზარალებულ რაიონებში, რაჭასა და ყველა იმ რეგიონში, სადაც ადიდებული მდინარეების გამო შეფერხებულია სასმელი წყლის გაფილტვრა, მოსახლეობამ წყალი რამდენიმე წუთის განმავლობაში უნდა ადუღოს, გააცივოს და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიყენოს სასმელად. რაც შეეხება თბილისს — არაგვის ადიდების გამო, ბულაჩაურისა და ჭოპორტის სადგურები გაითიშა და ამჟამად მხოლოდ ოთხი საფილტრი სადგური ფუნქციონირებს. ქალაქში სასმელ წყალს მოსახლეობა 2-3-საათიანი გრაფიკით მიიღებს. გრაფიკის პირობებში სასურველია, წყლის მოსვლიდან 20-25 წუთის განმავლობაში, სასმელად არ გამოვიყენოთ: ამ პერიოდის შემდეგ, გამდინარე წყალი ბოლომდე დაიწმინდება. თუმცა, პრევენციისთვის ურიგო არ იქნება, რომ თბილისელებმაც გადაადგმული წყალი მიირთვან. საბედნიეროდ, ეპიდემიური აფეთქება ჯერ არ დაფიქსირებულა. არც ნაწლავური ინფექციების მატების შემთხვევები შეინიშნება.

ვინ დაიხაზს აგენტ პატიმრებს?

— ციხეებში „დავერობვებული“ პატიმრების ქსელი იქმნება. როგორ დაიცავს პარლამენტი აგენტების უსაფრთხოებას?

ელინე თევდორაძე, პარლამენტის წევრი:

— ახალი კანონპროექტის მიხედვით, რომელიც პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს, ოუსტიციის მინისტრს საიდუმლო აქტების გამოცემის უფლება ენიჭება, რომლის შესაბამისადაც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში აგენტურული ქსელი ჩამოყალიბდება. პარლამენტს შეეძლება განახორციელოს საზედამხედველო ფუნქცია და პასუხი მოსთხოვოს იმ თანამდებობის პირებს, რომლებიც არასწორად განახორციელებენ ასეთი ქსელის ჩამოყალიბებასა და მის დაფინანსებას. მე კარგად ვიცი, თუ რა ხდება ციხეებში: აგენტ პატიმრებზე ინფორმაცია აუცილებლად გაჟონავს და მათ წინააღმდეგ ან-

გარიშსწორებას ჩვენ ვინ ვერ აღუდგებით. ძალიან გაგვიჭირდება, ციხეში პატიმრებს შორის ურთიერთობის დარეგულირება. როცა აგენტების ვინაობა გამჟღავნდება, შეიძლება, საფრთხის ქვეშ აღმოჩნდეს კონკრეტული ადამიანების სიცოცხლე. პოლიციასთან თანამშრომლობაში დადანაშაულებული ტუსადი მძევად თუ გაუძღვება იმ ზეწოლას და დამცირებას, რომლებიც ამ ინფორმაციას მოჰყვება. მე ვფიქრობ, აგენტურული ქსელის შესაქმნელად ჯერ მზად არ ვართ, მაგრამ პარლამენტი ამ კანონპროექტის მიღების მომხრეა.



სეირნობა და გართობა – ჭიანჭერაშვილის ბრძანებით...

— რუსთაველის პროსპექტის გადაკვეთის იდეა მოსახლეობის დიდ ნაწილს არ მოსწონს. თქვენი აზრით, ეს ინიციატივა მათ, ვისაც არ ესეირნება, დამატებით პრობლემებს არ შეუქმნის?


ზურაბ ჭიანჭერაშვილი, თბილისის მერი:

— ქართველი საზოგადოების მენტალიტეტი უნდა შეიცვალოს. ჩვენი ხალხისთვის ნოვაციების დანერგვა ხშირ შემთხვევაში, მიუღებელია. ასე იყო „სამკუთხედთან“ დაკავშირებით. თბილისელებმა შენობების შეღებვის გამოც გამოხატეს გარკვეული პროტესტი, მაგრამ დღეს მათ უმეტესობას მოსწონს კიდევ გამოცოცხლებული ქალაქი... გადა-

წვეტილება მიღებულია: ამიერიდან, ყოველ კვირადღეს, რუსთაველზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა შეწყდება, რაც თბილისელებს გამზირზე თავისუფლად სეირნობის და გართობის საშუალებას მისცემს. კვირა სამუშაო დღე არ არის, ამიტომ გადაადგილებასთან დაკავშირებული პრობლემები ნაკლებად შეგვაწუხებს. გარდა ამისა, მოსახლეობას პარალელური ქუჩებით სარგებლობა შეეძლება. თბილისელების მოსაზრებად, კულტურული ღონისძიებები მოეწყობა. ეს იქნება სეირნობა, გართობა და დასვენება ღია ცის ქვეშ. ჩვენი მოქალაქეები ამ სიახლეს მალე შეეჩვევიან.

2003 წელს, ქალაქის მერიამ გასცა ბრძანება — თბილისისა და მისი შემოგარენის დასახლებულ ტერიტორიებზე გველების, მღრღნელების, კალიებისა და სხვა მავნებლების წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფის ჩამოყალიბების შესახებ. ჯგუფი შეიქმნა, მაგრამ მავნებლების ლიკვიდაცია არათუ ვერ მოხერხდა, არამედ პირიქით — მომრავლდნენ კიდევ რა არის ამის მიზეზი? რატომ ვერ მოახერხეს ჯგუფის წევრებმა პრაქტიკული ღონისძიებების გატარება? ამ და სხვა კითხვებზე პასუხის მისაღებად მცენარეთა დაცვის კვლევით ინსტიტუტს მივაშურეთ და მის ორ თანამშრომელს — გამოყენებითი ზოოლოგიის უფროს მეცნიერ მუშაკს ჯემალ შირაძეს და ამავე განყოფილების გამგეს მათი მათიაშვილს ვესაუბრეთ.

ფუდი, მავნებლები, ეოსასდრობა — გაგვნირაჰს თუ არა სასიდელოფო?



ლიპა ქაჩაია

ჯემალ შირაძე:

— თბილისის მერიამ, მართლაც გამოსცა ასეთი ბრძანებულება 2 წლის წინ. ჩვენს ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ჯგუფი, სახელმწიფო უნივერსიტეტიდანაც მოვიწვიეთ ერთ-ერთი ლექტორი — ქვეწარმავლების სპეციალისტი. შევადგინეთ ხელშეკრულება, რომელიც წარვუდგინეთ ქალაქის ეპიდემიოლოგიურ სამსახურს. ჩვენი წინადადება მოიწონეს, მაგრამ როცა საქმე ფინანსებზე მიდგა, გვითხრეს — ეს ჩვენს კომპეტენციაში არ შედისო.

— რა თანხა სჭირდებოდა ჯგუფს, ეფექტურად რომ ემუშავა?

— ჩვენ მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, ქალაქის მავნებლებისგან განწმენდას იმ ეტაპზე, დაახლოებით 10.000 ლარი სჭირდებოდა... ამის შემდეგ, შევადგინეთ წერილი მაშინდელი მერის, ვანო ზოდელავას სახელზე. იგი საკითხის გადაწყვეტას დაგვიპირდა, მაგრამ საქმე მკვლარი წერტილიდან არ დაძრულა.

— როგორც ვიცი, უშუალოდ ქვეწარმავლებთან ბრძოლა თქვენს კომპეტენციას სცილდება...

— ჩვენი ფუნქციაა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ მღრღნელების პრობ-

ლემაც გვაქვს შესწავლილი, მათი მომრავლება კი უშუალო კავშირშია ქვეწარმავლების მომრავლებასთან — ქვეწარმავალი ხომ ძირითადად, მღრღნელებით იკვებება.

— მაინც რამ გამოიწვია თბილისში ამ მავნებლების მომრავლება?

— დედაქალაქში უკვე 13-14 წელია, აღარ ტარდება მღრღნელების წინააღმდეგ სადერატიზაციო ღონისძიებები. მღრღნელების ბიოეკოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, სადერატიზაციო ღონისძიებათა მცირე ხნით შესუსტებაც კი მათი რიცხოვნობის სწრაფად გამრავლებასა და ფართო მასშტაბით გავრცელებას იწვევს. ამ საკითხის გადაწყვეტა მთლიანად სახელმწიფოზეა დამოკიდებული.

მათიაშვილი:

— მავნებლები განსაკუთრებით დიდ ზარალს აყენებენ კვების ობიექტებს, აზიანებენ და მწყობრიდან გამოჰყავთ მიწისქვეშა ელექტრო და სატელეფონო კომუნიკაციები. საკმაოდ გახშირდა სამშობიარო სახლებში მღრღნელებისგან ჩვილ ბავშვთა დაკბენის ფაქტი. გარდა ამისა, მავნებლები ძალზე დიდ ეპიდემიოლოგიურ საშიშროებას ქმნიან — ისეთი საშიში ინფექციური დაავადებების გამავრცელებლები არიან, როგორებიცაა: შავი ჭირი,

ტულარემია, ლეიშმანიოზი, ცოფი, დიზენტერია და სხვა.

— სანამ სახელმწიფო სათანადო ზომებს მიიღებს, როგორ უნდა დაიცვას მოსახლეობამ თავი ქვეწარმავლებისგან და რა სახეობის გველები მომრავლდნენ დედაქალაქში?

ჯემალ შირაძე:

— გველების სპეციალისტი არ ვასლავართ, მაგრამ დარწმუნებული ვარ — ქალაქში თუ მღრღნელების რაოდენობის შემცირებას მივალწვევთ, ქვეწარმავალთა რიცხვიც შემცირდება. რაც შეეხება სახეობებს — შხამიანი გველებიდან საშიშია გიურზა, კაკასიური გველგესლა, მაგრამ მოსახლეობას საფრთხეს უქმნის ისეთი სახეობებიც, როგორიცაა გველსოკრები. ისინი ხელიკების ჯგუფს მიეკუთვნებიან, მაგრამ გველის ფორმა აქვთ და სწორედ ამით აფრთხობენ ადამიანს, თორემ, მათი ნაკბენი სიცოცხლისთვის საშიში არ განლავთ,

ისინი მწერებით იკვებებიან.

მათიაშვილი:

— კიდევ ერთ ძალზე მნიშვნელოვან პრობლემას პრეპარატების ფალსიფიკაცია წარმოადგენს. ამიტომ მოსახლეობას ისიც კი არ შეგვიძლია ვუთხრათ, თუ რომელი თავისი წამალი შეიძინონ, რადგან ჩვენ თვითონაც გვჭირია ასეთი შემთხვევა — ბაზარში შევიძინეთ თუთიის ფოსფატი — ძლიერმოქმედი შხამი, მაგრამ ის ფალსიფიცირებული აღმოჩნდა, ფერი და ფორმა ფოსფატის ჰქონდა, მაგრამ მასში რკინის ნაქლიბი, რადაც ფხვნილები იყო შერეული და არანაირი შედეგი არ მოგვცა.

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
822 009 005
 ზარი ფასიანია, 18 წლიდან
 დაეკავშირება უფასო ზეპირი
 ტელეფონ-გრაფიკითა

ანტიტერორისტული ცენტრი – ბაზების ანალიზი

— ბაზების სანაცვლოდ ანტიტერორისტული ცენტრის შექმნა ნიშნავს თუ არა იმას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე კვლავ რჩება შეიარაღებული რუსი?

დავით ბარძიხაძე, რუსულენოვანი პარტიის:



— გავრცელებული ინფორმაციით, რუსულ-ქართული ანტიტერორისტული ცენტრი ბათუმში უნდა შეიქმნას. ამ ცენტრის ფუნქციონირება ბაზების ყოფნაზე უკეთესი ნამდვილად არ იქნება. ანტიტერორისტული ცენტრის განლაგებას ჩვენ აუცილებლად წინ აღვუდგებით. როცა პარლამენტში შესაბამისი დოკუმენტი სარატიფიკაციოდ შემოვა, ოპოზიცია ერთადერთი არ იქნება, ვინც მსგავსი გადაწყვეტილების მიღებას შეეწინააღმდეგება. საქართველოში შეიარაღებული რუსების ყოფნას ნებისმიერი ფორმით, წერტილი უნდა დაესვას. მოსახლეობა არ უნდა მოვატყუოთ — ბაზები გაგყავსო და მხოლოდ მათი სტატუსი შეცვალოთ. რაც შეეხება საქართველოდან გაყვანილი ბაზების, ჩრდილოეთ საზღვართან განთავსებას, ეს ფარული მუქარის ელემენტებს შეიცავს, თუმცა, იურიდიულად მათ ვერ შევეწინააღმდეგებით. მაგრამ სომხეთის დემოკრატიული წრეები ამის გამო სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამენ.

„კოკოითს ქართველი საზოგადოება სჭირდება“...

— ცხინვალის რეგიონში სიტუაციის გამწვავება სამხედრო ბაზების გაყვანას სომ არ უკავშირდება? ამ პროცესს ხომ, ლოგიკურად, ახლო მომავალში, რუსი სამშვიდობოების გასვლაც უნდა მოჰყვეს?

ვაჟა ხაჭაპურიძე, კოკოითის წარმომადგენელი ქართულ-ოსური ურთიერთობების საკითხებში:

— რუსეთის ჯარი რომ დღესვე გავიდეს, სამშვიდობო ძალებს ეს არ შეეხება, რადგან ისინი კონფლიქტის ზონაში გაეროს ეგიდით იმყოფებიან. აქედან გამომდინარე, ბაზების გაყვანასთან დაკავშირებული შიში ცხინვალის რეგიონში არ არსებობს. მაგრამ სამწუხაროდ, სხვა მიზეზების გამო, ქართულ-ოსური ურთიერთობე-

ბი გართულდა. აქამდე, კიდევ შესაძლებელი იყო პრობლემების მოგვარება. უკანასკნელ პერიოდში კი, პოლიტიკური მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. ქართულ მხარეს ძალიან დიდი შრომა მოუწევს, რომ უკუსვლა შეაჩეროს. სახალხო დიპლომატია და ეკონომიკური ბერკეტები უკანა პლანზე გადავიდა, წინ კი — მუქარამ და შეურაცხყოფელმა განცხადებებმა წამოიწია. ოსეთის ხელისუფლებასა და ინტელიგენციაში ვერ ვხედავ საქართველოს საწინააღმდეგო ქმედებებს, კოკოითს სჭირდება ქართველი საზოგადოება. ყოველი ახალი პროვოკაცია ორ მხარეს ერთმანეთთან აშორებს. თუ იცი, სად არის დაგებული ხაფანგი, მასში აღარ უნდა გაება...

ჩეფარენდუმი საზოგადოების გაუმსდაა

— როგორ უნდა ავირჩიოთ მერი — პირდაპირ თუ „ირობად“? თქვენი აზრით, რეფერენდუმში ამ კითხვას ოპოზიციისთვის დამაკმაყოფილებელ პასუხს გასცემს?

აპაპი ასათიანი, „ტრადიციონალისტთა“ ლიდერი:

— ნებისმიერი სოციოლოგიური გამოკითხვა ადასტურებს, რომ მოსახლეობის 98% მერის პირდაპირი წესით არჩევას მომხრეა. თავის დროზე, სააკაშვილი და მისი გარემოცვა იმ კანონის ხელმოწერები იყვნენ, რომლის შესაბამისადაც მერები და გამგებლები მოსახლეობას უნდა აერჩია,

მაგრამ მოვიდნენ ხელისუფლებაში და საპირისპირო მოსაზრება გაუჩნდათ. ავტორიტარულ რეჟიმს ძლიერი თვითმმართველობა არ სჭირდება. საკრებულოს ან პრეზიდენტის მიერ დანიშნული, ქალაქის ხელმძღვანელობა კონკრეტული პარტიის მიერ იქნება მართული, ეს კი ხელისუფლებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. რეფერენდუმში იქნება საზოგადოების გამოცდა — გვსურს თუ არა რეალური თვითმმართველობა, რომლის გარეშეც დემოკრატია წარმოუდგენელია. თუ მოსახლეობა თავისი უფლებებისთვის ბრძოლას განაგრძობს, ხელისუფლება დათმობა-



ზე წავა. მერი 40 კაცის ასარჩევი არ არის, ის უნდა აირჩიოს მოსახლეობამ, რათა შემდგომ, მათი ინტერესები დაიცვას და არ იყოს კონკრეტული პირების მიერ მართული მარინეტო.

„სტიქია 2-3 წელი გაგრძელდება“

— წყალდიდობამ პრაქტიკულად მთელი საქართველო მოიცვა. რამდენად სწორად მიმდინარეობს ბიუჯეტიდან დაფინანსებული ის სამუშაოები, რომელიც „მორიგი შეტევის“ თავიდან ასაცილებლად გადავალისწინებული?

ილიშვარ კაცაძე, გეოლოგი:

— ბუნებაში მიმდინარე კლიმატურმა ცვლილებებმა — ატმოსფერული ნალექების მატებამ, კატასტროფულმა წვიმებმა და წინა წლებში ტყის მასივების ხელაღებით გაჩეხამ სტიქიური პროცესები კიდევ უფრო დაამძიმა. ტყის საცავები დაუნაწებლად რომ არ გაგვენადგურებინა, სტიქია მაინც თავის კვალს დააჩვენა რეგიონს, მაგრამ ტექნოგენურმა ჩარევებმა კატასტროფის ზღვრამდე მიგვიყვანა. სამწუხაროდ, როგორც მოს-



ალოდნელია, 2-3 წლის განმავლობაში ბუნებაში წონასწორობა ვერ აღდგება. ხელისუფლება ცდილობს, გზებისა და კალაპოტების შეკეთებას, მაგრამ კაპიტალური სამუშაოების ჩატარებას 5-ჯერ მეტი თანხა სჭირდება, ვიდრე ამჟამადაა ბიუჯეტიდან გამოყოფილი. ამიტომ ჩატარებული ღონისძიებები ყოველთვის დროებითი ხასიათის იქნება, სტიქიის გააქტიურების დროს კი, კვლავ მსგავს შედეგებს მივიღებთ. არ მიმდინარეობს მუშაობა, რომელიც სტიქიური პროცესების შესწავლასა და გართულებების გამოკვლევას ისახავს მიზნად. ამ პროგრამას წლების განმავლობაში არავინ აფინანსებდა, ეს სტიქიის მასშტაბებს აორმაგებს, ხელისუფლება კი, ერთჯერადი ღონისძიებებით კმაყოფილდება.



ქართული ჩევისოხი ჯანის ფესტივალზე „კუთვნილი“ ფეხნაღისტების გახიშე გაემგზავნა...


მსოფლიოში ალბათ არ მოიძებნება კინემატოგრაფისტი, რომელიც კანის საერთაშორისო ფესტივალზე საკუთარი ნამუშევრის წარდგენას არ ისურვებდა. **ლეივან ზაძარაიშვილი** ამის შესაძლებლობა წლეულს მეორედ მიეცა. პირველად ეს 1992 წელს მოხდა, როცა კანში ლევან ზაძარაიშვილის სურათი — „ისინი“ იყო ნაჩვენები. წლეულს კი, რეჟისორმა მსოფლიოს კინოელიტის სამჯავროზე თავისი ახალი ნამუშევარი — ფილმი „თბილისი-თბილისი“ წარმოადგინა. საერთოდ, ბატონი ლევანი, ფესტივალებში მონაწილეობის თვალსაზრისით, წარმატებული შემოქმედი. მისი პირველი მოკლემეტრაჟიანი ფილმი — „მამა“ 1984 წელს გერმანიის ქალაქ ობერჰაუზენში კინოკრიტიკოსთა და კინოჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის — „ფიპრესის“ პრიზითა და ფესტივალის ჟიურის პრიზით დაჯილდოვდა. მომდევნო ნამუშევრებს — მოკლემეტრაჟიანი ფილმებს: „გარსევანს“, „ნოსოს“, სატელევიზიო მხატვრულ ფილმს — „თემოს“ მრავალ ფესტივალზე სედა დიდი მონაწილეობა. მაგრამ თავად რეჟისორი ამბობს — კინოს, არა ფესტივალებისთვის, არამედ უპირველესად ქართველი მაყურებლისთვის ვიღებო, — და სიხარულთან ერთად, გულსტკივილსაც გვიზარებს...

კაკ მინდაძე

— ბატონო ლევან, თავდაპირველად, მოკლედ ფილმის შექმნის შესახებ მოგიყვებით. როგორც ვიცო, მისი გადაღება საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა...

— სამწუხაროდ, ასეა. ფილმის გადაღება 1996 წელს დაიწყო, მაგრამ მალევე შეწყდა — მას შემდეგ, რაც ერთ-ერთ თათბირზე მაშინდელ საქართველოს პრეზიდენტთან, ედუარდ შევარდნაძესთან შელაპარაკება მომივიდა... ამასობაში, ფილმის მთავარი როლის შემსრულებელი — მსახიობი და მწერალი გივი ჭიჭინაძე გარდაიცვალა, ფილმში მონაწილე ბავშვები კი გაიხარდნენ... გადაღების გაგრძელების საშუალება 2000 წელს მომეცა, როდესაც ამ საქმეში ჩართო შეიჯარის განვითარების ფონდი კავკასიაში და საქართველოს კინოცენტრის დირექტორად ჩემი კოლეგა ზაზა ურუშაძე დაინიშნა. 3 თვეში დავასრულე გადაღება

და მონტაჟი, მაგრამ ასლის დაბეჭდვისა და სურათის განმოვანების საშუალება არ მქონდა. ფირი 3 წელი იღო ხელუხლებლად. 2004 წელს, თბილისის საერთაშორისო ფესტივალზე მრავალი სტუმარი ჩამოვიდა. მათ შორის აღმოჩნდა ფრანგი პიერ ანრი დელო, რომელიც 1992 წელს, კანის ფესტივალის ფილმების სელექციონერი გახლდათ, ახლა კი ქალაქ ბიარიცის ფესტივალის დირექტორია (ამ ფესტივალის ჯილდოს ევროპულ „გლობუსს“ უწოდებენ). სწორედ მან შეარჩია მაშინ ყოფილი საბჭოთა კავშირის ფილმებს შორის ჩემი სურათი — „ისინი“ და კანის ფესტივალზე საჩვენებლად წარადგინა. როცა შარშან თბილისში ჩამოსულმა პირველად დამინახა, გოცდა: თურმე, მისთვის ვიდაცას ჩემზე უთქვამს — 1993 წელს, აფხაზეთის ომში დაიღუპა... დელომ ჩემი ახალი სურათის გაუხმოვანებელი მასალა ნახა და მისი დასრულებისთვის დახმარება ზურბ ჟვანიას სთხოვა. ზურამ ამ საკითხის მოვ-



ვარება ელდარ შენგელაიას დაავალა, მან კი - კულტურის მინისტრს, გოკა გაბაშვილს. მართლაც, გამოძიების თანხა, რომელიც ფილმის დასამთავრებლად მანც არ აღმოჩნდა საკმარისი. შემდეგ, კვლავ გოკა გაბაშვილმა აღმოძიჩინა დახმარება და ბოლოს და ბოლოს, სურათზე მუშაობა დავასრულე. განზოგანება და ასლის დაბეჭდვა ჩეხეთში განხორციელდა, რაშიც ბადრი პატარკაციშვილის ფონდი დაემხმარა.

— ახლა კანის ფესტივალს მივუბრუნდეთ. რა კატეგორიაში იყო ნაჩვენები თქვენი ფილმი?

— კანის ფესტივალის პროგრამა 4 სექციადაა დაყოფილი. ჩემი ფილმი საავტორო კინოს სექციის პროგრამით იყო ნაჩვენები, სადაც სულ 17 სურათი იყო წარმოდგენილი. ამ კატეგორიის ფილმებს, მოაზროვნე კინომაყურებლისთვის უკანასკნელ კუნძულს უწოდებენ... საერთოდ, იქ წარმოდგენილ ფილმებს ორ-ორჯერ უჩვენებდნენ, ჩემი ფილმი კი, ხუთჯერ იყო ნაჩვენები. ეს ალბათ იმის ბრალიც არის, რომ ამჟამად დიდი ინტერესი შეინიშნება საქართველოს მიმართ (ვარდების რევოლუცია, ბუმის ვიზიტი და ა.შ.)...

— რამდენიმე სიტყვით თვით ფილმის შესახებ მოგიყვებით — ის ხომ ქართველ მაყურებელს არ უნახავს?

— ფილმი „თბილისი-თბილისი“ ჩვენს ცხოვრებას ასახავს, განსაკუთრებით - ვარდების რევოლუციამდელს, ეი. იმ დროს, როცა

ძიელი საქართველო ბაზრობად იყო ქცეული... მასწავს, ყველაზე მეტად შევძრწუნდი მაშინ, როცა ერთ-ერთ ვიზუურში ჩემი ყოფილი პედაგოგი, პროფესორი ვნახე, რომელიც „სნიკერსს“ და „მარსს“ ყიდდა... ამ ფილმით ჩემი ქვეყნის გასაჭირი და წუხილი გამოვხატე.

— ვინ არიან ფილმში დაკავებულნი?

— ფილმში დაკავებულნი არიან: ბერტა ხაფავა, ბაადურ წულაძე, შოთა ქრისტესაშვილი, ეკა ნიჟარაძე, რუსიკო კობიაშვილი და ჩემი სტუდენტი, გიორგი მასხარაშვილი. სხვათა შორის, მინდა აღვნიშნო, რომ ბერტას, ბაადურისა და შოთას გარდა, ჩემს ფილმში ნათამაშები როლები სადებიუტო იყო.

— ახლა იქაური მაყურებლის რეაქციაზე გვიამბეთ — როგორ აღიქვას ფილმში ნაჩვენები ქართული სინამდვილე?

— დიდი ინტერესით უყურებდნენ და



დიდი სიბრაღულის გრძობა გამოხატეს იმ ადამიანების მიმართ, რომლებსაც ასე უცხოვრიათ. სხვათა შორის, მათ ასეთი კითხვაც კი დამისვეს: ამ ფილმის შემდეგ მოხდა ვარდების რევოლუციაო?... აღსანიშნავია, რომ ფესტივალზე ბოლო დროს, ძალზე პოლიტიზებული გახდა. პრესკონფერენციებზე ბევრი შეკითხვა იყო პოლიტიკური შინაარსის - მაგალითად, მეკითხებოდნენ, რა ხდება რუსეთთან საქართველოს ურთიერთობაში, როდის გაიფხვან რუსეთი ჩვენი ქვეყნიდან სამხედრო ბაზებს, ანტიერესებდით, რამდენად მისაღებია მოქალაქეებისთვის ჩვენი ახალგაზრდა ხელისუფლების მოღვაწეობა...

— მსოფლიოს ერთ-ერთ ნამყვან ფესტივალზე რამ მოახდინა თქვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება?

— პირველ რიგში, შთაბეჭდილება ის, რომ იქ ნამდვილ რეჟისორად გრძობთ თავს. დიდი პატივია ურთიერთობა ისეთ გამოჩენილ რე-

ჟისორებთან, როგორებიც არიან: ემირ კუსტურიცა, ვუდი ალენი, ჯიმ ჯარმუში...

— ქართველ მაყურებლებს როდის მოგვეცემა თქვენი ფილმის ნახვის საშუალება?


— რა ვიცი. თუ სურვილი იქნება, მე დღესვე მზად ვარ, წინააღმდეგი რატომ უნდა ვიყო? პირიქით - მე კინოს, ფესტივალებისთვის კი არა, ჩემი მაყურებლისთვის, ქართველებისთვის ვიდეგ. სამწუხაროდ, საზოგადოებისგან ვერანაირ ინტერესს ვერ ვაჩვენებ. ჩემი აზრით, ტელევიზიების დუმილიც იმით იყო გამოწვეული, რომ ისინი მიჩვეული არიან, აუიოტაჟის ატენას იმ მოვლენის გამო, რომელსაც პრეზიდენტი ესწრება... ერთადერთი კოკა ყანდაშვილი აღმოჩნდა, რომელმაც კანთან პირდაპირი ჩართვაც მოახერხა და შემდეგ, როცა ჩამოვედი, სტუდიაშიც მიმიწვია. სამწუხაროდ, სხვა არავინ დაინტერესებულა და არც ოპერატორი გამოძევა. არადა, კანის ფესტივალის რეგლამენტით, თითოეული ქვეყნის

მონაწილეს, ჟურნალისტი და ოპერატორი შეიძლება წლებოდა თან. ასე რომ, ქართველი ოპერატორისა და ჟურნალისტისთვის განკუთვნილი ადგილებიც დაკავრგეთ. სამწუხაროა, რომ ეს შესაძლებლობა ხელიდან გავუშვით - იქ ხომ ბევრ გამოჩენილ კინემატოგრაფისტთან შეხვედრის და მისი გადაღების საშუალება იყო.

— დაბოლოს, გვიამბეთ თქვენი უახლოესი გეგმების შესახებ.

— ბევრგან ვარ მიწვეული, კერძოდ - რომში, მილანში, ლოს-ანჯელესში, მონრეალში, ისრაელში, სამხრეთ კორეაში. თვის ბოლოს მივდივარ მოუნხენში, სადაც ჩემი სურათით დაიხურება საერთაშორისო ფესტივალი. ასე რომ, ამ ფილმის შესახებ საზღვარგარეთ უფრო მეტი ინფორმაცია აქვთ, ვიდრე საქართველოში. ბუნდოვი ვიქნები, თუ ფილმს ჩემი ხალხისთვის გადავიღებ და არა - ფესტივალებისთვის...

ინტიმური ტელეფონი
822-009-008
822-009-088
822-009-108
18 წლიდან
მომხსახურება ფასიანია



„ქართული ქალების“

– მითები და ფაქტები

ისტორიამ უამრავი მებრძოლი ქალის სახელი შემოგვინახა. ძალზე შორეულ წარსულს რომ თავი დავანებოთ, პირველი მსოფლიო ომის მაგალითს გავისხენებთ, რომელშიც ბევრი მფრინავი ქალიც მონაწილეობდა. თუმცა, ჯარისკაც ქალთა სიმრავლით ვერც ერთი ქვეყნის არმია ვერ დაიკვეხნიდა და ჯარში მანდილოსანთა მასობრივი გაწვევა მხოლოდ XX საუკუნის შუა პერიოდიდან დაიწყო...

რა შეუძლია და რა არ შეუძლია ჯარისკაც ქალს? რა პრობლემების წინაშე დგება ყაზარმაში მოხვედრილი ქალი და რა პრობლემებს უქმნის იგი სხვებს — თანამებრძოლ მამაკაცებს თუ თავის მეთაურებს? როგორ აფასებენ ექსპერტები ქალებს, როგორც მებრძოლებს?..

ლელა ჭანკოტაძე

ვახტანგ რაზმაძე, საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი სამხედრო საკითხებში:

– ქალები, როგორც ჯარისკაცები, მეორე მსოფლიო ომიდან გვხვდებიან. გერმანიაში ქალები ჯარში გაიწვიეს, მაგრამ მათ მხოლოდ დამხმარე მუშებად იყენებდნენ. პირველი სამხედრო ჩინის მქონე ქალი გერმანიაში 1975 წელსაა დაფიქსირებული. ცნობილია მარია მენდელიც, რომელიც საკოცენტრაციო ბანაკის ხელმძღვანელი იყო და პატიმრებთან გამოჩენილი სისასტიკის გამო, შემდგომში დაიხვეწა. ფრონტზე იბრძოდნენ ამერიკელი და ინგლისელი ქალებიც. ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს, დიდ ბრიტანეთში ქალების 2% იყო გაწვეული ჯარში. ასე რომ, არასაბრძო-

ლო ქვედანაყოფებში ქალების გაწვევა ჩვეულებრივი ამბავი იყო. მთლიანად ქალებით დაკომპლექტებული პირველი ქვედანაყოფი კი, საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბდა. ეს იყო ე.წ. „სიკვილის ბატალიონი“. მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის სახელით 800 ათასი ქალი

იბრძოდა. არსებობდა ქალთა 3 პოლკი: 586-ე მოიერიშე, 587-ე ბომბდამშენთა და 588-ე ლამის ბომბდამშენთა პოლკები. ეს ომი სწაი პერი ქალების სიმრავლითაც გამოირჩეოდა. მაგალითად, სწაი პერმა ლუდმილა პავლიჩენკომ 309 გერმანელი სამხედრო მოსამსახურე მოკლა. საოცრება მოხდა ომის შემდეგ. რუსეთში ქალები მხოლოდ არასაბრძოლო ქვედანაყოფებში გადაიყვანეს, ამერიკაში კი, პირიქით – საბრძოლო ქვედანაყოფებში.

– რომელ ქვეყანაშია შემოღებული ქალისთვის სავალდებულო სამხედრო სამსახური?

– ასეთი ქვეყანაა ისრაელი, სადაც ქალი მიდის ჯარში იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის გათხოვილი ან ფეხმძივე. ქალები იქ მამაკაცებზე ერთი წლით ნაკლებს მსახურობენ. თუმცა, ისრაელშიც ქალებს არასაბრძოლო ქვედანაყოფებში ანაწილებენ. საერთოდ, ქალი და ჯარი მრავალწახნაგოვანი პრობლემაა. დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ არაერთგვაროვანია, რადგან ქალის ჯარში სამსახურს, უარყოფითთან ერთად, ბევრი დადებითი მხარეც აქვს: ქალი უფრო მოწესრიგებულია, უკეთ იცავს ჰიგიენას,



ქალი და ჯარი მრავალწახნაგოვანი პრობლემაა...

არ ეტანება ალკოჰოლურ სასმელს. ამასთანავე, ქალი მკერდით სუნთქავს, მამაკაცი — მუცლით, მკერდით სუნთქვა

სი მორალური ზეწოლა მოახდინონ. გარდა ამისა, კიდევ ბევრი უარყოფითი მხარე არსებობს. დღეს ჯარში სამსახ-

ფატი ჯულაყიძე, მზია სულაბერიძე, მაია გერლიანი



კი, კარგად მოქმედებს სროლის ეფექტურობაზე. ქალს შეუძლია ისეთი დეტალების შემჩნევა და ერთმანეთთან დაკავშირება, რომლებსაც მამაკაცი ყურადღებას არ მიაქცევს, ამიტომ ქალები უკეთესი სნაიპერები და მზვერავები არიან. ბრიტანეთის სპეცსამსახურში მსახურობდა მზვერავი ქალი — პინტო, რომელმაც თავის წიგნში ასეთი ფრაზა ჩაწერა: მზვერავი ყველაფრისთვის უნდა იყოს მზად. ქალი

ური მოღაშია, მაგრამ მე ამის მომხრე არ ვარ. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ქალები წყლით სავსე სანგრებში ჩაესვათ ან ბრძოლის ველზე წინა ხაზზე გაეუშვათ!...

— **თუ ჯარში წასვლა მოვიწოდო, კანონი ამის საშუალებას მაძლევს?**

— კანონი ამას არ გიკრძალავთ. რადგან ქალებისთვის არმიაში სამსახური

დავიდა. იქ გაუჩნდა სურვილი, სნაიპერი გამხდარიყო. ახლა კოჯრის ელიტურ ქვედანაყოფში ვარჯიშობს. სნაიპერს მხოლოდ მიზანში სროლა როდი ევალება. მას უნდა შეეძლოს საკუთარი თავის შენიღბვა, ოპერაციის დაგეგმვა, სროლის შემდეგ გაუჩინარება და ა.შ. ეს მთელი ხელოვნებაა. ცნობისთვის — შესაბამისად მომზადებული ქალი უკეთ ისვრის, ვიდრე მამაკაცი, რადგან მისი ხელი უკეთ იკეცება სახსარში. ჩვენი ქალები ჯარში იოლად აღწევენ წარმატებებს. კრწანისის სასწავლო ცენტრში ერთი ინსტრუქტორი ქალი მსახურობს. კოჯორში მსახურობს ქეთი თევზაძე, რომელიც განათლებითა და გონებრივი განვითარებით ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს იღებს ხოლმე. ბოლო პერიოდში, ქალები იოლად ასრულებენ მამაკაცებისთვის გათვალისწინებულ დავალებებს. როცა ჯონ მალხაზ შალიკაშვილი საქართველოში იყო ჩამოსული, მას პირად მცველად ქალი ახლდა. ქალები ჯორჯ ბუშის ვიზიტის დროსაც იყვნენ დაცვის თანამშრომლებს შორის... ყველა ქვეყანაში, ქალების მიერ მამაკაცური პროფესიების დაუფლებასთან დაკავშირებით, განსხვავებული აზრი არსებობს, რაც ამ ქვეყნების ტრადიციებიდან გამომდინარეობს. მაგალითად, არაბი ქალი, თავისი მენტალიტეტიდან გამომდინარე, ვერ გაზღდება სნაიპერი. ის ვერ ჩაიცვამს მარვალს და ვერ ირბენს ტყე-ტყე.

— **როგორ უნდა გამოიყურებოდეს ქალი ჯარისკაცი?**

— პირველი: თმა უკან შეკრული უნდა ჰქონდეს. ამერიკულ ჯარში, ჩვენგან განსხვავებით, ქალს არ შეიძლება ეკეთოს რაიმე სამკაული, საქორწინო ბეჭდის გარდა. იქ ქალებისთვის არანაირი შეღავათი არ არსებობს. ბრიგადის მეთაური ვიყავი, როცა ჩამოვიდა ერთ-ერთი ბრიგადა. მისი მეთაური, ქალი გახლდათ. მოხდა ასეთი ფაქტი: უზარმაზარ ყუთს 3 კაცი და ერთი ქალი ეზიდებოდნენ; ჩვენმა ბიჭებმა დახმარება სცადეს, მაგრამ მეთაურმა მითხრა — უხერხულად იგრძნობენ თავს და უთხარით, ნუ მიეხმარებიან, არ შეიძლებაო. შემდეგ თავად სამხედროებს ვკითხე — რატომ ათრე-

როცა ყაზარმული მდგომარეობაა, ბავშვებმა იციან, რომ ღამით დედის გვერდზე ჩაეხუტებიან


კი, რომელიც ყველაფრისთვის მზად არის, ქალი აღარ არისო... ყველაზე გამხდარ ქალსაც კი, მამაკაცზე მეტი ქონი აქვს, შესაბამისად — შიმშილს, ტკივილს და გაუსაძლის პირობებს მამაკაცზე უკეთ იტანს. აღმოჩნდა, რომ ქალები საკმაოდ დაუნდობლები არიან. ახლა ჯარში ქალის სამსახურთან დაკავშირებით არსებულ უარყოფით გარემოებებს შევხვით. უარყოფითია ის, რომ ცუდად უძლებს ფიზიკურ დატვირთვას, ადვილად ვარდება პანიკაში და ხშირად, არასწორ გადაწყვეტილებას იღებს; ქვედანაყოფში მამაკაცები ცდილობენ, ქალი დაიცვან, ამიტომ ჯარისკაცებს შორის თანასწორობის პრინციპი ირღვევა; ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში, ქალზე შეიძლება, უდიდეს

სავალდებულო არ არის, ჯარში უნდა წახვიდეთ მოხალისედ. არის ასეთი გოგონა — ბოიკო. ის უდღემამო ბავშვთა თავშესაფარში აღიზარდა. შემდეგ სპაღეტის მარცხში (ახალგაზრდული პატრიოტულ-გამაჯანსაღებელი ორგანიზაცია) გა-

უარყოფითია ის, რომ ცუდად უძლებს ფიზიკურ დატვირთვას...



მამუკა ბალახაძე




მაიორი მამუკა ბალახაძე:

- ჩვენს ქვედანაყოფში დაახლოებით 100-110 ქალია. ზოგი მათგანი უკვე 12-14 წელია, რაც ქართულ არმიაში მსახურობს. ისინი უკვე საბრძოლო ქვედანაყოფებში აღარ არიან და ძირითადად, საბუღალტრო საქმიანობით არიან დაკავებული. 3 ქართველი ქალი ერაყშიც იმყოფება. შეღავათები მართონელა დედებისთვისაა გათვალისწინებული: მათ შეუძლიათ, ერთი საათით გვიან მოვიდნენ. ნორმატივების ჩაბარება თავიდან, ყველას უჭირს. მაგრამ ხანგრძლივი და სისტემატური ვარჯიშის შემდეგ, ყველა დაბრკოლებას სძლევენ ხოლმე. მასხენდება ერთი ქალბატონი, რომელმაც ნორმატივები ისე ჩააბარა, რომ მამაკაცებსაც აჯობა. ასეთი რამ იშვიათობაა. საერთოდ, ქალებისთვის ნორმატივები უფრო გამარტივებულია. კაცს თუ ეკუთვნის

ვინებთ ქალებს მძიმე ყუთებს-მეთქი? მიპასუხეს - ქალმა, რომელმაც სამხედრო ფორმა ჩაიცვა, თავისი სქესი დათმო; ის ჯარისკაცია, ჯარისკაცს კი სქესი არა აქვსო... ღმერთმა დაგვიფაროს იმისგან, რომ ჩვენი ჯარისკაცებიც ასე ფიქრობდ-

და მის ზურგს არ ამოეფარება. ასევე შეუძლებელია, ქართველს არ სიამოვნებდეს ქალების ყოფნა ჯარში. ამასთან, ისინი არ არღვევენ წესრიგს, ამიტომ მათი დასჯა არ გვიწევს. საყველურსაც კი არ იმსახურებენ ხოლმე. არ უკეთიათ სამკაულები, თმა შეკრული აქვთ... აქვე გეტყვით, რომ ყოფილა შემთხვევები, როცა ჩვენი სამხედრო მოსამსახურე მამაკაცები და ქალები დაქორწინებულან.

ქალთა დღეს - 8 მარტს, ქალებს თავიანთ ქვედანაყოფებში სიურპრიზი დაახვედრეს. თითოეულს მუყაოს ყუთი გადასცეს - ამ ყუთებში ყვავილები ეწყო. საღამოს ალა-ფურშეტიც გაიმართა... მამაკაცებს წუთითაც არ ავიწყდებათ, რომ



კაცს თუ ეკუთვნის 3200 მეტრი მანძილის 13 წუთში დაფარვა, ქალბატონმა ეს მანძილი 16-17 წუთში უნდა გაიარებინოს.

იქ ბევრი ქალი იბრძოდა. ორი ქალი საბრძოლო ობერაციებისას დაიღუპა

ნენ. თუმცა, ჯარისკაცმა არ უნდა ატაროს ქალის ზურგჩანთა, არც ქალს უნდა გადაეფაროს საომარი მოქმედების დროს...

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ აღლუმზე განსაკუთრებული ინტერესი, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ქალების გამოჩენამ გამოიწვია. ეს ქალები ვაზიანის სამხედრო ბაზაზე განთავსებულ პირველ ბრიგადაში მსახურობენ. დილით ადრე, ნაწილში ცხადდებიან, საღამოს კი, ისევ თავიანთ ოჯახებში ბრუნდებიან. როცა ნაწილი ყაზარმულ რეჟიმზე გადადის, მთაც მამაკაცების მსგავსად, ოჯახების მიტოვება და ყაზარმებში ცხოვრება უწევთ.

3200 მეტრი მანძილის 13 წუთში დაფარვა, ქალბატონმა ეს მანძილი 16-17 წუთში უნდა გაიარებინოს.

— რამდენად სასიამოვნოა ქალების გვერდით სამხედრო სამსახური?

— ჩვენი მენტალიტეტიდან გამომდინარე, შეუძლებელია, გამუდმებით არ ვფიქრობდეთ იმაზე, რომ ქალებს ნორმალური პირობები შევუქმნათ და სამხედრო ცხოვრება გავუადვილოთ, რაც სხვა ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში დაუშვებელია. მაგრამ ტრადიციები სხვანაირად მოქცევის საშუალებას არ გვაძლევს. ქართველი კაცი საომარი მოქმედების დროს წინ ქალს არ გაუშვებს

მათ გვერდით ქალებიც მსახურობენ. არც ქალები ეპუებიან შიდაგანაწესს - მსუბუქ მაკიაჟსაც იკეთებენ და ჩუმ-ჩუმად სარკისკენაც აპარებენ თვალს. სარკე მაშინაც არ ავიწყდებათ, როცა ზურგზე 35-კილოგრამიანი ტვირთი აქვთ მოკიდებული...

რატომ მიდიან ქალები ჯარში? რამ გადაწყვეტინათ ქართველ ვოკონებს, ხელში იარაღი აეღოთ? როგორ უთავსებენ ერთმანეთს ოჯახს და სამხედრო ცხოვრებას?

ცირა თანელიაშვილი, უფროსი ლეიტენანტი:

- 1994 წლის პირველ თებერვალს გავხდი ჯარისკაცი. სამხედრო მოსამსახურე ოჯახში არავინ მყოლია, ჩემი გადაწყვეტილება მხოლოდ პატრიოტიზმის გამძაფრებული გრძნობით იყო გამოწვეული. ქართული არმია მაშინ ყალიბდებოდა, მინდოდა, ამ საქმეში წვლილი მეც შემეტანა. მაშინ 30 წლის ვიყავი.

პრეპარატი ფენსი გაძლევთ უნიკალურ შანსს

ფსიქოლოგი
მეზივამ ენდეთ **საუკუნოვან**
ნეიროდეპრეზი **გამორწილებას!**
სეზონალური
დეპრესიის **ნიკითხვით**

მაკრანალოგია
 7 ცვირის შემდეგ

საუკუნოვანი გამომწილებების მქონე,
ყველაზე ეფექტური, არაპროგრესული
მალამოს საშუალებით

სხელი ხაზი: 39 66 03

მაკრანალოგის შენობა



ცირა თანდიაშვილი, ირინა მაჭარაშვილი

ოჯახი არ მყავდა. ერთადერთი ოცნება მქონდა – საქვეყნო საქმე მეკეთებინა... ახლა კადრების ოფიცერი ვარ. ცოტათი მკაცრი ვარ, მაგრამ ჯარში სიმკაცრე აუცილებელია. ახლებს შეგუება უჭირთ, თუმცა, აქ ცრემლებს ვერ ნახავთ. ქალური სისუსტეები ჩვენთვის დაეწიებას იმ წუთიდან მიეცა, როგორც კი სამხედრო ფორმა ჩავიცვით.

ირინა მაჭარაშვილი, უმცროსი სერჟანტი:

– ჯარი ყოველთვის მომწონდა. არა ვარ ისეთი ნაზი, როგორც ქალების უმეტესობაა. ბავშვობიდან, მამაკაცური პროფესიები მიზიდავდა. მაგრამ რომ გავიზარდე, სიყვარული მეწვია და გავთხოვდი. 2 შვილი გავაჩინე. მერე ქმარს ვუთხარი – გული ჯარისკენ მიმიწევს-მეთქი... ახლა საიდუმლო საქმის მწარმოებელი ვარ, სამსახურის ირგვლივ ლაპარაკი მეკრძალება. ბავშვების აღზრდაში მშობლები მეხმარებიან. სახლში ყოველ საღამოს მივდივარ. როცა ყაზარმული მდგომარეობაა, ბავშვებს იციან, რომ ღამით დედიკოს ვერ ჩაეხუტებიან, ამას უკვე შეეგუებენ... ეამაყებათ, რომ ჯარისკაცი დედა ჰყავთ. თვითონაც ჯარისკაცობაზე ოცნებობენ.

ზოია სულაზარიძე, უფროსი ლეიტენანტი:

– მე შემძლია, ჩემს შვილებს სიამაყით მოვუყვე, თუ როგორ იქმნებოდა საქართველოს შეიარაღებული ძალები... სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი დავაშთავრე. სამსახური რომ ვერ ვიშოვე, ბიძაჩემმა აქ მომიყვანა: ის სამხედრო მოსამსახურე იყო. პირველი 2 თვის მანძილზე, ძალიან გამიჭირდა. გამუდმებით ვფიქრობდი, რომ ჯარი ჩემი საქმე არ იყო. მაგრამ რეჟიმს მივეჩვიე და ახლა სხვანაირად ცხოვრება ვეღარ წარმომიდგენია. ძალიან გაუჭირდათ ჩემს მშობლებს. წლების მანძილზე

მთხოვდნენ, უარი მეთქვა სამხედრო სამსახურზე. ამბობდნენ, რომ ჯარი ქალის საქმე არ იყო...

ზაზი ჯულაყიძე, სერჟანტი:

– ჩემი ქმარი ბრიგადის დაზვერვის უფროსი, მაიორი ზაზა ჯანჯალიაა. ჯარის სიყვარული მისგან გადმომდო. როცა ჩემი სურვილი გავუშვავდი, არ გააკვირვებია. ჯარისკაცურ ცხოვრებასაც იოლად შევეგუე. გადაწყვეტილება დედამთილმაც მომიწონა. ახლა მისი ორი ვაჟი და ორივე რძალი სამხედრო მოსამსახურეები არიან. ჩემი ძმა ერაყში იბრძვის. მალე ალბათ მისი ცოლიც შემოგვიერთდება. აქ სამხედრო საბავშვო ბაღიც გვაქვს, სადაც 44 ბავშვია. მათი დედები ჯარისკაცები არიან. ჩემი შვილი ჯერ მხოლოდ 3 წლისაა. ამბობს – რომ გავიზრდები, ჯარისკაცი გავხდები.

ზაზი გარლიანი, სერჟანტი:

– მე აფხაზეთიდან დევნილი ვარ. საშუალო სკოლა რომ დავამთავრე, ომი მაშინ დაიწყო. იმ წუთასვე ხელში იარაღი ავიღე და მას შემდეგ, ჯარში ვმსახურებ. ჩემი მეუღლეც სამხედრო მოსამსახურეა – პოლკოვნიკი ტარიელ ლონდარიძე. ის სამხედრო აკადემიის პროექტორია. ერთმანეთი აფხაზეთში გავიცანი და იქ შევიყვარეთ. ორივე ვმონაწილეობდით იმ ომში, თუმცა იღბალი ჩვენს მხარეზე არ აღმოჩნდა. იქ ბევრი ქალი იბრძოდა. ორი ქალი საბრძოლო ოპერაციებისას დაიღუპა... ამ ომმა დაგვანახა, რომ ძლიერი ჯარი გვჭირდება. როცა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა აღსადგენია, ქალებმა უარი უნდა ვთქვათ მაღალქუსლიან ფესხაცმელზე, მოკლე კაბასა და შედეხილ ტუჩებზე. ჩემი ოცნება, იმ მიწაზე ფეხის დადგმა, სადაც დავიბადე და გავიზარდე. ამ ოცნებას აუცილებლად ავისრულებ...

ქაბის დაჭრისთვის 21 წლის ეჭვიანილი აიყვანეს

6 ივნისს, თბილისის გლანი-ნაძალადევის რაიონის შს სამმართველოს პირველი განყოფილებისა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა 21 წლის ეჭვიანილი დააკავეს. იგი ახმეტის რაიონის სოფელ ალვანში მცხოვრები გიორგი ანწუხელიძე აღმოჩნდა. სამართალდამცავთა ინფორმაციით, ანწუხელიძემ, სხვა პირებთან ერთად, ჯანმრთელობისთვის მიძიმე დაზიანება განზრახ მიაყენა ძიებებს – 24 წლის გიორგი და 33 წლის კონსტანტინე ჯებისაშვილებს. ეჭვისაშვილები საავადმყოფოში არიან მოთავსებული. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი მჭიდითა და 3 ვაზნით. როგორც სამართალდამცავები აღნიშნავენ, იარაღის ადგილმდებარეობაზე მათ თავად ანწუხელიძემ მიუთითა. ამჟამად ტარდება ღონისძიებები, რომლებიც იარაღის მფლობელის დასადგენადაა გაშიზნული.

28 წლის ახალგაზრდას სიყვარულისთვის სანიჟათო დაზიანება მიყენეს

თბილისში, ინდემწარმე „ირაკლი გვარამაძის“ ავტოგასამართი სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე სამართალდამცავებმა დააკავეს ორი ეჭვიანილი: ვალეს მკვიდრი 39 წლის რატი კაპანაძე და ახალციხის მკვიდრი, 25 წლის სამველ აბრეიანი. პოლიციის ინფორმაციით, მათ ვალეში, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლების შედეგად, სიცოცხლისთვის საშიფათო, სხეულის მიძიმე დაზიანება მიაყენეს 28 წლის კობა ხითარიშვილს. ეჭვიანილითა დააკავებაში შს სამინისტროს კრიმინალური ლეპარტამენტის სამძებრო სამმართველოს, ადამიანის ღირსებისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილებისა და სამცხე-ჯავახეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლები მონაწილეობდნენ.

დიდი ქართული მკვლელობა 24 წლის ასაკშივე დაიწყო

„ხალხი ამბობდა, რომ ქმარი პატარა ბურატინომ მომიყლა“

თბილისის საოლქო სასამართლო 24 წლის დათო ხოსიტაშვილის სისხლის სამართლის საქმის განხილვას იწყებს. პროკურატურა ხოსიტაშვილს კრიმინალური სამყაროს ერთ-ერთი წარმომადგენლის, ენ. ავტორიტეტის, 36 წლის ალიკა (ალექსანდრე) თეთრაშვილის განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობაში სდებს ბრალს. ბრალდებული თავს დამნაშავედ არ ცნობს. ის წარსულში ნასამართლვე არ გახლდათ და როგორც მისი ახლობლები აღნიშნავენ, შავი სამყაროსგან ყოველთვის შორს იდგა.

მეზო სანავა

საპირისპიროს აცხადებს დაზარალებული მხარე, რომლის მტკიცებით, დანაშაული მხოლოდ დათო ხოსიტაშვილს არ ჩაუდენია. დაზარალებული მომხდარ მკვლელობაში ბრალდებულის მამას და კიდევ რამდენიმე ახალგაზრდას აღიარებულა. მისი თქმით, ადგილი ჰქონდა სასტიკ ანგარიშსწორებას. „მკვლელობამდე ორი კვირით ადრე დავკეპუქრენ – ალიკას მოგვკლავთო და მუქარა გვუფურად განახორციელეს კიდევ“, – აღნიშნავს დაზარალებული ჩვენებებში. თუმცა, პროკურატურამ მხოლოდ ხოსიტაშვილს წაუყენა ბრალი. სამართალდამცავთა განმარტებით, დაზარალებულის მიერ დასახელებული პირების ბრალეულობა გამოძიებით არ დადასტურდა. საბრალდებო დასკვნის თანახმად, ხოსიტაშვილს უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მკვლელობა ედება ბრალად, რადგან აწ გარდაცვლილი თეთრაშვილი 1993 წლიდან, წელს ქვევით მოწყვეტილი იყო და თავისით გადაადგილება არ შეეძლო...

აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ თეთრაშვილი წარსულში, ვინმე თემურ ქობულაშვილის მკვლელობისთვის გახლდათ ნასამართლვე. პროკურატურის ინფორმაციით, ის სატვირთო მანქანი დაეჯახა ქობულაშვილს, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი ადგილზევე გარდაიცვალა. როგორც ამბობენ, ქობულაშვილებს მიაჩნდათ, რომ თეთრაშვილმა უთანხმოების

გამო განზრახ ჩაიდინა დანაშაული. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თეთრაშვილი სწორედ გვარად ქობულაშვილმა დაჭრა ცეცხლსასროლი იარაღით, რამაც მისი დაინვალიდება გამოიწვია. ამის თაობაზე თეთრაშვილის სიმამრი ჩვენებაში წერს: „ქობულაშვილი პატმარი არ ყოფილა, რადგან ჩემმა სიძემ მას არ უჩივლა და არც მისი პიროვნება დაასახელა. ჩემი სიძე შავი ვაგების იყო და ალბათ, პოლიციაში ამიტომაც არ დაასმინა იგი“.

საქმის მასალების მიხედვით, 2004 წლის 29 ივლისს, სოფელ დიდმის ცენტრში, იმავე სოფლის მკვიდრი ალიკა თეთრაშვილი საკუთარ ავტომანქანაში ჩაცხრილული იპოვეს. იგი მეზობლებმა დამით აღმოაჩინეს. თეთრაშვილს „ტეტეს“ სისტემის პისტოლეტიდან 4 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი: ერთი – მარჯვენა მხარში, დანარჩენი 3 – ზურგში. როგორც საბრალდებო დასკვნაშია აღნიშნული, მკვლელობის იარაღი თავად თეთრაშვილს ეკუთვნოდა. გამოძიების მასალების მიხედვით, სწორედ მან სთხოვა დათო ხოსიტაშვილს სოფლის ცენტრში შეხვედრა, ურთიერთშელაპარაკების შემდეგ კი, იარაღი დაუმიზნა; ხოსიტაშვილმა თეთრაშვილს პისტოლეტი წაართვა და მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა დედისა და ახლობლების მისამართით შეაგინა, ზედვიდოთხჯერ ესროლა მას. თეთრაშვილი შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა.

მომხდარ მკვლელობას ორი ინციდენტი უძღოდა წინ. გამოძიების მასალების მიხედვით, სწორედ ეს გახდა ჩადენილი დანაშაულის მიზეზი. თუმცა, მომხდარი ფაქტების შესახებ დაზარალებული და ბრალდებული მხარეები სხვადასხვაგვარად მოგვითხრობენ. დაზარალებული მხარის მტკიცებით, მკვლელობამდე დაახლოებით წელიწად-ნახევრით ადრე, მამაშვილმა ხოსიტაშვილებმა და მათმა ახლობლებმა, ალიკა თეთრაშვილის ძმა – ამირან თეთრაშვილი დიდგორზე აიყვანეს და იქ სასტიკად სცემეს. ამ ფაქტმა, რა თქმა უნდა, ძალზე გაანაწყენა ალიკა თეთრაშვილი. ხოსიტაშვილები მაშინაც და დღესაც კატეგორიულად უარყოფენ მათ მიერ ამირან თეთრაშვილის ცემის

ფაქტს. „ამ ამბავს ჩემს შვილს ტყუილად აბრალდებდნენ. ამირანის ცემის ფაქტს მე თვითონ შევესწარი. სამნი სცემდნენ. მე ვავაშველე ისინი. ჩემი შვილი იქ არ ყოფილა“, – ირწმუნება ბრალდებულის მამა – სოსო ხოსიტაშვილი. ხოსიტაშვილებსა და თეთრაშვილებს შორის ამ უთანხმოებას კიდევ ერთი დანაშაული მოჰყვა.

ვილერი ნოზოია, ბრალდებულის ადვოკატი:

„2003 წლის 2 თებერვალს, აწ გარდაცვლილმა თეთრაშვილმა, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი ავტომანქანა ჰყავდა, რატომღაც დიდმის მასივიდან აიყვანა წითელი ტაქსი და დათო ხოსიტაშვილს სახლში ააკითხა. მარტო არ იყო და ვერც იქნებოდა, რადგან წელს ქვევით მოწყვეტილი იყო და დამოუკიდებლად გადაადგილება ან ავტომანქანაში ჩაჯდომა არ შეეძლო. თუმცა, მისი თანმხლები პირის შესახებ ინფორმაცია ცოტა გვაქვს. დათო ხოსიტაშვილი დაძახებულა ჭიშკრიდან გამოვიდა. არ იცოდა, რისთვის მიაკითხა მას თეთრაშვილმა. ერთმანეთს მიესალმნენ, დათო მანქანის უკანა სავარძელზე დაჯდა და ამის შემდეგ, თეთრაშვილმა მძღოლს უთხრა, წასულიყო. წყალსადენის ტერიტორიაზე, დაუსახლებელ ადგილზე შეაჩერებინა მანქანა თეთრაშვილმა. შემდეგ უეცრად შეტრიალდა ხოსიტაშვილისკენ და დანა დაუსვა სახეზე. მისი დაჭრა მიიხილავდა, თან კეითხებოდა თურმე – რატომ სცემე ჩემი ძმა? ეს ამბავი ამირან თეთრაშვილის ცემის ფაქტიდან დაახლოებით ორ თვეში მოხდა. დათო ხოსიტაშვილმა მოახერხა თეთრაშვილის მოგერიება და მანქანიდან გადახტა, თუმცა დაჭრისგან თავი მაინც ვერ გადაირჩინა. საფეთქლის ქვევით მიყენებული ჭრილობის შედეგად დარჩენილი ნაირევი მას დღესაც ეტყობა.“

თეთრაშვილი მას ველარ დაედევნებოდა, ამიტომ მიატოვა შემთხვევის ადგილი და იმავე ტაქსით შინისკენ გასწავა“.

წითელი ტაქსით თეთრაშვილის შინ მისვლის ფაქტს მისი ცოლიც ადასტურებს. დაზარალებული **მანია პური-ჭაბიაშვილი** ჩვენებაში წერს:

„ტაქსიში მძღოლის გარდა, ჩემი ქმარი

და დათო ხოსიტაშვილი ისხდნენ. დათო ნასვამი იყო. ჩემი ქმარი ფხიზელი ვახლდათ. რაც დაინვალიდა, მას შემდეგ, საერთოდ არ სვამდა. მანქანასთან მივედი, რათა ქმარს გადმოსვლაში დაეხმარებოდა, მაგრამ დათომ მიხივია – არ გადავიყვანო, ჯერ კიდევ გვაქვს სალაპარაკო და მალე მოვაო. ტაქსი დაახლოებით ორ საათში დაბრუნდა. მამინ მანქანაში მხოლოდ მძღოლი და ჩემი ქმარი ისხდნენ. მძღოლს ვკითხე კიდევ – რამე ხომ არ მომხდარა-შეთქი? მიპასუხა – მშვიდობაა, ვაჟკაცი ქმარი გყოლიაო. ალიკა შინ ავიყვანე. არაფერი უთქვამს, დაწვა და დაიბინა“.

ვილარი ნოზორია:

„მომხდარის გამო ხოსიტაშვილებს მამინ არ უჩივლიათ. რაკი დათო გადარჩა, სიტუაცია აღარ გამწვავებს და სამართალდამცავებს არ მიმართეს. ამის შემდეგ, ხოსიტაშვილი და თეთრაშვილი თავს არიდებდნენ ერთმანეთს. დათოს შურისძიება არ უცდია. პირიქით, თუკი სადმე შენიშნავდა თეთრაშვილს, მისგან მოშორებით დგებოდა. თვეები ისე გავიდა, რომ არც თეთრაშვილს გამოუჩენია ხოსიტაშვილთან შეხვედრის ინიციატივა.“

სრულიად საპირისპიროს აცხადებს დაზარალებული მხარე. მოკლულის მუღელე და მამა ჩვენებებში აღნიშნავენ, რომ ხოსიტაშვილები მათ მოსვენებას არ აძლევდნენ. „დათო ხოსიტაშვილს განსაკუთრებით დედამისი აქეზებდა ჩემი ქმრის მკვლელობაზე... მკვლელობამდე ორი კვირით ადრე კი, ჩემს მამამთილს მიუვარდა სოსო ხოსიტაშვილი და გინება დაუწყო თურმე – 20 დღეში შენს შვილს მკვდარს გაჩვენებო. სოსო ხოსიტაშვილი იმ დროს ნასვამი ყოფილა“. ამ ფაქტს თავის ჩვენებაში მოკლულის მამა – ფარსადან თეთრაშვილიც ადასტურებს. იმავეს ამბობს მოკლულის სიმამრიც: „მასხალი შემხვდა და მითხრა, ბირჟაზე სოსო ხოსიტაშვილი მოვიდა და გინება დამიწყო – ბოზი ხარ და შვილი რომ მოგიკლა, მიჩივლებო“.

დაზარალებული მხარის თქმით, 2004 წლის 29 ივლისს ხოსიტაშვილებმა სწორედ მამინ ნათქვამი მუქარა განახორციელეს. თუმცა, მომხდარის შესახებ ბრალდებულის მამა სხვაგვარად მოგვითხრობს. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ის მკვლელობის ერთადერთი თვითმხილველია.

სოსო ხოსიტაშვილი:

„ოთხი შვილი მყავს. მათგან დათო ყველაზე უფროსია – აგრარული უნივერსიტეტის მექანიზაციის ფაკულტეტი დაამთავრა, მაგრამ სწავლის დასრულების შემდეგ არსად მუშაობდა. წესიერი ახალგაზრდაა და არასოდეს ყოფილა

შემხნეული რაიმე ცუდ საქციელში.

2004 წლის 29 ივლისს, ოჯახის წევრებთან ერთად შინ ვახლდით. მე და დათომ დილიდან დავიწყეთ ეზოში მუშაობა, ბეტონს ვასხამდით, რათა საპირფარეო გაგვეკეთებინა. საღამოს ტელეფონმა დარეკა. დათომ აიღო ყურმილი. იმ დროს ეზოში ვიყავი და საუბარი არ მომიხმენია. დათო 15 წუთში ჩაცმული გამოვიდა და გარეთ. გამიკვირდა და სად მიდიხარ-მეთქი? – შევეკითხე. ეტყობოდა, აღელვებული რომ იყო. მიპასუხა – ტელეფონზე დამირეკა ალიკა თეთრაშვილმა და მითხრა, შეხვედრა მინდა შენთანო. როგორც მითხრა, ალიკა მას დიღმის ცენტრში ელოდებოდა. დათო ისე იყო აღელვებული, რომ ჩემთან საუბრის დროს არც შეჩერებულა, მელაპარაკებოდა და თან აჩქარებული ნაბიჯით მიდიოდა ქუჩისკენ. გაჩერდი-მეთქი! – დაუძახე, მაგრამ არ შეჩერდა. ამან კიდევ უფრო ამანერვიულა და იძულებული ვავხდი, უკან გავყოლიდი. წავედი ისე, როგორც ვიყავი ჩაცმული. შემეშინდა, რამე არ მოხდეს-მეთქი. მეუღლესაც დაუუძახე – ბავშვი ძალიან აღელვებულია, მისთვის თეთრაშვილს ტელეფონზე დაურეკავს და რამე არ მოხდეს, ამიტომ მივეყვები-მეთქი. მეუღლემაც მოინდომა წამოსვლა, მაგრამ ვურჩიე, შინ დარჩენილიყო. ვუთხარა, რომ მალე მოვბრუნდებოდი.

ჩემი სახლიდან სოფლის ცენტრამდე დაახლოებით 200 მეტრი იქნება. დათო 5-6 მეტრით მისწრება წინ. ვერც ვეწეოდი და ვერც შეძახილებით ვაჩერებდი. თან ბნელოდა. მეშინოდა, თეთრაშვილს ან მის რომელიმე ახლობელს მოულოდნელად არ გადაჰყოლიდა და ამიტომაც ყოველ მის მოძრაობას ვაკონტროლებდი.

ცენტრში ვერცხლისფერი „ოპელი“ იდგა. ვიცოდი, რომ ის თეთრაშვილის იყო. მაშუქები ანთებული ჰქონდა. მე და ჩემი შვილი თითქმის ერთდროულად მივედით იქ. მანქანას რომ მივუახლოვდით, დავინახეთ, რომ თეთრაშვილი შიგნით იჯდა. მანქანიდან მარტო ვერ ჩამოვიდოდა, ამიტომ გადმოსვლა არც უცდია. შუშა ჰქონდა ჩაწეული. დათომ მისვლისთანავე ჰკითხა – რისთვის დამირეკე, რა გინდა, თავს რატომ არ მანებებო? თეთრაშვილმა უპასუხოდ და უსიტყვოდ, როგორც სჩვეოდა ხოლმე, იარაღი ამოიღო და ჩემს შვილს დაუმიზნა. საიდან ამოიღო პისტოლეტი, არ დამინახავს. მამინევე გამოჰკრა სასხლეტს თითი, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, ტყვია არ გავარდა. ამით ისარგებლა დათომ და ხელი სტაცა თეთრაშვილის იარაღს. მეც მივეხმარე. გავიჭირდა, მაგრამ მაინც წავართვი და არალი დათოს ხელში აღმოჩნდა. პისტოლეტის წართმევისთანავე, გინებით უთხრა

თეთრაშვილს – ორჯერ გადავირჩი და რას მერჩი, მაინცდამაინც შენი ხელით უნდა მოგკლავო? თეთრაშვილმა, იმის ნაცვლად, რომ გაჩერებულიყო, ჩემს შვილს გინება დაუწყო, დედისა და ახლობლების მისამართით. თან ხელებით იწვევდა მისკენ და იარაღის წართმევას ცდილობდა. კარგად დავინახე, ჩემმა შვილმა როგორ გადატენა პისტოლეტი. ამ დროს ერთი ვაზნა გარეთ დავარდა. შევეცადე მისთვის ხელი შეემშალა, არ მინდოდა, ესროლა და რამე უბედურება მომხდარიყო, მაგრამ არც იმაში ვიყავი დარწმუნებული, რომ იარაღში ტყვია კიდევ იღო. დათომ ისევ გადატენა და გაისროლა. იძვინდა დავიბენი, რომ რამდენჯერ ისროლა, ვერ დავაფიქსირე. ჩემს შვილს ვიჭერდი, მინდოდა, შემეკავებინა და სახლში წამეყვანა, მაგრამ ვერ შევძელი. ის იარაღიანად გაიქცა ფერმებისკენ. ჩუსტებით ვიყავი და ვერ დავეწიე, თანაც დათო ჩემზე სწრაფად გარბოდა. ამიტომაც პირდაპირ სახლში წავედი, რათა ტანთ გამომეცვალა და შემდეგ წავსულიყავი შვილის საძებნელად. ოჯახის წევრებისთვის არაფერი მითქვამს. თეთრაშვილის ავტომანქანასთან აღარ მივბრუნებულვარ. ხალხი უკვე შეკრებილი იყო და იქ მისვლას მოვერიდე“...

ბრალდებულის ადვოკატი ვილერი წოწორია აღნიშნავს, რომ სოსო ხოსიტაშვილის ეს ჩვენება სრულყოფილი არ არის, რაც მისი ადვოკატთა გამოწვეულია. „როგორც ბრალდებულის მამა იხსენებს, თეთრაშვილმა დაგინებით მოსთხოვა დათო ხოსიტაშვილს მანქანაში ჩაგდოდა. დათოს უპასუხია – აქ ვდგავარ, ვილაპარაკოთ, არავინ გვიყურებსო. აღარ ჩაუჯდა მანქანაში, რადგან მწარე გამოცილიება ჰქონდა და შეეშინდა. ამით განაწყენებულმა თეთრაშვილმა თურმე, მას ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და შემდეგ, პისტოლეტით დაუმიზნა. სასხლეტსაც გამოჰკრა თითი, მაგრამ ტყვია შემთხვევით არ გავარდა. პროკურატურამ აწ გარდაცვლილის ეს ქმედება განზრახ მკვლელობის მცდელობად შეაფასა, თუმცა თეთრაშვილის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით, მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის დადგენილება გამოიტანეს. სოსო ხოსიტაშვილი ერთ მნიშვნელოვან დეტალსაც აზუსტებს. მისი თქმით, იმ მომენტში, როცა თეთრაშვილი თავისი იარაღის დაბრუნებას ცდილობდა და ამ მიზნით დათოს ეჭვიდებოდა, მეორე ხელით სავარძლის ქვეშ თურმე, რაღაცას ეძებდა. მოგვიანებით, როცა შემთხვევის ადგილზე მისული ერთ-ერთი მოწმე – ქუცინაშვილი დაიკითხა, გაირკვა, რომ თეთრაშვილს სავარძლის ქვეშ ავტომატი ჰქონია შენახული. ცხადია, მამინ მის გამოლებას ცდილობდა, რათა დათო ხოს-

იტაშვილისთვის ესროლა, მაგრამ ამ უკანასკნელმა დაასწრო და თვითონ ესროლა მას პისტოლეტიდან. ქუცინაშვილი თავის ჩვენებაში აღნიშნავს, რომ მანქანას მანძინ მივარდა, როცა გასროლა უკვე მომხდარი იყო. მამა-შვილიც გაქცეული ყოფილა იმ დროისთვის შემთხვევის ადგილიდან. ქუცინაშვილის თქმით, მან მანქანის კარი გამოაღო და ნახა, რომ დაჭრილი თეთრაშვილი გვერდითა სავარძელზე იყო გადაწოლილი. სახე სულ დასისხლიანებული ჰქონდა, მაგრამ ჯერ სუნთქავდაო, – აღნიშნავს მოწმე. სწორედ მან შეუნიშნავს ავტომობილის ლულა, რომელიც თურმე, სავარძლის ქვევიდან ჩანდა.

თუმცა, ავტომანქანის დათვალიერებისას პოლიციამ იქ ავტომობილი ვეღარ იპოვა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პოლიცია შემთხვევის ადგილზე დაგვიანებით მივიდა, მანამდე იმ მანქანამ ბევრი ადამიანის ხელში გაიარა. თავად დაზარალებულიც კი ამბობს – ალიკას თან მობილური ტელეფონი ჰქონდა, მაგრამ მკვლელობის შემდეგ, ის ვერსად ვიპოვეთ, ალბათ ამოაცალესო. შესაძლებელია, ავტომობილი იმან წაიღო, ვინც ტელეფონი ამოაცალა გვამს. იმის გამო, რომ სამართალდამცველებს ავტომობილი არ უნახავთ და არ ამოუღიათ, გამოიძებამ ქუცინაშვილის ჩვენება არ გაიზიარა. არადა, ამ დეტალს ჭეშმარიტების დასადგენად დიდი მნიშვნელობა აქვს. ავტომობილის არსებობა და თეთრაშვილის აქტიურობა ცხადყოფს იმას, რომ დათო ხოსიტაშვილი აუცილებელი მოგერიების პირობებში იმყოფებოდა. ამასთანავე, ადგილი ჰქონდა უეცრად წარმოშობილ, ძლიერ სულიერ აღელვებას, რაც გამოწვეული გახლდათ აწ გარდაცვლილის არაერთი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით. აღსანიშნავია ისიც, რომ შემთხვევის დროს, თეთრაშვილთან ჭიდილისას, ხოსიტაშვილმა ხელის მოტეხილობები მიიღო, რაც საქმეში არსებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნითაცაა დადასტურებული. პროკურატურა იმასაც აღნიშნავს, რომ ხოსიტაშვილმა უმწეო მდგომარეობაში მყოფი ადამიანის განზრახ მკვლელობა ჩაიდინა. ჯერ ერთი, ბრალდებულს რომ არანაირი განზრახვა არ ჰქონია მკვლელობისა, ამაზე ბევრი ფაქტი მიუთითებს. მაგრამ ასეც რომ ყოფილიყო, თეთრაშვილი ინვალიდი გახლდათ, მაგრამ მას მანქანით შეეძლო, შემთხვევის ადგილიდან გაქცევა და ამ გზით მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილებოდა“.

დაზარალებული მხარე კატეგორიულად უარყოფს თეთრაშვილის ავტომანქანაში ავტომობილის არსებობის ფაქტს.

უფრო მეტიც, როგორც საქმის მასალებში არსებული ჩვენებებიდან იკვეთება, დაზარალებული ირწმუნება, რომ შემთხვევის დღეს თეთრაშვილს იარაღი საერთოდ არ ჰქონია, მათ შორის – არც „ტეტეს“ სისტემის პისტოლეტი.

მოკლულის სიმამრის ჩვენების მიხედვით, თეთრაშვილი 2004 წლის 29 ივლისს, მთელი დღის განმავლობაში თავის არასრულწლოვან ქალიშვილებთან ერთად შინ იყო. „ჯერ ბავშვებს ეთამაშებოდა, შემდეგ სურათების დასაბეჭდად წავიდა თბილისში. დაახლოებით დღის 4 საათზე დაბრუნდა შინ. ცოტა ხანში სასეირნოდ წავიდა მანქანით მარტო. მანქანით სეირნობა ჩვევად ჰქონდა. სოფელ დილოში ინსტიტუტთან ახლოს, თონესთან ჩერდებოდა ხოლმე, რამდენიმე საათს ბირჟაზე დაყოფდა და შემდეგ ისევ შინ ბრუნდებოდა“, – აღნიშნავს თავის ჩვენებაში მოკლულის სიმამრი. დაზარალებული მხარის თქმით, იმ დღეს თეთრაშვილს არანაირი აღელვება არ ეტყობოდა. მოკლულის ცოლი კი თავის ჩვენებაში აღნიშნავს, რომ შემთხვევის დღეს, შეხვედრის ინიციატორი, მისი ქმარი კი არა, დათო ხოსიტაშვილი იყო. „მკვლელობის დღეს შეკრებილი ხალხი ამბობდა, რომ ქმარი პატარა ბურატინომ (დათო ხოსიტაშვილი) მოძიკლა“, – წერს მოკლულის ცოლი. დაზარალებულის, მათა პურიჭამიაშვილის თქმით, მკვლელობის თანამონაწილეები, სოფელ დილოში მცხოვრებნი – არღვიანი და ქობულაშვილიც არიან. ხსენებ-

ული პირები ამას კატეგორიულად უარყოფენ. ქობულაშვილის თქმით, ის მომხდარ მკვლელობას არ შესწრება და არც არავისთან მოულაპარაკებია შურისძიების შესახებ.

„დათო გაბრაზებული იყო იმის გამო, რომ თეთრაშვილი მას ძმის ცემაში ადანაშაულებდა და ამისთვის დაჭრა კიდევ ამბობდა, ოდესმე მაინც გადავუხედი სამგებროსო, მაგრამ მოკვლავო – არასდროს უთქვამს“, – აღნიშნავს მოზულაშვილი ჩვენებაში.

რაც შეეხება თავად ბრალდებულს, მას გამოძიებისთვის ჩვენება არ მიუცია. ხოსიტაშვილმა ლუმილის უფლება გამოიყენა. როგორც მისმა ადვოკატმა ვეითხრა, ჩვენების მიცემას ის არც სასამართლოსთვის აპირებს. „მის მიერ იარაღიდან გასროლის ფაქტს ხოსიტაშვილი დასტურებს, მაგრამ პროკურატურის მიერ წარდგენილ ბრალდებას – განზრახ მკვლელობას უარყოფს და ამას თავს დამანაშავედ არ ცნობს“, – აცხადებს ვილერი ნოზორია. ის პროკურატურის მიერ წაყენებული 109-ე მუხლის, 111-ე მუხლზე გადაკვალიფიცირებას მოითხოვს. ბრალის დადასტურების შემთხვევაში, ხოსიტაშვილს 20 წლამდე ან უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა ემუქრება, 111-ე მუხლი კი, 5 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის განხილვას თბილისის საოლქო სასამართლო უახლოვს დღეებში დაიწყებს.

მურთხი ყარაღოზისთვის დააკავეს

ქურდული ტრადიციების მიმდევარი, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი, 18 წლის ნიკა პირტახია, მეტსახელად მურთხი 6 ივნისს, კასპის პირველი განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს. სამართალდამცავთა ინფორმაციით, პირტახია, გიორგი ზაქარაიშვილთან და ლევან ჯამელაშვილთან ერთად, დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე სადღეღამისო ლომბარდში თავს დაესხა და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით მობილური ტელეფონი წაართვა ნატალია ქველიძეს. პირტახიას გარდა, ჯგუფის კიდევ ერთი წევრი – ჯამელაშვილიცაა დააკავებული.

ყარაღი მკვლელებს დანით ემუქრებოდა

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის შს სამმართველოს მე-2 განყოფილებისა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ერთობლივად გატარებული ღონისძიებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი, 38 წლის კახაბერ ტაბატაძე დააკავეს. სამართალდამცავთა თქმით, ტაბატაძე ყარაღობის მიზნით, თავს დაესხა ტაქსის მძღოლს – 25 წლის შოთა ბაიაძეს, რომელიც ავტომანქანა „ოპელ-ვექტრას“ მართავდა. ამის შემდეგ ტაბატაძე 26 წლის უნა ჩიტიშვილს დასხმია თავს. ის უკანასკნელი ავტომანქანა „გაზ-31“-ს მართავდა და იმ დროს, ქარხანა „მიონის“ ტერიტორიაზე იმყოფებოდა. სამართალდამცავთა ცნობით, ტაბატაძე მას დანით დაემუქრა და პირადი ნივთები წაართვა. ტაბატაძის მიმართ აღძრულ საქმეს შს მე-2 განყოფილება იძიებს.



როგორც მოგეხსენებათ, წელს ქართული ნაციონალური ბალეტის — „სუხიშვილების ანსამბლის“ 60 წლის იუბილეა. სწორედ ამასთან დაკავშირებით, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ანსამბლის 10 კონცერტი ტარდება. სახელოვანი კოლექტივი, ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის თაოსნობით, 1945 წლის 11 ივნისს შეიქმნა. იუბილეს დღეებში, კონცერტების პარალელურად, „ცისფერ გალერეაში“ ანსამბლის კოსტიუმებისა და ფოტოსურათების გამოვენაც მოეწყო. სულ ცოტა ხანში, „სუხიშვილები“ საგასტროლო ტურნეში — იტალიაში, უნგრეთში, ესპანეთში, რუსეთში, უკრაინაში, ინგლისში და გერმანიაში — მიემგზავრებიან. სამშობლოში მომავალ გაზაფხულზე დაბრუნდებიან.

როგორი პედაგოგები იყვნენ ქალბატონი ნინო და ბატონი ილიკო, როგორ გრძელდება მათ მიერ დამკვიდრებული ტრადიციები და საერთოდ, რა ხდება ანსამბლში — ამ ყველაფერზე უფროსი თაობის მოცეკვავეები — **ნინო სვანიძე** და **გილა ხუნდაძე** მოგვითხრობენ.

ინსტინქტად ჩსეული ლტოლვა, 7000-კაციანი ლაგუნაში და ქალის უნახეა ნაწერილი ავტობიუსი

ნათია კვიციანი

— როდის და როგორ მოხვდით ანსამბლში?

ნინო სვანიძე:

— მაშინდელი მოცეკვავეები მხოლოდ რამდენიმე ვართ შემორჩენილი, ამიტომ ერთმანეთს ძალიან ვუფრთხილდებით. საერთოდ, მე მოცეკვავეების ოჯახიდან გახლავართ: ჩემი მშობლები დღესაც ამ საქმეს ემსახურებიან... პირველად, ყოფილი პიონერთა სასახლის საცეკვაო სტუდიაში დავდიოდი. სუხიშვილების ანსამბლში კი 1982 წელს, 21 წლის ასაკში მოვედი. ჩვენს ანსამბლში სულ 3 თაობაა: ქალბატონი ნინოსა და ბატონი ილიკოსი, ბატონი თენგიზის და ქალბატონი ინგასი და უმცროსი ნინოსა და ილიკოსი. მე მესამე მძევკუთუნები. მე, ნინო და ილიკო ანსამბლში ერთად მოვედით და ერთად ვცეკვავდით. ჩვენ გასული საუკუნის 60-იანებზედ მოგვისწინებენ. ჩვენმა თაობამ ძალზე სერიოზული სკოლა გაიარა და სერიოზული სიტყვაც თქვა ამ ანსამბლში.

გილა ხუნდაძე:

— 1975 წლის ოქტომბერში მოვედი სუხიშვილების ანსამბლში. მანამდე, ამავე ანსამბლის სტუდიაში ვსწავლობდი, მისი დამთავრების შემდეგ, 10 ბიჭი შეგვარჩიეს და ანსამბლში გადმოგვიყვანეს. შარშანდლამდე ვიდექი სცენაზე, ახლა კი უკვე რეპეტიტორი ვარ. ანსამბლის 3 ოუბილემი

მიძლია მონაწილეობა, მეოთხე ოუბილე უჩემოდ ტარდება...

ნინო:

— აი, მე კი ვერ სცენაზე გამოვიდვარ! თურმე, ცეკვას მართლა არ ჰქონია ასაკი. ცეკვისაკენ ლტოლვა უკვე ინსტინქტადაა ქცეული. ის, რაც ცეკვის დროს აღმაჩანს სულში ხდება, ასაკს არ ექვემდებარება — ეს ყველამ შეიძლება შეიგრძნოს და ცხოვრების ბოლომდე შეგიძლია აკეთო...

— **გაიხსენეთ, როგორი იყო ანსამბლი დიდი ნინოსა და დიდი ილიკოსის დროს?**

— ქალბატონი ნინოსა და ბატონი ილიკოსის დროს, ამ ანსამბლში მოხვედრა ყველას ოცნება იყო. მათთან „ჩაწყობა“ არ მოდიო-

და. ისეთი კარგი მოცეკვავეებიც ვერ მოხვედრილან ამ ანსამბლში, რომ გაგიკვირდებოდათ: ამთ სტილსა და ტემპს უნდა შეწყობოდი. აქ მუშაობა ძალზე შრომატევადი იყო და რა თქმა უნდა, ამას თავისი შედეგიც მოჰყვებოდა. სუხიშვილების ანსამბლი ზომ ყოველთვის პირველი იყო! მაშინ მთელ საბჭოთა კავშირში სულ 3 აკადემიური ანსამბლი არსებობდა, მათ შორის ერთ-ერთი — ჩვენ ვიყავით. აქ იყვნენ ფრიდონ სულაბერიძე, რომან ჩხეიძე, გულიკო სისარულიძე, ნინო კირვალიძე... ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ანსამბლში ისეთი კონტინენტი მოდიოდა, რომ მოცეკვავეებს შორის არჩევანის გაკეთებაც კი ძალზე რთული იყო. მეც არ



ილიკო-უმცროსმა „ლეკური“ ცეკვა დადგა, რა თქმა უნდა — ლეკური ილეთებით...

ველოდი, რომ ანსამბლში მოეხვედბოდი. ვერც გადმოგეცემთ იმ განცდას, რომელიც მაშინ ამის გამო დამეუფლა... ქალბატონი ნინო სიმკაცრეს იცით, როგორ გამოხატავდა ხოლმე? ისეთივე ტექსტით მოგვამრთავდა, როგორითაც შეიძლება, ოჯახის წევრებისთვის მიემართა, ოღონდ — ხმის ტემპრი ჰქონდა სხვანაირი... მას ყვირილი არ სჩვეოდა — უბრალოდ, ტონს უწევდა და საოცრად მჭექარე ხმა ჰქონდა. სწორედ ამ ტემპრით გადმოიცემოდა მისი ხასიათი და ვხვდებოდით, თუ რას ითხოვდა ჩვენგან... 92 წლის ასაკშიც კი, ქალბატონი ნინოს თვალებში რომ ჩაგეხვდათ, 16 წლის გოგოს მხიარულ ნაპერწკლებს დაინახავდით. მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს, თუ რას წარმოადგენდა ეს ქალი ჩვენთვის. მასში ყველაფერი იყო შერწყმული: სიდიადე, თავდაჯერებლობა, დედაკაცური სიფაქცე და ქალური ამპარტანება. ბიჭებისთვისაც ნამდვილი მეგობარი იყო.

თუკი რამეს მთავრდებოდა, ეს ყველაფერი ქალბატონი ნინოს დამსახურებაა. ის ჩვენგან მხოლოდ კარგ ცეკვას კი არა, კარგ ადამიანობასაც მოითხოვდა...

— როგორც ცნობილია, ქალბატონი ნინო უფრო მკაცრი იყო, ვიდრე ბატონი ილიკო, არა?

გილა:

— მოცეკვავეებთან ურთიერთობა ქალბატონი ნინოს უფრო მეტად ჰქონდა და ამიტომ ჩანდა ასე. ბატონი ილიკო მხოლოდ დადგმულ ცეკვას შეამოწმებდა და მიდიოდა. რაც შეეხება ნინოს სიმკაცრეს, რეპეტიციის დროს სიმკაცრე თავისთავად ვლინდება, რადგან ხან კეთდება, რაც საჭიროა და ხან — არა. ამის გამო იყო, რომ ქალბატონი ნინო გვიჯავრდებოდა კიდევ: მოცეკვავეებთან საჭიროა სიმკაცრე.

— მისი ჯოხის მსხვერპლი არასოდეს გამხდარხართ?

— ნინოს ჯოხი არასოდეს ჰქონია. ეს ლეგენდაა. მოცეკვავეს ისეთ რამეს ეტყობა, რომ ის აუცილებლად ეცდებოდა, კარგად ცეკვა — მაგალითად: ფეხს ნუ ათრევ, არ ვარეიხარ და ა.შ. ეს სიტყვები, თითქოს არაფერია, მაგრამ ჩვენთვის ბერს ნიშნავდა...

— სარეპეტიციო დარბაზს მიღმა როგორი ურთიერთობა გქონდათ?

— ის იყო ჩვეულებრივი მეგობარი. პატარა ბავშვებით გვეფერებოდა. თუ რამე გვეჭირდებოდა, მასთან სახლშიც მივდიოდით ხოლმე და ცდილობდა, ყველანაირად დაგვხმარებოდა. მაგრამ სარეპეტიციო დარბაზში საქმის გაფუჭებას არავის აპატიებდა. მისი საქმარი სიტყვა იყო — „გმაღლობ დღევანდელი კონცერტისთვის“ — და ამით ყველანი გასარბებულნი ვიყავით, რადგან ეს სიტყ

ვები ძალზე ბერს ნიშნავდა. თვითონ სულ გვეუბნებოდა — როცა შენი ნამუშევრით დაკმაყოფილები, მაშინ დამთავრდება შენი ხელოვნებაო. ისე, ჩვენი წახალისებაც იცოდა. ვთქვათ, რომელიმე მოცეკვავეზე იტყობა — ამას მიჰბაძეთ, ნახეთ, რა კარგად ცეკვა-



ამ ანსამბლში მოხვედრა ყველას ოცნება იყო... „ჩაწყობა“ არ მოდიოდა...

სო!... წარმოიდგინეთ, როგორ გაუხარდებოდა იმ მოცეკვავეს, ვისზეც ამას ამბობდა.

ენი:

— მართალია, როცა პატარა გოგო-ბიჭები ვიყავით, ქალბატონი ნინო ჩვენი დიდი მეგობარი იყო, ყველასთვის „ცხოვრების მამიდა“ გახლდათ. ტყვილად კი არ შეარქვეს ასე — მართლა ყველას „მამიდა“... ბატონი ილიკო დიდი ხელოვანი იყო, მაგრამ ჩვენ უფრო მეტხანს ქალბატონი ნინოსთან ვმუშაობდით ხოლმე. ისინი საუცხოოდ ავსებდნენ ერთმანეთს და იმ დიდ ტრადიციებს ჩაუყარეს საფუძველი, რომელიც ჩვენს ქართულ „ოჯახში“ არასოდეს დარღვეულა. ამ ქალის მიუღი ცხოვრება, თითოეული მასთან გატარებული წამიც კი საინტერესო იყო. ის იყო ფანატი დედა, ფანატი მუღლე, ბებია და ა.შ. მას ნიჭი ჰქონდა, რომ ყველა ეს ფუნქცია კარგად შეესრულებინა. ნინოსა და ილიკოს ერთმანეთთან საოცარი დამოკიდებულება ჰქონდათ. ისინი პირველ რიგში, ძალიან კარგი მეგობრები იყვნენ, რაც ცოლ-ქმარისთვის აუცილებელია. თვალებში ერთი

ჩახედვით ხვდებოდნენ, თუ რა უნდოდათ და რისი თქმა სურდათ ერთიმეორისთვის. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ამ ჰერქვემ ისინი ცოლ-ქმარი არ ყოფილან — აქ ერთმანეთის პარტნიორები იყვნენ და ჩვეულებრივად კამათობდნენ კიდევ... ქართული ცეკვა, ქართული ნაციონალური ბალეტი სრულყოფილებაა. ეს ჩვენ კი არა, მსოფლიომ აღიარა.

— საზღვარგარეთ მაშინაც დადიოდით და ახლაც ხშირად დადისართ. უცხოელები როგორ ხვდებოდნენ თქვენს შემოქმედებას?

გილა:

— მაშინ საზღვარგარეთ გასვლა იოლი არ გახლდათ, თან ჩვენნაირი ანსამბლი დიდ იმპიათობას წარმოადგენდა. უცხოელებს ძალიან მოსწონდათ ჩვენი შემოქმედება. ქუჩაში რომ გვხვდებოდნენ, ავტოგრაფებს გვთხოვდნენ. მასსოვს, ამსტერდამში ვილაც გოგონები მოვიდნენ და თავიანთ ფეხებზე მოგვასწერინეს ხელი. უკვირდათ, აძლენი ენერგია საიდან გაქვთო?! ამერიკაში პირველად 1988 წელს ვიყავით და 7000-კაციანი დარბაზი გადატენილი იყო. მაშინ ჩვენს კონცერტებზე უმეტესად უფროსი ასაკის და ძალიან საზოგადოების წარმომადგენლები დადიოდნენ. ახლა ყველა ასაკის ხალხი დადის. სუნიშვილების ანსამბლი ერთ ადგილას არასოდეს გაჩერებულა და დღესაც ბერ სიხალეს სთავაზობს მყურებელს. ახალი ტალღა შემოვიდა, რომელმაც მყურებელი ისევ აიტაცა. ახლა უამრავი ანსამბლი არსებობს და საზღვარგარეთაც ბერი დადის, მაგრამ ჩვენ მაინც განსხვავებულები ვართ. ილიკო-უმცროსის ახალმა პროგრამამ საზღვარგარეთ წარმოუდგენლად დიდი აღიარება მოგვტანა.

ენი:

— როგორც გელამ აღნიშნა, იმ პერიოდში საზღვარგარეთ გასვლა ადვილი არ იყო. ჩვენ კი ეს მოვანერხეთ. მაშინ სოლიკო ვირსალაძე (კოსტიუმების მხატვარი. — ავტ.) ფაქტობრივად, ჩვენი ოჯახის წევრი



სიმკაცრეს იცით, როგორ გამოხატავდა ხოლმე...



ნინოს ჯოხი არასოდეს ჰქონია. ეს ლეგენდაა...

იყო და ახლა მის გზას არაჩვეულებრივად აგრძელებს ნინო: ქართული ცეკვის კოსტიუმებში ნინომ ძალიან ბევრი ახალი შტრიხი შეიტანა, თუმცა არც ის ტრადიცია დაურღვევია, რომელიც ქალბატონმა ნინომ, ილიკომ და სოლიკომ ერთობლივად შექმნეს. ერთს გეტყვით – ბატონმა ილიკომ და ნინომ დადგეს „აფხაზური“ ცეკვა, რა თქმა უნდა – აფხაზურ ილეთებზე დაყრდნობით. მათი ძირძველი ტრადიციები ცეკვაშიც და ბატონი სოლიკის მიერ შექმნილ აფხაზურ კოსტიუმშიც აისახებოდა. ამით იმის თქმა მიხდა, რომ დიდი ხელოვნება ყოველთვის პოლიტიკაზე მაღლა დგას და ეს ცეკვა ქართველებშიც და აფხაზებშიც დიდი მოწონებით სარგებლობდა... დღეს, ილიკო-უმცროსმა „ლეკური“ ცეკვა დადგა, რა თქმა უნდა – ლეკური ილეთებითა და ლეკური კოსტიუმებით

— თქვენ ახალი პროგრამის რომელ ცეკვაში მონაწილეობთ?

— მე კლასიკურ ცეკვაში ვმონაწილეობ. ეს განსაკუთრებით სვანური „ნანა“, რომელიც მხოლოდ სვანური ინსტრუმენტის – ჭიანჭურის აკომპანემენტით სრულდება. იმდენად კლასიკური ცეკვაა, რომ იმას, თუ რას ნიშნავს ქართული ნაციონალური ბალეტი, სწორედ მისი ნახვისას ჩასწვდება მაყურებელი. მცირედი დარღვევა, ოდნავ განსხვავებული მიხრამიხრაც კი, ამ ცეკვას დაამახინჯებს.

— ცნობილია, რომ ილიკო-უფროსი ძალზე ენაკვიმატი კაცი იყო. რაიმე ამბავს ხომ ვერ გაისვენებთ ამასთან დაკავშირებით?

— ერთხელ ქუთაისში რაღაც ახალი ანსამბლი ჩამოყალიბდა. ბატონი ილიკო მიიწვიეს და სთხოვეს – გვითხარით თქვენი აზრი, ხომ კარგი ანსამბლია? შუა კონცერტის დროს, ერთ-ერთი თანამდებობის პირი მიუბრუნდა და ნიშნის მოგებით უთხრა – ბატონო ილიკო, არ გაგიკვირდეთ, საზღვარგარეთ რომ ჩახვიდეთ და ეს ანსამბლი იქ დაგვხვდეთო. — როგორ გეკადრებათ, — უპასუხა ილიკომ, — მე ის მიკვირს, ეს ანსამბლი ახლა კიდევ აქ რომ არისო...

— როგორც ვიცით, „სუსნიშვილებში“ ბევრი მოცეკვავე დაწყვილდა...

— მართალი ხარ, მაგრამ ეს მათი პირადი ცხოვრებაა... ანსამბლის ეს თავისებური ტრადიცია მე დავარღვიე: ერთ-ერთი სოლისტი შემოფარდა, მასაც ვეყვარდი, მაგრამ ჩვენი დაოჯახება რატომღაც არ მოხდა. მიუხედავად ამისა, მე ყველაფერზე თვალზე დავხუტე და ჩვენი დიდი სიყვარულის ნაყოფი — ბავშვი გაგავჩინე. ამ საქციელს დღემდე არ ენანობ, რადგან ჩემი შვილი ჩემთვის ყველაფერია და ბავშვის გამო დიდად ამ რისკზე წასვლა... რა თქმა უნდა, ჩვენს ანსამბლში ბევრი წყვილი დაოჯახდა და ეს გასაკვირიც არ არის, რადგან თითქმის მთელ დღეებს აქ ერთად ვატარებთ. ეს ხომ ჩვენი დიდი ოჯახია! ■



ბუნებით რომანტიკოს ნინო ლეკუნას ცხოვრებაში სიახლეა — ის გათხოვებას აპირებს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნინოს შემოქმედებითი პაუზა აქვს. სწორედ ამ დღეებში, „თეატრში ათონელზე“ პრემიერაა — მისი მომავალი მეუღლის, რეჟისორ გიორგი ქაჩიბაიას მიერ დადგმული სპექტაკლისა — „დამარხული ბავშვი“, სადაც ნინო ერთ-ერთ ნამყვან როლს ასრულებს. დანარჩენზე თავად მსახიობი მოგვითხრობს.

„გოგას თქმით, მისთვის ქალის იდეალი ვარ...“

ჰეპ მინლაკი

— ჩემი მომავალი მეუღლე პროფესიით რეჟისორია. სხვა რა ვითხრა — ის ერთი თბილისელი, განათლებული ბიჭია, რომელმაც თავისი საქმე იცის...

— ერთმანეთი სად გაიცანით?

— „თეატრალურ სარდაფში“ — ჩვენმა საერთო მეგობარმა გაგვაცნო ერთმანეთი. იმ დღეს, მეც და გიორგიც სწორედ მისი სპექტაკლის სანახავად მივედით. გიორგი მაშინვე გამომიტყდა იმაში, რომ თურმე, თავის ფილმში ჩემი გადაღება სურდა. სწორედ ეს გახდა ჩვენი დაახლოების მიზეზი. სამწუხაროდ, ფილმის გადაღება, ფინანსების უქონლობის გამო, შეჩერდა, მაგრამ სპექტაკლი მაინც დადგა, სადაც მეც დამაკავა და მამჩემიც (მსახიობი ვიღაც ვარ — აუტ.).

— ქორწილის გადახდას თუ აპირებთ?

— არა. ჩვენ ბევრი ახლობელი გვყავს და არავის წყენინება არ გვსურს... ჯვარს დავიწერთ და მართლმეცხვარეებთან ერთად აღბათ, სადმე დავსხდებით, რომ ეს დღე, თითო ჭიქა შამპანურით მაინც აღვნიშნოთ.

— საქორწინო მოგზაურობაში წასვლას მაინც აპირებთ?

— არა. ჯერჯერობით, ვიდრე თეატრებში სეზონი არ დაიხურება, ვერსად წავაქვით.

დასვენებას მოგვიანებით ვგეგმავთ. — არ გაგიჭირდა შენზე უმცროს მამაკაცთან საერთო ენის გამონახვა?

— არანაირად. ადრე, ჩემს თანატოლ მამაკაცთან ურთიერთობაც კი მიჭირდა, მაგრამ დღეს ყველაფერი სხვაგვარადაა. მართალია, გოგა ჩემზე 3 წლით უმცროსია, მაგრამ ეს ჩემთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. ვფიქრობ, გააჩნია ადამიანს. შეიძლება, კაცი 40 წლის იყოს, მაგრამ ბავშვით უსუსური, 16 წლის კი, საკმაოდ დამოუკიდებელი პიროვნება.

— როგორ შეგვუყვანე გიორგის ოჯახის წევრები იმ ფაქტს, რომ მათ ერთადერთ ვაჟს ცოლად განათხოვარი ქალი მოჰყავს?

— მე ამ სიტუაციაში არ ვერევი. ვფიქრობ, ეს გოგას საქმეა და მანვე უნდა მოაგვაროს მშობლებთან ურთიერთობა.

— თუ იცნობ მის მშობლებს?

— მამას არ ვიცნობ, რადგან ის მოსკოვში მოღვაწეობს. ხოლო გოგას დასთან, დედასთან, ბებიასთან, ბაბუასთან და ბიძასთან მშვენიერი დამოკიდებულება მაქვს.

— როგორ ფიქრობ — ყველაზე მეტად გიორგის რა თვისებამ მოგხიბლა?

— ალბათ იმან, რაც დღეს ადამიანებში იშვიათობაა. დღეს აღარ არსებობენ ისეთი

ბიჭები, როგორც გოგა — განათლებული, ინტელექტუალური და ამასთანავე, ნამდვილი თბილისელი.

— **თუ უთქვამს, შენში ყველაზე მეტად მაინც რამ მოიხილა?**

— რა ვიცი. მისი თქმით, ყველაფერი მაქვს, რაც მას ხიბლავს ქალში ანუ მე მისთვის ქალის იდეალი ვარ...

— **გაიხსენე მისი პირველად მორთმეული საჩუქარი.**

— პირველად საახალწლოდ ფრანგული სუნამო მარუქა, რომელსაც განუმეორებელი სურნელი აქვს.

— **ხშირად გიძღვნის ყვავილებს?**

— არა. თაიგულის მორთმეუთი თავს არ იკლავს. სხვათა შორის, არც მე მიყვარს ყვავილები.

— **ერთი ნახვით შეყვარების გვერა?**

— რა თქმა უნდა, მჯერა, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში, ერთი ნახვით მოწონება იყო, რაც შემდეგ სიყვარულში გადაიზარდა.

— **პირველი სიყვარული რა ასაკში გენვია?**

— აი, სწორედ ახლა მეწვია (იციან...)... მე ასე მინდა: ეს სიყვარული ჩემთვის პირველი და უკანასკნელია.

— **პირველი ოჯახის დანგრევის მიზეზი რა იყო?**

— არ ვიცი. ალბათ, უფრო — განსხვავებული ხასიათი. სულ სხვა გაგების იყო ჩემი ყოფილი მეუღლე და სულ სხვა გაგების ვიყავი მე. იმის აზრით, ცოლი ქმრის მორჩილი უნდა ყოფილიყო, რაც ჩემთვის ყოვლად გაუგებარი იყო. ისე ყველაფერი ბედის ამბავია: ალბათ, მაშინ არც მე ვიყავი მართალი და არც მიმიკო.

— **როგორი ურთიერთობა გაქვს ყოფილ ქმართან?**

— ჩვეულებრივი. ერთმანეთთან მხოლოდ ბავშვის გამო ურთიერთობთ, ისიც — ტელეფონით.

— **შენს შვილს არ გაუჭირდა მამასთან განშორება?**

— არა. ჩემი სურვილი იყო, მამა-შვილს ერთმანეთი არ დაეკარგა. ალბათ ამიტომაც

მისთვის მამა — მამად დარჩა და დღესაც მუდმივი კონტაქტი აქვთ ერთმანეთთან.

— **გიორგისთან როგორი ურთიერთობა აქვს?**

— ფანტასტიკური. შეიძლება ითქვას, რომ მისი უმცროსი მეგობარია. ის იმდენად შეეჩვია გოგას, რომ გვაჩქარებს კიდევ დაქორწინებას.

— **ამბობენ, სიყვარული დროთა განმავლობაში ნელდება და ქრება...**

— ჰოდა, ვისთვისაც ნელდება, იმისთვის განედღეს და გაქრეს. ჩვენ კი სულ შეყვარებულები ვიქნებით.

— **შენი აზრით, როგორი რეჟისორია შენი რჩეული?**

— ძალიან კარგი. მას რომ სპონსორი ჰყავდეს, ნამდვილად ახალ სიტყვას იტყოდა ქართულ კინოში. ის არაჩვეულებრივ სცენარებსაც წერს. მისი სურვილია, საშინელებათა ჟანრის ფილმის გადაღება (უყვარს ჰიჩკოკის და ბერგმანის ფილმები), როგორც საქართველოში ჯერ არავის გადაუღია.

— **შენს მშობლებს თუ მოსწონთ მომავალი სიძე?**

— ძალიან, ყველას უყვარს. ის ხშირად მოდის ჩემს ოჯახში და გვიანობამდე საუბრობს მშობლებთან ამა თუ იმ საკითხზე.

— **ამჟამად ვისთან ერთად ცხოვრობ?**

— ამჟამად ჩემს მშობლებთან ერთად ვცხოვრობ.

— **შეუღლების შემდეგ, ცხოვრებას ცალკე აპირებთ თუ მშობლებთან ერთად?**

— ჯვარს დავიწერთ თუ არა, იმ დღიდან ვიცხოვრებთ ცალკე, ჩვენი ერთ-ერთი ახლობლის ბინაში. ჩემი აზრით, ყველა ახალდაოჯახებულმა წყვილმა ცალკე უნდა იცხოვროს.

— **გიორგი ეჭვიანი ხომ არ არის?**

— არა. ალბათ იმიტომ, რომ სრულიად მენდობა. სხვათა შორის, მეც მთლიანად

ვენდობი მას.

— **საერთოდ, რამდენად მომთხროვნი ხარ მამაკაცის მიმართ?**

— მე ჩემი თავის მიმართ უფრო მომთხროვნი ვარ, ხოლო მამაკაცისგან საერთოდ არაფერს ვითხოვ. უბრალოდ, ვუყურებ, თუ რამდენად პატივსაცემი ვარ მისთვის, რამდენს გაიღებს ის ჩემთვის... ამ შემთხვევაში, საჩუქრები არ მაქვს მხედველობაში. ელემენტარულ ყურადღებაზეა საუბარი.

— **რას ვერ აიტან მამაკაცისგან?**

— ორგულობას და ღალატს.

— **ემთხვევა თუ არა თქვენ გემოვნება ერთმანეთს?**

— რა თქმა უნდა, სხვა შემთხვევაში, ჩვენ ერთად არ ვიქნებოდით. სხვათა შორის, არც ჩემი პირველი მეუღლე იყო უგემოვნო. აი, გოგას რაც შეეხება, ის კიდევ უფრო ახლოს არის ჩემს გემოვნებასთან. მე არ შემიძლია უგემოვნო ადამიანის გვერდით ყოფნა. ამ მხრივ ნამდვილად გამიმართლა.

— **შვილის მიმართ მკაცრი ხარ?**

— როცა საჭიროა — კი. მე ვფიქრობ, ზუსტად 10 წლის ასაკიდან სჭირდებათ ბიჭებს სიმკაცრე, რომ ხელიდან არ გაგისხლტდნენ. ისე, ჩემს ვაჟთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს. ჩვენ შორის საიდუმლო არ არსებობს.

— **საოჯახო საქმეები თუ გცინებ?**

— **როგორი კულინარი ხარ?**

— ამით ნამდვილად შემიძლია ვიტრაბახო. როგორც კულინარს, ჩემს მეგობრებში ყველგან ყოველთვის პირველი ადგილი მეკავა. როცა მეგობრები დასასვენებლად წავიდოდით, კერძების მომზადება მხოლოდ მე მეხერხებოდა. ყველაფერი ძალიან გემრიელი გამოიქცა. მიყვარს ახალი კერძების გამოგონება. შეიძლება ძალიან მწირი მასალა მქონდეს, მაგრამ მაინც უგემრიელესი კერძი მოვაშალო. გოგას ჩემი გაკეთებული, აბსოლუტურად ყველაფერი მოსწონს, განსაკუთრებით — ბაჟა და ვინეგრეტი. ისე, ძალიან უბრტყენილი მამაკაცია, ყველაფერს მიირთმევს. აქედან გამომდინარე, მისი მოვლა არ გამიჭირდება.

— **მაინც როდის აპირებთ შეუღლებას?**

— ძალიან მალე.

— **მეორე შვილის გაჩენას თუ აპირებ?**

— აუცილებლად. ძალიან მინდა მეორე, გოგო მყავდეს.

— **დაბოლოს, რას ურჩევდი შეყვარებულ წყვილებს?**

— დაუთმეთ ერთმანეთს, ნაკლები იჩხუბეთ და მეტი პატივისცემით მოექცით თქვენს გულის სწორს. გასსოვდეთ — ეჭვიანობა ყველასათვის დამღუპველია. მთავარია, ერთმანეთის გვერდით.



სხვათა შორის, არც ჩემი პირველი მეუღლე იყო უგემოვნო...

ვიდრე „გზავნილების“ სამზარეულოში ჩაგახედებო, მინდა მკითხველებს მადლობა გადავუხადო იმისთვის, რომ ამდენი სიტბო და სიყვარული გამოხატეს რუბრიკის მიმართ. უამრავი სამადლობელი მესიჯი მივიღე ამ კვირაში, მაგრამ შეგახსენებთ, რომ თუ რუბრიკა ასე წარმატებული და მკითხველისთვის საყვარელი საკითხავია, ეს თქვენი დამსახურებაა... „მარო, შენთვის რა სარგებლობა მოაქვს — „გზავნილებს“? — მკითხება ერთ-ერთი მკითხველი. — პირველ რიგში ის, რომ საშუალება მაქვს, მკითხველთან უშუალო კონტაქტი ვიქონიო. რაღა დაგიმალოთ და ბევრი ახალი მეგობარიც შევიძინე. მათ უმეტესობას, რა თქმა უნდა, არასოდეს შეგხვედრივარ, მაგრამ თითქმის ყოველდღიურად მეკონტაქტებიან. ზოგიერთი ისე გამიზინაურდა, მეტსახელიც კი გამომიძებნა. ერთი ჭინკის მეძახის, მეორე — მარიკოს, მესამე — პაპარაცი... ერთი სარგებლობა კიდევ მოაქვს — ძალზე იოლად ვიგებ სოლმე ახლობლების, მეგობრებისა თუ მეგობრის მეუღლეების საიდუმლო ამბებსა და თავგადასავლებს. თუმცა, როგორც იტყვიან — „სამარე“ ვარ და ნებისმიერი ტელეფონის ნომერი და ინფორმაცია ჩემი ოჯახის წევრებისთვისაც კი მიუწვდომელი გახლავთ. ამას ის მკითხველებიც დამიდასტურებენ, რომლებიც სწორად მირეკავენ და ამა თუ იმ მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერს მოსოვენ.

ახლა ჩვენი პირველი რესპონდენტის — გვანცას მესიჯს გავეცნოთ და ვნახოთ, თუ რა სარგებლობა მოუტანა „გზავნილებმა“ მას.



რა სარგებლობა მოაქვს „გზავნილებს“?

„...ახლა თავზე საბანი მაქვს წაფარებული და ბოლო თეთრებით გწერ მესიჯს...“

მარო ჩაშარიძე

„გიოს პასუხს ველოდი და თემოს მესიჯი აღმოვაჩინე“...

„25 წლის ასაკში შემეყვარდა ერთი ღარიბი ბიჭი. ეს ჩემი პირველი გრძობა იყო და წარმოდგენაც არ მქონია, თუ რაოდენ ძნელი ყოფილა შეყვარებული აღმანის ცხოვრება. ვიორგის გაცნობის პირველსავე დღეებში ვიტანჯებოდი — ვერ იმით, რომ გრძობას ვერ ვუმხვდელი. ავდექი და „გზავნილებში“ მესიჯი გამოგზავნე; შემდეგ აღრესატს დაფურცე და ვთხოვე, წაეკითხა. საპასუხო მესიჯი კვლავ თქვენი რუბრიკის საშუალებით მივიღე: ჩემი ოცნების მამაკაცი საქვეყნოდ მიმხელდა სიყვარულს. წარმოიდგინეთ, როგორ გამიხარდებოდა?! იმ დღიდან „გზა“ ისე შემეყვარდა, თითქოს ჩემი ოჯახის წევრი იყო... მე და გიომ დავიწყეთ შეხვედრები. ისე იქცეოდა, თითქოს ჩემზე მეტად ქვეყანაზე არავინ უყვარდა, მაგრამ ხანდახან მთელი თვითაც კი იკარგებოდა ხოლმე. ასეთ დროს მობილურიც ყოველთვის გამორთული ჰქონდა. ერთადერთ მშველელად ისევ „გზავნილები“ მეუღლებოდა. როგორც კი ჩემი მესიჯები თქვენს ჟურნალში აღმოჩნდებოდა, ისიც პასუხს მიბრუნებდა და ჩვენი ურთიერთობა კვლავ აღდგებოდა ხოლმე. ყველაფერს ვაპატიებდი, ოღონდაც ჩემთან ყოფილიყო... ერთი წლის შემდეგ, სიტუაცია ძალზე დაიძაბა. ჩემმა მესიჯებმა „გზავნილებში“ უკვე მწკვე შენარსი შეიძინა. ისიც თქვენთან გზავნიდა

მესიჯებს და ირწმუნებოდა, რომ ძალზე ვუყვარდი. ბოლოს მივხვდი, რომ ჩემი მონღობა უშედეგო იყო. ძალზე ძნელი იყო იმ დღეების გადატანა, როცა მივხვდი, რომ ყველაფერი დამთავრდა. ძნელია, 25 წლის გოგოს პირველად შეეყვარდეს და მამინაც ასე მწარე მარცხი განიცადოს... ახლა ყველაზე მთავარს მოვიყვებთ. ბავშვობიდან ერთ ბიჭს ვუყვარდი. თურმე ჩემი ცხოვრების ყოველი დღე და ნაბიჯი მისთვის ცნობილი ყოფილა. იცოდა ისიც, რომ „გზავნილებში“ ჩემი მესიჯი იბეჭდებოდა. თვალყურს ადევნებდა და დაწვრილებით იგებდა, თუ რა სიტუაცია იყო ჩემსა და გიოს შორის. როცა ჩემი ბოლო მესიჯი წაუკითხავს, სადაც ვწერდი, რომ ჩემი სიყვარული დამთავრდა და გიოს ვემშვიდობებოდი, უფიქრია, რომ სწორედ დროული იქნებოდა მისი გამოჩენა. ჩემი მესიჯის პასუხს გიოსგან ველოდი. ამიტომ „გზას“ სისტემატურად ვყიდულობდი. ერთ-ერთ ნომერში აღმოვაჩინე თემოს მესიჯი, რომელიც მე მეკუთვნოდა. არ დავიმდალოთ, ძალზე გამიხარდა. დავკონტაქტე და ურთიერთობა მშვენიერად ავაწყვეთ კიდევ. უკვე ერთი თვეა, ცოლ-ქმარი ვართ. „გზავნილებში“ დამსახურებას, ასე ბუნდობლად რომ ვგრძობთ თავს. დიდი მადლობა, რომ არსებობთ!“

ხმარად, მესიჯით მოვიღოთ ამავე ბევრი ისეთი დეტალია, რომლის მიხედვითაც, ავტორის ახლობლები და მეგობრები იოლად ამოიცნობენ ხოლმე მესიჯის გამოგზავნის კონტაქტს, შედეგ მირეკავენ და მოხუც, ვუთხრა

— სწორად გამოიყენეს თუ არა. მომდევნო მესიჯის ავტორის ზარიც კარგად მახსოვს. ვნახოთ, რა მოჰყვა ჩვენი რესპონდენტი მამაკაცის გულახდილობას.

„სიმართლეს ვერასოდეს შევიტყობდი...“

„გამარჯობა, მარი, მე ის ნიაკო ვარ, ერთი კვირის მანძილზე რომ გირეკავდით და გვედრებოდით, ერთ-ერთი მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი გაგემხილათ. ახლა ავიხსნით, რა მოხდა მამინ. მე, 24 წლის ვარ. მყავს მხოლოდ დედა, რომელიც საწოლსა მიჯაჭვული. ამის გამო ოჯახში ქალისა და კაცის ფუნქცია მე მაკისრია. ერთ დღეს ქარმა ფანჯრის ორი მინა ჩავკომსხვრია. მოვიყვანე ხელოსანი რომელმაც ზომა აიღო, რომ მინა გამოეჭრა. მოლაპარაკების მიხედვით, მინის წამოსაღებად მე უნდა მივსულიყავი. ასეც მოვიქცევი, მაგრამ მეორე ხელოსანმა გამოჭრილი მინა ფანჯრის ჩარჩოს ვერაფრით მოარგო. გაცეცხლებულმა ისევ ჩავაწყვე ტაქსიში მინები და უკან წავიღე. იქ მუშებმა არც მინის ფული დამიბრუნეს და არც შეცდომის გამოსწორებას შეეცადნენ. ამის გამო უფროსთან შეხვედრა მოვითხოვე. 30 წლის, სიმპათიური მამაკაცი აღმოჩნდა. როგორც კი ჩემი გასაჭირი აუხსენი, განკარგულება გასცა, წესიერად მომსახურებოდნენ. მერე, გამზადებული მინა საკუთარი მანქანით მიმატანინა მინ და თავისივე ხელით ჩასვა. ამის შემდეგ, მისგან

ძალზე დიდ ყურადღებას ვერძობდი. ცოტა ხანში, კი, სიყვარულს მეფიცებოდა და ოჯახის შექმნაზე მელაპარაკებოდა. დღეაღები გახარებული იყო – როგორც იქნა, შესაფერისი კაცი გამოჩნდა. მეც აღფრთოვანებული ვიყავი მისი პიროვნებით და უკვე გადაწყვეტილი მქონდა, რომ ცოლად გავყოლოდი. ხშირად ვხვდებოდი ერთმანეთს და ამ დროს, ძალზე უყვარდა ხოლმე ათასგვარი ამბის მოყოლა. მაშობდა მეგობრებზე, ნათესავებზე, ოჯახის წევრებზე. თუმცა არც ერთ მათგანს არ ვიცნობდი. როცა ვუტყვიდი ხოლმე – შენს მეგობრებს რატომ არ მაცნობ-მეთქი? – მასუხობდა – ძინდა, სოურპრიზი მოუწყო მათ და ყველას ერთად წარვუდგინო ჩემი ლამაზი საცოლეო. მეც ვჩუქდებოდი. ხშირად ვნახულობდი მის მანქანაში ან კაბინეტში ჟურნალ „გზას“ და მეც თქვენი მკითხველი გავხდი. განსაკუთრებული საიმოვნებით „გზავნილებს“ ვკითხულობდი ხოლმე. ერთხელ წაგიკითხე ამბავი, რომელიც ჩემთვის ძალზე ნაცნობი იყო. ეს ამბავი ბესოსგან მქონდა მოსმენილი, თანაც – არაერთხელ. მესიჯის ავტორი თავის ოჯახურ ურთიერთობაზე ჰყვებოდა. სიტყვათა წყობა ჩემთვის ძალზე ნაცნობი იყო და მივხვდი, რომ ეს მესიჯი ბესომ გამოგზავნა. დავეკვიდი, ასე კარგად და დალაგებულად რატომ ჰყვება ცოლქმრული ურთიერთობის ამბავს-მეთქი? ეჭვი გულს მიღრღნიდა. ვფიქრობდი – შესაძლოა, ცოლი ჰყავს და საკუთარ თავზე გულახდილად „გზავნილებში“ ავგზავნის მესიჯებს-მეთქი?... სწორედ მაშინ დავრეკე თქვენთან და ავტორის ტელეფონის ნომერი გკითხეთ. თქვენ კი არ მომეცით. ხომ ხვდებით, რა მნიშვნელოვანი იყო ეს ჩემთვის?... სხვა რომ ვერაფერი გავაწყვე, ავდექი და თვითონ მას ვაგზავნე – ვიცი, ცოლი გყავს და რატომ არ მიმხელ-მეთქი? დაიბნა. ბოლოს აღიარა, რომ მართლაც ჰყავდა ცოლი და 2 შვილი. მიმტკიცებდა, რომ ცოლი არ უყვარდა და ჩემზე დაქორწინებას აპირებდა. მაგრამ მე უკვე აღარ მანტერყებდა, რას იტყვოდა და კიდევ რა ტყუილებს ჩამალანდებდა... აი, ასეთი სარგებლობა მოაქვს „გზავნილებს“! ეს რუბრიკა რომ არა, ალბათ ვერასოდეს შევიტყობდი სიმართლეს და შესაძლოა, რაღაც დაუფიქრებელი ნაბიჯიც გადამეღვა. „გზა“ ისევ ჩემი საყვარელი ჟურნალია. ვისურვებთ წარმატებას!

„ყოფილი შეყვარებულის ყოფილ შეყვარებულს დავემესიჯე...“

„გზავნილები“ საუკეთესო საშუალებაა იმისთვის, რომ ხმა მიწვდინო ადამიანს, რომელსაც ტელეფონით ვერ უკავშირდები. მარმან ზაფხულში დასასვლელად წასვლამ სწორედ ისეთ დროს მომიწია, როცა ჩემს შეყვარებულთან ურთიერთობა დამეც-

ბა. მანამდე, რამდენიმე თვით ადრე, ვიო ჩემ მიმართ ძალზე გაცივდა. შეხვედრებსაც მოუკლო. ვერძობდი, რომ ვიღაც მესამე ჩაღვა ჩვენ შორის. ვეჭვიანობდი და წარამარა ვიბუტებოდი. ასეთ დროს წავიკვი ბათუმში. რა თქმა უნდა, ძალზე ვერევილობდი. ორი დღის შემდეგ კი ჩემს ძვირფასმა შეყვარებულმა ტელეფონი საერთოდ გამოირო. თურმე, ნომერი შეუცვლია. რა არ ვიღონე, უამრავ საერთო ნაცნობს თუ მეგობარს დავურეკე, მაგრამ ვერაფერი გავიგე. ავდექი და „გზავნილებს“ ნომერზე დავამესიჯე. ვიოს ვთხოვდი – ასეთ გაურკვეველ სიტუაციაში ნუ დამტოვებ-მეთქი. მომდევნო ნომერში მისი მესიჯი ვიხილე: მაპატიე, ნინო, მაგრამ სხვა მიყვარსო, – მწერდა. აუ, რა მაგარი წასაკითხია, არა?! მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ, ისევ „გზავნილებში“ მის „გამწარებულ“ მესიჯებს წავაწყდი. ახალ შეყვარებულს ეხვეწებოდა – ნუ მემალები, გამოჩნდი, მიყვარხარო!... მეც არ დავაყოფენე და ისეთი ამბავი გამოგიგზავნეთ ჩემი და ვიოს ურთიერთობიდან, რომ იმ გომბიოს წაეკითხა და სამუდამოდ ჩამოშორებოდა. ასეც მოხდა. მიზანში ზუსტად მოვარტყი. მერე ვიო ისევ მე მიმესიჯებდა და მეხვეწებოდა, შემიბრედო. მერე იმ გომბიომ მე დამიმესიჯა – არ შეურიგდე, მაგარი ნაგავიაო... აი, ასეთი მიწერ-მოწერა გვექონდა თქვენი საშუალებით. გულთ რომ მომენდობებინა, ჩემი ყოფილი შეყვარებულის ყოფილ შეყვარებულს ხომ ვერ დავუკავშირდებოდი?! „გზავნილებმა“ კი ამის საშუალება მომცა. გკოცნით ყველას. ჯივრები ხართ. ვისურვებთ წარმატებას!

ერთ მესიჯს შეგახსენებთ, რომელიც „გზავნილებში“ არცთუ ისე დიდი ხნის წინ დაიბეჭდა: დღემთილი რძლის შესახებ გვიყვებოდა, რომლის დასახლისობაც არ მოსწონდა და აღიარა, რომ საკმაოდ უცნაური საჩუქარი – ბუთაშუბელი ცოცხი მართვა. რძალმა ის საყვარელი ვაზში ჩალო, გაოცებულ დედამთილს კი უთხრა – როგორც ეს ცოცხი ამ ვაზს არ უხდება, ისე შენ არ უხდება აქურობას და ინტერერს ნუ მიფუტებ, ვთხოვ, ჩემი სახლიდან მიბრძნდეო... აბჯერად, რძალმა დავემესიჯა.

„მე ხომ შენი შვილი მიყვარს...“

„იცით, მართლა როგორი სარგებლობა მოაქვს თქვენს „გზავნილებს“? ამას წინათ, ჩემს დედამთილმა დავემესიჯათ. ამ რუბრიკას ყოველთვის საიმოვნებით ვკითხულობ. ჩემთვის განკუთვნილი მესიჯის კითხვა რომ დავიწყე, თითქოს სიტუაცია მეცნო. ბოლოს კი, უკვე დავრწმუნდი, რომ მართლა ჩემი დედამთილის გზავნილი იყო. აბა, ჩემნარი გადარეული არავინ მეგულებს, რომ

ასეთი ტექსტი ეთქვა ქმრის დედისთვის... როცა ჟურნალში შენს ამბავს კითხულობ, თურმე ყველაფერს სხვანაირად, გარეშე თვალთ აღიქვამ და ხვდები, სად დაუშვი შეცდომა. იცით, სინამდვილეში რა მოხდა?... მე და ჩემს ქმარს 3 წელი გვიყვარდა ერთმანეთი. მე მართლაც, ძალზე მდიდარი ოჯახიდან ვარ და სხვა რომ შემსახურება მიჩვეული ვარ. თავიდანვე ვიცოდი, რომ ჩემი შშობლები სინარულით არ შეხვდებოდნენ ჩემი გათხოვების ამბავს, მაგრამ ისე ძლიერ მიყვარდა, რომ არაფერს შეუეშინდი – არც ჩემი შშობლების რისხვას (სხვათა შორის, ისინი დღემდე უბრად არიან ჩემთან) და არც დედამთილ-მამამთილის წინააღმდეგობას. ახალგაზრდები ცალკე ვცხოვრობთ. იცით, ზარმაცი სულაც არ ვარ, როგორც ჩემი დედამთილი ამბობს. ჯერ ერთი, 12 საათამდე გვიძინავს, მერე ვსაუბრობთ, მერე ვსვირნობთ – აბა, როდის უნდა დავალაგო სახლი?... თანაც, ცოდვა გამხელილი ვცოხს და ისიც არ ვიცი, სახლის დალაგება საიდან უნდა დავიწყო. რამდენჯერმე ვცადე, ყველაფერი წესრიგში მომეყვანა, მაგრამ არაფერი გამომივიდა. დედამთილმა ცოცხი რომ მომიტანა, ძალზე გავბრაზდი, რადგან მაშინ სტუმრები გვყავდა და სხვების თანდასწრებით ასე არ უნდა მოქცეულიყო. შინ მარტო რომ ვყოფილიყავი, შესაძლოა, არც მწყენიდა. ვაღიარებ, რომ უხეშად გამომივიდა ნათქვამი, მაგრამ თავი ვერ შევიკავე. ახლა კი მინდა ბოლოში მოუხადო. დედა, ძალიან ვწუხვარ, ასე რომ მოხდა. მიდი, შევრიდეო, რა! მე ხომ შენი შვილი ასე ძალიან მიყვარს. პატივისცემით, რძალი“.

ახლა კიდევ ერთ მესიჯს შეგახსენებთ: ამერიკაში საშუალო წასულ ქმარს იქ ქართველი გოგონა შეუყვარდა, რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ, საქართველოში დაბრუნდა. წვეილმ გადაწყვიტა, რომ მამაკაცის თბილისში დაბრუნებისთანავე იქორწინებდა და თან, ყოფილ ცოლსა და შვილს ყურადღებას არ მიაკლებდა. ცოლმა ეს ამბავი მეუღლის დაბრუნებამდე შეიტყო. ძველი ბინა გაყიდა და შვილებთანად ახალ სახლში გადასარდა – თან ისე, რომ ქმარს ახალი ადვილსამყოფელი არც გაუშვიდა. წინასწარ გამოგზავნილი 50 ათასი დოლარიც მითვისა და გაუჩინარდა. საქართველოში დაბრუნებულ ქმარს აღარც ცოლი დახვდა, საცოლემაც უარით გამოისტუმრა და კვირებში გახვრებული ათეთრობანც კი არ დარჩა... მაშინ მესიჯი პირში ჩაღვამოვლებულმა ქმარმა გამოგვიგზავნა. აბჯერად კი მისი მეუღლე შეგვეხმანა.

„სინდისის ქენჯნა სულაც არ მაწუხებს...“

„მარმან ჩემს მეუღლემ დავემესიჯათ და ურცხვად იწუქუნა – ცოლმა ფული

ინფორმაციულ-მედიასწავლით
კოლაჟი

ეონა დვალის
უბის წიგნაკვანძო:



1. სახელი „პეტრე“ ლათინურად ქვას ნიშნავს.
2. „ცნობისმოყვარეობა ცოდვაა“, – ამბობს ვიქტორ ჰიუგო.
3. აკაკია მოჩხუბარიძე ალექსანდრე ყაზბეგის ფსევდონიმი იყო.
4. თოფის ხშირ სახეიმო სროლას გურიაში შედღუხს ეძახდნენ.
5. ნიკო ფიროსმანი ერთი პერიოდი, ტრამვაის კონდუქტორად მუშაობდა.
6. პანამის არხის გათხრის შემდეგ ამ სახელმწიფოს კერზე განდა წარწერა: „ყველასათვის სასიკეთოდ“.
7. „ქალაქი, რომელსაც არასდროს სძინავს“ – ასე ეძახიან ამერიკელები ნიუ-იორკს.
8. „მაკდონალდის“ პირველი რესტორანი 1955 წელს ილინოისის შტატში გაიხსნა.
9. „მე ნამდვილი მეოჯახე ჰიტლერი ვარ“ – ასე ახასიათებს საკუთარ თავს მელ გიბსონი.
10. „ნეჩევა პორტიტ ხაროშუიუ ისტორიუ პრავდოი“, – ამბობენ რუსები.
11. ესპანეთისგან დამოუკიდებლობა ლათინურ ამერიკაში 1811 წელს პირველად ვენესუელამ გამოაცხადა.
12. კოკოთი ყოფილი მოჭიდავეა, ბაგაფში – კალათბურთელი, პუტინი – ძიუდოისტი. ვესმით, ბატონო მიხეილ?!
13. „ტოლკო ავტორიტარნი რეჟიმ მოყეტ ვსიაკუიუ პრობლემუ რეშატ ბისტრო, სკორო, ნო ამიბონჩო“, – ამბობს ბორის ბერეხოვსკი.
14. შონ კონერიმ, როგორც შოტლანდიელმა, უარი თქვა ინგლისის დედოფლის მიერ მინიჭებულ რაინდის წოდებაზე.
15. „ბოროტებას მაშინ შეუძლია იზვიდოს, როდესაც კარგი ადამიანები არაფერს იღონებენ“, – ამბობს აკაკი ასათიანი.
16. „პარტია არის მრავალთა სიგიჟე ერთეულების სასარგებლოდ და გასახარად“, – ამბობდა ჯონათან სვიფტი.
17. ედუარდ მანეს, სიფილისის გამო, მარჯვენა ფეხი გაუშავდა და მოაჭრეს. ცნობილი იმპრესიონისტი 51 წლის ასაკში გარდაიცვალა.
18. „მოწვევა შრომის პროდუქტიულობას უწყობს ხელს“, – ამბობდა ზიგმუნდ ფროიდი. განთქმული ფსიქოანალიტიკოსი დღეში 20-25 სიგარას ეწეოდა.



დამაწერა, შეილებს არ მაჩვენებს, რა უბედური კაცი ვარო. ისიც თვითონვე ვამბობო, რომ ამერიკაში სამუშაოდ წასულმა, საყვარელი გაიჩინა და არც ის დაუძლავს, საქართველოში დაბრუნების შემდეგ ახალი ოჯახის შექმნას რომ აპირებდა. როცა ის ამერიკაში მივეზავრებოდა, ჩვენ ძალზე გვიჭირდა. ოთხსულიანი ოჯახისთვის დღეში ერთ პურს ვყიდულობდით და ვინაწილებდით. ძალზე მიძიმდა მასთან განშორება, მაგრამ სხვა რა გზა იყო?.. აქ შმიერ-შწყურვალი ძლივს დაფართონობდა. ვის რაში სჭირდებოდა, თორემ, ქალებს მაშინაც უპრაწავდა თვალებს... წავიდა ამერიკაში, ორი კაპიკი იშოვა და საყვარელიც გაიჩინა. „ბიჭმა“ ახალი ოჯახის შექმნაც გადაწყვიტა! რაც მართალია, მართალია – ოჯახს კეთილსინდისიერად უგზავნიდა ფულს, ვალეზიც გავისტუმრეთ და წელშიც გავიმართეთ, მაგრამ თუ ქმარი არ მეყოლებოდა და სიყვარულზე აგებული ოჯახი მექნებოდა, არც ფული მჭირდებოდა. სრულიად შემთხვევით შევიტყვე, რომ სხვა ქალი ჰყავდა და ჩვენს მიტოვებას აპირებდა. ავდექი და შური ვიძიე. სინდისს ქნჯანა სულაც არ მაწუხებს. იყოს ახლა მარტო და იყალოს აქეთ-იქით. ერთი რამის თქმა დაავიწყდა მაშინ: ყოველთვიურად 300 დოლარს ვაძლევ, რადგან მისი ნამუშევარი ფულით ავაწყვე ბიზნესი. ეს პროცენტია და მუდმივად, კეთილსინდისიერად გადაუხდის. ნახვამდის“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს ვაგვიცნოთ.

პატარა სიდედრის
გამაფრთხილებელი მესიჯი

„გზავნილები“ შეუცვლელია, რადგან მისი მეშვეობით საყვარელ ადამიანს ვაწვდენ ხმას. თიკუნა, ძალიან მიყვარხარ. ნუ მეძლები, დამენახე, თორემ, ცუდად ვარ. ლევანი“.

„გზავნილები“? ეს ხომ ძალზე კარგი გამოიქვეყნო: გიო წელს გაიცანია. მას კი თურმე 2 წელია, მოეწონვარ. ახლა ერთმანეთს დაეშორდით, ერთი გოგოს გამო. ძალზე ვატკინე გიოს გული და რაღაცები დაეაბრაღე. ახლა ის გოგო და გიო ერთად არიან, მაგრამ ვიცი, მე ვუყვარვარ და არა ის. გიო, მიყვარხარ. დამირეკე. გთხოვ! საკო“.

„რა სარგებლობა მოაქვს „გზავნილებს“? ახლავე გეტყვით. ჩემს ღედათილს, ლამზირა ხ-ს ვერ ვიტან და მეზიზღება. „გზის“ ამ ნომერს ცხვირწინ დაუვლებ და გაიფებს! აბა, ისე ვერ ვუბნები და რა ვქნა? აი, როგორი

სარგებლობა მოაქვს ამ რუბრიკას. როცა წაიკითხავს, ერთი მისი სახე დამანახვალ ინვა, ქუთაისი“.

„დიდი მადლობა, რომ „გზავნილები“ არსებობს. ეს რუბრიკა რომ არა, ვერასოდეს გავიგებდი, რომ არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ჩემსავით განიცდიან, უცვარო და იტანჯებიან. კახა, გასსოვს, ერთხელ შეგპირდი, ჩვენს ამავეს „გზავნილებში“ დავწერ-მეთქი? ახლა კი შენ ცოლი მოგყავს და მეც შენი აღარ ვარ. 6 ივნისი შენი დაბადების დღეა. გილოცავ! მინდა იცოდე, რომ უსამველოდ მენატრება ის დრო, როცა ერთმანეთი ვკვივარდა. ნაბ“.

„ამ მესიჯით მინდა, ტარიელა გავაფრთხილო: ნინო უკვე მეზუთე ცოცხს ყიდულობს და ფრთხილად იყავი, კიდევ არ გადაგამტვრიოს თავზე. ვერ ისედაც არ გაქვს ჭკუა და მერე რაღა დაგემართება? პატარა სიდედრი“.

„უდიდესზე უდიდესი სიამოვნებაა თქვენი „გზავნილები“. თუნდაც, აი, ამიტომ... მე მიყვარს ლევან თ-შვილი. მის გამო სიცოცხლესაც ვაწვრიავ. ერთად ყოფნის 7 წელი გვისრულდება აგვისტოში. 2 შვილის ღედა ვარ, მაგრამ ჩემი ლევანი ყოველთვის მასსოვდა და მემასსოვრება. ვკოცნი უთვალავს ჩემს „სიფორცხლეს“. შენი ფანცქველა და ხვანცალა ქალი“.

„გზავნილებში“ ხშირად ვაკრიტიკებ გიორგის, რადგან ძალზე მამრანებს, მერე კი თავს მაკოცებს ხოლმე. მინდა იცოდეს, რომ მის ანგეს თევზი არც ამჯერად ამოჰყვა. ყოველთვის მე ვავიძარჯვებ. ფერია“.

„პირველ რიგში, ამ პატარა თუბილეს გილოცავთ. ძალიან მიყვარს „გზავნილების“ კითხვა. ძალზე ვხალისობ ხოლმე. აბა, კარგად! თქვენი ერთგული მკითხველი“.

„მარი, შენ უზომოდ კარგ საქმეს ემსახურები. როდესაც შენთან მესიჯს ვაგზავნი, თითქოს გულიდან ლოდი მეხსნება. „გზავნილების“ მეშვეობით ჩემს სიყვარულს შევურიგდი და მგონი, გამოვასწორე კიდევ: ვვიქრობ, დამჯერებს და აღარ იკაიფებს. „თიკლა““.

„გზავნილები“ ძალზე მაგარი რუბრიკაა. ძალიან მიყვარს, თუმცა ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი არ უთამაშია. ირინკა“.

„გზავნილებმა“ შემავროვებინა „გზის“ კოლექცია. მაგარ საინტერესო ამბებს ვიგებ ხოლმე. 2004 წლის ყველა ნომერი მაქვს და რა თქმა უნდა, წლევანდელიც, მაგრამ რატომღაც დღეს პირველად გწერთ. ისე, კონკურსს რომ გამოაცხადებდით, ნამდვილად მოვიგებდი, უკვე იძენი „გზა“ დაგვაროვე. რა თქმა უნდა, „გზავნილების“ გამო“.

„ყოველ სუთმბათის მოუთმენლად ვკლი, რომ ახალი „გზა“ ვიყიდო. პირველ რიგში, „გზავნილებს“ ვკითხულობ ხოლმე. თქვენ ერთხელ უკვე დამენახრეთ. მაშინ მამსთან

კონფლიქტი მქონდა და სახალხოდ მოუხადე ბოდიში. იქნებ, ახლაც დამეხმაროთ: შეყვარებული ვარ, მაგრამ თქმას ვერ ვებღავ. ისევ თქვენი იმედი მაქვს. ლევან, მიყვარხარ! ალბათ მიხვდები, ვინც ვარ. ძალიან გთხოვ, „გზავნილებს“ საშუალებით დამეკონტაქტო. თამო.“

„მარი, მოგესალმები შენც და ყველა იმ ადამიანსაც, ვინც „გზავნილებს“ კითხულობს. დიდი მადლობა, რომ არსებობთ. ია“.

„ვიდრე „გზავნი“ ამ რუბრიკას აღმოვაჩინე, მეგონა, ყველანაირი პრობლემა მხოლოდ მე მატყდებოდა თავს. თურმე, სად ხარ?! ჩემნაირები ოხრად ყოფილან. „გზავნილებს“ კითხვის შემდეგ, ბევრ რამეს ვითვალისწინებ. ბევრი არასწორი ნაბიჯი ავიცილე თავიდან. არადა, ამ ნაბიჯს შესაძლოა, საგალალო შედეგი მოჰყოლოდა. დიდი მადლობა, რომ არსებობთ. ერთგული მეგობარი, თამუ“.

„2 წლის წინ მე და ჩემი დაქალი დასასვენებლად ქვარიაში წავედით. ჩემი შეყვარებული, თავისი მძაკეებით, იმვე დღეს დაგვადგა თავზე. ჩემს დაქალს არასოდეს ჰყვარებია ვინმე. ის ძალზე ლამაზია, მაგრამ ცოტა „სტრანჯი“. ყველაფერი დაგვებოდა აქვს და გათვლილი. სულ ვეუბნებოდი – შეიყვარე ვინმე, ხომ ხედავ, ზოგიერთი ჩვენი მეგობარი უკვე მერამდენე „კრუგზე“ მიდის-მეთქი... ქვარიაში საშინელი ამინდი დაგვხვდა. ამიტომ გვიან დამეძღვე სასტუმროს წინ, საანაბროზე ვისხედით ხოლმე. ერთხელ, მე და ჩემი შეყვარებული ცალკე კოლგის ქვეშ ვისხედით. საღო და დათუნა (ჩემი შეყვარებულის მძაკეც) – ცალკე უცებ, მათკენ გავიხედე და რას ვხედავ – ერთმანეთს კოცნიან!.. ისეთი სახე მქონდა, ირაკლიმ პირზე ხელი ამაფარა, რომ არ მეყვირა. არც ერთმა დაქალმა ეს ამბავი არ დაიჯერა. საღო და დათუნა კი, სექსტემბერში ქორწილში გვეპატიჟებინ“.

„შემთხვევით გავიცანი ზურა. ის ვინაურში „გზას“ ყიდულობდა. მეც 10-ლარიანი მივაწოდე გამყიდველს და – 2 „გზა“ მომიტოვებოდა. ვუთხარი. გამყიდველს ათლარიანის ზურდა არ ჰქონდა. ვიდრე ის დასასურდავებლად იყო წასული, მე და ზურამ „გზავნილებზე“ ჩამოვაგდეთ საუბარი. ამასობაში გამყიდველიც მოვიდა, ზურდა მოიტანა და გვითხრა – თქვენგან კარგი წყვილი გამოვიდა... ზურა აღარ მომეშვა და დღემდე ერთმანეთს ვხვდებით. ერთმანეთის ოჯახებშიც გავიცანით და მალე ალბათ ქორწილიც გვექნება. ქორწილში კი „გზის“ გამყიდველსაც „გაფითავთ“. ლელაკო“.

„პირველ რიგში, ჩემს საყვარელ საქართველოს მივესალმები, ჩემს საყვარელ ხალხს და შემდეგ – საყვარელ ჟურნალსა და უსაყვარლეს რუბრიკასაც. ქართული ჟურნალები ძალზე იშვიათად ხვდება ჩემს ხელში. უზომოდ მსიამოვნებს „გზავნილებს“

კითხვა. მარი, მიყვარხარ შორიდან... ლუბაი“. „გზავნილებს“ საშუალებით ბევრჯერ უთქვამთ ჩემთვის სასიამოვნო რამ. ახლა მეც მინდა, პასუხი დავუბრუნო: ნინიკო, სივამდე მიყვარხარ! ირაკლი, წყაღებო“.

„მარი, „გზავნილები“ მამინე იქნება სასარგებლო, თუ ამ მესიჯს დამიბეჭდავ. ბაქარ ბეგილო, ძალზე საყვარელი ტიპი ხარ. მაგრამ მეგასები“.

„გზავნილებს ის სარგებლობა მოაქვს, რომ კვირაში ერთხელ მანც მიხალისებს ამ ჩემს იდიოტურ და კრეტინულ ცხოვრებას“.

„მარი, შენ აგაშენა დემოთმა! რა კარგად მოგიფიქრებია, რომ ჩვენს საყვარელ რუბრიკაზე საუბრის საშუალება მოგვეცი. ყოველ სუთმბათს მოუთმენლად ველი „გზას“. ახალიცხეში 12 საათზე ჩამოდის პრესა. ერთი სული მაქვს ხოლმე, როდის ენახავ „გზავნილებს“. ადრე პირველ რიგში ფოტოკურირებს ენახულობდი ხოლმე. ახლა კი, მე და ჩემი ახლობლები პირველ რიგში „გზავნილებს“ ვკითხულობთ ხოლმე. იცით, ჩემს მესიჯებს როგორ ცნობენ?.. „გზავნილებს“ გამო ისეთმა ადამიანებმა დაიწყეს „გზის“ კითხვა, ვინც საერთოდ არაფერს კითხულობს. ჩემი მესიჯების წაკითხვის შემდეგ ზოგი „საქმეს მირჩევს“ ხოლმე. ერთმა კი მთელ ქალაქს მოსდო, რომ მის შესახებ „გზავნილებში“ დავამეხიჯე. ვითომ უქმყოფილო იყო. სინამდვილეში კი – ო-ო-ო, როგორ ამყოფდა ამით!“.

„სივამდე რამ ვეწევი, სწორედ ამის გამო დავკარგე მეგობარი. არჩევანი ვერ გავაკეთე მათ შორის. ვიცი, არ შემირიდებია, რადგან დაიფიცა. მე კი ძველებურად მიყვარს. რა ვქნა? როგორ დავიბრუნო?“

„მარი, ზუსტად 2 სათია, შენზე და „გზავნილებზე“ ვფიქრობ. მინდა, ცალკე ჟურნალი არსებობდეს, რომელსაც „გზავნილები“ ერქმევა. ახლა თავზე საბანი მაქვს წაფარებული და ბოლო თეთრებით გწერ მესიჯს. ძალზე საჭირო ხართ თქვენი მკითხველისთვის. გისურვებ წარმატებას! ელისო“.

„არ ვიცი, ვის როგორ, მაგრამ პირადად მე, „გზავნილები“ სიცოცხლეს მიხალისებს. გვერათ ჩემი? ლიკა, ქუთაისი“.

„ღელქი ყველაზე უკეთესი თქვენ უნდა გითხრათ, ფიქრი ყველაზე უკეთესი თქვენ უნდა განდოთ, თქვენზე ოცნებას შემოვრჩები ძალიან დიდხანს... და არასოდეს ვიქნები მარტო“.

დიდი მადლობა მკითხველს ასეთი ლამაზი ლექსისთვის. დღევანდელ „გზავნილებს“ სწორედ ამ რომანტიკული სტროფით დავასრულებ, შემდეგი ნომრის თემად ვთავაზობთ – რატომ ტირიან ქალები. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომრზე: 8(77) 45.68.61. ვემშვიდობებით მომავალ სუთმბათამდე.

ინფორმაციულ-მედიისეზიმი კოლაჟი

ეორი დვალის უბის ნოვნიკიდან:



19. ინგლისელმა მეცნიერებმა 130 ათასი საავტომობილო ავარია განიხილეს და დაადგინეს, რომ მუქი ფერის მანქანები უფრო ხშირად ხვდებიან ავარიაში, ვიდრე ღია ფერის.

20. მეორე მსოფლიო ომში ფრანგულმა საავიაციო პოლკმა – „ნორმანდია-ნემან“, – რომელიც საბჭოთა კავშირის მხარეზე იბრძოდა, მტრის 275 თვითმფრინავი ჩამოაგდო და 80 დაზიანა.

21. ხრუშჩოვის ბრძანებით, ბერიას დაპატიმრებას მარშალი შუკოვი ხელმძღვანელობდა. სახელმწიფო უშიშროების ყოფილი შეფი გენერალმა ბატიტსკიმ დახვრიტა.



22. ღრმად მოხუცებულ ზიმუნდ ფროიდს ექიმი დაეხმარა, მშვიდად რომ მომკვდარიყო – მორფინის დიდი დოზა გაუკეთა. დღეს ფროიდის ცხედრის ფერფლს შთამომავლები ეტრუსკულ ვაზაში ინახავენ.

23. როტშილდების უმდიდრესი გვარის მამამთავარი და პირველი კოლექციონერი, მაიერ ამშელი იყო. იგი ძველ, გადაყრილ ნივთებს აგროვებდა, ასუფთავებდა, აწესრიგებდა, კოლექციას ადგენდა და სარფიანად ყიდდა. თავისი სახლის წინ გამართულ ფარდულში იგი ფულსაც ახურდავებდა. ამავე ფარდულში ძველებურ მონეტებს, მედლებსა და ემბლემებს ყიდდა. ფარდულს წითელი აბრა (ფარი) ჰქონდა და ამიტომ ქალაქში მას როტშილდი (წითელი ფარი) შეარქვეს. P.S. „როტშილდის ქნება – მე... შექსპირის გონება – მე...“

24. „ჩრდილი რომ მომესპო, მეზობლის რჩევით, კარადაში ჩვეულებრივი გაზეთი დავდე. არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ მას შემდეგ, კარადაში ამ მავნე მწერის სახსენებელიც არ არის. იგი ალბათ სიცილით კვდება, როცა კითხულობს, რაც გაზეთში წერია“, – ჰყვებოდა მიხაილ ზადორნოვი.

25. ეს ანეკდოტი „პირველი არხის“ ეთერში თინა ხიდაშელმა მოჰყვა: „მაგიდაზე დევს ორი წიგნი, ერთი – თხელი და მეორე – სქელი. თხელს აწერია: „ლოგიკა“, სქელს კი – „ქალთა ლოგიკა, ტომი პირველი“.

მა სანგებული ხანა ქართულმა გოგონამ ყვხით უნის დუთუ კუთონში

„ინდოელ ქალებს ურჩევნიათ,
ქმრებზე ადრე გარდაიცვალონ“...

ბრჭყვიალა ინდურ სამოსში გამონყობილი ეს მოცეკვავე ქართველია. თამუნა კურდღელია ინდური კლასიკური ცეკვების შემსრულებელი გახლავთ. თამუნა ბაშვობიდანვე ყოფილა გატაცებული ინდური ცეკვითა და სიმღერით. ქართველ მოცეკვავეს ნაირნაირი სამკაულით ინდოელი მეგობარი — არუმუგამ თიაგარაჯა შაინთენში ამარაგებს. თამუნას ინდური ცეკვის თავისებურებებზე, არუმუგამს კი — იქაური ტრადიციების შესახებ ვესაუბრეთ.

60670 ჯაპახიშვილი

— თამუნა, მაინც რამ გადამანყვეტინა ინდური ცეკვების შესრულება, რამ მოგზიბლა უცხო ქვეყნის ეროვნულ კულტურაში?

— პატარაობიდანვე მიყვარდა ინდური ფილმები. საათობით ვიდექე სარკის წინ

და იმავე მოძრაობებს ვაკეთებდი, რასაც მსახიობები. 13 წლის ვიყავი, როცა სკოლაში სასახლწლო კარნავალზე ინდოელი ქალი განვასახიერე. საცეკვაო კაბა ბუბიამ შემიკერა, მძივებით გამიწყო და მომიქარვა. დღემდე შენახული მაქვს ის კაბა. ჩემმა ცეკვამ ყველა გააოცა, შემაქვს. ბავშვობიდან ვოცნებობდი, ცნობილი მოცეკვავე გავმხდარიყავი, ღამაზ, უზარმაზარ დარბაზში მეცეკვა და უამრავი თაიგული მოერთმიათ ჩემთვის. ოცნება ნაწილობრივ ამისრულდა: 1985 წელს, თბილისში ინდოეთის დღეები უნდა ჩატარებულიყო. ეს რომ გავიგე, ტელეგადაცემას — „თვალსაწიერი“ — წერილი გავუგზავნე და ვთხოვე, დამხმარებოდნენ, რომ ამ დონის დიებაში მონაწილეობა მიმელო... კულტურის დღეების დროს საქართველოში ჩამოსული იყო ცოლ-ქმარი — თხანან ჯაიიანები. იცი,



აი, ამ პოზაში ლახვარს ვცემ და ვამარცხებ ბოროტებას

ინდოელებმა რამდენი ყვავილი მომართვეს? ძალიან მოეწონათ ჩემ მიერ შესრულებული ცეკვა, ერთ-ერთმა მათგანმა კი სამკაულები და კასეტა მარუქა, რომელზეც ჩაწერილი იყო ცეკვები და მირჩია — კლასიკური ცეკვები დადგო.

— როგორც ვიცი, უმაღლესში სწავლის გაგრძელებაზეც უარი თქვი.

— მშობლებს უნოდათ, უცხო ენების ინსტიტუტში ჩამებარებინა, მაგრამ როდესაც გავიგე, რომ ჩამოყალიბდა მსოფლიოს ხალხთა ცეკვების ანსამბლი „საქართველო“, მაშინვე მოვისროლე წიგნები და მშობლებს განვუცხადე — გინდათ თუ არა, ამ ანსამბლში მივდივარ-მეთქი. ასეც მოხდა. ყოფილი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკა მოვიარე და არაერთი დიპლომი მივიღე. მოსკოვში ინდოეთის საელჩოსთან არსებულ კოლეჯში ცეკვის კურსებიც გავიარე. გორკის პარკში უზბეკეთის დღეები რომ ტარდებოდა, ინდური ვიცეკვე. თურმე, არავის სჯეროდა ჩემი ქართველობა. გამოვიდეს სცენაზე და თვითონ თქვას, ინდოელი რომ არ არისო, — ითხოვდნენ... უცხოელი ჟურნალისტები დამეცივნენ — ხან სად წამომაწინეს, ხან რომელ ხეზე „მიმაყუდეს“, თან უამრავი ფოტო გადამიღეს... 3 წლის შემდეგ, ინდოეთში სწავლის გასაგრძელებლად მიმვებდნენ, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე.



არუმუგამ თიაგარაჯა შაინთენშია და თამუნა კურდღელია

— ამჟამად რას საქმიანობ? შენი ოჯახის შესახებაც მოგიყვები.

— ვარ დიასახლისი, მყავს მეუღლე და შვილი, სხვა რა გითხრათ, აზია-აფრიკის ინსტიტუტში ინდური ფაკულტეტის სტუდენტი ვარ. რამდენიმე წლის წინ სამოზაოდ ინდოეთის ელჩი ჰყავდათ მოწვეული და ჩემს მეგობრებთან ერთად რამდენიმე ცეკვა შევასრულე.

— კლასიკურ ინდურ ცეკვებში მკაცრად არის შემუშავებული ფესტების სისტემა, რომლის დარღვევაც აკრძალულია. თითოეულ მოძრაობას თავისი დატვირთვა აქვს. საინტერესოა, თუნდაც ამ რამდენიმე სურათზე აღბეჭდილ მოძრაობებს — რა სიმბოლური დატვირთვა აქვს?

— ერთ-ერთი ინდოელი ავტორი წერდა: ინდური ცეკვა — ღმერთებისა და ღმერთქალების ცეკვაა, რომელიც სავსეა ჯადოსნური საიდუმლოებებით. ინდური ცეკვები ძირითადად, რელიგიურ თემებზეა აგებული, აგრეთვე — სიყვარულზე, სიკეთის გამარჯვებასა და ბოროტების დამარცხებაზე. თითოეულ მოძრაობას — თვალების, თითების, ფეხებისას — საკუთარი დატვირთვა აქვს. როგორც ჩვენში მონაზვნები ღვთის მსახურებით გამოხატავენ ღმერთის სამსახურს, ისე ინდოეთში იყვნენ „დევადარები“, რომლებიც ტაძარში ცეკვით ემსახურებოდნენ ღმერთს. აი, ამ პოზაში (ფოტო №1) ლახვარს ვცემ და ვამარცხებ ბოროტებას. აქ კი (ფოტო №2) — ველოდები სტრფოს, რომელიც ძალიან მიყვარს, მაგრამ ბოროტი სული ხელს უშლის ჩვენს სიყვარულს... თითოეული ცეკვა რაღაც შინაარსს ატარებს. ცეკვისთვის არაერთი სამკაულია საჭირო, მათ მუსიკალური



ველოდები საგრფოს, რომელიც ძალიან მიყვარს მაგრამ ბოროტი სული ხელს უშლის ჩვენს სიყვარულს...

დატვირთვაც აქვს — მოძრაობის დროს ხმას გამოსცემენ. ამ ყველაფრით არუშუგამი მუხმარება.

— ერთმანეთი როგორ გაიცანით?

— რა თქმა უნდა, ცეკვის წყალობით. დაინტერესდა ჩემით და დახმარება აღმითქვა. არუშუგამი სამხრეთ ინდოეთიდან არის — ქალაქ უტიში ცხოვრობს. თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტს ამთავრებს და ალბათ, მალე გაემგზავრება საქართველოდან.

— არუშუგამ, საინტერესოა, რა აზრი ჩამოგიყალიბდა ჩვენს ქვეანაზე, ქართველობაზე?

— უნივერსიტეტი და ლექტორები არ მომეწონა, ძალიან მკაცრები არიან, ჯგუფელები კი მომწონს, მეზობლებიც კარგი მყავს. დიდ სიბოძს ვგრძნობ მათგან და მათი სიკეთე რომ დავივიწყო, ამას ღმერთი არ მაპატიებს. ძალიან ბედნიერი ვარ, ასეთ ხალხს რომ შევხვდი. ამდენი კარგი მეგობარი რომ შევიძინე, მაგრამ აი, უგაზობას, და უშუქობას კი ვერაფრით შევებუე...

— ქართველ გოგონებზე რას იტყვი?

— ოო, ეს ძალიან სერიოზული საკითხია. სანამ ცოლად არ მოიყვან, ინდოეთში მიღებული არ არის, რომ ვინმეზე რამე თქვა. ამ მხრივ ინდოელები ძალიან თავშეკავებულები ვართ. ჩვენში ქალი ხშირ შემთხვევაში, გარიგებით თხოვდება, სხვადასხვა კასტის წარმომადგენლებს კი ერთმანეთის შეყვარების უფლება არა აქვთ.

— გვიამბე ზოგიერთ ინდურ ტრადიციებზე. რამდენად შეეფერება რეალობას ის ყველაფერი, რაც ინდურ ფილმებში ხდება — სიყვარულს მართლა ასე, ცეკვა-სიმღერით უხსნიან ერთმანეთს?..

— (იცინის) არა, რას ამბობ? ეს ყველაფერი ზღაპრებია, მაყურებლის მისაზიად მოგონილი. ინდური ცეკვა არ არის მართო მოძრაობა და რიტმი. ცეკვით შეიძლება, გადმოსცე ერთი კონკრეტული ამბავი, სედა, სიყვარული, ბედნიერება... ინდოელები ძალზე თბილი, უძველესი კულტურის მქონე და რაც მთავარია, უადრესად რელიგიური ხალხი ვართ. ჩვენს ქვეყანაში, სოციალური თვალსაზრისით, 5 ტიპის ფენა არსებობს: ძალიან მდიდარი, მდიდარი, საშუალო, დარიბი და უკიდურესად დატაკი. არსებობს კასტები, რელიგიური მოძრაობები, რომელთა შორისაც გამოირჩევა: შრაპმანი, ვაიშნავა, შაიდრია, შუდრა და ჰარიჯან.

— თვითონ რომელ სოციალურ ფენას განეკუთვნები?

— მდიდარ ფენას. მამჩემი ინჟინერია, კანადაში ერთ-ერთ ფირმაში მუშაობს. დედა — ლექტორია. მყავს ორი ძმა, ისინ-

იც მუშაობენ. მე ყველაზე უმცროსი ვარ და ამიტომ მშობლები მაფინანსებენ.

— შენი ფოტოალბომი დავათვალიერე და ზოგიერთმა სურათმა გამაოცა. ვინ არიან ამ სურათზე გამოსახულნი და რატომ უსვიათ საღებავი სახეზე? ამასაც რაღაც განსაკუთრებული დატვირთვა აქვს?

— რა თქმა უნდა! შავ ხაზს შუბლზე ბიჭები დაბადებიდან ატარებენ, გოგონები კი, როცა თხოვლებიან, წითელ ბინდს —



ამ სურათზე ბიძაჩემი და ბიცოლაჩემი არიან გადაღებულნი. იმ დღეს ვერცხლის ქორწილი ჰქონდათ...

სამკაულს იკეთებენ და თმის დანაყოფებში წითელ საღებავს ისვამენ. გათხოვილებს ორივე ფერის ბინდი უკეთიათ — წითელიც და შავიც. ქალი რომ ქვრივდება, მწუხარების ნიშნად საღებავს იშორებს. რელიგიური დღესასწაულის დროს, ყველას თეთრი ზოლი აქვს შუბლზე. ინდოელ ქალებს ურჩევიათ, ქმრებზე ადრე გარდაიცვალონ, რადგან დაქვრივების შემთხვევაში, ეკრძალებათ სამკაულების ტარება და მთელი ცხოვრების მანძილზე თეთრი ტანსაცმელი უნდა ეცვათ. ქმარს როგორც კი გაასვენებენ სახლიდან, ქალი ვალდებულია, სამაჯურები დაამტვიროს — ასე უნდა გამოხატოს მწუხარება... ამ სურათზე ბიძაჩემი და ბიცოლაჩემი არიან გამოსახულნი. იმ დღეს, ვერცხლის ქორწილი ჰქონდათ და იმიტომაც იყვნენ საღებავსწაულოდ გამოწყობილნი... აი, ასეთი უცნაური წეს-ჩვეულებები გვაქვს.

— საქართველოში კიდევ ჩამოსვლას თუ აპირებთ?

— რა თქმა უნდა. აქ იმდენი მეგობარი მყავს, რომ როგორც კი მექნება დრო და შესაძლებლობა, აუცილებლად გამოვეშურები საქართველოსკენ, ჩემი მეგობრების სანახავად...



გასული საუკუნის 60-იან წლებში, სამთავრობო კონცერტები პატარა და-ძმის — ნუცა და ირაკლი ჯანელიძეების გარეშე თითქმის არ ტარდებოდა. ბევრი ადამიანის მესსიერებას შემორჩა ლამაზი და ღიმილიანი პატარა ნუცას წკრიალა ხმა... დღეს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ანსამბლის — „ფორტეს“ წევრსა და კონკურსის — „ნუცას სკოლა“ — სულისჩამდგმელს, მის მყურდო ბინაში სიმღერის მოყვარული უამრავი მოსწავლე ახვევია ხოლმე თავს და იქიდან ხშირად, მხოლოდ ნუცასთვის დამახასიათებელი მანერით აუღერებული მელოდები ისმის...

დაუვინყარი წლები მოსკოვის ინტელიგენციასა და მავებთან ერთად ანუ 2 წლის ასაკში ამღერებულ ნუცა ჯანელიძეს სცენაზე გამოსვლა აფრთხობდა

ნუცა თოფჩიშვილი

— მუსიკასთან ჩემი პირველი შეხება 2 წლის ასაკში მოხდა. კიკეთში ბებია-ბაბუასთან ერთად ვისვენებდი და მაშინ ავმღერდი პირველად. ფილმ „ჭრიჭინადა“ ჭრიჭინას სიმღერა წამოვიწყე წკრიალა ხმით... დღეაჩემი მსახიობი იყო და ამ დროს თბილისში იმყოფებოდა, მუშაობდა. ერთ მშვენიერ დღეს, მშობლებმა ამოაქოთხეს. ჩვენს სახლს რომ მიუახლოვდნენ, დედას ბავშვის სიმღერის ხმა მოესმა და უთქვამს — ნუცავ, ოღესმე ჩემი შვილი თუ იმღერებს ასეო?... ჰოდა, მე არ შევჩნი ხელში?! საბავშვო ბაღში არ ვმღეროდი, „ქართულს“ ვცეკვავდი. სიმღერა სკოლაში დაეწყო. სცენაზე 6 წლის ასაკში გავდი. მაშინ ამდენი საკონცერტო ღარბაზი არ იყო და კონცერტები ძირითადად, ოპერის თეატრში იმართებოდა. მთავრობის მამინდელ კონცერტზე მოხვედრა ადვილი საქმე არ იყო. სცენაზე ვილაც ღვთისნიერის წყალობით მოვხვდი: მკაჟანაძის დროს, ვილაც ღვთისნიერმა კომუნისტმა, ნიჭიერი ბავშვი წარმომაჩინა. უფრო მეტსაც გეტყვით — უფასოდ ტელეფონიც კი დაგვიდგეს იმ დროს, როცა სამისოდ უშველებელი რიგები იყო... ეს კი ასე მოხდა. მე და ჩემი ძმა რომ ავმღერდით, სულ სამთავრობო კონცერტებზე გვიწვევდა გამოსვლა. ერთხელ კონცერტის ორგანიზატორებმა ჩვენთან დარეკვა გადაწყვიტეს. რომ გაიგეს, ტელეფონი არ გვქონდა, — რას ჰქვია, ტელეფონი არ აქვთო! — და დაგვიდგეს.

— კომუნისტური მმართველობის ხანაზე ისე ლაპარაკობთ, კაცს ვგონებ, იმ დროის ნოსტალგიას განიცდით...

— კომუნისტების შექება კი გამომივიდა, მაგრამ ოჯახში კომუნისტი არავინ გვყო-

ლია. დედის მხრიდან ბაბუა თეთრგვარდიელი ოფიცერი იყო, მამის მხრიდან კი — მენშევიკების მთავრობაში მუშაობდა. მამაჩემმა ახალგაზრდობაში ჩაის ფოთლის საშრობი მანქანა გამოიფინა და იმის გამო, რომ გასაქანი არ მისცეს, სტუდენტობის დროს საზღვარგარეთ გაქცევა სცადა ორჯერ და დაიჭირეს. ჩვენი საუბრის გაპოლიტიზებას არ ვაპირებ, მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ყოველგვარი პატრონის და „ზურგის“ გარეშე მოვხვდით მე და ჩემი ძმა სცენაზე. ისე, ჭორიც დადიოდა ჩვენზე: იმ პერიოდში ცეკას ერთ-ერთი მდივანი ჩვენი მოგვარე იყო და ყველას მისი შვილები ვეგონეთ, ამბობდნენ — ამიტომაც „ქაჩავენო“. არადა, იმ კაცს არც ვიცნობდით.

— შემდეგ როგორ წარიმართა თქვენი მუსიკალური კარიერა? დედის პროფესიამ ხომ არ განაპირობა არჩევანი?

— რომ გითხრათ, კულისებში გავიზარდე-მეთქი, არ ვიქნები მართალი. მაგრამ დედას გასტროლებზე ყოველთვის დაგვავდი. ცოტა ხანი მე და ჩემი ძმა ვმღეროდით, მაგრამ მერე რატომღაც სცენის კომპლექსი გამიჩნდა. შემერცხვა სცენაზე გასვლის და გადავდი ჩემი ძმის, ირაკლის კონცერტმასტერობაზე, რადგან ვიცოდი, რომ მომღერალთან შედარებით, ნაკლებ ყურადღებას მომექცეოდნენ. ჩემი საქმეც მომწონდა. სცენაზე გასვლისას სირცხვილის გრძობა კარგა ხანს გამეცა. მერე ისევ რაღაც აუნხსნელი მოხდა ჩემში და მომიხდა, გამოჩენილიყავი. აღარ ვუუბნებოდი ოპერატორებს — არ ვადამილოთ-მეთქი, პირიქით — რაკურსებსაც ვარჩევდი... კონცერტმასტერობას ახლაც ვაგრძელებ, მაგრამ ამას კიდევ ორი საქმე

დაემატა — სიმღერასთან ურთიერთობა და „ნუცას სკოლა“. მყავს ვოკალში კერძო მოსწავლეებიც.

— ახლა, თუ შეიძლება, „ფორტეზე“ ვისაუბროთ. როგორ მოხვდით „ფორტეში“?

— დედა პიონერთა სასახლეში მუსიკალური განყოფილების ვოკალის პედაგოგია. თავიდან მისმა მოწაფეებმა შექმნეს ტრიო „თაიგული“, შემდეგ ის კვარტეტად გადაკეთდა, მაგრამ ავბედით დღეებში, კომუნდანტის საათის დროს „თაიგულის“ წევრი ზურა ბენაშვილი ზურგში მოხვედრილმა ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა... კვარტეტში თაობათა ცვლა მოხდა. მათთან თავიდანვე ვთანამშრომლობდი. უკვე 10 წელია, „ფორტეს“ კოლექტივი ერთად ვართ. რაც შეეხება სახელს — გვინდოდა, სახელად რაღაც მუსიკალური ტერმინი შეგვეჩინა და „ფორტეზე“ შევჩერდით.



მთხოვა — ნეაპოლურ სიმღერას ხომ ვერ დაუკრავო? — რომელს-მეთქი? — ვკითხვ, თითქოს ბევრი ვიცოდი... (რობერტინო ლორე-გისტან ერთად)



მირეი მატიემ ჩვენ სიმღერები გიროლურს მიამსგავსა და ძალიან მოეწონა...

— „ფორტეში“ სიმღერა არ გიცდიათ?

— მუშაობის პროცესში ძალაუნებურად ყველაფერს ვსწავლობ. ხდება, როცა პირველი ან მეორე ხმა გვაკლია და მე ვმღერი. ზოგჯერ კი, სცენაზეც მიწვევს გამოსვლა. ერთადერთხელ — 2001 წელს, ჩვენს სოლო კონცერტზე ხუთ ხმაში ვიმღერეთ.

— ერთ-ერთ ინტერვიუში ბრძანეთ — მოსკოვში საგასტროლოდ გამგზავრებამ ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა, იქიდან საკმაოდ გათამამებული და გამართული ჩამოვედიო. რას გულისხმობდით?

— მოსკოვში მოულოდნელად წავედი. არჩილ გომიაშვილმა დორიან კიტას (ფილარმონიის მამინდელ დირექტორს. — ავტ.) ჰკითხა — რომელიმე კოლექტივის ხომ არ შემომთავაზებ, რომელიც 3 დღე გამოვა რესტორანში — „ЗОЛОТОЙ ОСТАП“-ო? თან უნდოდა, რომ მის რესტორანში მრავალფეროვანი რეპერტუარის მქონე ანსამბლი ყოფილიყო. დორიანმა „ფორტე“ შესთავაზა. 3 ავესტო იყო ის ბუნდური დღე. პატარა ჩანთებით, შორტებით და მაისურებით წავედი. ეს ის პერიოდი იყო, როცა თბილისის ეზოებში გაპრანჭული ლამაზი ქალები ერთად ამზადებდნენ კერძებს ცეცხლზე — არც გაზი იყო და არც დენი... არჩილ გომიაშვილი ჰონონარს დოლარებით გვიხდიდა, თუმცა, ჩვენც რომ იტყვიან, ვირებივით ვშრომობდით. შესვენების დროს მოდიოდნენ, სიმღერებს გვიკვეთდნენ და ფულს გვთავაზობდნენ. თავიდან „ქართული ვარიანტი“ „გავუმ-ვით“ — როგორ გეკადრებათ-ოქო?! — ვამბობდით და ფულს ხელი არ კვიდებოდა. არჩილ გომიაშვილმა რამდენჯერმე დაგვიძახა და გვითხრა — თქვენ ხალხს ნუ მიფუჭებთ: ამ ხალხმა იცის, რომ მოძერაღს პატივი უნდა სცესო... იმდენად წესიერები ვიყავით, როცა შეკვეთილი სიმღერა არ ვიცოდით, ლანგარზე დაღებულ ფულს უკან ვაბრუნებდით. შემკვეთები ამაზე

იცინოდნენ და გვეუბნებოდნენ — პრობლემა არ არის, სხვა სიმღერა შეასრულეთო... ის 3 წელი, რომელიც მოსკოვში გავატარეთ, საოცარი პერიოდი იყო. ძალიან წესიერი მსმენელი გვყავდა: ინტელიგენციის წარმომადგენლებიც, შავებიც, ბიზნესმენებიც, უცხოელებიც და „ЛИЦА Кавказской нации“ — ჩეჩნები, ინგუშები, ოსები, აფხაზები, დაღესტნელები. რომ იცოდეთ, რამდენი აფხაზი მოსულა და ჩვენი სიმღერის დროს გასუსული მდგარა!.. თავიდან, შეთანხმების თანახმად, ჩვენს სიმღერებს საქმიანი საუბრებისას მუსიკალური ფონის ფუნქცია უნდა შეესრულებინა. მაგრამ მერე ისე მოხდა, რომ ჩვენი გამოსვლისას ხალხი საუბარს წვევტდა და გვისმენდა. ჩვენი წარდგენისას ბატონი არჩილი ამბობდა ხოლმე: Они не ресторанные певцы, они профессионалы и тут находятся не от хорошей жизни. წარმოუდგენელი პატივისცემით გვეყრბობოდნენ.

— „Золотой Остап“-ის სტუმრებიდან განსაკუთრებით ხომ არავის გამოყოფდით?

— მირეი მატიემ ჩვენ სიმღერები ტირილურს მიამსგავსა და ძალიან მოეწონა. ასევე აღფრთოვანებული იყო ჩაკ ნორისიც. რობერტინო ლორეტიც იყო, რომელიც ახლა ისე აღარ ბრწყინავს, როგორც ბავშვობაში, მაგრამ წარმატებული ბიზნესმენია და თან მღერის კიდევ. მისოვა — ნეპოლურ სიმღერას ხომ ვერ დაუკრავო? — რომელს-მეთქი? — კვითხე,

თითქოს ბევრი ვიცოდი (იცინის). — „სორენ-ტოსო“, — და ჩემი აკომპანემენტით იმღერა. რუსი მომღერლებიდან იმ პერიოდში მაღლინი იყო ძალიან პოპულარული და ხშირად მოდიოდა ჩვენს მოსასმენად, ჩვენთან ერთად იმღერა კიდევ.

— მოსკოვში საკონცერტო დარბაზშიც ხომ არ გამოსულხართ?

— „ოლიმპიისკიში“ გვექონდა კონცერტი. რუსეთის შოუბიზნესის თითქმის ყველა ცნობილი წარმომადგენელი ესწრებოდა. ოლიმპიულთა პატივისცემად გამართულ კონცერტშიც ვმონაწილეობდით. პროგრამაში გვექონდა ლენავესკის „Сердце“ და რევაზ ლალიძის „თბილისო“. „თბილისოს“ ვასრულებთ და შუა სიმღერისას ვაჩნა ბაგრატიონი ამოვარდა სცენაზე, მას მოჰყვა ანსამბლის მეგობარი ვჟულია ხოფერია, რომელიც რუსეთის ოლიმპური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა და ჩვენთან ერთად იმღერეს. დაუფიწყარი წუთები იყო.

— ახლა რომელიმე კონცერტო გაიხსენეთ, რომლის დროსაც რაღაც უჩვეულო შეგემთხვათ.

— პროფკავშირების სასახლეში გამართული კონცერტი დამამაზსოვრდა განსაკუთრებით. ყველა ცნობილი მომღერალი მონაწილეობდა. გამოსვლელს თავისი გამოსვლის შემდეგ, მომღვერო შემსრულებელი უნდა გამოეცხადებინა. მაცაცო სები-სკვერამე მე და ეკა კვალაშვილი გამოვაცხადა. დაგვემით ასე იყო: ეკა კვალაშვილს ცოცხლად უნდა ემღერა რომანსი, აკომპანემენტს კი მე გავუწვევდი; შემდეგ შემოდიოდა თემურ თათარაშვილი და ეკასთან ერთად ახალ ლუეტს შეასრულებდა, რომელიც მარია კვალაშვილის აკომპანემენტით იყო ჩაწერილი. ამ დროს მე უნდა გავსულიყავი სცენიდან, მაგრამ ვინაიდან ფონოგრამა იყო, რეჟისორმა მითხრა — დარჩი როიალთან და ისე მოიქეცი, ვითომ უკრავო. დავთანხმდი. თან კონცერტის დროს დარბაზის თვალიერება მიე-




ძალიან წესიერი მსმენელი გვყავდა: ინგელიგენციის წარმომადგენლებიც, შავებიც, ბიზნესმენებიც, უცხოელებიც და...

ვარს. დაიწყო სიმღერა. უსაქმოდ ვერ გავჩერდი და შეუქმნევლად სიმღერის გარჩევა დავიწყე. სიმღერა ფა მაჯორში იყო, ტონალობა დავიჭირე და უცრად ფონოგრამა გაწყდა. ეკა და თემური გაშრნენ. მე ეს სიმღერა არ ვიცოდი, მაგრამ არ დავბნეულვარ – რაღაც იმპროვიზაცია დავიწყე, თემურის ხმას მივყვებოდი... დღემდე არ ვიცი, რა მკარანაზობა აკორდებს... პირველი კუბლეტი, თავისი მისამღერით, ჩუმად დავუკარი, მეორიდან კი გავილაღე და მომღერლებიც გათამამდნენ... ნომერი ტაშის გრიალში დამთავრდა. კულისებში რომ გავედი, ხელები მიკანკალედა...

— დაბოლოს, თქვენი ცხოვრების ერთ-ერთი ბედნიერი შემთხვევა გაიხსენეთ.

— საოცარი ამბავი შემთხვევა. ეს ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ბედნიერი წუთები იყო. თურქეთში, ანტალიაში ვიმყოფებოდი. ამ მოგზაურობის ორგანიზატორებმა დანაბირები არ შეასრულეს, ამის გამო იქ ყოფნა ძალზე გამიგრძელდა და თბილისში გამოძახვარების არანაირი საშუალება არ მქონდა. „მამლუქის“ პერსონაჟი ზღვის პირას რომ ზის და ფიქრობს – ამ ზღვის იქით ჩემი სამშობლოაო, – აი, ასე ვივსეკე ზღვის პირას მეც და იმავეს ვფიქრობდი. ეს საშინელი, მწარე წუთები იყო ჩემთვის... და მოულოდნელად, შემთხვევით გამოჩნდა ბავშვთა ქართული ცეკვის ანსამბლი, რომელიც ავტობუსით მოემგზავრებოდა თბილისში. ხელმძღვანელს ვიხივე – თუ შეიძლება, გამოვცვებით-მეთქი. დამთანხმდა. ჩემთან ერთად იმყოფებოდა ლეილა შუბლაძე, რომელმაც თავისი „გროსები“ გამინაწილა გზაში. ეს სიკეთე არასოდეს დამავიწყდება. ღმერთმა არავის გამოაცდევინოს, მაგრამ ეს რა საოცარი გრძობა ყოფილა, გაჭირვებაში ადამიანი ხელს რომ გამოგიწვდის!.. ავტობუსის დაძვრის მომენტიდან, ისეთი შეგრძობა მქონდა, რომ ჩემზე ბედნიერი დღეადმიწის ზურგზე არავინ იყო.



საოცარი გრძობა ყოფილა, გაჭირვებაში ადამიანი ხელს რომ გამოგიწვდის!..



გიბ აბისალაშვილს მსახიობობაზე არასოდეს უოცნებია, მაგრამ ის არ ნანობს თავის არჩევანს. უფრო მეტიც, ბედნიერია, რომ აკეთებს იმ საქმეს, რომელიც ძალიან უყვარს.

გაგნათვალად დაწყებული ჰაჩიფა, ქაჩთული თვატრის ჯალმქეზი და სპაჟე პეშანილი ხელმძღვანელის თაყუზანისცემა

ეკა მინდიაძე

— ბატონო გია, მაინც რამ განაპირობა მსახიობის პროფესიის არჩევა?

— ბავშვობიდან ძალიან მიყვარდა ცეკვა და დიდი შრომის შედეგად იმდენს მივალწე, რომ ანსამბლ სუხიშვილების წევრი გავხდი. სწორედ ამ ანსამბლის წყალობით, სკოლის დამთარებისთანავე, მე და ჩემს თანატოლებს უნივერსიტეტში იმ ფაკულტეტზე ჩაგვაბარებინეს, სადაც კონკურსი არ იყო. კერძოდ, მატერიალურ-ტექნიკური მონარაგების ეკონომიკისა და დაგეგმვის ფაკულტეტზე. უბრალოდ, ამით ანსამბლის ხელმძღვანელებს უნივერსიტეტში ცეკვის გუნდის ჩამოყალიბება სურდათ. სწავლით იქ, როგორც თქვენ არ გისწავლიათ, ისე მე არ დავინტერესებულვარ არც ერთი საგნით. მაგრამ მიუხედავად ამისა, მსახიობობა არასოდეს მინდოდა. ერთ მშვენიერ დღეს, ქუჩაში სრულიად მოულოდნელად გამაჩერეს და დამპატიჟეს ფილმის სინჯებზე. დათქმულ დღეს მივედი და ჩემდა გასაკვირად, დამპატიცეს მთავარ როლზე ფილმში, რომლის სახელწოდებაცაა – „წერილები ბამიდან“. გადაღებები ციმბირში, კერძოდ, ქალაქ ნია-გრუზინსკაიაში მიმდინარეობდა. თბილისში ჩამოსვლისთანავე, ბატონმა რეზო ჩხეიძემ კინოსმსახიობთა თეატრში გამნათებლად მომაწყო. იქ შევხვდი ბატონ მიშა თუმანიშვილს, რომლის წყალობითაც დღეს მსახიობი მქვია.

— მისაღებ გამოცდაზე რა როლის შესრულება დაგვევალათ?

— მისაღებ გამოცდაზე დამავალეს შემესრულებინა ჩვეულებრივი ადამიანი, რომელსაც, გზაზე მომავალს, მანქანის საბურავი ეშუება და ის მაშინვე იწყებს გამოცვლას. ცოტა ხანში, ძლიერი ქარი მას საბურავს მოსტაცებს და მაღლა ააფრენს. საბურავი იმდენად მაღლა აფრინდება, რომ ჩემი გმირი ამის გამო გოცნებული მიშტერებია ცას... მეონი, კარგად შევასრულე, რადგან მისაღებმა კომისიამ მაღალი შეფასება მომცა.

— გაიხსენეთ ბატონი მიშა თუმანიშვილის პერიოდი, რამდენად მკაცრად გექცეოდათ, როგორც რეჟისორი?

— მიშა თუმანიშვილი ჩვენთვის მართო რეჟისორი კი არა, მშობელიც გახლდათ. ის უაღრესად შეყვარებული იყო თავის საქმეზე და ჩვენზე. მაშინ მე ბატონი მიშა მკაცრი მეჩვენებოდა, ახლა კი, დღევანდელი გადასახედიდან რომ ვუყურებ, სულაც არ იყო მკაცრი. ბევრჯერ გავგებრაზებია ისე, რომ მიუტოვებდნენ და ისევე უკან მოგვიყვანია. ბოლო დროს ისე გავუთამამდით, რომ სიყვარულს ხმამაღლა ვეფიცებოდით. არაერთხელ დავგიყენებია ბატონი მიშა მის მეუღლესთან ერთად სკამზე და ისე მოვფერებდით... მუშაობის დროს ის დალევის სასტიკი წინააღმდეგი იყო. თავისუფალ დროს, ნებას გვრთავდა და თან გვაფრთხილებდა: დალიეთ, მაგრამ ნუ „ჩაიხიციბით“ სასმელში.

— დაასახელეთ სპექტაკლი, სადაც საკუთარი თავი მოგწონთ.

— ძალიან მიყვარს „ზაფხულის დამის სიზმარი“ და „ბაკულას ღორები“.

— ძველი თაობის მსახიობებთან ვისთან გქონია ურთიერთობა?

— ბედნიერი ვარ, რომ ისეთ ადამიანებთან ერთად მომიწია მუშაობამ, როგორებიც იყვნენ: ეროსი მანჯგალაძე, ვანიჩკა საყვარელიძე, ვასო ჩხაიძე, გოგი გეგეჭკორი და სხვა. სხვათა შორის, მინდა სიამაყით აღვნიშნო, რომ მე მათთან ერთად ვიყავი საგრიმიოროში. თავიდან ძალიან მერიდებოდა შესვლა და ველოდებოდი გარეთ, სანამ ისინი არ გამოიცვლიდნენ ტანსაცმელს. მასხივს, ამის გამო ეროსი უხერხულად გრძობდა თავს და მეუბნებოდა — რას დგახარ, ბიჭო, მანდ? შემოდი ღროზეო! თუკი რუსთაველის თეატრი სადმე წავიდოდა, ბატონი ეროსი ყოველთვის ჩემზე ამბობდა: ეს კაცი ჩემთან ერთად მიმყავსო. მისი დირექტორობის (კინომსახიობის თეატრის. — ავტ.) დროს, ერთხელ, რუსთაველის თეატრის მთელი დასი სოფელ რუხში თეატრის ფესტივალზე მიგვიწვიეს. თბილისიდან მატარებლით გავემგზავრეთ. მატარებელში, რა თქმა უნდა, ქეიფი გაჩაღდა. ბატონმა ეროსიმ ფული მომცა: წადი, შამპანური მოიტანო. მეც ავდექი და ჩემი ფულით ვიყიდე, ხოლო მისი ფული უკანვე დავუბრუნე. ამის გამო მან ყურებში ჩამავლო ხელი, მომქანა და დამტუქსა: ბიჭო, შენ ვის უბედავ მაგასო?! უკან რომ მოვდიოდით, მატარებლით ჩვენთან ერთად სუხიშვილების ანსამბლიც მგზავრობდა. ბატონი ეროსი ზესტაფონში აპირებდა ჩასვლას. „სუხიშვილების“ ბიჭებს წინასწარ მოველაპარაკე, რომ ზესტაფონში მის გასაცილებლად დოლგარმონი დაეკრათ. მართლაც, გაჩერდა თუ არა მატარებელი ბაქანზე, დილის 7

საათზე, დოლგარმონით დასცხეს საცეკვაო მუსიკა. კაციშვილი არ ჭაჭანებდა, გარდა ერთი ქალისა, იქაურობას გვიდა. მუსიკის თანხლებით გაცილება იმდენად მოულოდნელი იყო ბატონი ეროსისთვის, რომ გახარებულმა აიტაცა ბაქანზე მყოფი ქალი ცოცხით ხელში და ისე წაუცეკვა.

— კურიოზი ალბათ, სცენაზეც ხშირად გადაგხდენიათ, არა?

— კურიოზი ბევრჯერ გამომხდენია, მაგრამ მინდა გავიხსენო „მღერიან და ხუმრობენ მსახიობების“ პირველი კონცერტი. სცენაზე გასულმა გავიფიქრე, სიმღერა თუ არა ცეკვა მაინც ვიცი-მეთქი. ავდექი და ისე მონღოლებულად დაგვზრიადი, რომ ფეხი გამისრიალდა, თავი ვეღარ შევიკავე და იატაკზე მოვჯექი. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც არ დავიბენი და ძირს დამჯდარმა მაშინვე გავშალე ხელები და დავიძახე — „ჰე!“ ზუსტად ასევე მოიტქა ჩემი პარტნიორი, რუსიკო ბოლქვაძეც, რათა მაყურებლისათვის შესამჩნევად არ გამხდარიყო ჩემი შეცდომა. ჰოდა, მაყურებელმა ეს ყველაფერი დადგმულ სცენად ჩათვალა.

— თქვენ ერთი პერიოდი, გადაცემა — „თეთრი ფარდა“ ფეხმოტეხილს მიგყავდათ; ტრავმა მუშაობის დროს მიიღეთ?

— ტრავმა ფილმის გადასაღებ მოედანზე მივიღე. სიუჟეტი ასეთი იყო: მე, ზურა ყიფშიძე და გურამ ფირცხალავა ვხტებოდით გემში. ამ დროს სხვა გემი



მეყვს მეუღლე, მაია ვაშაკიძე, რომელიც პროფესიით ყბა-სახის ქირურგია და...



...ორი ქალიშვილი — 10 წლის სალომე და 4 წლის ნინო

ამოდრავდა და ჩვენმა გემმა რყევა დაიწყო; რომ გადავხტი, იმ ადგილას გემი აღარ დამხვდა და ამის გამო მოვიტყევე ქუსლი.

— გაგვაცანით თქვენი ოჯახი.

— მეყვს მეუღლე, მაია ვაშაკიძე, რომელიც პროფესიით ყბა-სახის ქირურგია და ორი ქალიშვილი — 10 წლის სალომე და 4 წლის ნინო.

— სად და როდის გაიცანით ერთმანეთი?

— ერთმანეთი ქორწილში გავიცანით. ის ჩემი ბიძაშვილის მეჯვარე იყო. სწორედ იმ დღიდან დაიწყო ჩვენი ურთიერთობა. შეყვარებულობის პერიოდი დიდხანს გაგვეწვლა. არეული დრო იყო (ომიანობის პერიოდი), ვის ეცალა ცოლის მოსაყვანად?! დაქორწინებას განსაკუთრებით მეგობრები მაჩქარებდნენ, უფრო მეტიც — მათ რამდენჯერმე მაიას მოტაცებაც კი დაგეგმეს. ბოლოს, როცა მე და მაიამ, როგორც იქნა, ოჯახის შექმნა გადავწყვიტეთ, ქორწილი მეგობრებმა გადაგვიხადეს, ჩემი მეჯვარის, გოგა პიპინაშვილის აგარაკზე წყნეთში.

— თქვენი პროფესიიდან გამომდინარე, არ ეჭვიანობს ხოლმე ქალბატონი მაია?

— არა, მაია ბუნებით ეჭვიანი არ არის. ანდა საერთოდ, რატომ უნდა ეჭვიანოს, როცა ამის არავითარი საბაბი არ აქვს?..

— თქვენ თუ ხართ მეუღლის მიმართ ეჭვიანი?

— არა.

— თქვენ თეატრის გარდა, ტელევიზიაშიც მუშაობდით. უფრო კარგად რომელ ამბულუაში გრძნობთ თავს?

— რა თქმა უნდა, მე უპირველეს ყოვლისა, მსახიობი ვარ, რომელსაც ბევრი რამის კეთება სურს...



სცენაზე რუსუდან ბილქვაძესა და გოგა პიპინაშვილთან ერთად



მამაკაცი მამაკაცი

სწორფილბების რეჟისორის პირველ ფილმში გადაღებული 5 ქართველი წყვილი უცხოელ მყურებლებს ატკბობს?!

თბილისში გავრცელდა რამდენიმე მობილურის ნომერი, რომელიც ქალბატონებისთვისაა გამიზნული: დარეკავთ და მამაკაცის სასიამოვნო, ხავერდოვანი ხმა ინტიმს შემოგთავაზებთ. ვირტუალურ პარტნიორთან ვირტუალური სექსი წუთში სულ რაღაც (!) ერთი ლარი დაგიჯდებათ. თუ ამ მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით, შეგიძლიათ, „ხმას“ პაემანი და დაუნიშოთ. ის დაუზარებლად გენვებათ თქვენთვის სასურველ და მოსახერხებელ ადგილზე და შესაძლებლობა მოგეცემათ, უკვე ფიზიკური კონტაქტი დაამყაროთ — ბუნებრივია, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ...

მარი ჯაჭარიძე

ვინ არის „ხმა“, რატომ აირჩია თავის რჩენის ასეთი გზა, რის მიხედვით აწესებს „ტარიფს“ და შეატყის თუ არა სასელმწიფო ბიუჯეტში მოგების 12%, — ყოველივე ამას მისი ინტერვიოდან შეიტყობთ. დასაინანო, რომ შეხვედრასზე უარი მივიღე, ამის გამო ინტერვიუ ტელეფონით ჩავწერე და იძულებული ვარ, მისი გარეგნობაც ისე გადმოგცეთ, როგორც თვითონ აღმიწერა.

— ალო, გამარჯობათ!

— ვისმენ, ჩემო ანგელოზო...

— ანგელოზი კი არა, ყურნალ-ისტრი ვარ და თქვენთან ინტერვიუს ჩანერა მსურს.

— ო-ოო... სხვათა შორის, ველოდი, რომ აღრე თუ გვიან, რომელიმე ყურნალისტის ყურამდე მაღწევდა ჩემი არსებობა და თავი რესპონდენტის როლშიც წარმომიდგინა... თუ გნებავთ, მითხარით ქალაქის ტელეფონის ნომერი და გადმოვირეკავთ, თორემ ასე ძალზე ძვირი დაგიჯდებათ. მე ბევრი რამ მაქვს მოსაყოლი...

— მოდი, საუბარი თქვენი გარეგნობის აღწერით დავიწყოთ.

— იცით, ყველა ქალი რატომღაც სწორედ ამას მეკითხება ხოლმე. ალბათ იმიტომ, რომ მაგარი ხმა მაქვს. სხვათა შორის, გარეგნობაც

მაგარი „დაცმა“ მაქვს. არ მიჯერებენ ხოლმე კლიენტები, როცა ამას ვუხუბნები, მაგრამ რომ მნახულობენ, აღიარებენ, რომ მართლაც მაგარი ტიპი ვარ, სიმაღლით — 184 სმ ვარ.

— ეს „სმ“ სანტიმეტრს ნიშნავს თუ სულელ მამაკაცს?

— ჰმ, უფურე შენ... არც ისეთი სულელი ვარ, როგორც ვგონიათ. საუბრის ბოლოს მიხვდებით, რომ საკმაოდ ჭკვიანი ვარ და იმასაც მიხვდებით, ვინ არის სულელი... ეს „სმ“ სანტიმეტრს ნიშნავს. წონით 90 კილოგრამი ვარ. მოკლედ რომ ვითხრა, ჩემი პარამეტრები ასეთია: 184/90/25.

— ბოლო რიცხვი ალბათ ასაკია, ხომ?

— არა, ა... თუ ვერ მიხვდით, არა უმავს — ასე დაწერეთ და უფრო გამოცდილები მიხვდებიან, რასაც ნიშნავს... ასაკით 32 წლის ვარ, ოდნავ ჭლარაშერეული, სპორტული აღნაგობის, ენერგული, ტკბილი და გემრიელი...

— საკუთარ თავს მაგრად აზიარებთ!..

— „პროსტო“, რომ არ მიტყდებოდეს, ჩემს სურათსაც მოგეცემდი ყურნალში დასაბეჭდად და მერე გენასა პიარი და კლიენტების ზღვა...

— ოჯახი გაქვთ?

— არა, ცოლი არ მყავს. მშობლები საზღვარგარეთ ცხოვრობენ. და — მოსკოვშია

გათხოვილი, რუს ებრაელზე და იმდენი ფული აქვს, ნახევარ თბილისის იყიდის, რომ მოიწადინოს. ცოლი არასოდეს მყოლია. 17 წლის რომ ვიყავი, ერთი გოგო შემეყვარდა. ჩემი ოჯახი თავიდანვე ძლიერი და მატერიალურად წელში გამართული იყო. თბილისში სამსართულიანი კერძო სახლი გვექონდა და ყველა სართულზე ორ-ორი მოახლე მუშაობდა. არ მინდა, გავამეღაერო მამჩემის თანამდებობა, თორემ მიხვდებოდით, რომ არ ვტყუი. ეს გოგონა კი ძალზე ლარიბი ოჯახის შვილი იყო. ჩვენს ოჯახში ყოველთვის დედის აზრს ვცემდით პატივს და მამაც კი მას ემორჩილებოდა. ჩემი ბედიც დღეაჩემს გადაწყვიტა — შეყვარებულს დაემორჩილა. შემდეგ მამჩემს იყარაუდა, რომ მალე სამსახურიდან „მოსარალელებნენ“ და დაიჭვრდნენ კიდევ. ამიტომ თადარიგი წინასწარ დაიჭრა და მთელი ოჯახი საზღვარგარეთ წავედით. მამინ მე 20 წლის ვიყავი, თეატრალურ ინსტიტუტში ვსწავლობდი. 8 წელი დანაში ვცხოვრობდი. რეჟისორის დიპლომიც უცხო ქვეყანაში ავიღე. იქვე დავიწყე სერიოზულ ფილმებზე მუშაობა, მაგრამ ფილმი ჩავარდა. დღეი ზარალი ვნახე. იძულებული გავხდი, ისეთი საქმისთვის მომეკიდა ხელი, რომელიც საშუალებას მომცემდა, ვალები გამესტუმრებინა. ასეთი, ერთიკი და პირნიფილიებზე მუშაობა იყო. 11 ფილმი გადავიღე და საკმაო ფულიც ვიმოვე. მერე მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც, ასეთი საქმიანობა ეკრძალებოდა. იძულებული ვიყავი, გაეჩერებულიყავი. ავდექი და ფოტოსტუდია გავხსენი. მხოლოდ შიშველ ქალებს ვიღებდი და გამოფენასაც ვაწყობდი. ეს კანონით არ ეკრძალებოდა. იცით, რამდენმა ლამაზმა ქალმა გაიარა ჩემს ხელში?! როცა ვმუშაობდი, მოდელს ქალად ვერ აღვიქვამდი, ის ჩემთვის იყო ჩვეულებრივი ობიექტი, რომელსაც სურათს ვუღებდი, მაგრამ როცა ეს ჩვეულებრივი ობიექტი ტანისამოსის ჩაცმას იწყებდა, მამინ უკვე თავს ვეღარ ვიკავებდი ხოლმე. რა ვქნა, ქალები მაგრად მეყვანებ. შემძლია, დღეში იმდენი პარტნიორი გამოვიცვალო, რამდენი გოგოც ფიზიკურად მომეწონება და მასთან ყოფნის სურვილი გამიჩნდება...

— თბილისში რატომ ჩამოხვედით?

— 1993 წლიდან, საქართველოში ნამყოფი არ ვიყავი. აქედან ჩამოსულ ქართველებს დანაში შეხვედრივარ. მათგან ვიგებდი, როგორ შემოდილია ვეროპა და ცივილიზაცია თბილისში. ერთ დღეს გამიჩნდა სურვილი, ქართველი გოგონები გამომიეცნებინა ფოტომოდელურად. ბევრი აღარ მიფიქრა — ავდექი და წამოვედი. მამინ არ ვფიქრობდი, რომ აქ საცხოვრებლად დავრჩებოდი. რამდენიმე თვით ჩამოსვლა მქონდა განზრახული. აპარატურა იქიდან წამოვიღე, აქ ვიქირავე ფართი, სადაც ფოტოსტუდია მოვაწყვე. მაგრამ მერე მითხრეს, ასე ლიად არავენ გაშუშავებო. ავდექი და ჩემს სახლში ერთი ოთახი გამოვყავი ამ

საქმისთვის (ის სამსართულიანი სახლი, სადაც ადრე ვცხოვრობდით, ისევე მე მკუთვნის). თბილისში უკვე ნაცნობებიც აღარ მყავდა. არადა, ნაცნობობა აუცილებელი იყო იმისათვის, რომ მოდლები მომეტებნა. თავდაპირველად, ქუჩაში უცხო გოგონებს ვაჩერებდი ხოლმე, ვისაც კარგი გარეგნობა ჰქონდა. ზოგი მტყუპი იყო, ზოგი – არა. სულ რაღაც 100 დოლარის საფასურად იხდიდნენ და პოზირებდნენ ფოტოაპარატის წინ. მიცემულ პირობას არ ვარღვევდი და ფოტოებს მხოლოდ საზღვარგარეთ ვასაღებდი.

— ქართველი გოგონების ჩაცმის პროცესიც მოგწონო?

— რა თქმა უნდა, მაგრამ აქ ყველას ვერ ვითანხმებ ფიზიკურ კონტაქტზე. გაოცებული ვიყავი ხოლმე, როცა სრულიად შიშველი, საკმაოდ უხერხულ პოზაში მჯდომი გოგონასგან მესმის – ქალწული ვარო. ეს გულისამბრებია... ჭიკაძის ვერაგის დაუწყებლობა. არ სურს ჩემთან სექსი? კარგად იყოს... ერთი წლის წინ გადავწყვიტე, პორნოფილმი თბილისშიც გადავმეღო. მაგარი გამოვიდა! დაუკავშირდი ძველ ნაცნობებს უცხოურ არხებზე მომეტებე და ერთი ფილმი საკმაოდ კარგ ფასად გავყიდე. ასე რომ, სულ იოლი შესაძლებელია, უცხოეთის რომელიმე არხზე ნახოთ მაგარი პორნო, ქართველი მსახიობების მონაწილეობით. ფილმში სულ ათი მსახიობი თამაშობდა: 5 – გოგო, 5 – ბიჭი. ერთი გოგონა ქალწული იყო და სოლიდური თანხისთვის შევლია თავის ნალოლაგებს საქალაქო აქს. მისი პირველი მამაკაცი ის იყო, ვინც ფილმში პარტნიორობას უწყევდა. ფილმის დასრულების შემდეგ ისინი დაქორწინდნენ კიდევ. მეორე ფილმში მონაწილეობაზე კი უარი მითხრეს. ეს ბიჭი კარგა ხანს დამდევდა, – ამ ფილმს ვიყიდი, შენ თანხა დამისახლეო, – მაგრამ ვერ შესწავლა. რასაც ის მოვალეობდა, იმაზე 20-ჯერ მეტი გადამიხდა ერთმა ტელეარხმა... სხვათა შორის, ჩემს ფოტომოდლებად ორი, საზოგადოებისთვის საკმაოდ ცნობილი სახეც მუშაობდა.

— არ მეტყვი, ვინ იყვნენ?

— არც ისეთი გულუბრყვილი ვარ, რომ მათი ვინაობა გავთქვა: ისინი იმდენად ცნობილი ადამიანები არიან, მე რომ ვითხრა, თქვენ მაინც არ დაწერთ...

— პორნოფილმში ერთ-ერთი გმირი თავადაც ხომ არ იყავით?

— არა და არც მაქვს ამის სურვილი. ყოველთვის მიყვარს იმ მამაკაცების, რომლებსაც შეუძლიათ, კამერის წინ სექსუალური აქტი ჩაატარონ. ასეთ შემთხვევაში, მე ნამდვილად ჩაფხვალავდები: თუ ოთახში მესამე ადამიანია, ვერაფერს ვაკეთებ. სწორედ ამიტომ, არც ვგუფური სექსი გამომიძის, თუმცა სურვილი მაქვს, ორ ქალთან ერთდროული ურთიერთობის.

— სატელეფონო სექსის იდეა თვითონ მოგივიდა?

— რა თქმა უნდა. თბილისში, პრესასა და

ტელევიზიაში უხვად ქვეყნდება ინტიმური ტელეფონის ნომერი. ეს ცოტა მოუხერხებელია, რადგან სულ მინ უნდა იყო. მიზიღური კი სულ თან დამაქვს და კლიენტს ნებისმიერ დროს დაველაპარაკებ.

— როგორ, ქუჩაში ყოფნის დროსაც?

— ქუჩაში საუბარი ჩვეულებრივი მოვლენაა. ერთხელ ტაქსით მივდიოდი და ერთმა კლიენტმა სწორედ ამ დროს დამხვდა. თან მიხვდა – 5 წუთში ჩამტეი, დეპოზიტზე მეტი თანხა არა მაქვსო. დავიწყე ლაპარაკი. ამ დროს ვალდებული ვარ, ვინცემო და ვიკენსო, შესაფერის ტექსტთან ერთად. ტაქსის მძღოლი გაგიჟდა. ცოტა ხანს მისძინა, შემდეგ მანქანა გაჩერდა და გადავიდა. რომ მიხვდა, ლაპარაკს მოვრჩი, მერე განვუგრძეთ გზა. უამრავი შეკითხვა დამსყარა. ისე აღვუწერე ჩემი საქმიანობა, რომ ბოლოს აღფრთოვანებული იხსნა – აუ, რა მაგარია, აუ, რა „იდეინი“ ტიპი ყოფილხარო!.. მერე მკითხა – შენა, ცოლებიც გირეკავები? – ვისი ცოლები-მეთქი? – შევუბრუნე კითხვა. – აი, სხვისი ცოლები, გათხოვილი ქალები, რა! – უპ, რამდენიც ვინდა, იმდენი ქმრანი ქალი მირეკავს-მეთქი, – რომ ვუთხარი, დაბოილდა. როგორც ჩანს, ცოლებზე იტყვიან.

— მართლა, ბევრი გათხოვილი ქალი გირეკავთ?

— რა თქმა უნდა. კაცები სხვა ქალებს დასდევენ, მათი ცოლები კი, მე მირეკავენ და მიხივენ – ერთი მაგრად გამეძიო!..

— ბევრი კლიენტი გყავთ?

— უპ, ბლომად! მუდმივი კლიენტებიც მყავს. თუ ხმა მომეწონა და ვერბები, რომ სექსუალური ქალია, ავაგდებ ხოლმე და საქმე ბოლომდე არ მიმყავს, რომ შეხვედრა მიხივოს.

— ასეთი შემთხვევებიც გაქვთ?

— რამდენიც ვინდათ. თუ მოვიწოდებ, ნებისმიერ ქალს ვაძულებ, შეხვდეს. ვინც



ჩემთან დარეკავს, ის პოტენციურად თავისი პარტნიორის მოლაპარაკება. ამიტომ მის შეზღამ რაღა უნდა? მძით და სიტყვებით ვაგაგიყებ და ბუნებრივია, უწნდება სურვილი, რეალურად განიცადოს ის, რასაც ისმენს. წინასწარ ვაფრთხილებ, რომ ამისთვის ფულის გადახდა დამატებით მოუწევს.

— თქვენთან შინ ეპატიუებით ხოლმე?

— არა, რას ამბობთ?! მერე იმთა აქედან რაღა მოიცდებს?! თვითონ უნდა შეაჩიროს ადგილი და მე მივაღ.

— რა ღირს თქვენი მომსახურება?

— გაჩნია, რა შემთხვევაში. ტელეფონით საუბარი – წუთი ერთი ღირს, შეხვედრა – ყველაზე ცოტა, 50 ღირს.

— „ტარფს“ რის მიხედვით ადგენთ?

— მომსახურების მიხედვით. გაჩნია, რა უნდა. ჩემს პირად განწყობილებასაც ღიდი მნიშვნელობა აქვს. თუ ქალი მომწონს და მასთან ყოფნა მინდა, მაშინ 50 ღირს საკმარისია. თუ „კრაკადილს“ ჰგავს, მაშინ 200 ღირს უნდა გადაიხადოს. ვერ არ მქონია შემთხვევა, ვინმეს უფასოდ მოვმსახურებოდი. ეს დაუწერელი კანონია – გაწეული სამსახურისთვის გასამრჯელო უნდა ავიღო.

— ასეთ შემთხვევაში, ქალს მეძახს უნოდებენ. რა ჰქვია მამაკაც „მეძახს“? რაიმე განსაკუთრებული ტერმინი ხომ არ არსებობს?

— მე მეძახი არა ვარ და არც ის ვიცი, რა ჰქვია ასეთ კაცს, მაგრამ მიმჩნია, რომ ამაში მოუღებელი არაფერია. თქვენ რომ სტატუსს წერთ, ჰინორარს ხომ ვინდინა?.. ე.ი. იღებთ ფულს შესრულებული სამუშაოსთვის. ასევე ვიტყვი მეც.

— ჰო, მაგრამ ჩემი და თქვენი სამსახური ძალზე განსხვავდება ერთმანეთისგან. თქვენ ის მითხრათ, სახელმწიფო გადასახადს თუ იხდით? ბიუჯეტში თანხა შეგაქვთ?

— სატელეფონო კომპანიასთან, რომლის ქსელშიც ვარ ჩართული, ხელშეკრულება მაქვს გაფორმებული. კლიენტი იხდის წუთში ერთ ღირს. ამას აკლდება ჩვეულებრივი წუთობრივი გადასახადი – 30 თუ 29 თეთრი და დარჩენილი თანხა იფოვა შუაზე ჩემსა და სატელეფონო კომპანიას შორის. იმ თანხიდან 12%-ის ვინდი – მოგების გადასახადს სახელმწიფო ბიუჯეტში. რაც შეეხება შესხვედრების დროს გადახდილ თანხას, ის არ იხდებრება და მილიანად მე მრჩება.

— უფრო ხშირად რა ასაკის ქალბატონები გირეკავენ ხოლმე?

— ყველა ასაკის – 15-დან 60 წლამდე ასაკის. ყველაზე „გემრიელი“ ასაკია 30-40 წელი. ამ ასაკში მყოფ ქალს არაფერი სჯობს. ხელის ერთ შეხებაზეც კი ისე თუხთუხებენ, ცხელდებიან და დნებიან, რომ ვაგაგიყებენ კაცს.

— გამუდმებით ამ თემაზე ფიქრი და საუბარი არ გლლით?

— არა, რას ბრძანებთ, პირიქით. ამაზე სასიამოვნო თემა რაღა უნდა იყოს?!

— პორნოფილმების გადაღებას ისევ აგრძელებთ?

— ამჟამად გაჩერებული ვარ, მაგრამ ვბუზობ სცენარზე. რომ დაეასრულეს, აუცილებლად დაიწყებ გადაღებებს.

— მგონი, დროა, დაგემშვიდობოთ...

— მოიცათ, მოიცათ, რატომ არ მისვამთ ჟურნალისტების საყვარელ შეკითხვას?

— ნუთუ რამე გამომჩნა?

— კი, დაგავიწყდათ გეკითხათ — რაიმე კუროზი ხომ არ შეგმთხვევია?

— ა-ა-ა როგორც ჩანს, კარგი კუროზი გაქვთ მოსაყოლი.

— აი, ეს უკვე ნამდვილ ინტერვიუს ჰგავს. მოგიყვებ?... ღამისით კითხვა და მოგიყვებით.

— კარგი... რაიმე კუროზს ხომ ვერ გაიხსენებდით?

— დიდი საძიებოთ. ერთხელ რუსთაველის გამზირზე ფეხით მივიდი, როცა ერთმა კლიენტმა დამირეკა. საღამო ხანი იყო. საუბრის დასაწყისიდანვე მიხვდი, რომ კარგა ხანს მომიწევდა ლაპარაკი. ამიტომ ქაშუეთის უკან, ბაღში შევედი და თავისუფალ საკმზე დავჯექი. ჩემ წინ წყვილი იჯდა. ერთმანეთს ესუტებოდნენ. მე ტელეფონით საკმაოდ ხმაძალდა ვლაპარაკობდი. ორივეს ესმოდა ჩემი ხმა. ცოტა ხნის შემდეგ შევნიშნე რომ ბიჭი სწორედ იმას აკეთებდა, რასაც მე კლიენტს ვუბნებოდი. გოგონა უსიტყვოდ ემორჩილებოდა. გადავწყვიტე, წყვილისთვის მაგრად გამესწორებინა და ისეთი პოზა შევუჩინე კლიენტს, რომელიც მათთვის მოსახერხებელი იქნებოდა... მოკლედ, ყველაფერი კარგად დამთავრდა. ბოლოს, გოგონამ ტანისამოსი გაისწორა, მომიხლოვდა და მითხრა — დიდი მადლობა, 3 წელია, ერთად ვართ და ასეთი საინტერესო სექსი ვერ არ გვქონიაო; მერე დაიხარა და მაკოცა...

— იმედი, მათაც არ მოსთხოვეთ ფული „მომსახურებისთვის“...

— არა, არ მომიტხოვია, რადგან ვერ მოვიფიქრე... თქვენ ძალზე პრაქტიკული გონება გქონიათ. აუკ, რა შანსი გამიშვია ხელიდან! ორმაგად ავინაზღაურებდი დახარჯულ ენერგიას, ვგრძობ მომფიქრებოდა...

ტენმაყუებელმა უნდა დაინახოს მოვიდი და ახა გადაჰხანჭედი სახე

პროფესიით ფილოლოგმა ძაითი მძაღლიძემ დიდი ხნის ოცნება აისრულა და წელს, თებერვალში ვიზაჟის სკოლა ჩამოაყალიბა. ჯერჯერობით საქართველოში ეს ერთადერთი სასწავლებელია, სადაც სალონისა და საეკრანო (ტელევიზიის) ვიზაჟს ასწავლიან.

ნათია თენიეშვილი

— საქართველოში ულამაზესი ქალები არიან. მთავარია, ზომიერების დაცვა მაკიაჟის კეთების დროს. ახლა გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა ამ მხრივ. ვიდრე 7-8 წლის წინ იყო. მაშინ ხშირად შეხვდებოდი შავ ან მუქ ყავისფერ კონტურს და შავ პომადას თბილისელი ქალების ტუჩებზე. ასეთი სახეები დღეს აღარ გვხვდება. ახალგაზრდები კარგად გრძნობენ საკუთარ სტილს.

— როგორ დაინწყით ეს საქმიანობა?

— პროფესიით ფილოლოგი ვარ. ხატვა ყოველთვის მიყვარდა და ბავშვობიდან ვხატავდი. 1997 წელს მიხვდი, რომ ჩემი პროფესია აღარ მაკმაყოფილებდა და რაღაც ახალი მიხლოდა. ჩემი ხატვის ნიჭი ნელ-ნელა სახის ხატვაში გადაიზარდა და გამიჩნდა სურვილი, მესწავლა ვიზაჟი. მაშინ ჩვენთან ამის არანაირი საშუალება არ არსებობდა. ვიზაჟის ხელოვნების დასაუფლებლად სანქტ-პეტერ-



საქართველოში დაბრუნების შემდეგ, გავხდი ფრანგული ფირმა „კლარინისის“ მენეჯერი. იმავე წელს ვიმუშავე სილამაზის კონკურსზე...

ბურგში, კინოსტუდია „ლენფილმის“ ბაზაზე ჩამოყალიბებულ ვიზაჟის სკოლაში წავიდი. საქართველოდან პირველი წარმომადგენელი ვიყავი. მყავდა ძალიან კარგი პედაგოგი და მან საშუალება მომცა სწავლის პერიოდში სხვადასხვა კლიპის ვიზაჟზე მემუშაე. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 1998 წლიდან გავხდი ფრანგული ფირმა „კლარინისის“ მენეჯერი. იმავე წელს ვიმუშავე სილამაზის კონკურსზე. ძალიან საინტერესო იყო მუშაობა მანანა სურმაკას ტელესპექტაკლზე — „აქ მატარებლებს თეთრად ათოვს“, — რომელიც მან ანდრე მორუას ნაწარმოებების მიხედვით დადგა. წელიწადზე მეტი ვიმუშავე ნატო ონიანთან ტელეპროგრამა „ტაიმ-აუტის“ დროს. პარალელურად სულ ვფიქრობდი სკოლის გახსნაზე და როგორც იქნა, წელს მოვახერხე. სკოლაში, ორი ძირითადი კურსის გარდა, გვაქვს ერთდღიანი კურსი, სადაც ქალბატონები ისწავლიან მაკიაჟის კეთებას საკუთარ სახეზე. ამ კურსში შედის კონსულტაციები სახის კანსა და მის მოვლასთან დაკავშირებით. აუცილებლად უნდა დავიმასსოვროთ, რომ მაკიაჟი მხოლოდ კარგად მოვლილ კანზე ვდება ისე, როგორც საჭიროა.

— ზაფხულში საკმაოდ პრობლემურია მაკიაჟის კეთება. როგორ

ქონათან სეიფუტის სატირული ნაწარმოების გმირი	ხმელეთის გიგანტური ძუძუმწოვარი	პრესაში ეგზემპლარების რაოდენობა	მოეტი და საზოგადო მოღვაწე ... ერისთავი	პირველი ქალი დელამიწაზე	მეცნიერის სახელთან დაკავშირებული მცნება: სიცარიელე
3	2	1	4	5	6
სისხლის მიმოქცევის ორგანო	გ. შენგელაიას ფილმი „... უბნის მელორდები“	მფრინავი	მშის ღმერთი	საფანის ცხოველი	მარცველულის შესანახი დიდი ნაგებობა
					ერნესტო ... გევარა

უნდა შევიღებოთ ისე, რომ არც ჩვენ შეგვექმნას დისკომფორტი და არც კანისტვის იყოს ეს მაგნებუ-ლი?

— ყველა ტექსტურა, რომელსაც ზაფხულში სახეზე ვისვამთ, უნდა იყოს უცხიმო და წყლის მაღალი შემცველობის მქონე. სხვადასხვა ბრენდი სპეციალურად ზაფხულისთვის ქმნის ტონალურ კრემებს. თუ სახე პრობლემურია, ჩვენ გვჭირდება ზაფხულისთვის გათვალისწინებული თხელი ტონალური კრემი, კარგი დაფარვის უნარით. უპის რკალების დასაფარავად საჭიროა კონსილენი. ეს არის დიდი რაოდენობის პიგმენტებით გაჯერებული თხევადი საშუალება, რომელიც ისმება თვალქვეშა ჩრდილებზე და ძალიან კარგად ფარავს მას. მაკიაჟის პირველი ეტაპი არის — თანაბარი სახე. ზაფხულში არ არის საჭირო ჩრდილების რთული კომპოზიციები. საკმარისია, ერთი ხალისიანი ფერი მოძრავ ქუთუთოზე და — კარგი განწყობილება შექმნილია. ზაფხულის ვიზაჟის ფუძე ოქროსფერია. ოღონდ, ცივი გარეგნობის ქალბატონებს ეს ფერი არ უხდებათ. მათთვის უმჯობესია, ვერცხლისფრის, იასამნისფრისა და ცისფრის თამაში სახეზე. თბილი გარეგნობის ქალებს კი უხდებათ, ოქროსფერი ფუძე და ერთი რომელიმე ფერის ჩრდილი მოძრავ ქუთუთოზე. თვალის ფანქარი აუცილებელი არ არის, საკმარისია კარგად აპრეზილი წამწამები. ამას უნდა დაუმატოთ ფერუმარილი — ლაწკებზე და გლოსი — ტუჩზე. ეს არის ზაფხულის ყოველდღიური მაკიაჟი. ზღვის ვიზაჟი აუცილებლად უნდა შესრულდეს მდგრადი კოსმეტიკით. თანამედროვე ბაზარზე არსებობს სპეციალური — ზღვისთვის შექმნილი, მდგრადი კოსმეტიკა. თუმცა, ის არ არის გათვალისწინებული ყოველდღიური ხმარებისთვის.

— როგორ უნდა მოვიცილოთ მაკიაჟი?

— ყველაზე დიდი შეცდომა, საპნით სახის დაბანაა. ჩვენ სახეზე გვაქვს ჰიდროლიპიდური შრე. ეს არის იმ ოფლისა და ცხიმის ნარევი, რომელსაც ჩვენი კანი გამოყოფს და რომელიც მასზე გადაკრულია უხილავი აპკით. ის გვიცავს

გაუწყლოებისგან, ეკოლოგიის მავნე აგრესიისგან, სიცივისგან და ა.შ. ეს არის საფარი, რომელიც კანს სიჯანსაღეს უნარჩუნებს. საპნით დაბანის შემთხვევაში, ჰიდროლიპიდური შრე იშლება და მის აღდგენას დაახლოებით 4 საათი სჭირდება. თუ კანი მშრალია, მისი გასუფთავება ხდება გამწმენდი რძით, რომელიც სახეს უნდა მოშორდეს გამწმენდი ლოსიონით. კომბინირებული, ნორმალური და ცხიმოვანი კანისთვის არსებობს მაკიაჟის ჩამოსაბანი სპეციალური ჟელე, რომლის ხმარების შემდეგაც, კანი ისევ ლოსიონით უნდა გავიწმინდოთ. თვალი განცალკევებით უნდა განვიხილოთ. თვალის მაკიაჟის მოცილება გამწმენდი რძით არ შეიძლება, ის სპეციალური საშუალებებით უნდა მოვიცილოთ. სახის გაწმენდისას არ უნდა დავივიწყოთ ყელი და ტუჩსაცხიც აუცილებლად კოსმეტიკური რძით უნდა მოვიცილოთ.

— თუ შეგიძლიათ გვიჩვენოთ სახლის პირობებში დამზადებული ნიღბები, რომელიც ზაფხულში კანის სიჯანსაღის შენარჩუნებაში დაგვეხმარება?


— ზაფხულში ყველაზე დიდი პრობლემა კანისთვის გაუწყლოებაა. ამიტომ გირჩევთ, დღის განმავლობაში ლიტრანახევარი (უმჯობესია, მინერალური) წყალი მაინც მიიღოთ. ზაფხულში უნდა ვიხმაროთ დამატენიანებელი ნიღბები. ძალიან კარგია გახეხილი კიტრის ფაფა, ოღონდ — არა კიტრის კანის: მასში შეიძლება პესტიციდები იყოს. სასარგებლოა კარგად გარეცხილი მარწყვის ნიღბი, ოღონდ — არა შერძნობიარე კანისთვის. ხშირად კანის გასათეთრებლად ლიმონს ხმარობენ. მინდა გავაფრთხილო ქალბატონები — საკმარისია ლიმონის რამდენიმე წვეთი, ჩამატებული სხვა ნიღბში და არა მთლიანი ლიმონის წვენი, რაც შეიძლება საზიანოც კი იყოს თქვენი კანისთვის. გვირდის ნაყენი ანტისეპტიკური და კანის დამამშვიდებელი საშუალებაა. თუ გამონაყარი გაქვთ, შეგიძლიათ ის დაუმატოთ კიტრის ნიღბს. პირველი პირობა იმისა, რომ კანი გადავარჩინოთ ნადრევე დაბერებას, ზაფხულობით დამცავი ფილტრის მქონე კრე-

მბის ხმარება გახლავთ. ჩემი აზრით, კრემის დამცავი ფილტრი ქალაქის პირობებში ნ-დან 10-მდე უნდა იყოს, ზღვის სანაპიროზე კი, — მინიმუმ 15.

ცივი წყლის შესხმა და ყინულის კუბურების დადება ძალზე მარტოვლია კანისთვის, ოღონდ — არა კანის გასასუფთავებლად, არამედ მიკროცირკულაციის გასაუმჯობესებლად. კუბურები, რომელიც შეიძლება სხვადასხვა ნაყენის იყოს, გაწმენდილ კანზე უნდა მოვისვათ.

— პროფესიონალი ვიზაჟისტი ხართ და საინტერესოა თქვენი აზრი იმაზე, თუ ქართული შოუბიზნესის წარმომადგენელთაგან ვინ იკეთებს ყველაზე სწორ და ლამაზ მაკიაჟს?

— დიდ ბოდიშს ვუხდი გემოვნებიან ქალბატონებს — შეიძლება, ვინმე გამოძრჩეს — მაგრამ ჩემთვის თვალში მოსახვედრია ლელა წურწუმიასა და მაკა ასათიანის მაკიაჟი — მათ კარგად იციან ეს საქმე და ეს ერთი შეხედვითაც შეიმჩნევა. რაც შეეხება ტელეკომპანიებს — ჩემი



ზაფხულში ყველაზე დიდი პრობლემა კანისთვის გაუწყლოებაა...

აზრით, „რუსთავი 2“-ის მაკიაჟი ყველაზე პროფესიონალურია. ტელეწამყვანს არ უნდა ჰქონდეს საღამოს მაკიაჟი და გაფერადებული სახე. ტელემაკიაჟი ნიშნავს სწორად ამოყვანილ ნაკეთებს, გადატვირთვის გარეშე. მაყურებელმა უნდა დაინახოს მოვლილი და არა გადაპრანჭული სახე...

გაქრისტიანებული არაბი ყმაწვილი	სახელმწიფო აფრიკაში	პირის ნაცვალ-სახელი	მამაკაცის დაბადის სასიმღერო ხმა	ტომი ... ჯონსი	ალკოჰოლური სასმელი	თაგუნია ... მაუსი	მე, შენ, ის, ჩვენ, თქვენ ...
სწონი	ეკე	ხი	კ	მ	ე	ბ	ს
რტუგალის ელაქალაქი	მეუღლის შვილი წინა ქორწინებიდან	ერთუჯრედიანი ორგანიზმი „ცრუფებით“	მასალა მკერდის კორექციისათვის	პიპინიას შვილიშვილი	ბილიარდის ჯოხი	ლანგარი	

როსა მზა აქტიურდება...

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

ზაფხულში იზრდება გულ-სისხლძარღვებით დაავადებულთა რიცხვი. სიცხის გამო ჰაერში მკვეთრად მცირდება ჟანგბადის რაოდენობა, რაც ადამიანებში რეფლექსურად კანის სისხლძარღვების გაფართოებას იწვევს. ამავე დროს, იზრდება გულისცემის რიტმი, აჩქარებულია სუნთქვა, ვითარდება ჰაერის უკმარისობა, ხუფთა, თავბრუს ხვევა, წნევის მაჩვენებლები გამუდმებით იცვლება.

უსიამოვნებები რომ აიცილოთ თავიდან, გირჩევთ:

● დღე-ღამეში სვით 2 ლ-მდე წყალი (ვისაც შემუბება ეწყება, 1-1,5 ლ), რადგანაც სიცხეში ორგანიზმი ოფლის სახით დიდი რაოდენობით სითხეს კარგავს.

● ერიდეთ ნაშუადღევს მზეზე სიარულს – გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებისას, სიცხეში ყველაზე საშიში პერიოდია ნაშუადღევი, რადგან

სწორედ ამ დროს ჰაერში მკვეთრად მცირდება ჟანგბადი.

● წნევიანებისთვის არათუ გარუჯვა, არამედ მზეზე დიდხანს ყოფნაც კი არ შეიძლება. ამ დროს, ინსულტის განვითარების საშიშროება მატულობს. შინიდან გასვლისას, თან იქონიეთ წამლები: ვალიდოლი, ნიტროგლიცერინი, წნევის დამწვევი საშუალებები.

● ტკბილი გაზიანი სასმელები შეცვალეთ ხილის ნატურალური წვევებით. გულით დაავადებულებმა ყოველ დილას უნდა მიიღონ წყალში გახსნილი 1 ს/კ თაფლი.

● უმჯობესია, სიცხეში არ ატაროთ ლითონის სამკაული, რადგან იგი ხელს უშლის სისხლის მიმოქცევას.

● განსაკუთრებული მნიშვნელობა

ენიჭება ძილის ნორმალურ რეჟიმს და ფეხით სიარულს.

მაგნიტური დღეები

● მაგნიტურ დღეებში (წინადღესაც) უნდა მიიღოთ ნებისმიერი, თქვენთვის ჩვეული, სისხლის გამათხელებელი წამალი (მაგალითად, ასპირინი), რომელიც ხსნის ტკივილის შეგრძობას.

● ვისაც აწუხებს არითმია, იშემია, გადატანილი აქვს ინფარქტი ან ინსულტი, მზის აქტიურობის დროს განსაკუთრებულად უნდა დაიცვას ექიმის დანიშნულება, ყოველთვის თან უნდა იქონიოს დანიშნული წამლები.

● მზის ამოფრქვევისას, მნიშვნელობა არა აქვს, სად იმყოფებით – შინ თუ გარეთ; თუმცა, სუფთა ჰაერზე და თანაც ჩრდილში, სუნთქვა შედარებით უმჯობესდება.

● მაგნიტურ დღეებში გულს უჭირს სისხლის გადაქაჩვა, ამიტომ ნუ ივლით სწრაფად, ნუ ატარებთ სიმძიმეებს და ნუ წახვალთ სამოგზაუროდ. ■



სათესლე ჯირკვლის კიბო – როგორ დავისვამთ თავი?

სათესლე ჯირკვლის კიბო შედარებით იშვიათი, მაგრამ საკმაოდ ვერაგი სიმსივნური პათოლოგიაა. იგი ახალგაზრდა — 20-დან 40 წლამდე ასაკის მამაკაცებში გვხვდება და საკმაოდ სწრაფად იძლევა მეტასტაზებს. მამაკაცთა ჯანმრთელობა მათსავე ხელშია, რადგან სათესლის კიბოს ადრეული აღმოჩენა გასინჯვით მხოლოდ მათ შეუძლიათ.

ავთვისებიანი წარმონაქმნები, როგორც წესი, ადამიანებს იმ ასაკში უვითარდებათ, როცა იმუნურ სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები ჩნდება ხოლმე. სათესლე ჯირკვლების კიბო კი (ყველა ავთვისებიანი წარმონაქმნის მხოლოდ 1%-ს რომ წარმოადგენს) გვხვდება შრომისუნარიან ადამიანებში, ძალების გაფურჩქნის ასაკში. დაავადების პიკი 32 წლის ასაკზე მოდის (სხვა სიმსივნებისთვის იგი 68 წელია), 40 წლის შემდეგ კი, ამ სიმსივნის განვითარების რისკი მკვეთრად კლებს.

სათესლის კიბოს განვითარების ერთი სერიოზული რისკ-ფაქტორია კრიპტორქიზმი (სათესლე ჯირკვლის პარკში ჩამოუსვლელობა). დაბადებისას ბიჭუნას ორივე ჯირკვალი სათესლე პარკში უნდა ჰქონდეს ჩამოსული; თუ ასე არ არის და ჯირკვალმა არც პირველი წლის განმავლობაში მიიღო ფიზიოლოგიური მდგომარეობა, მაშინ ხშირ შემთხვევაში, საჭირო ხდება ოპერაციული ჩარევა, რადგან, მუცლის ღრუში განვითარებული ჯირკვალი ავთვისებიან გადაგვარებას განიცდის.

გამოკვლევებით დადგენილია, რომ ამ სიმსივნის განვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს გენეტიკურ (მემკვიდრულ) ფაქტორს.

სათესლის კიბო უნშირესად ვითარდება სათესლე არხში წარმოქმნილი სიმსივნური უჯრედებისაგან. ასეთი ერთეულოვანი სიმსივნური უჯრედების წარმოქმნიდან კიბოს კლინიკურ გამოვლინებამდე 7 წელზე მეტი დრო გადის. ამ ხნის განმავლობაში სიმსივნის ზომა საკმაოდ სწრაფად მატულობს – ყოველ 3 თვეში იგი ორმაგდება.

საკუთარი ჯანმრთელობის სადარაჯოზე


როგორც ქალებში აქვს დიდი მნიშვნელობა სარძევე ჯირკვლის კიბოს დროულ გამოვლენას პროფილაქტიკური თვითგასინჯვით, ასევე საჭიროა სათესლე ჯირკვალზე თვითკონტროლი. რა შეიძლება მიიჩნიოთ საეჭვოდ? სათესლის გადიდება, მისი უჩვეულო კონსისტენცია, არაერთგვაროვნება, გამკვრივება. ავადმყოფთა 30% უჩივის სიმძიმის შეგრძობას სათესლე პარკში. სექსუალურ ფუნქციაზე სიმსივნე გავლენას არ ახდენს. დაიხსომეთ – სათესლის კიბოს ტკივილი არ ახასიათებს! ამიტომ გასინჯვისას რაიმე უჩვეულოს აღმოჩენისთანავე, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს. ხშირად პაციენტები ექიმს მხოლოდ მაშინ აკითხავენ, როცა სიმსივნის ზომა საკმაოდ დიდია და მეტასტაზებიცაა განვითარებული. ისინი შეიძლება განვითარდეს მუცლის ღრუ-ფურ კვანძებში, ფილტვებსა და სხვა ორგანოებში. მათი გამორიცხვის მიზნით, უნდა ჩატარდეს გულმკერდის რენტ-

გენოგრაფია, მუცლის ღრუს ულტრა-ბგერითი გამოკვლევა, ზოგჯერ კი საჭირო ხდება მუცლის კომპიუტერული კვლევაც.

ასეთი სხვადასხვაგვარი

„სათესლის კიბოს“ სახელწოდებაში ერთიანდება სხვადასხვა სახის სიმსივნე (სემინომა, ემბრიონული კარცინომა, ტერატოკარცინომა, ქორიონკარცინომა), რომლებიც ხშირად ერთმანეთს ერწყმის. სიმსივნის შენების თავისებურებისა და მეტასტაზების არსებობის შემთხვევაში, მათი გავრცელების თავისებურების შესაბამისად, ექიმი ირჩევს მკურნალობის სხვადასხვაგვარ ტაქტიკას.

პირველ რიგში, აუცილებელია სიმსივნის ძირფესვიანად ამოკვეთა სათესლე ბაგირაკთან ერთად. ქირურგის მანიპულაციებმა შეიძლება გამოიწვიოს კიბოს უჯრედების გადასროლა სისხლში და მეტასტაზების განვითარება, ამიტომ ოპერირებისას სიფრთხილის განსაკუთრებული ზომების დაცვა საჭირო.



შემთხვევათა 5%-ში, პაციენტებს მეორე სათესლეზეც აღმოაჩნდებათ ხოლმე კიბო უჯრედულ ღონეზე. ასეთ შემთხვევაში, მეორე სათესლეს უნარჩუნებენ და უტარებენ სხივურ თერაპიას. ღიმფურ კვანძებში მეტასტაზების არსებობისას კი, ტარდება მათი ამოკვეთა სხვადასხვა მეთოდით (შესაძლებელია — ლაპაროსკოპიით). შემდგომ გრძელდება ქიმიო და სხივური თერაპია.

სათესლის კიბოს მკურნალობის ეფექტურობა თანამედროვე სამედიცინო ცენტრებში 90-93%-ს აღწევს. საბედნიეროდ, უმრავლეს შემთხვევაში, ეს

სიმსივნე კარგად ექვემდებარება სხივურ თერაპიას და მგრძობიარეა თანამედროვე ქიმიოთერაპიული პრეპარატებისადმი.

ოპერაციული მკურნალობის შემდეგ ხშირად, ირღვევა თესლდანთხევის პროცესი და ვითარდება ე.წ. მშრალი სქესობრივი აქტი. თუ მამაკაცს სურს, მომავალში შვილები იყლიოს, შესაძლებელია, სათესლის ამოკვეთის ოპერაციამდე დაკონსერვდეს სათესლე სითხე, რათა შემდგომში მოხდეს მისი გამოყენება ხელოვნური განაყოფიერებისთვის. სექსუალური ფუნქცია ერთი სათესლის ამოკვეთის შემდეგ მამაკაცთა უმრავლესობას არ ერღვევა, რადგან მეორე ჯირკვალი იწყებს ინტენსიურ ფუნქციონირებას და ორივე ჯირკვლის მაგივრად „მუშაობს“. ანტროპოგენული უკმარისობის ნიშნების (სქესობრივი ლტოლვისა და სექსუალური აქტიურობის დაქვეითების) გამოვლენისას, ინიშნება ჩანაცვლებითი თერაპია, მამაკაცური სასქესო ჰორმონით — ტესტოსტერონით.



დიდხანს მიიჩნეოდნენ, რომ ბალი კვებით და სამკურნალო თვისებებით ჩამორჩება სხვა ხილს. სინამდვილეში კი, მასში ძალიან ბევრი კალიუმი, რისი წყალობითაც ის უბარი შარდმდენია, გარდა ამისა, შეიცავს პროვიტამინ A-ს, C-ს და B ჯგუფის ვიტამინებს, ნიკოტინის მჟავას, სპილენძს, თუთიას, კობალტს, კალციუმს, რკინასა და მანგანუმს, ორგანულ მჟავებს. ბალი შეიძლება ჭამონ მათაც, ვისაც კუჭის წყლული აწუხებს. ბლის ყიდვისას უპირატესობა უნდა მივანიჭოთ მუქი ფერისას, რადგან ის უფრო მდიდარია მცენარეული პიგმენტებით, რომლებიც ამარებს სისხლძარღვებს, დაბლა სწევს არტერიულ წნევას, გარდა ამისა, მასში შემავალი უჯრედისი აუზჯობებს და აწესრიგებს ნაწლავების მიკროფლორას. ბლის ყუნწის ნასარში შველის სახსრების ტკივილს. რეკომენდებულია მივიღოთ დღეში 0,5 ლ ნასარში. ბალი ზოგადგამაჯანსაღებელი და მასტიმულირებელი საშუალებაა.


სინათლეს ნაიალია

ამერიკელი მეცნიერები გვთავაზობენ, რომ სოკოვან ინფექციას კაშკაშა სინათლით ვუმკურნალოთ.

საუბარია სოკო C neoformans-ზე, რომელიც ავადებს დაქვეითებული იმუნიტეტის მქონე ადამიანებს და შეუძლია მძიმე გართულებები გამოიწვიოს. მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ კაშკაშა სინათლის ზემოქმედება აფერხებს სოკოების გამრავლებას. შედეგად კი დაავადების განვითარებაც ფერხდება და ინფექცია ადვილად ექვემდებარება სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატებით მკურნალებას. სინათლის თერაპიის სეანსი ხორციელდება დიდი ლამპის მეშვეობით, რომელიც სოლარიუმის ლამპას მოგაგონებთ. არსებობს საფუძველი, ვიფიქროთ, რომ სინათლის თერაპია ეფექტური იქნება კანისა და ფრჩხილის სოკოს სამკურნალოდაც.

ოპიოიზმის 5 მიზეზი

- ბროწეულის წვენი შეუძლია შეაჩეროს ათეროსკლეროზის განვითარება.
- მიმდინარეობს მუშაობა პნევმონიის საწინააღმდეგო ვაქცინის შესაქმნელად. იგი ერთდროულად 30 გამომწვევისთვის იქნება განკუთვნილი.
- ნაპოვნია ღეროვანი უჯრედების ახალი წყარო — თმის ფოლიკულები. დღემდე ამ უნიკალური სამკურნალო თვისებების მქონე უჯრედებს ემბრიონიდან და პლაცენტიდან იღებდნენ.
- შექმნილია „ბიონური თვალი“ — თვალის ბაჟურას ყველაზე თანამედროვე პროთეზი.
- ნივთიერებები, რომლებსაც პარკოსნები შეიცავს, მნიშვნელოვნად აქვეითებს მკერდის კიბოს განვითარების რისკს.



...და შევიქნით უმაღლეს ქრისტიანულ სათნოებას - სიმდაბლეს

წმინდა მართლმადიდებელ მამათა წიგნებსა და ნაშრომებში მრავალი სასარგებლო რჩევის ამოკითხვაა შესაძლებელი, რომელიც მაკურნებლად წაადგება ადამიანის სულს.

შორენა მერკვილაძე

როგორ უნდა დაიწყოს ქრისტიანმა ყოველი საქმე?

მართლმორწმუნე ქრისტიანმა ყოველი მოქმედებისა და საქმის დაწყების წინ უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი ქრისტიანული განსჯით: ჩემ მიერ ჩაფიქრებული მოქმედება და საქმე ხომ არ არის ღმერთის ნების საწინააღმდეგო, დაძლუპებული ჩემი სულისთვის ან ხომ არ შეურაცხყოფს მოყვასს? თუკი მკაცრი მიდგომის შედეგად, სინდისი არ გვაძხვებს, მაშინ ჩვენ მიერ ჩაფიქრებულ საქმეს მშვიდად შეგვიძლია შევუდგეთ, მაგრამ თუ ამაში დარწმუნებული არ ვართ, თავი უნდა შევიკავოთ ჩაფიქრებული საქმის აღსრულებისაგან.

უშუალოდ საქმის დაწყების წინ, ლოცვით მივმართოთ უფალს, და მისგან მადლი და შემწეობა ვითხოვოთ:

„არ დაიწყო არც ერთი საქმე ლოცვის გარეშე, რამეთუ რასაც ლოცვის გარეშე ვიქმთ, ხშირად მცდარი ან საზიანო აღმოჩნდება და გვაძხვებს საქმეთა მიერ ჩვენთვის უცნობი სახით. თვით უფალმა ბრძანა: „თვინიერ ჩემსა არარაი ძალგის ყოფად არცა ერთი“. შრომის დროს იყავი მხიარული და მშვიდი, წარმატება მისი მიანდე უფალის ლოცვა-კურთხევას. ყოველივე, რაც კი შენთვის სიძნელეს წარმოადგენს, შეასრულე როგორც ეპიტიმია შენი ცოდვების გამო მორჩილებისა და სიმდაბლის სულით. შრომის დროს იმეორე მოკლე ლოცვები, განსაკუთრებით „იესოს ლოცვა“... თუკი შრომა დამთავრდება წარმატებით, მადლობა შესწირე ღმერთს, და თუ წარმატება არ ექნება, მაშინ გახსოვდეს, რომ ესეც ღმერთის დაშვებით ხდება, ხოლო ღმერთი ყოველივეს კეთილად იქმს“, - გვმოდგვრავს კოსტრომელი მთავარეპისკოპოსი პლატონი.

როგორი დამოკიდებულება უნდა ვიქონიოთ ჩვენ მიერ აღსრულებული კეთილი საქმეების მიმართ?

„რამდენადაც შეგიძლიათ, დაფარეთ თქვენი სულიერი ცხოვრებისეული საქმენი და ნურც გამომეტყველებით, ნურც

საუბრებში და ნურც სხვა მხრივ ნუ გაამხლეთ მათ“, - გვირჩევს წმინდა თეოფანე დაყულებული. ე.ი. ადამიანმა არ უნდა გააძეოს მის მიერ შექმნილი ქველი საქმეები, რათა კეთილი საქმეების ჩადენის შემდეგ, არ გვძლიოს თავმოწონებამ და ამპარტავნებაში არ ჩავცვივდეთ. წმინდა მამათა სწავლებით, კეთილ საქმეებს ადვილად მივცემთ მივიწყებას, თუ მათ საწინააღმდეგოდ გავიხსენებთ ჩვენს ცოდვებს და შეცდომებს.

კეთილი საქმეა თუ არა სესხის გაცემა?

სესხის გაცემა არის მოწყალების ერთ-ერთი სახე, ამდენად - კეთილი საქმეა. სესხის არგამცემელი, რომელსაც აქვს საშუალება სესხის გაცემისა და არ აკეთებს ამას, სიძუნწის ან კაცთმოძულეობის გამო, დაისჯება უფლისგან ადამიანის მიმართ არასათნომყოფობის გამო. თუმცა, ამაშიც გონიერებაა საჭირო - მაგალითად, სესხის გაუცემლობა არ ითვლება ცოდვად, როდესაც მას არ ვაძლევთ ლოთს.

როგორი დამოკიდებულება უნდა გვქონდეს ჩვენი მისამართით ნარმოქმული ქების მიმართ?

წმინდა მამათა მოძღვრებით, პირში ქება იგივეა, რაც ფეხის დადება სწრაფმავალი კაცისთვის, რადგან პირში ქებამ ადამიანი შესაძლოა, ამპარტავნებაში ჩააგდოს: „როდესაც ჩვენი მისამართით წარმოქმულ ქებას გავიგონებთ, გავიხსენოთ ჩვენი ნაკლოვანებები“, - გვირჩევს მიტროპოლიტი ფილარეტ მოსკოველი. ამ ამოქმედებით თავს დავიცავთ ამპარტავნების მომაკვდინებელ ცოდვაში ჩავარდნისგან და შევიქნით უმაღლეს ქრისტიანულ სათნოებას - სიმდაბლეს.

როგორ უნდა მოვიქცეთ, როდესაც უსამართლოდ გვექცევიან?

„როდესაც უსამართლოდ გვექცევიან, არა თქვა „ღმერთმა მიუხლოს“, რადგან ამ დროს უნებურად თავს იწყევლი“, - გვასწავლის ბერი პაისი ათონელი. ღირსი სერაფიმე საროველი კი გვმოდგვრავს: „მღუმარებით დაითმინე, როდესაც შეურაცხყოფენ და უსამართლოდ გექცევიან, უფალს გაუხსენი შენი გული“.

მოთმინებას კი ყველაზე ადვილად მაშინ გამოვიძუშავებთ, თუკი უსამართლებს იმ განწყობით შევხვდებით, რომ მათი დათმენა საკუთარი ცოდვების გამო გვიწევს.

რა მოვიმოქმედოთ, როდესაც ვინმეს მიმართ უნებლიეთ მტრული განწყობილება დაგვეუფლება?

წმინდა მამები გვირჩევენ, რომ ასეთ დროს ვაიძულოთ თავი, ვილოცოთ იმ ადამიანისთვის, ვის მიმართაც მტრული განწყობილება დაგვეუფლა. შეიძლება, წარმოვთქვათ შემდეგი ლოცვა: „შეიწყალე, უფალო, მონა შენი (სახელი იმ ადამიანისა) და მისი წმინდა ლოცვებით დაამშვიდე გული ჩემი“. ქრისტიანი მოვალეა, აიძულოს თავი, რომ ყურადღებით მოეპყროს და დახმარება გაუწიოს იმ ადამიანებს, რომლებიც არ უყვარს. როდესაც უფალი ჩვენს კეთილ განზრახვას დაინახავს, შეგვეწვევა და განდევნის ჩვენი გულიდან ცოდვის მიერ მტრულ განწყობილებას და მოგვმადლებს სიყვარულს და მიტევების ძალას.

რა შეიძლება გავაკეთოთ გულგატეხილობის ყაშს?

გულგატეხილობის ყაშს შეიძლება, განუწყვეტლივ ვიმეოროთ ლოცვა: „უფალო შემიწყალე - ვილუბები“ ან ვიმეოროთ „იესოს ლოცვა“ - „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმერთისაო შემიწყალე, მე ცოდვილი“. ვიდრე ეს გრძნობა არ განგვემორება.

როგორი დამოკიდებულება შეიძლება ვიქონიოთ შეურაცხმყოფელთა, მანყინართა მიმართ?

თითქმის ყველა წმინდა მამა გვირჩევს, რომ წყენა დავითმინოთ უსიტყვოდ, არ შევებასუხოთ მანყინართ და რაც მთავარია, არ გავბოროტდეთ მათ მიმართ, არამედ ვილოცოთ მათთვის (შეგვიძლია, წარმოვთქვათ შემდეგი ლოცვა: „მიხსენ და მილხინე უფალო მე და მისითა წმიდითა ლოცვითა მომეც მე სიმდაბლე და მოთმინება“). წყენის დათმენა არის უდიდესი კეთილზნეობათა შორის; თუ წყენა გახსოვს, ძლეული ხარ ბოროტისგან - ბრძანებენ წმინდა მამები. წყენას ადვილად დავითმინებთ, თუ იმ დროს, როდესაც გვაწყენინებენ და შეურაცხყოფენ, გავიხსენებთ, როგორ აწყენინეს მაცხოვარს და როგორ შეურაცხყევს, ხოლო ჯვარცმული ამბობდა: „უფალო,

შეუნდვენ მათ, რამეთუ არა უწყინან, რას იქმან“. ამასთანავე, გავისხენით ის ცოდვები, რომლებიც უფლის წინაშე გვაქვს ჩადენილი. ამ გზით ვძლევთ მრისხანებას და შევინარჩუნებთ სიმშვიდეს. წყენინების შესახებ შეიძლება ვუამბოთ სულიერ მოძღვარს, რომელიც მოგვცემს სათანადო რჩევა-მითითებას. სხვებთან ამის შესახებ არ უნდა ვილაპარაკოთ, განსაკუთრებით – სულიერებაში გამოუცდელ ადამიანებთან.

რომელი საქმიანობით შეიძლება დაგვავდეთ თავისუფალ დროს?

თავისუფალ დროს უნდა დაგვავდეთ სულისათვის სასარგებლო საქმიანობით: ლოცვით, საღვთო წიგნების კითხვით, სულიერი ფიქრებით და სხვა. მაგალითად, ვიფიქროთ სიკვდილსა და სამსჯავროზე, ზეციურ სასუფეველზე და სხვა. ქრისტიანი ყოველთვის უნდა ერიდებოდეს სხეულის მოშვებას და მოსვენებას, თუკი ამას აუცილებლობა არ მოითხოვს, რადგან სხეულის მოშვება ასუსტებს ადამიანის ზნეობრივ ძალას და აახლოებს დაცემას.

როგორ მოვიქცეთ სხვადასხვა ცხოვრებისეული განსაცდელის ჟამს?

ღმერთს მადლობა უნდა შეგწვიროთ არა მხოლოდ სიხარულისა და ჯანმრთელობის მონიჭებისთვის, არამედ განსაცდელის ჟამსაც, რადგან მას უფალი გველენს – როგორც გამოცდას ან ცოდვათაგან განსაწმენდად და განსაკურნებლად. არ უნდა მივეცეთ უიმედობას განსაცდელის ჟამს და არ ჩავცვივდეთ სასოწარკვეთილებაში, არამედ იმედი დავამყაროთ ღმერთზე და მის გულმოდგინებაზე: „ოკეანეს აქვს საზღვრები, ხოლო ღმერთის გულმოდგინება უსაზღვროა“, – ბრძანებს წმინდა იოანე ოქროპირი. განსაცდელის ჟამს, შეიძლება წარმოვთქვათ შემდეგი ლოცვა: „ღმერთო, შეწვეუნასა ჩემსა მომხდენ; უფალო შეწვეუნად ჩემდა ისწრაფე“ და უფალი იქნება ჩვენი გამომხსნელი ყველა ჭირისგან.

როგორ გავთავისუფლდეთ ბოროტი ჩვეებისა და სულიერი უძლეულებისგან?


– „როგორც გველი ვერ მოიშორებს ძველ ტყავს, თუკი ვიწრო ხვრელში არ გაძრება, ასევე ვერც ჩვენ გავთავისუფლდებით ბოროტი ჩვევებისა და სულიერი უძლეულებისგან, თუკი მარხვისა და უპატიობის ვიწრო გზას არ გავივლით“, – ბრძანებს ღირსი იოანე კიბის აღმწერილი.

P.S. წმინდა მამათა რამდენიმე სხვა მნიშვნელოვან რჩევა-დარიებას „გზის“ მოძღვენო ნომერში შემოვთავაზებთ.

ბიორბი სააკაძის ბენი, გაფლანგული საბვარეულო განძეულობა და მრავალსაუკუნოვანი გზის ბაბრძელეზა... ამერიკაში

ყოველი განვითარებული ეროპატივისცემით ეპყრობა გვარებს, რომლებიც ისტორიამ შემოუნახა. მართალია, დღეს სოციალური კლასიფიკაციის სხვა კრიტერიუმები არსებობს, მაგრამ გენის, ჯიშისა და წარმომავლობის მიმართ ინტერესი საზოგადოებაში არასდროს ნელდება.

ჩხეიძე — ძირძველი მსხვილი ფეოდალური გვარია საქართველოში. „მთავართა შორის უწარჩინებულესი და შემძლებელი“ — ვკითხულობთ ამ გვარის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“. ბატონი შოთა ჩხეიძე ამ უძველესი გვარის წარმომადგენელია. მისი დიდი წინაპარი, ფარნავაზის მეფობის ხანაში ცხოვრობდა. ბატონ შოთას სახლში საგვარეულო გერბის გვერდით, ჩარჩოში აქვს ჩასმული გენეალოგიური ხე, რომლის სათავეშიც მარგვის ერისთავი ჩხეიძეა მოქცეული, ბოლოში კი — თვითონ და მისი შთამომავლები.



იმა ტუხიაშვილი

– საერთოდ, არაერთი ქართული გვარი იღებს სათავეს XVI-XVII საუკუნეებიდან და თავადური წარმომავლობისად ითვლება. მაგრამ იშვიათია გვარი, რომელიც ათასწლეულებს ითვლის. როგორც ისტორია გვამცნობს, ჩხეიძეთა გვარი იმერეთიდან იღებს სათავეს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნეში ფარნავაზ მეფემ საქართველო 8 საერისთავოდ დაყო და ერთ-ერთი მათგანი, რომელშიც მარგვეთის (არგვეთი) მხარე — თაკური, რაჭა და ქართლის მიმდებარე ტერიტორია შედიოდა — ჩემს შორეულ წინაპარს უბოძა, თან შორაწნისა და ღიწნის ციხეები აუშენა. მარგვის ერისთავთა ისტორიით დაიწყო ჩხეიძეთა საგვარეულო დიდება. მარგვის ერისთავებთან დღეისათვის ცნობილი პიროვნება იყო ბაკური: მემკვიდრე მას ქრისტეს შობიდან V საუკუნეში მოიხსენიებს!.. XX საუკუნეში ჩანს გერმანე ჩხეიძე, რომელმაც ბუდის მონასტერი ააშენა. XVI-XVII საუკუნეებში ჩვენი საგვარეულო, ძლიერების ზენიტს აღწევს და იმერეთის სამეფოს საერო თუ სასულიერო ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. XV-დან XIX საუკუნეებში,



მარცხნიდან პირველი — ალექსანდრე ჩხეიძე, მარჯვნიდან პირველი — ბ-ნი შოთას ბაბუა კონსტანტინე

რაჭის საერისთავო ჩხეიძეების ერთ-ერთ განყოფილებას შთამომავლობით გადაეცემოდა. ამ პერიოდში ვახუშტის ქართლში ქექაოზ ჩხეიძე, რომელსაც ქართლის მეფის, ლუარსაბის ქალიშვილი ჰყავდა ცოლად. ქექაოზის ვაჟი კი, გორგასალ ჩხეიძე გახლდათ, რომელიც გიორგი სააკაძის ქალიშვილზე იყო დაქორწინებული. ცნობილი ფაქტია, რომ გორგასალი სააკაძეს თურქეთშიც გაჰყვა ვაჟიშვილთან ერთად და როგორც სხვა მუხანათურად შეპყრობილ ქართველთ, მის შვილს ბეჟანსაც ეწოდა თავის მოკვითა. გორგასალმა, რომელიც იმ დროს იქ არ იყო, დიდძალი ქრთამი გაიღო ბეჟანის დასახსნელად, თავად კი, შვილის მაგივრად შეუერთდა დანარჩენ განწირულ ქართველებს, რომლებსაც ყველას თავი მოჰკვეთეს. იგი გიორგი სააკაძესთან ერთად იერუსალიმის ჯვრის მონასტერშია დაკრძალული. მე ქექაოზ ჩხეიძის პირდაპირი შთამომავალი ვარ და მე-14 თაობას მიეკუთვნები. გიორგი სააკაძე კი, ჩემი დიდი ბაბუა გამოდის. ჩემთვის ასევე საამაყოა ჩემი წინაპარი ევდემონ ჩხეიძე, რომელიც დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი გახლდათ და გელათშია დაკრძალული. ტაძარში ფრესკებზე, ევდემონ ჩხეიძე დავით აღმაშენებლის გვერდითაა გამოხატული. ისტორიული წყაროები გვამცნობს, რომ ევდემონი იყო მწიგნობარიც და „გელათის მონასტრის მამულებელ-მომსახურებელი, მოვლის საყდრისა და ბიჭვინთის ღვთისმშობლის სატის შემსკობი“. ჩემი წინაპარი ოტია ჩხეიძე 1770 წელს მეფე სოლომონს ახლდა თურქებისგან გურიის განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს თავისი 1500-კაციანი ჯვართი.

— ახლა უფრო ახლო წინაპრებზე მიამბეთ. ვინ იყვნენ და რას საქმიანობდნენ?

— ბაბუაჩემი კონსტანტინე ჩხეიძე გახლდათ, ბებია კი — აგრავინა, თავად სამსონ აბაშიძის (დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა წინამძღოლი) ქალიშვილი. მამაჩემი პირველი შვილი იყო, 1901 წლის 12 დეკემბერს კი, ბებია მეორე შვილის დაბადებას გადაჰყვა. სულ რაღაც ორ დღეში — 14

დეკემბერს დარდისგან ბაბუაც დაიღუპა — 29 წლის კაცს გული გაუსკდა. მამაჩემი კი, ქუთაისელი კოლორიტი სიმონიკა ჩხეიძე გახლდათ. მამაც საკმაოდ ახალგაზრდა — 44 წლის ასაკში გარდაიცვალა, მაგრამ მისი სახელი და კაცობა მე და ჩემს ძმას ყოველთვის თან გვედევნა. მე მხოლოდ 6 წლის ვიყავი, როდესაც მამა დაიღუპა, მაგრამ უფროსი თაობისგან მსმენია მისი რაინდული თვისებების შესახებ. მამა ჩამბული იყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და 1924 წლის ანტი-ოლშევიკურ აჯანყებაში, რის გამოც დააპატიმრეს. პროფესიით ბუღალტერი გახლდათ და ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალში მუშაობდა. როგორც მისი თანამედროვენი ამბობდნენ, სიმონიკა ჩხეიძე გამოჩენული გარეგნობის კაცი ყოფილა. მისი სახელი ჩვენი შვილებისთვისაც მისაბაძია. მასსოვს, ჩემი ძმისშვილი ბავშვობაში სულ იმას გაიძახოდა — სიმონიკა ბაბუას მე ვგავარო. ამასვე მისი და მკაცრი ბრახობდა და ნიშნის მოგებით ეტყოდა ხოლმე — მამინ, მე სიმონიკა ბებიას ვგავარო...

— ალბათ წინაპრების მიერ დეტრევიზული ბევრი საგვარეულო ნიშანი შემოგერჩათ, არა?

— ეს საკითხი ჩემთვის განსაკუთრებით მტკივნეულია. როგორც მიხვდით, ბავშვობა ქუთაისში მაქვს გატარებული. მასსოვს, ქუთაისის სახლი ორი დიდი ტომარა ვერცხლისა და ძვირფასი ლითონის სხვადასხვა ნივთით იყო სავსე. განსაკუთრებით კარგად მასსოვს XII საუკუნით დათარიღებული საგვარეულო ხმალი, რომელზეც წარწერები იყო ამოტვიფრული. ეს ხმალი დამასასათუბლად ჟღარუნებდა, ამიტომ მეზობელი არ მომიშვა: ვნახოთ, შიგნით რა არისო. ამის შემდეგ, ხმალი თვალთ აღარ მინახავს... გასამართლებელი მხოლოდ ის მაქვს, რომ მამინ ბავშვი ვიყავი — ასე, მეთთხე-მეხუთედასული. ჩემი უფროსი ძმა კი თბილისში სწავლობდა. მე და დედას ძლიან გვიჭირდა, ამიტომ საგვარეულო ნივთები სულ მეგობრების სთვის დაბადების დღეებზე მაქვს საჩუქრად გაცემული. კარგად მასსოვს, რომ ამ ნივთებს შორის უამრავი ვერცხლის ჭურჭელი და ვერცხლის სამკარანო საგვარეულო სატი



ტაძარში ფრესკებზე, ევდემონ ჩხეიძე დავით აღმაშენებლის გვერდითაა გამოხატული

იყო. ასევე გამებნა მამაჩემის ბიბლიოთეკა, სადაც უნიკალური წიგნების გარდა აღმოაჩენილი: შექსარიის პირველ ქართულ თარგმანს, ჟურნალ „კვლის“ აკინძულ ნომრებს და ა.შ. საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, როცა ჩემი ძმა ჩემი ბავშვობის დაუდევრობის ამბავს გაიხსენებდა, დასამალავად ადვილს ვეძებდი ხოლმე... აქვე უნდა ვითხრათ, რომ ჩემი შეცდომა ნაწილობრივ გამოვასწორე და ცოტა ხნის წინ გამოვეცი წიგნი, სადაც ორი მეცნიერის — თური ჩიჭვანისა და იოსებ ბიჭიკაშვილის დახმარებით, ჩხეიძეთა საგვარეულოს ისტორიულ-გენეალოგიური კვლევის შედეგებია ასახული.

— საბჭოთა საქართველოში საკუთარი გვარის შვილობის გამო პრობლემები ხომ არ შეგქმნიათ?

— მართალია, იყო პერიოდი, როდესაც თავადურ წარმომავლობაზე ხმაძლდა არავინ ლაპარაკობდა, მაგრამ არ მასსოვს შემთხვევა, რომ ამ მხრივ რაიმე დაბრკოლება შექმნილიყო. დავამთავრე საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, ვარ კვების მრეწველობისა და აგროტექნოლოგიის აკადემიის წევრი, საქართველოს წარმომადგენელი ნატოს სურსათისა და სოფლის მეურნეობის კომიტეტში. გასული საუკუნის 70-იან წლებში, ვმუშაობდი ალჟირში, ნაციონალური ინსტიტუტის ორგანული ქიმიის კათედრის გამგედ, სადაც ოჯახთან ერთად 4 წელი მაქვს გატარებული. ამჟამად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის სამმართველოს ხელმძღვანელი ვახლავარო.

— ჩოხოსანთა საზოგადოების წევრი ხომ არ ბრძანდებით?

— სხვათა შორის, მეპატიჟებიან, მაგრამ ჩონა არ მაქვს, კარგი ჩონა კი საკმაოდ ძვირი ღირს. საგვარეულო შეკრებებს ვაწყობთ ხოლმე



მამა-შვილი შოთა და ნიკო ჩხეიძეები

პერიოდულად. რამდენიმე წლის წინ ჩვენი გვარი სიონის საკათედრო ტაძარში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია მეორემ დალოცა. პრივილეგიები თუ გვაროვნული წოდებები წარსულს ჩაჰპარდა, მაგრამ დარჩა გენი, რომელიც ყველა ფორმაციაში უცვლელია. ჩვენში ასევე დარჩა პატივისცემისა და მოვალეობის გრძობა წინაპართა ხსოვნის მამართ. უტყუარია, რომ სისხლი და გენი პროცენტის ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებს და ყველაფერში იჩენს თავს.

— თქვენი შვილები რას საქმიანობენ?

— ჩემი ქალ-ვაჟი — ხათუნა და ნიკუშა ჩხეიძეები ნიუ-იორკში ცხოვრობენ. ხათუნა მსატვარია. 2000 წელს ამერიკაში მსატვარ-სიურრეალისტთა კონკურსი გაიმართა, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან 10-ათასზე მეტი მსატვარი მონაწილეობდა. ხათუნას ნამუშევარი ამ კონკურსში პირველ ადგილზე აღმოჩნდა, რისთვის ნიუ-იორკის ყველაზე ცნობილ საგამოფენო ცენტრში მისი პერსონალური გამოფენა ერთი თვის განმავლობაში გრძელდებოდა. ხათუნა 3 შვილის დედაა, ამიტომ ახლა საკუთარი საქმისთვის ნაკლები დრო რჩება. ჩემი სიძე კი, დიდა ტვილდიანი — აკადემიკოსის დათო ტვილდიანის ვაჟი გახლავთ. დიდა თავდაც ექიმია და ნიუ-იორკში საკუთარი სამედიცინო-დიაგნოსტიკური ცენტრი გახსნა, რომელშიც სახელმწიფო სერტიფიკატი მიიღო. ეს დიაგნოსტიკური ცენტრი ამერიკის პრეზიდენტის ღონეზეა ცნობილი და ბუშს ჩემი სიძე ვაზ-შაშვეც ჰყოლია მიწვეული. სხვათა შორის, საქართველოდან ამერიკაში ჩასული თითქმის ყველა ცნობილი პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწე სტუდენტობის ჩემი ქალიშვილის ოჯახს, სადაც ქართული სუფრა იშლება ხოლმე. პროფესიით ექიმია ჩემი ვაჟიც და ისიც ამ დიაგნოსტიკურ ცენტრში მუშაობს. გარდა ამისა, ნიკუშამ ქართული სათვისტომო ჩამოაყალიბა, რომლის წევრიც უკვე 10000-მდე ამერიკაში მცხოვრები ქართველია. ჩემი ვაჟი თავად ჩაუდგა ამ ორგანიზაციას სათავეში და სურვილი აქვს, რომ ოკეანისგალმული ქართველებისთვის ქართული სკოლა, ქორეოგრაფიული სტუდია და მრავალი სხვა სასიკეთო რამ გააკეთოს. ახლა კი იქ მყოფ ქართველებს იმით ეხმარება, რომ დიაგნოსტიკურ ცენტრში 800 დოლარად ღირებულ გამოკვლევას ქართველებს უსასყიდლოდ უტარებს... ჩხეიძეების უმცროსი თაობა ჩემი მძისშვილი გიგაც, რომელიც მუდღელსთან ერთად გერმანიაში, ქალაქ მიუნხენში ცხოვრობს. ის ერთ-ერთი კინემატოგრაფიული მიმდინარეობის ფუძემდებელია. ლაპარაკია ძალზე მოკლემეტრაჟიან — 5-წუთიან ფილმებზე, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობს ვროპაში. ერთი კუროზი ვიგას ფილმთან დაკავშირებით მეც

შემქმნება. მისი ფილმი პოლანდიაში ერთ-ერთ ფესტივალზე იყო წარდგენილი და ისე მოხდა, რომ ჩვენებაზე მეც მოვახერხე ჩასვლა. ფილმი ის-ის იყო დაიწყო და ტიტრებიც გამოჩნდა ეკრანზე. დარბაზში ტაშმა იქნა, მე კი ვერაფრით გაძეგო, რა ეწერა ასეთი ტიტრებში, რომ ხალხის ოფაცია გამოიწვია. თურმე ფილმი დამთავრებულა... დავიბენი კაცი, ვერც მიველოცე ჩემს მძისშვილს წარმატება, რადგან არ ვიცოდი, რა მეთქვა.

— რამე საერთო დამახასიათებელი და ტრადიცია თუ გაქვთ ჩხეიძეებს?

— მაღალი ვოკალური მონაცემები, სიმღერისა და მოლხენის ნიჭი, ამ მხრივ გამოირჩეოდნენ: ჩიტილია, დათუნა (დავით), ლევანი, მამჩეხი და განსაკუთრებით, ჩემი ძმა კოტე, რომელიც სხვა კაცურ თვისებებთან ერთად



კოლ-ქმარი — სიმონ ჩხეიძე და ხათუნა ფურცელაძე

ყველასთვის ცნობილი იყო, როგორც მოძღვრული და იმეათი თამადა. საერთოდ, მოგეხსენებათ ჩხეიძეების ღვაწლი ქართულ ხელოვნებაში: უმანგი, ნუცა, დავითი, რევაზი, ბიჭიკო, თემური და სხვანი. საერთოდ, ჩვენი გვარისთვის დამახასიათებელია, რომ ზომამდე მეტად გვიყვარს წინაპრებზე ლაპარაკი. იმდენად ღრმად გვაქვს გამძღადარი გვარის სიყვარული და პატივისცემის გრძობა, რომ მუდღელსაც ჩვენს გვარზე გადმოდიან ხოლმე. ჩხეიძეებს ასევე ერთი ჩვეულება გვაქვს: მისაღმებისას, ერთმანეთს აუცილებლად ვუბნებით — იძრავლოს ჩვენმა გვარმა! ამიტომ, როდესაც სატელეფონო საუბრისას ყურმილში ეს სიტყვები ჩამესმის, ვიცი, რომ ჩხეიძე მირეკავს.

— პარლამენტში განსახილველად შესულია კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, გარკვეული თანხის საფასურად, მისთვის სასურველი გვარსახელის შერჩევა შეეძლება. რას ფიქრობთ ამის შესახებ?

— დღეს საქართველო-

ში 13000-მდე გვარია. მათ შორის 92-ია დიდგვაროვანი. ცნობილია, რომ თავადის ტიტულს განსაკუთრებული მსახურების მიხედვით მხოლოდ მეფე ანიჭებდა, აზნაურისას კი — მეფის გარდა, მის მიერ უფლებამოსილი მთავარი (ერისთავი). მაგრამ მინიჭებული პრივილეგიების მიუხედავად, ადამიანები იმ გვარს იტოვებდნენ, რომელიც წინაპართაგან რეგებიან. დღეს გვარების ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეცვლის და ნებისმიერი გვარის მითვისების შესახებ რომ გავიგე, თავდაპირველად, ჭკორი მეგონა. ასეთი რამ ბოლშევიკებსაც კი არ გაუკეთებიათ. პიროვნებები გაანადგურეს და არა გვარები. ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა მისცეს ამ კანონპროექტს ხმა ნორმალურმა ადამიანმა. ხალხსო, სად არის თქვენი ეროვნული ღირსება, ერის, ჯიშის და წინაპრების პატივისცემა?! ნუთუ ყველაფერი უნდა წაიშალოს და ცხოველები გავხდეთ, რომელსაც რასაც უნდა, იმას დაარქმევენ, ერთმანეთისგან რომ გაარჩიონ?! თუმცა, ცხოველებშიც ვაქცევთ ყურადღებას გენეალოგიურ შტოს, სუფთა სისხლის შენარჩუნების საკითხს... იმედი მაქვს, რომ ამაზე არ წავა არც ქვეყნის პრეზიდენტი და არც პარლამენტის თავმჯდომარე. მე თვითონ ნაციონალური პარტიის წევრი ვარ ჯერ კიდევ მიტინგების დროიდან და იმედი მაქვს პარლამენტის უმრავლესობის ლიდერი ამას მხარს არ დაუჭერს. თუ გვარი სხვაგვარად — უცენზუროდ ან ძალზე უმწოდ ფერს უცხო ენაზე და თანამედროვე ადამიანს ფართო ასპარეზზე გასვლისას უხერხულობას უქმნის — კი, ბატონო, შეიცვალოს მასში რამდენიმე ასო და შედგეს ახალი გვარი. მაგრამ ის არ უნდა ხდებოდეს, რომ სხვის გვარს კაცი „დაუპატიებლად“ დაეპატრონოს. მე მაინც ვფიქრობ, რომ ჩემი ადვოკატი უსაფუძვლოა და ეს „ემოციური ნადი“ არ აფეთქდება... ■



შოთა ჩხეიძე ქალიშვილთან (მარჯვნივ) და შვილიშვილებთან ერთად

მურთაზ ხურცილავა მწვინელს საკუთარ წონას უმაღლეს

„დინამოს“ ყაპიტანს „მილანი“ იწვევდა

1969 წელს, საბჭოთა კავშირის ნაკრებმა თურქეთი სტუმრად 3:0 დაამარცხა. შეხვედრას ინგლისის ეროვნული გუნდის მთავარი მწვინელი ალფ რამსეი ესწრებოდა. მატჩის შემდეგ გამართულ ბანკეტზე, როდესაც ჟურნალისტებს რამსეისთვის უკითხავთ — ვინ არის მსოფლიოში 3 საუკეთესო ფეხბურთელიო? — ინგლისელს უპასუხია — პელე, ხურცილავა და ჯანი რივერაო. ამ ამბის მომსწრე ყოფილა ნაკრებში ხურცილავას თანაგუნდელი გენადი ლოგოფეტი, რომელმაც თურმე ინგლისურად კარგად იცოდა და იტალიურად სწორედ მას უცნობებია იმავე საღამოს ბატონი მურთაზისთვის ეს ამბავი, რომელიც მეორე დღეს თურქულ პრესაშიც ასახულა.

გიორგი ლანჩავა

საქართველოში მურთაზ ხურცილავა საუკუნის ფეხბურთელად აღიარეს, ხოლო უფრო საკუთარ 50 წლისთავთან დაკავშირებით, როგორც თავისი ქვეყნის ყველაზე გამორჩეულ მოთამაშეს, სპეციალური პრიზიც გადასცა. არადა, სპორტში განვლილი გზა მურთაზ ხურცილავასთვის იოლი არ ყოფილა, დასაწყისში ბევრი ვერც წარმოიდგენდა, ეს, ერთი შეხედვით მოუქნელი ბიჭი, თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი თუ გახდებოდა.

ჟორდანიას ნაპოვნი „მოჭიდავე“

— პირველად დილოში თბილისის „დინამოს“ საწვრთნელ ბაზაზე რომ მივედი, ანდრო ჟორდანიასთვის მეგობრებს უკითხავთ — ეს მოჭიდავე საიდან მოიყვანეო? ეს კითხვა იმიტომ დაებადა, რომ კომპლექციით ფეხბურთელს ნამდვილად არ ვგავდი, უფრო მოჭიდავის აგებულება მქონდა. მაგრამ ჟორდანიას მეგობრებისთვის უპასუხია: „დაივოლ“ (ეს მწვრთნელის საყვარელი სიტყვა იყო), თუ ვინმე საქართველოში ფეხბურთის ითამაშებს, ხურცილავა მათ შორის იქნებაო. ამ ამბის შესახებ, მაშინ არაფერი ვიცოდი და იგი „დინამოს“ ადმინისტრატორმა რამდენიმე ხნის შემდეგ მომიყვა, როდესაც


უკვე ძირითად შემადგენლობაში ვითამაშობდი. საერთოდ, ანდრო ჟორდანიას მსგავსი სელექციონერები არც იმ დროს იყვნენ და მგონი, არც დღეს გვყავს. მისი შერჩეული 10 ფეხბურთელიდან, მინიმუმ 9 მაღალ ღონეს აღწევდა. რაც შეეხება დანარჩენ მწვრთნელებს, ვისთანაც კარიერის შექმნის მანძილზე მიმუშავია, მათ შორის ყველაზე მაღლა მიხაილ იაკუშინს ვაყენებ. ის ძალიან მკოდნე და თან დისციპლინის მოყვარული კაცი იყო. გუნდში იაკუშინის ყოფნისას, „დინამოს“ ფეხბურთელებს რეჟიმი არასოდეს დაურღვევიათ. სხვათა შორის, კოლეგები მას „ეშმაკ მიხაის“ ეძახდნენ... სწორედ იაკუშინის დამსახურებაა, რომ თბილისის „დინამომ“ საბჭოთა კავშირში პირველმა, ბრაზილიელთა მსგავსად 4-2-4 სისტემით თამაში დაიწყო. ეს 1963 წელს, მოსკოვის „ტორპედოსთან“ მატჩისას მოხდა, რომელიც 3:0 მოგვუთ. 1964 წელს „დინამო“ ქვეყნის ჩემპიონი რომ გახდა, ამამდე დიდი წვლილი იაკუშინის მიუძღვის: სეზონის წინ გუნდი მან მოაშხადა და ჩვენს საწყის მატჩებში 12 შესაძლებლობიდან, 11 ქულა ავიღეთ. ამის მერე, გარკვეულ მიზეზთა გამო, იაკუშინმა პოსტი დატოვა და მთავარ მწვრთნელად გავრილ კაჩალინი დაგვინიშნეს, რომელსაც „დინამოს“ გაქმნის პიონებს ვერაფრით მივაწერ: როცა ის გუნდს სათავეში ჩაუდგა, ზედიზედ 3 თამაში წაგავთ და ხალხი ისეთ ამავეში იყო, დილოში ვარჯიშს ვერ ვატარებდით. მი-



უხედავად იმისა, რომ გავრილ კაჩალინი განათლებული, კულტურული და კარგი ადამიანი იყო, როგორც მწვრთნელი, იაკუშინი მასზე მაღლა იდგა. ეს არა მარტო ჩემი აზრია, არამედ იმ ხალხის, ვისაც ორივე მათგანთან უმუშავია. ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ მომდევნო — 1965 წელს, „დინამომ“ მე-9 ადგილი დაიკავა...

„ასეც ხდება, ისეც ხდება, სიზმარიც ჯი აგიხდება“

— საბჭოთა კავშირის ნაკრებში 10, ხოლო თბილისის „დინამოში“ — 15 წელი ვითამაშე და ყოველთვის მეტოქეთა საუკეთესო თავდამსხმელებს ვმეურვეობდი. ამ ხნის განმავლობაში, ჩემი მიზეზით თერთმეტმეტრიანი მხოლოდ ერთხელ დაინიშნა და ისიც — 1966 წელს ინგლისში მსოფლიო ჩემპიონატზე, მესამე ადგილისთვის მატჩის დროს. პორტუგალიელებთან შეხვედრის დღეს, დილით გავიღვიძე თუ არა, გიორგი სიჭინავას კუთხარი: დამესიზმრა, თითქოს საკუთარ საჯარიმოში ხელით ვითამაშე-მეთქი. — ღმერთი არ გაგვიწყრეს, ასეთ რამეებზე ფიქრს მოეშვიო, — მიპასუხა. მაგრამ ეს წინათვრისობა ვერა და ვერ მოვიშორე და... ჩვენს საჯარიმოში თამაშის წესი მართლაც დავარღვეე, რამაც გავლენა მოახდინა შეხვედრის საბოლოო შედეგზე. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მორიზოვმა წინაღუდს პერსონალურად უუსებო მურერეობა დამავალა, მაგრამ შემდეგ იმის გამო, რომ კარგად ვითამაშობდი თავით, გადაწყვეტილება შეცვალა და ორმეტრიანი ტორესს მიმამაგრა, რომელიც ვიდრე ფეხბურთელი გახდებოდა, კალათბურთის მის-ღვედა. ჩემი სიმაღლე მხოლოდ 175 სანტიმეტრია და ცხადია, პორტუგალიელთან ჰერში ორთაბრძოლა მიჭირდა. არადა, იმ ეპიზოდში არავითარი საშიშროება ჩვენს კართან არ იქმნებოდა და დღემდე ვერ ამიხსნია, რატომ ავხტი და საკუთარ საჯარიმოში ბურთს ხელით რატომ შევეხე...



ეს თამაში ანგარიშით 1:2 წაგაგეთ და მესამე ადგილი პორტუგალიელებმა დაიკავეს.

არასპორტული სპორტსმენი

– მწვრთნელები ნაკრებში ხშირად იცვლებოდნენ და ყოველი მათგანი გუნდში მოსვლისას, პირველ რიგში, ფეხბურთელთა წონით ინტერესდებოდა. როდესაც მეკითხებოდნენ – რამდენი კილოგრამი ხარო? – ვპასუხობდი – 75-მეთქი. ექიმი და მასაჟისტი სასწიროს ამ ნიშნულზე კი დააყენებდნენ, მაგრამ ჩემი აწონისას იძულებული ხდებოდნენ, კილოგრამი კილოგრამისთვის მიემატებინათ და ასე ასულიყვნენ 85-მდე... ამის შემხედვარე, მწვრთნელი თავში ხელს შემოირტყამდა და მეტყვოდა: დროზე უნდა დაიკოლო. არ არსებობს ნორმატივი, რომელიც ჩამიბარებია. მასსოვს, ერთხელ მასაჟისტმა და ექიმმა ერთად ჩამომიკიდეს ლერძზე – იქნებ, ერთი აზიდვა მაინც გააკეთო, მაგრამ ესეც ვერ შეეძელი...

უიმედოდ დარჩენილი

– 1964 წელი ჩემთვის უიღბლოდ დაიწყო, რადგან საფეხბურთო სეზონის გახსნის წინაღმდეგ, საავადმყოფოში წამიყვანეს და აპენდიციტის ოპერაცია გამიკეთეს. გამოჯანმრთელების შემდეგ, გუნდის ძირთად შემადგენლობაში 8 მატჩი ჩავატარე, მაგრამ კუნთი გამიწყდა და 2 მატჩი გამაყურებელი ინიექციის შემდეგ ვითამაშე. ამის გამო, ტრავმამ გამომიხეზდა და იძულებული გავეხდი, მოსკოვში მემკურნალა. ერთი თვე ვიწეკი საავადმყოფოში, ხოლო 4-5 თვეში უნდა გარკვეულიყო, დამჭირდებოდა თუ არა ოპერაცია. საოპერაციოდ საქმე არ გამიხდა, მაგრამ როცა „დინამო“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, მე ოქროს მედალი არ გადმომცეს, რადგან გუნდში მატჩების წესით დადგენილი რაოდენობა არ მქონდა ჩატარებული. ცოტა ხნის მერე გაირკვა, რომ თუ „დინამოს“ ხელმძღვანელობა მოითხოვდა, ჩემთვის, როგორც ოლიმპიური ნაკრების წევრისა და პირველი ნაკრების კანდიდატისთვის, შეიძლებოდა, მედალი მოეცათ. მანამდე, მსგავს სიტუაციაში ყოფილა მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელი კუნცეკოვი, რომელმაც ჩემგან განსხვავებით ოქრო მაინც მიიღო. აღნიშნულ საკითხზე როდესაც ვფიქრობ, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ჩემთვის ოქროს მედალის მოცემა არ უნდოდათ, რადგან არ სჯეროდათ, ტრავმის მოშუშების შემდეგ, ფეხბურთის საერთოდ თუ ვითამაშებდი...

„პუმა“ თუ „ადიდასი“?

– ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატზე, სახელგანთქმული ფირმის – „პუმა“ წარმომადგენლებმა საბჭოთა კავშირის ნაკრებ-

ის ფეხბურთელებს საკუთარი პროდუქციის რეკლამირება შემოგვთავაზეს, რის სანაცვლოდაც მზად იყვნენ, გარკვეული თანხა გადაეხადათ. „პუმის“ ბუცები რომ ენახეთ, მე და სიჭინავა კინაღამ გავვიყიდით, რადგან მაშინ საბჭოთა წარმოების რაღაც სამინელება გვეცევა ფეხზე. „პუმის“ მერე, ანალოგიური წინადადებით მოგვმართა „ადიდასმაც“, რომლის პროდუქცია კიდევ უფრო მოგვეწონა. საღამოს, სიჭინავასთან ერთად სარკის წინ ვიდექი და ხან ერთი ფირმის ნაწარმს ვისინჯავდით, ხან – მეორის. სიჭინავამ თქვა: ფულს როგორც „ადიდასისგან“, ისე „პუმისგან“ ავიღებ: ცალ ფეხზე „ადიდასის“ ბუცს ჩავიცვამ, მეორეზე კი – „პუმისასო“... რა თქმა უნდა, გუნდის ხელმძღვანელობამ საბოლოო ჯამში არც ერთი ფირმის პროდუქციას არ გაგვაკარა. საერთოდ, საბჭოთა იდეოლოგიისა და ცენტრალური კომიტეტის ჩარევის გამო, ფეხ-

მაშინ ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო. ვფიქრობდი – დასავლეთში ჩემი დარჩენის შემთხვევაში, შეიძლება ვინმეს მოვეწამლე ან ქუჩაში მიმავალს, ვითომდა „შემთხვევით“, ავტომანქანა დამჯახებოდა: ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობდით, რომ უშიშროების კომიტეტისგან ყველაფერი მოსალოდნელი იყო. თან ოჯახსაც ვფიქრობდი, რომელსაც ჩემი ასეთი ნაბიჯის შემთხვევაში, აუცილებლად შეეკმნებოდა პრობლემები. მინდა ვითხრაო, რომ იმ დროს, „დინამოს“ წამყვან ფეხბურთელებს, ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც არ უნდა ჩასულიყვნენ ისინი, ადგილობრივი საფეხბურთო კლუბების მებატონეები დარჩენას ეხვეწებოდნენ.

„ეს პელეა“

– საბჭოთა კავშირის ნაკრებში პირველად 1965 წელს მოგხვდი და გუნდს




მურთაზ ხურცილავა, ეუსებო, გიორგი სიჭინავა და სლავა მეგრეველი

ბურთელები საკმაოდ დაჩაგრული ვიყავით. 1970 წელს, მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის წინ, აკლიმატიზაცია რომ უკეთ გავგველო, ამ ქვეყანაში ერთი თვით ადრე ჩავვიყვანეს. მექსიკაში აუტანელი სიცხე იყო და დაგვაბინავეს სასტუმროში, რომელსაც აუზი არ ჰქონდა. მეონი, მექსიკაში ასეთი სასტუმრო ერთადერთი იყო და ფულის ეკონომიის მიზნით, მაინცდამაინც ჩვენ მოგვათავსეს იქ.

უშიშროების საშიშროება

– კარიერის მანძილზე ხშირად მქონია შემოთავაზება უცხოური კლუბებისგან, განსაკუთრებით – იტალიურისგან. 1968 წელს, ძალიან რეალურად იყო ლაპარაკი იტალიურ „მილანზე“, რომლის ხელმძღვანელობაც თანახმა გახლდათ, იმდენი ფული გადაეხადათ ჩემთვის, რამდენიც მანამდე არც ერთი ფეხბურთელისთვის არ მიუცია. თუმცა

ამხანაური თამაშის ჩასატარებლად ბრაზილიაში გავიყვი. ის თამაში ფრედ 2:2 დასრულდა, თუმცა პირველ ტაიმს 0:2 ვაგებდით და გოლი ჯერ პელემ გაგვიტანა, მერე – გარინჩამ. მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როდესაც შეცვლაზე შევედი და მწვრთნელმა პელეს მეურვეობა დამავალა. იმის მტკიცებას არ დაფიქვებ, რომ ლეგენდარული ბრაზილიელი გაგანეიტრალე, რადგან ამის გაკეთება შეუძლებელი გახლდათ. უბრალოდ, სხვა მცველებთან შედარებით, რომლებსაც ფეხბურთის მეფის წინააღმდეგ თამაში უწევდათ, პელესთან დაპირისპირება ყველაზე უკეთ გამოძლიოდა. ახლა ხშირად კამათობენ – პელე სჯობია თუ მარადონა. გემოვნებაზე არ დაობენ, მაგრამ ჩემი აზრით, პელე მარადონაზე ბევრად მაღლა დგას – ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ფეხბურთელზე.



მიხეილ იაშვილი

(დასაწყისი „გზა“ №14-22)

იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებით დაპატიმრებული ჟურნალისტი ზურა მჭედლიძე, მისი მეგობრის, იუსტიციის მინისტრის მოადგილის, ოთარ ცაგარეიშვილის წყალობით, წინასწარ პატიმრობას ციხის საავადმყოფოში, სანდაზმულ კანონიერ ქურდთან, გოგი ჩხეიძესთან ერთ პალატაში ატარებს. ზურა და მისი ადვოკატი შალვა საყვარელიძე იმაზე იმტყვინთავენ თავს, თუ ვის დასჭირდა ჟურნალისტის იზოლირება. რამდენიმე თვის წინ, პანკისის თემზე მუშაობისას, ზურა შეხვდა ჩემს მუსას, რომელსაც საბჭოთა ჯარში სამასურის დროს დაუმეგობრდა. მუსა, რომლის ოჯახსა პანკისს შეაფარა თავი, ჟურნალისტს გატაცებული ადამიანების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას პირდაპირად, მაგრამ შემდეგ კარგა ხნით გადაიკარგა. ზურას დაპატიმრების წინა დღეს, მას ოციოდე წლის, რუსულად მოლაპარაკე ბიჭი ეძებდა, რომელიც საგარეუდოდ, მუსას გამოგზავნილი უნდა ყოფილიყო. ამასობაში, ჟურნალისტს კიდევ ერთ ბრალდებას წაუყენებენ — რამდენიმე თვის წინ მომხდარ, ორი პოლიციელის მკვლელობაში დაადანაშაულებენ. ჟურნალისტის საცოლე ეკა პანკისში მუსას საპოვნელად გაემგზავრება და შეიტყობს, რომ მას შეიარაღებული პირები ეძებდნენ და იძულებული გახდა, დედასა და შვილთან ერთად, ღამით

მიეტოვებინა დროებითი თავშესაფარად ადვოკატი ზურას აცნობებს, რომ ავტოავარიაში იუსტიციის მინისტრის მოხვედრის შემდეგ, მის გამოუჯანმრთელებამდე, ყველა ტიპის საპატიმროში სასტიკად გამოკაცრებული რეჟიმი და მასაც კი უჭირს სოღმე თავისი კლიენტის სანახავად ციხის საავადმყოფოში შესვლა.

ამასობაში, გოგი ჩხეიძე თანამქაყნე ჟურნალისტს საკუთარი ქურდული ბიოგრაფიის საინტერესო ეპიზოდებს უყვება.

ერთ დღეს ადვოკატი ზურას მისი საცოლის წერილს მიუტანს. ეკა სწერს, რომ მუსას მიერ გამოგზავნილი ბიჭის საქმენელად პანკისში იყო ასული და რის ვაი-ვაგლახით მიადგნო. მუსას მეზობელმა ქალმა მიასწავლა, თუ სად ცხოვრობდა და უთხრა, რომ ის მუსას ნათესავი, რუსლანი იყო. ბიჭი თავიდან უარობდა, თბილისში ჟურნალისტის სანახავად ჩასვლას და როცა ეკამ თავისი და ზურას ფოტო უჩვენა, თქვა — ამ კაცს პირველად ვხვდავო...

„...თავი ველარ შევიკავე და ცრემლი წამსკდა. შუა გზაზე ვიდექი და ბავშვივით ვბლაოდი. ბირჟაზე მყოფნი გარს შემომერტყნენ, მამშვილებდნენ, თან რუსლანს ჩემთვის გაუგებარ ენაზე ელაპარაკებოდნენ. ისიც აღუვებული ჩანდა, ხმაძალდა უხსნიდა რაღაცას.

ასეთ ყოფაში რომ დამიხსნა, ტაქსის მძღოლიც მომიახლოვდა. ხნიერი კაცი იყო, რაღაც ხვესურული გვარი ჰქონდა. გზაში ვისაუბრეთ და ზოგადად ვუთხარი, ერთ ადამიანს ვეძებ, ჩემი საქმროს ბედი მასზეა დამოკიდებული-მეთქი.

ზურიკო, ყველაფერი რომ დასრულდება, ეს ადამიანი აუცილებლად უნდა ვნახოთ, თორემ ისეთ დღეში ვიყავი, ხეირიანად მაღლობაც ვერ გადავუსაღე.

მოკლედ, მოვიდა, მომისმინა, მერე რუსლანს ხელკავი გაუყარა, წაიყვანა და თავის „მოსკვიში“ ჩასვა. არ ვიცი, რა უთხრა, მაგრამ ცოტა ხანში დამიძახა, — მოდიო. მანქანაში მეც ჩავჯექი, ის ხვესური კი გადავიდა და რუსლანთან მართლად დამტოვა.

„არ გეწყინოს, „სესტრიჩკა“, — მომიბრუნდა ბიჭი. — ისეთი დრო მოვიდა, ადამიანს ველარ ენდობი. მუსას ცალკე რუსები დასდევენ, ცალკე — თქვენი მათეოზები, ამიტომ უცნობს ყველაფერს

ვერ გეტყვი და მართალი ვითხრა, ხეირიანად არც კი ვიცი, რაშია საქმე. ზურათან თბილისში მე ვიყავი. მუსამ, ჩემმა დეიდაშვილმა, გამეზავნა. უნდა მეთქვა, რომ პანკისში ჩამოსულიყო. მუსას მასთან სასწრაფო საქმე ჰქონდა და ტელეფონით ვერაფრით უკავშირდებოდა. თუ ზურაბი მართლაც ციხეშია, ჩემი დეიდაშვილი შენ უნდა ნახო და სათქმელს თავად გეტყვის. ის ჯერჯერობით დალესტანში უნდა იყოს. ხასავიურტის რაიონი, სოფელი ბაირამაული — აი, სულ ესაა, რაც ვიცი და იმედია, ყოველივე ამას ისეთს არავის ეტყვი, მუსას რომ რამე დაუშავებ“.

ჩემო ზურიკო, ვიცი, ახლა ძალიან გამიბრაზდები, მაგრამ მინც უნდა ვითხრა — მე და შალვა საყვარელიძე ზვალ დალესტანში მივდივართ. რედაქციამ დაგვაფინანსა, ვიზებიც გაგვიკეთა და თვითმფრინავის ბილეთებიც აგვიღო. ბაქოში ჩავალთ, იქიდან კი დალესტანამდე ორი ნაბიჯია.

ღრმად მწამს, რამდენიმე დღეში ახალი ამბებით დავბრუნდები. გემუდარები, ნურაფერზე დიარდები!

გაკოცნი ბევრს, ძალიან, ძალიან ბევრს! შენი ეკა“.

წერილი სათუთად დაგვეკე და გულის ჯიბეში დავაპირე ჩაღება.

— სვობს, გაგანადგუროთ, — მითხრა ადვოკატმა. — შემთხვევით ვინმეს არ ჩაუვარდეს ხელში. შესაძლოა, მეტისმეტად ეჭვიანი ვარ, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტყვივა. ჩვენ სამს გარდა — შენ, ეკას და ჩემს თავს ვგულისხმობ — ყველაფერი ბოლომდე არავინ იცის და ჯერჯერობით, ასეც უნდა გავაგრძელოთ. ის კი არა და, — ვეკილმა კარს გახვდა. — გამოიცხეული არ არის, აქაც გვისმენდნენ და ხმადაბლა ვისაუბროთ. ეს აქამდეც უნდა გვექნა... ადამიანი, ვინც ამხელა საქმეებს ატრიალებს, იმასაც ეცდება, ჩვენი გეგმების შესახებ შეიტყოს...

წერილი უსიტყვოდ დავუბრუნე. დახია, ნაკუნები რკინის საფერფლეში ჩაყარა და სანთებლით ცეცხლი მოუკიდა. ჩემი ეკუნას ხელნაწერი რამდენიმე წამში ცეცხლის ალის ენებმა შთანთქა...

— ბატონო შალვა, მუსას, პანკისისა და დალესტანის თაობაზე არც ჩვენმა თანამშრომლებმა იცინა?

— რედაქტორმა ზოგადად იცის. ვუთხარით, რომ დალესტანში აუცილებლად უნდა გავემგზავროთ. პანკისზე, შენს მეგობარსა და ადამიანს გატაცებების შესახებ არც მისთვის გვითქვამს რამე. ისე, თავადაც ტაქტიანი ადამიანია და ტვინს არ გვიჭამს, ვინდათ თუ არა ყველაფრის ანგარიში ჩამაბარეთო.

— დიახ, კარგი ადამიანია... ბატონო შალვა, ეკა არაფერს მატყობინებს იმ

ადამიანზე, ქუჩაში რომ ასდევნებია...

– მას შემდეგ აღარ მოუკრავს თვალი... ჰო, კიდევ ის უნდა ვითხრა, რომ რომან გიორგაძე, იუსტიციის მინისტრი, უკვე გრძობაზე მოვიდა. ღმერთმა ქნას, დროზე დადგეს ფეხზე და ვეცდები, ეკას შეგახვედრო... თუ, რა თქმა უნდა, მანამდე არ გაგიყვანეთ აქედან.

– ბაქოში დილით მიფრინავე?

– კი, ზურა. ნუ ნერვიულობ, ყველაფერი კარგად იქნება. მთავარია, უკვე ნამდვილად ვიცით, რომ სწორ კვალზე ვდგავართ. ეკას რამე გადავცე?

– დიას... უთხარით, რომ ძალიან მიყვარს.

25.

ჩემს თანასაკენელთან სტუმრებმა სიარულს მოუხშირეს. ძირითადად, მეზობელი საკან-პალატების ბინადარი იყვნენ, თუმცა, რაღაცნაირად, ციხის სხვა კორპუსებიდანაც ახერხებდნენ გადმოსვლას. მოდიოდნენ თითო-თითოდ, წვევლ-წვევილად, ერთხელ ოთხი თუ ხუთი პატიმარიც ეახლა. ყველა რაღაც დახმარებას სთხოვდა, რჩევებსაც ეკითხებოდნენ. ის გატანჯულსახინი კაციც მობრძანდა, ჩხეიძეს მაღლობებს უხდიდა, „მერსედესი“ დამიბრუნესო...

ამის პარალელურად, საკანში ორჯერ დალაქიც გვესტუმრა და თავები გაავიკოხტავა. ორჯერაც ადმინისტრაციამ „შმონი“ – ჩხრეკა მოგვიწყო. ნაღზირატელები ფორმალურად, ვალის მოხდის მიზნით ირჯებოდნენ, თან ბებერ ქურდს ებოდიშებოდნენ, – არ გეწყინოთ, ხომ იცით, წესი გვაქვს ასეთი... რამდენჯერმე ექიმებმაც მოგაკითხეს, – რამე ხომ არ გაწუხებთ? არა-თქო, კუთხარით და მაშინვე გაგვეცალღნენ...

მე კვლავ სევდამ და მოუსვენრობამ დამრია ხელი. თითქოს უკეთესობა იყო, ჩემი დაპატიმრების რეალური მიზეზი თანდათან იკვეთებოდა, მაგრამ აღარაფერი მახარებდა... ან კი რა იყო სასიხარულო? რომც გაგვეგო, ვინ და რატომ ჩამავლო ასეთ დღეში, მაშინვე მოცივდებოდნენ და გამათავისუფლებდნენ თუ რა?... ეტყობა, კიდევ დიდხანს მომიწევდა აქ ყურყუტი... საათობით ვიჯექი ფანჯარასთან, მთა-გორაკებს გავყურებდი და მოსულებს არანაირ ყურადღებას არ ვაქცევდი. მხოლოდ „გამარჯობა“ და „კარგად ბრძანდებოდეთ“, თუმცა შიგადაშიგ მაინც მესმოდა, რაზეც საუბრობდნენ. ერთი ტიპი, მაგალითად, ჩხეიძეს საბინაო პრობლემის მოგვარებას სთხოვდა – თავის დროზე სოფლიდან სასწავლებლად ჩამოსული ნათესავები ჩავიწერე, ახლა კი მათი თანხმობის გარეშე ბინას ვერ ვყიდი, ისინი წილს მიხოვენ და დამეხმარეთო... უფრო

საინტერესო სხვა სტუმრის გასაჭირი იყო – თავისუფლებაზე მყოფ თავის ძმაკაცთან ქალი ვერ გაუყვია და გოგის მოადგა, – ეგებ თქვენ გადაწყვიტოთ, რომელი ვართ მართალიო... ვის რა აწუხებს...

ჰო, მართლა, ერთი თავშესაქცევი ეპიზოდც გამახსენდა – ვილაც დაკუნთული ბიჭი ეახლა და ეუბნება: „კამერაში კახა კვაჭაძესთან ერთად ვზივარ, შავი გაგებისაა, მაგრამ ტყუილუბრალოდ მჩაგრავს. გუშინწინ, დილით მითხრა, – ბიჭო, სიზმარში შენთან ასი ლარი წავაგე და აჰა, თავანი გამომართვიო. ვიფიქრე, გაგებული ვინმეა, რამეში არ ჩავიჭრა-შეთიქი და გამოვართვი. გუშინაც იგივე – ვა, დამესიზმრა, რომ კიდევ წავაგე ასი ლარიო და ფული მომცა. აი, დღეს დილით კი გამომიცხადა, – ბრატ, არ გაგიტყდეს, მაგრამ წუხელ სიზმარში ისევე გეთამაშე, ამჯერად ორი ათასი მოგიბე და მაყუთი უნდა ჩამაბარო“. ჩხეიძემ მაგარ-მაგარი ზეკური ეპითეტებით შეამკო და დააყოლა, – შენი ვითომ მოგებული თანხით სივარტები იყიდე, კარცერებში შეგაზავნე, იმ ვილაც თანსირ კვაჭაძეს კი გადაეცი, ჭკუით იყოს, თორემ იქნებ მეც დამესიზმროს, რომ მილიონი მოუვუგო...

ვიჯექი და ჩემთვის ვანგარიშობდი. მესამე დღეა, რაც ეკა წავიდა. შალვამ თქვა, – დილით მიგფრინავეთო, ე.ი. შუადღისთვის მაინც ბაქოში უნდა ყოფილიყვნენ, საღამოს – მახწყალაში. ვთქვით, ის დამე სასტუმროში გაათიეს, მეორე დღეს იმ აულში ავიდოდნენ და მუსას ნახავდნენ... ან ვერ ნახავდნენ... წესით, ორივე შემთხვევაში, საღამოს მახწყალაში დაბრუნდებოდნენ. დავუშვით, იქ კიდევ ერთი დამე დარჩნენ. ეგ უკვე ორი დღე-ღამე გამოვიდა, მესამე დღეს კი თბილისში უნდა იყვნენ... გამოდის, რომ საყვარელიმე დღეს თუ არა, ხვალ მაინც მომაკითხავს... ისე, ორი დამე სასტუმროში ერთად ყოფნა როგორი ამბავია?! – ეჭვმა გული გამისერა, თუმცა სულ ცოტა ხნით. – რა სისულელეა! რა-რა და, საეჭვიანოდ ნამდვილად არა მაქვს საქმე...

– ძმობილო, – ჩამესმა მოხუცის ხრინწიანი ხმა, – მგონი, ვერ უნდა იყო მთლად სტამბოლის კაჟივით.

– დიას, რაღაც ვერ ვარ კარგად.



– მეც, თითქოს, ვერ ვარ... ალბათ, წნევამ ამიწია. ვეთაყვა, გასძახე, ერთი, ექიმი ამოიყვანონ...

ბერიკაცს შეეხედე. სახე არაბუნებრივად დასწითლებოდა. ქანცამოცლილის იერი ჰქონდა. გულაღმა იწვა და მარცხენა ხელი საწოლიდან რაღაც საცოდავად გადმოჰკიდებოდა... კარს ვეცი.

– ვახო, ჩქარა!... ექიმს დაუძახე, გოგი ცუდად გახდა!

კიდევ კარგი, დროულად მოვიდნენ. დაფაცურდნენ, წნევა გაუზომეს, ძალიან მაღალი გაქვით, ნემსი გაუკეთეს და რაღაც აბებიც გადააყლაპეს.

ნახევარ საათში უკეთ გახდა, ფერიც დაუბრუნდა. ექიმებმა რჩევები და წამლების გროვა დაუტოვეს და წავიდნენ.

– ბიჭოს, კინაღამ გაღმა არ გავედი! – ჩაილაპარაკა მოხუცმა.

– ღმერთმა დაგიფაროთ, ბატონო გოგი.

– **Все му своё время**, – ჩხეიძემ თვალი ჩამიკრა. – ჩემი ხნის უკვე ქვა აღარ დაგორავს... ხომ არ შეგაშინე?

– მართალი ვითხრათ, კი. – ვაღიარე. – სახე ნამეტანი გაწითლებული გქონდათ...

– ამ სიბერეში ასე ხშირად მემართება ხოლმე. ეგ არაფერი, ძმობილო. რაც გიწერია, ვერ ასცდები... ჰო, მართლა, ჩვენი ინტერვიუების სერია ხომ არ განვავრდით? ცოტას გავერთობოდით.

– ექიმებმა რომ თქვეს, თავს ნუ გადაიტვირთავით? – შევახსენე.

– ეგ რა გადატვირთვა, ძმობილო! – მხნედ მომიგო. – პირიქით, ამით ვერთობი კიდევ. გინდა, ფულის საბეჭდი მანქანის ამბავი მოგიყვე?

– თუ მართლა გაქვთ ამის ჯანი, სიამოვნებით მოგიგმინებ.

გოგი ჩხეიძე ტუმბოზე დადებულ კრილოსანს დასწვდა...

– მოსკოვში არსებობს МУР-ის – Московский Уголовный Розыск-ის მუზეუმი, სადაც ძალზე საინტერესო ექსპონატებია გამოფენილი. თუ სტალიცაში მოხვდები, გირჩევ, შეიარო. მე შარშან ვიყავი... სულმა წამძლია. ვიცოდი, რომ იქ ბევრი ჩემი ნაცნობ-მეგობრის მოღვაწეობის ამსახველ რამე-რუმეებს ვიხილავდი... ვნახე კიდევ – ზოგის ფოტოსურათი, ზოგისაც – იარაღი, ნიღბები, კლიტის გასაღები მოწყობილობები – ატმინკები და ა.შ. ჩემი ყურადღება ერთმა აპარატმაც მიიპყრო. რკინის მოზრდილი ყუთი უჯრებით, ინდიკატორებითა და ფერად-ფერადი ნათურებით იყო აჭრელებული. დიდი ხნის წინ, 70-იანი წლების დასაწყისში ამ აპარატის გამო დიდი ხმაური ატყდა და სხვათა შორის, ამ ამბავში მეტნაკლებად მეც ვმონაწილეობდი. მაშინ ვერც წარმოვიდგენდი, რომ ამ დანადგარს თითქმის სამი ათეული წლის შემდეგ ისევ ვნახავდი...

მოკლედ, საქმე ასე იყო: მოსკოვის რომელიღაც ინსტიტუტის რამდენიმე სტუდენტმა ფულის საბეჭდი მანქანა დაამზადა და რუსეთში მოჩალიჩე ორ ქართველ ცენზავსს – ახლა ბიზნესმენები რომ ჰქვიათ – ოთუხბირად, 100 ათას მანეთად მიასუხარა. შედარებისთვის გეტყვი, რომ მაშინ ყველაზე დიდი ხელფასი ცეკას მდივნებს, აკადემიკოსებსა და კოსმონავტებს ჰქონდათ. – 700 მანეთი. საუკეთესო საბჭოთა მანქანის, „გაზ-24“-ის, ოფიციალური ფასი კი 9 ათასი იყო...

მაგარი აპარატი გამოიგონეს. შეაერთებდი დენში, დაჭერდი ლილაკებს, აბუშავდებოდა ძრავა და ვიწრო ჭრილიდან წითელ-წითელი, ტკიცინა თუმიანიები გამოცურდებოდა. თანაც იმდენად სრულყოფილი მექანიზმი ჰქონდა, ფულის ნომრებს ერთმანეთის მიყოლებით ყრიდა და კუბურებს ნამდვილისგან ვერაფრით გაარჩევდი.

სტუდენტებმა ჩვენებურებს დაწვრილებით აუხსნეს, ამ საქმისთვის როგორი ქალაქი გამოიყენებოდა, სად უნდა ჩასხმულიყო საღებავი, სად – სპირტი და ზეთი... ქართველებს ისიც უთხრეს, მანქანას მაინცდამაინც ნუ გადაასურებთ. ორ საათს რომ აბუშავებთ, მერე ერთი ამდენი დაასვენეთ, თორემ მოტორი გადაეწვებათ. ერთი ათმანეთიანის დაბეჭდვას 5-6 წუთი სჭირდებოდა, ე.ი. საათში 10 ცალი გამოდიოდა, დღე-ღამეში კი, თუ მხოლოდ 12 საათს აბუშავებდი 120 ცალი, ანუ 1.200 მანეთი. ერთი სიტყვით, იმ 100 ათასს სადაც სამ თვეში ამოიღებდნენ.

ბედნიერმა მყიდველებმა ეს საოცარი

აპარატი ტელევიზორის ყუთში ჩადეს და მატარებლით თბილისისკენ გამოსწიეს. ჩამოსვლისთანავე ერთ-ერთის ბინის სარდაფში მოათავსეს, ჩართეს და წამოვიდა ლამაზი თუმიანიები... გაიხარეს ცენზავიკებმა, აწი მილიონები შინ ჯდომით მოვევივო... ისიც უფიქრიათ, გარკვეული თანხა რომ მოგროვდება, მეორე აპარატიც ვიყიდოთ... ბეჭდეს და ბეჭდეს...

ორი დღის შემდეგ დანადგარში საღებავი და ქალაქი გათავდა. არ უნერვიულიათ, ყველაფერი წინასწარ ჰქონდათ მომზადებული და როგორც მოსკოვში დაარვიეს, ისე დატენეს. მაჭირეს ლილაკებს, ძრავა აბუშავდა, მაგრამ თუმიანი არ გადმოვარდნილა... ცოტა ხანს აცალეს, კიდევ მაჭირეს – მაინც არაფერი. გადარიგნენ, გავეიფუჭდა მანქანაო. გავარდნენ და გეპედან ნაცნობი ინჟინერ-მექანიკოსი მოიყვანეს. დაშალა იმ კაცმა აპარატი და ვაი, შენს დელეცებს, ფულის მანქანა არა, ტოროლა! ბუტაფორია ყოფილა, მოხერხებულ მოსკოველებს შიგ ერთი დასტა ახალთახალი თუმიანიები ჩაუწყვიათ, გამოიღია ის ფული და მორჩაკინო!

გულგახეთქილები მოქანდნენ ჩემთან, – რუსის ლლაპებმა გაგვადურაკეს, დაგვემარე, ის 100 ათასი წაართვი და ნახევარი შენი იყოსო...

გოგი ჩხეიძე წამოდგა, ელექტროჩაიდანში წყალი ჩაასხა და ასაღლებლად დადგა.

– მერე? – ვეღარ მოვითმინე. – რა მოხდა მერე?

– არც არაფერი. არ გავყვევი. ახია თქვენზე, უტვინო ბრიყვები ყოფილხართ, ასეთი ზღაპარი რომ დაიჯერეთ და ამხელა თანხა მიათხლიშეთ-მეთქი. ისიც ვუთხარი, რომ არ მიექარათ და მილიციამში არ განეცხადებინათ, თვითონვე დაზარალებით-მეთქი. არ დამიჯერეს შტერებმა, აპარატი მოსკოვში დაბრუნდნენ და იქ ნაცნობ მილიციონერებს შევლა სთხოვეს. იმათაც სხვა რა უნდოდათ? მეტი დარდი არ ჰქონდათ, ვიდაც შპანა მოეძებნათ, მით უფრო, რომ მათი არც გვარები იცოდნენ და არც მისამართები. აგერ არ ჰყავდა ფულიანი ხალხი? თქვენი ვიგინდარა დედაცო, – უთხრეს, – თქვენ თუ პატრიონი ხალხი ხართ, ის 100 ათასი თავად როგორღა იშოვეთ, ან ეს მანქანა რაში გჭირდებათო და კარგა ბლომად ფულიც დააყვავინეს... აი, ასე იყო და მერე ის მანქანა თავიანთ მუზეუმშიც გამოჭიმეს... სხვათა შორის, ზურაჯან, იმ ორი დელეციდან ერთი დღეს პარლამენტის წევრია, მეორე – მინისტრის მოადგილე... მოდი, ჩაი დაველიოთ.

26.

მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. ეკა და შალვა საყვარელიძე, წესით, ამ ღამით თუ არა, ზვალ მაინც უნდა დაბრუნდნენ. ნეტავ რა ქნეს, იპოვეს მუსა? თუ ნახეს, რამე მნიშვნელოვანი თუ უთხრა?...

ირიურაჟა, ჩიტები ჟღერტულს მოჰყენენ. მერე თითქოს ნისლში შევედიო... ჩამეძინა და ეკა მესიზმრა. შინდისფერი ძაფით ნაქსოვი ქუდი ესურა, ქუჩაში იდგა, იცინოდა და გამძლელებს თოვლის გუნდებს ესროდა. გამიკვირდა, ამ გაგანია ზაფხულში თოვლი როგორ წამოვიდამეთქი... ეკა კი უშენდა და უშენდა ხალხს გუნდებს. რამდენჯერაც ვცადე მიახლოება, იმდენჯერ დამისხლტა ხელიდან. შემდეგ საერთოდ გაქრა. გიჟივით დავექროდი, ვლრიალებდი, ვეძებდი, მგონი, მთელი სამყარო შემოვიბრინე, მაგრამ ვერსად ვიპოვე...

– მჭედლიძე, მოგაკითხეს, ძმაო! – ჩამესმა ვიდაცის ხმა.

ესეც სიზმარია თუ უკვე გამეღვიძა? თვალი გავახილე. გოგი ჩხეიძე საწოლზე ფეხმორთხმით იჯდა და გაზეთს კითხულობდა. ღია კართან ვახო – ზედამხედველი დავინახე.

– მჭედლიძე, – გამიმერა „ნადზირატელმა“, – ადე, ბრატ, შენი ადვოკატია ქვევით.

ფაციფუციტ ჩავიცივი და გავყვევი. გულს ბაგაბუგი გაუდიოდა. საყვარელიძე შეფიქრიანებული მეჩვენა.

– ვერ ნახეთ, ბატონო შალვა?

საჩვენებელი თითი ტუჩებთან მიიტანა.

– ვნახეთ, ვნახეთ, – ჩურჩულით მიპასუხა. – რა გაცვირებს? დაჯექი და ძალიან გთხოვ, ხმამაღალ რეპლიკებს მოერიდე.

– ეკა როგორ არის?

– კარგად... დამშვიდდი, რა, ზურა.

აბა, რატომღა ხართ ასე ცხვირჩამოშვებული-მეთქი, მინდოდა მეკითხა, მაგრამ აღარაფერი მითქვამს, სკამზე ჩამოვჯექი და სძენად ვიქეცი.

– მუსას სულზე მიუუსწართ, – მაცნობა ვექილმა. – ნახევარი საათიც და ვეღარ ვნახავდი. იარაღასხმულ ხალხთან ერთად ჩენთში მიდიოდა... ჩვენმა მოგზაურობამ ნორმალურად ჩაიარა. დაწვრილებით აღარ მოვიყვები, მთავარია, რომ დაბრკოლება არსად შეგვექმნია და შენი მეგობარიც, საღ-სალამათი, უპრობლემოდ ვიპოვეთ. ეკამ თქვენი ფოტოსურათი უჩვენა და ვითარებაც დეტალურად აუხსნა. მუსას შენი დაპატიმრების ამბავი არ სცოდნია, თუმცა რომ მოგვისმინა, დაუფიქრებლად გვითხრა, – ციხეში უთუოდ ჩემ გამო მოხვდარო... ახლა ყველაზე საინტერესო რამ უნდა ვიამბო. ის იყო, უნდა გვეკითხა, – ასეთ რა მნიშ-

ვენლოვან ინფორმაციას ფლობ-თქო, რომ წამოღდა, მეორე ოთახში გავიდა და ვიდუკასეტა გამოგვიტანა...

– რას ლაპარაკობ?! – ვერ შევიკავე თავი. – ეი. სწორად გამოგვიცნია ყველაფერი?

– კი, ზურა. ათიანში გაგირტყამს. ნამდვილი შერლოკ ჰოლმსი ხარ, ძმაო, – გამოიღმა საყვარელიძემ და უმაღ სერიოზული სახით დააყოლა, – მართლაც კასეტაში ყოფილა საქმე, თუმცა, ჯერ-ჯერობით, ყველა კარტი როდი გაგვეხსნა.

– რას გულისხმობ?

– ახლავე ავიხსნი. შენმა მეგობარმა თქვა, რომ ადამიანთა გამტაცებლების თაობაზე სრულყოფილი ცნობების შეგროვება პანკისში არ აცალეს. ეტყობა, იყნოსეს, ინფორმაციის მოპოვებას რომ ვცდილობდი და ჩემს მოსაკლავად თბილისიდან მაშინვე მთელი ბანდა გამოგზავნესო. იმავე ღამით აყრილან, ჯერ თუშეთში, იქიდან კი, ფეხით დაღესტანში გადასულან... დუისში მუსას მხოლოდ კასეტის ხელში ჩაგდება მოუწერებია. მეგობრები ელოდებოდნენ, ძალიან ეჩქარებოდა და მოკლედ გვითხრა, – კასეტა ერთმა ქისტმა მომცაო. იმას საიდან ჩაუვარდა ხელში, ვერ შევიტყვეთ და ეს, პრინციპში, არც არის მთავარი. მუსას უნახავს ფირი, თუმცა ამით მხოლოდ ის შეიტყო, რომ მასზე რამდენიმე გამტაცებული და სამი მსხვერპლია აღბეჭდილი. კონკრეტულად ვინ არიან, არ ვიციო. ჩვენდა სამწუხაროდ, ვერც იმ მითური ბობოლას ვინაობა დაუდგენია, დრო არ მეყო...

ერთი სული გვქონდა, კასეტა საკუთარი თვალთ გვენახა, რატომღაც დარწმუნებული ვიყავით, რომ ვინმეს უთუოდ ამოვიცნობდით, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა. ფრანგი ლერუს გარდა, ნაცნობი სახე ვერ ვიხილეთ... სულ 4-წუთიანი ჩანაწე-

რია. ფირი შავ-თეთრი და მეტისმეტად უხარისხოა. ეტყობა, გამტაცებელთაგან ერთ-ერთის ტანსაცმელზე დამაგრებული ფარული კამერითაა გადაღებული. რისთვის დასჭირდა თანამოსაქმეების ასე აღბეჭდვა, წარმოდგენა არა მაქვს. ამაზე მერე ვიმსჯელოთ... ახლა თვით კადრში რა ხდება: ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში სამი მამაკაცი ზის და ქართულად საუბრობს. ორს ფოთლოვანი სამხედრო ფორმა აცვია, მესამეს – ჯინსის შარვალი და ღია ფერის მაისური. გარკვევით ჩანს წარწერა ამ მაისურზე – ALC-ATRAZ.

– ეს, თუ არ ვცდები, ციხე იყო კუნძულზე, სან-ფრანცისკოს მახლობლად, – სადღაც წაკითხული გამახსენდა და მექანიკურად ჩავილაპარაკე.

– რა?... ა, ჰო, მართალი ხარ, – დამეთანხმა ადოკატა, – და იმ ციხეში ალკაპონეც იჯდა... ჰო, ერთი ფორმიანი ამბოს, – იქნებ ეძვირებათ და ფასს ხომ არ დავუკლოთო? არაო, – პასუხობს ჯინსიანი, – ისედაც ბევრი დავაკელითო. მერე ეს უკანასკნელი ვიღაც რობას თუ რომას სახელს ახსენებს, – გაავიწყდება, ამდენ ხანს რომ ვერაფერს ვახერხებთო და ეცინება, – ეს ძალიან მშვენიერია, ალბათ, უკვე ყარან, მაგრამ მაინც მანახვეთო... დგებიან, გარეთ გადიან, რაღაც შელახულ შენობას კედელ-კედელ მიუყვებიან და ბოსლის მსგავს ნაგებობაში შედიან. ამ დროს იმ კაცის ხმაც ისმის, ყველაფერს რომ იღებს. ამბობს, – ჯერ კარი მოვიხურთო და სინათლე მერე ავანთოთო. შემდეგ ხარვეზია და უცებ პატარა ოთახი მოჩანს. მიწის იატაკზე თივა და ლეიბები ყრია, ზედ სამი გამვალტყავებული კაცი წევს... თავიდან ჩერის გროვად მივიჩნიეთ და მერეღა მივხვდით, ადამიანები რომ იყვნენ... ორი არ ინძრევა, მესამე თავს სწევს და რაღაცას ბუტბუტებს. აქაც ძალიან ცუდი გამოსახულებაა, მაგრამ სტოპ-კადრის საშუალებით დავადგინეთ, ლერუს რომ იყო. ჩხირით გამხდარა, წვერი აქვს მოშვებული, რა დღეში ჩაუვდიათ საწყალი... კადრში ისევ ჯინსიანი შემოდის, ივინება. ვიღაცის ხმაც ისმის, აქ რომ შემოვლივარ, ქუჩის უბორნიამი მგონია თავიო და ფირი წყდება.

ჩანაწერი, როგორც ვითხარია, უხარისხოა. მთელი 4 წუთიდან გარკვევით მხოლოდ ის ჩანს და ისმის, რაც ვითხარია. ეკა ახლაც ვიდუოსთან ზის და დანარჩენის გაშიფვრას ცდილობს. მე შენთან გამოვიქეცი, ვიცოდი,

ეკლებზე რომ იჯდებოდი.

– ბატონო შალვა, კასეტა აუცილებლად უნდა გაამრავლოთ. დედანი რომ დაიკარგოს...

– უკვე გავამრავლეთ, – გამაწყვეტინა საყვარელიძემ. – პირველ რიგში, რა თქმა უნდა, სწორედ ეგ გავაკეთეთ. ერთი ეგზემპლარი ეკასთანაა, მეორე შინ წავიდე, დანარჩენ ორს შენს კოლეგას, ირაკლი ახვლედიანს და თქვენს რედაქტორს გადავცემ და ვთხოვ, რომ ჯერჯერობით არ ნახონ... დედანს რაც შეეხება, ის ფირი, რაც მუსამ გადმოგვცა, უკვე გადაწერილი ვარიანტია. მცირე ზომის ფარულ კამერებში პატარა კასეტებს დებენ, ეს კი ჩვეულებრივი, ვეპანის ტიპის, ეწ. ბიტავიო კასეტაა. ნაღდი დედანი, ღმერთმა უწყის ვისთანაა...

– ეი. მუსამ თქვა, მეტი არაფერი ვიციო? – ამოვიხორე.

– აბა, კაცი არადა, რა იმედი გვქონდა, რომ უფრო მსუყე ლუკმას ჩაგვიგდებდა ხელთ... ნუ, რას იზამ. იმით დავკამყოფილდეთ, რაც გვაქვს. თუ შენი და მუსას ბინების ჩხრეკისა და საერთოდ, მთელი ამ დავიდარაბის საფუძველი სწორედ ეს კასეტაა, გამოდის, რომ ფირზე რაღაც ძალიან მნიშვნელოვანია ასახული...


– ან კიდევ მეორე ვარიანტია, – ჩავურთე. – შესაძლოა, ჰგონიათ, რომ ძალზე მნიშვნელოვანია და სინამდვილეში ბევრი არაფერია...

– არც ესაა გამორიცხული, – კვერი დამიკრა ვექილმა. – თუმცა მაინც ვფიქრობ, ჩანაწერში რამეს აღმოვაჩინო.

– როგორ გგონიათ, ვინ და რატომ გადაიღო?

– ალბათ, – საყვარელიძე წამით ჩაფიქრდა, – მათ შორის უთანხმოება წარმოიშვა. ხშირია შემთხვევა, საქმეს მოამთავრებენ ხოლმე და მერე დაერევიან ერთმანეთს... მაგალითად, თანხის გაყოფაზე ვერ შეთანხმდნენ... არა, არა... თუ კასეტის მიხედვით ვიმსჯელებთ, გამოსაყიდის მიღება უჭირთ და შესაძლოა, ამით გაღიზიანებულმა რომელიმე ყაჩაღმა სხვებზე კომპრომატების შეგროვება დაიწყო... იქნებ, სხვა რამ მიზეზიც არის... მიჭირს ამ, ასე ვთქვათ, ოპერატორის ჩანაწერის გამოცნობა. ვერც იმას ვხვდები, როგორ ჩაუვარდა კასეტა შენს მეგობარს. ვიღაც ქისტმა მომცაო, – თქვა. იქნებ, ეგ ქისტია ის კაცი, ვინც იღებდა... ამ შემთხვევაში ბევრი ვარიანტია შესაძლებელი... ყველაზე მეტად მაინც ის მაფიქრებს, რატომ არ გვეხმანებიან... მივაშავებდით ფირს და მორჩებოდა ყველაფერი... კარგი, ზურა, დღეს ამით დავასრულოთ, საქმეს მივხვდავ...

გაგრძელება შემდეგ ნომერში





„აჯაჯა“ ლახანაში აქირი „ტუროლიან“ თვალწული თაჯაჯაჯა

იპოჩანსი

მარიო მერონი „არ გავცელი მე ჩემს ხამშობლოს!“

ფრაგმენტები წიგნიდან

1988 წელს, თბილისელი გოდერძი კაციტაძე, ხალხური ცეკვის ანსამბლთან ერთად, ინდოეთში გასტროლებზე გაემგზავრა და დელიში, ამერიკის საელჩოში შეღწევა მოახერხა. მისი განზრახვა — საბჭოთა კავშირიდან გაქცეულიყო და აშშ-ში დასახლებულიყო — რეალური გახდა. გოდერძი, ჰონკონგისა და იაპონიის გავლით, ნიუ-იორკში გადაისროლეს. იქ მას აშშ-ში ცხოვრების დასაწყებად საჭირო ყოველგვარი დახმარებაც აღუთქვეს და რადიოსადგურ „ამერიკის ხმაში“ სამასაჟურიც შესთავაზეს. მაგრამ მიზანთან მიახლოებისას, ქართველი კაცი მიხვდა, რომ საშობლოსთან და საკუთარ სისხლსა და ხორცთან სამუდამოდ განშორება მისთვის აუტანელი იქნებოდა. გოდერძი ვაშინგტონში საბჭოთა კავშირის საელჩოს დაუკავშირდა და შინ დასაბრუნებლად დახმარება სთხოვა, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ პატიმრობა არ ასცდებოდა. ამერიკელ სახელმწიფო მოხელეებთან შესახვედრად ის საბჭოთა დიპლომატთან და „კაგებეს“ ოფიცერთან ერთად გაემართა. მასპინძელთა მხრიდან ამ შესვენდრას სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსანი და შემდგომში (რონალდ რეიგანის ადმინისტრაციაში) აშშ-ის სახელმწიფო მდივანი, ჯეიმს ბეიკერი ესწრებოდა...

(დასაწყისი იხ. №17-22)

პირველი შეკითხვა, რომელიც ბეიკერმა დამისვა და თარჯიმანმა გადაგვითარგმნა, ასე ჟღერდა: როდის გადაწყვეტილ სამშობლოში დაბრუნება და ხომ არ იყო ვინმეს მიერ ეს ნაკარნახევო?

მეც არ დავაყოფნე პასუხი: სამშობლოში უკან დაბრუნება ვერ კიდევ აქ ჩამოსვლამდე მქონდა გადაწყვეტილი-მეთქი.

თარჯიმანმა გააუთარგმნა ბეიკერს, რომელსაც სახეზე გაკვირვება გამოესახა თარჯიმანი მთხოვს პასუხის კიდევ ერთხელ გამეორებას. მეც იმავეს ვიმეორებ და — ისევ ბეიკერის გაკვირვებული სახე გვერდზე მივიხედე და დავინახე ანტიპოვის კმაყოფილი სახე, რომელმაც შემასწავლა, რომ შემეძლო, დანარჩენი კითხვებისათვის არც კი მეპასუხა. ვუთხარი, მზად ვარ, ყველა კითხვა მოვიმძინო-მეთქი, რაზედაც მითხრა, შენ იცოი.

შემდეგ იყო კიდევ ათიოდე შეკითხვა და ჩემი პასუხი. უცებ სიჩუმე დაიხდა. ანტიპოვმა ჩამოურჩულა — ალბათ, იმ ხუთი წუთის გამოყენება უნდათო. თარჯიმანი ბოდიშს იხდის და მიმართავს ანტიპოვს, რომ ამერიკის მხარის თხოვნით, ხუთი წუთით დატოვონ ოთახი. ანტიპოვმა მუხლი მომადლო

და გამაძინევა — ღერეის, გრუნირი, — წამოვლა და მერე ჩვენთან ერთად ოთახიდან გავიდა. სიტუაცია დაიბაძა, დავრჩი მარტოდმარტო ამ უზარმაზარი „გველეშაპის“ პირისპირ. ჩემს თავს შევეუბნე და კიდევ შევახსენე რომ რაც არ უნდა შემოეთავაზებინათ, ჩემი ოჯახის საკეთილდღეოდ, არ მქონდა გადაწყვეტილების შეცვლის უფლება.

ჯეიმს ბეიკერი პოჯაკის მარცხენა გულის ჯიბიდან იღებს რაღაც ბლოკნოტის მსგავსს და წინ იღებს, შემდეგ მერე გულის ჯიბიდან იღებს ავტოკალამს, ხსნის თავსახურს და გვერდზე დებს. მე დინჯად, მაგრამ დიდი ინტერესით თვალყურს ვადევნებ მის ყოველ მოძრაობას. სიჩუმეს ჯეიმს ბეიკერის დინჯი ლაპარაკი არღვევს თარჯიმანი ანმოვანებს.

— ამერიკის შეერთებული შტატების სახელით ჯეიმს ბეიკერი დიდ მადლობას გიხდით, რომ ესტუმრეთ ჩვენს ქვეყანას და პირადად დარწმუნდით ამერიკის დემოკრატიულობასა და სიძლიერეში.

...მათ აქეთ დიდი სურვილი, ამერიკაში ჩემი დარჩენისა და ექვს თვეში ოჯახის წევრების ჩამოყვანის სრულ

გარანტიას მძლევენი. ამასთან, ჩემი ოჯახის წევრების სრულ უსაფრთხოებას მპირდებიან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარევით. გარდა ამისა, ამერიკის მხარე მთავაზობდა 50 ათას დოლარს, ფეხზე დასადგომად, ვინაიდან ებრაელებისაგან განსხვავებით, ქართველებს სხვა ვერაფერ უწევდა ფინანსურ დახმარებას და ბატონი ჯეიმს ბეიკერი უფლებამოსილი იყო, აქვე ამ მაგიდასთან ჩემ თვალწინ შეეკო 50-ათასდოლარიანი საბანკო ჩეკი და ჩემთვის გადმოეცა. თანხა იქნებოდა უპროცენტო კრედიტი, რომელიც 10 წელიწადში უნდა დამებრუნებინა უკან. ამის თქმა იყო და მე ინსტინქტურად შევხედე ბეიკერის წინ მაგიდაზე „სიტი ბანკის“ ჩეკს და მის გვერდზე ოქროსწვერიან საწერ-კალამს.

ჩემს ცხოვრებაში ეს იყო ერთადერთი გადამწყვეტი მომენტი, როგორც აქამდე არასოდეს მქონია და ალბათ, არც აღარასოდეს მექნება.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, ჩემი გულისცემა მესმოდა. ერთ წამში, სასწორის ხან ერთ, ხან მეორე მხარეს ვიდექი. მდგომარეობიდან ისევ თარჯიმანის შეკითხვამ გამომიყვანა. მათი მხარე სასწრაფო პასუხს მთხოვდა, ვინაიდან ხუთი წუთი იწურებოდა, სწორედ ის ხუთი წუთი, როცა ყოფნა-არყოფნის ფასეულობა ერთმანეთს ებრძვის. მე თავი ხელში ავიყვანე, ერთი ღრმად ამოვიუნთქე და ბატონ ჯეიმს ბეიკერს მივმართე: მაგლობა ყველაფრისათვის, მაგრამ მე ისევ და ისევ იმ ქართველად ვრჩები, რომლისთვისაც ყველაზე ძვირფასია სამშობლო და მერე — ოჯახი და რომ მე



პირველი შეკითხვა, რომელიც ბეიკერმა დამისვა და თარჯიმანმა გადაგვითარგმნა, ასე ჟღერდა...

სხვაგვარად არ ძალძიძს, და თუ ოდესმე კიდევ მომეცემოდა საშუალება, დიდი საიმედოებით ჩავიდოდი ამერიკაში, ოღონდ – არა საბუღალტრო საცხოვრებლად. ისიც დავამატებ, რომ ვიცოდი, ამერიკის მხარემ ჩემს აქ ჩამოყვანაში 35.000 დოლარი რომ დახარჯა და თუ საშუალება მომეცემოდა, ამ თანხას უკან დაფურთხებდი.

ამის თქმა იყო და ბატონმა ჯეიმს ბეიკერმა, ისე, რომ ჩემთვის თვალი არ მოუშორებია, საბანკო ჩეკი და ავტოკლავში პიჯაკის ჯიბეში ჩადო და თარჯიმანს რაღაც ანიშნა.

თარჯიმანმა დილაკს თითი დააკვირა. დაახლოებით ნახევარ წუთში კარი გაიღო და ანტიპოვი და ის მამაკაცი შემოვიდნენ. ანტიპოვი ცნობისმოყვარედ მიმხერდა. მე დამშვიდებული სახით თვალი ჩაუკარი, ამით ვანიშნე, რომ ყველაფერი რიგზე იყო. ისინი მაგიდას მოუსხდნენ. ჯეიმს ბეიკერმა ოფიციალური განცხადება გააკეთა: „ამერიკის შერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი აკმაყოფილებს მისტერ კაციტაძის თხოვნას საბჭოთა კავშირში დაბრუნების შესახებ“.

ანტიპოვმა სიტყვა ითხოვა და მიმართა ბეიკერს: გთხოვთ, ამერიკის მხარემ უზრუნველყოს ამხანაგ კაციტაძის უსაფრთხოება რუსების დასახლებიდან აერობორტადელო, – რაზედაც თანხმობა მიიღო. ბეიკერი წამოდგა, ჩვენც წამოვდექით და ოფიციალურად დავეშვიდებოთ ერთმანეთს.

გბრუნდებოდით დასახლებაში და კმაყოფილები ვიყავით. გზაში ანტიპოვმა მითხრა – რაღაც შენი სიტყვა არ გატეხე, არც ჩვენ გავტეხით დანაბრებს, ახლა ცოტა ვიჩქაროთ და ყველაფერი წესრიგში იქნება.

მიველით დასახლებაში, მე მალაზიაში შევედი და დარჩენილი თანხით ვიყიდე სუვენირები ოჯახის წევრებისათვის. ვისადილეო და საღამოს სუთ საათზე უკვე მზად ვიყავით აერობორტში გასამგზავრებლად.

ანტიპოვმა მითხრა, რომ ხელწერილი უნდა დამეწერა იმ 66 მანეთის უკან დაბრუნებაზე, რაც ღირდა ბილეთი ვაშინგტონიდან მოსკოვამდე (მამინდელი საბანკო კურსით 1 დოლარი 0,56 მანეთს უდრიდა). ამის გაგონებაზე სუშრობით ვუთხარი – ამერიკის მხარემ 35.000 დოლარი დახარჯა და ერთ ცენტს არ მიხვავ, თქვენ კი, რაღაც 66 მანეთის დაბრუნებას მიხვავთ...

რასაკვირველია, დავწერე ხელწერილი და ეწიში გამოვიდი. ორი მანქანა გველოდებოდა. პირველში მე და ანტიპოვი ჩავსხედით, მეორეში – უშიშროების თანამშრომლები. გამოვდივართ დასახლებიდან და რას ვხედავ? – გარეთ პოლიციის ორი მანქანა გველოდება. ანტიპოვი სუშრობით მეუბნება, ასეთი ესკორტით თვით შევარდნაძესაც არ აცილებენო... დავიძვარი აერობორტისკენ, წინ პოლიციის მანქანა, მეორე – უშიშროების სალზი, მათ ჩვენ მივდევდით და უკან პოლიცია მოგვეყვებოდა. პოლიციის მანქანებს ჩართული

ჰქონდათ სირენები და ჩვეულებრივზე ცოტა უფრო დიდი სიჩქარით მოძრაობდნენ.

აერობორტადელო მანძილი ნახევარ საათში გავიარეთ, ეს საკმარისი იყო იმისთვის, რომ წარმოემდგინა, რას განიცდიან დიდი თანამდებობის პირები, რომლებსაც სშირად უხდებთ ასეთი პატივით მოძრაობა და გამეგო, თუ რატომ განიცდიან მტკივნეულად თანამდებობის დაკარგვას...

აერობორტში ცალკე ოთახში შევედი. ერთმა თანამშრომელმა ანტიპოვს ჩემი ბილეთი მოუტანა, შემდეგ ვილაკე, მურინავის ფორმაში გამოწყობილი შავგვრემანი, მაღალი მამაკაცი შემოვიდა. გამაცნეს – ეს შენი „ხემლიაკი“, ქართველი, ხომალდის კაპიტანი იყო და იქვე ჩემთან ანტიპოვმა მისცა

ოლუმინატორიდან დავინახე ორი შავი „ვაზ-24“ მარკის ავტომობილი, რომლებიც ტრაპიდან 20 მეტრში იდგნენ.

სტუარდესა მომიახლოვდა და მიხვავ, გავყოლიდი გასასვლელისაკენ. კარი ღია იყო, გოგონა დამემშვიდობა და მეც ტრაპზე შევდექი, თან იმ შავი „ვოლგებისაკენ“ გავიხედე. ამ დროს გაიღო წინა მანქანის კარი და შევაძინე, როგორ გადმოვიდა მაღალი, შავ ლაბადაში გამოწყობილი ორი მამაკაცი, რომელთაც ნელი ნაბიჯით დაიდრა ტრაპისაკენ. მივხვდი, რომ მე მხედვობდნენ და მეც თამამად თავაწეული, ბროდვეიზე ნაყიდ ასევე შავ ინგლისურ ლაბადაში გამოწყობილი გავემართე მათკენ.

როცა ერთმანეთს მივუახლოვდით, ერთ-



ეს საკმარისი იყო იმისთვის, რომ წარმოემდგინა... თუ რატომ განიცდიან ასე მტკივნეულად თანამდებობის პირები თანამდებობის დაკარგვას...

დავალბა, რომ როცა კანდის ერთ-ერთ ქლაქში დავდებოდა საწვავის ასაღებად და მეზავრები თვითმფრინავს დროებით დატოვებდნენ, მე თვითმფრინავში უნდა დავეტოვებინე. ანტიპოვი მომიბრუნდა და მითხრა – კანდა იგივე ამერიკაა და რაიმე ინციდენტს ადგილი რომ არ ჰქონდეს, თვითმფრინავიდან არ უნდა გადახვიდეო. დამეშვიდობა, ხელი ჩამომართვა, ჩანთის „ბირკა“ მომცა და ერთმანეთს დავცილდით.

...ხომალდი ნელ-ნელა მოსწყდა ამერიკის მიწას. ჩამეძინა. კანდაში დაფრენისას გამოემედიბა. მეზავრები გადაიყვანეს, თვითმფრინავში მე და ეკიპაჟი დავრჩით. სალონში ეკიპაჟის მეთაური, ის ქართველი შემოვიდა, მომიახლოვდა და რატომღაც რუსულად მკითხა, იყო თუ არა ყველაფერი წესრიგში...

შემდეგ – ისევ ასაფრენი ბილიკი და ცხრასათიანი საჰაერო მოგზაურობა. ისევ ჩამეძინა და მამინ გაემედიბა, როცა სტუარდესმა გამოაცხადა – ნახევარ საათში ჩვენი თვითმფრინავი ქ მოსკოვის შერემეტეიევის აერობორტში დაემედა.

იღა 11 ნოემბერი. 12 საათი. თვითმფრინავი საფრენ ბილიკზე დაემედა და ნელი მოძრაობით გაემართა აერობორტის შენობისაკენ. როცა თვითმფრინავი გაჩერდა და ტრაპი მოადგეს,

ერთმა მათგანმა – ეტყობა, თანამდებობით უფროსმა – ხელი გამომიწოლა და მკითხა – ტოვარიშჩ კაციტაძე? მეც ხელი ჩამოვართვი და თანხმობის ნიშნად თავი დავექნიე. გთხოვთ, – მითხრა და მანქანისაკენ მიმითითა. თან პასპორტი და „ბირკა“ გამომართვა და ვილაკას გადასცა.

მანქანის უკანა კარი გამიღეს კუთხეში ახალგაზრდა კაცი შეენიშნე. მეც ჩავვექი, გვერდზე ვილაკე მომიხვდა, ის მაღალი კი, წინ ჩავლა და მანქანა დაიდრა, უკან მეორე მანქანა მოგვეყვებოდა. ალაყვის რკინის კარი გუმამგა სწრაფად გააღო. მანქანები დიდი სისწრაფით ამოძრავდნენ. უკან სავარტელში უშიშროების თანამშრომლებით გარემემორტყმული ვიჯექი და ვფიქრობდი, რომ ყველაფერი დამთავრდა, რომ ანტიპოვმა, რომელიც დაბადების დღის გადახდას საკუთარ სახლში მპირდებოდა, მიმატყუა.

1988 წლის 11 ნოემბერი. მოსკოვის დროით 14 საათი. მე 43 წელი შემიძრულა.

სიჩუმე წინა სავარტელში მჯდომმა თანამშრომელმა დაარღვა მძლოლს უთხრა – პატარაბის ჩიბი პატიმ უსაჯე ვი ჭეკოვო.

მძლოლმა სიჩქარეს მოუმატა. რა ხდება? ნუთუ სახლში გამიშვებენ? – ვეკითხები ჩემს თავს და დედებთ პასუხსაც ვაძლევ, რაღაც თბილისში თვითმფრინავები ვნუკ-

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტექსტის კითხვებზე გავგივრდებით პასუხის გაცემა...

1. რომელმა დასავლურმა ანსამბლმა მიიღო საპოქოთა კავშირში პირველად ჰონორარი თავისი სიმღერების გამომშვების უფლებისთვის?



- ა) „როლინგ სტოუნზმა“;
- ბ) „ბითლზმა“;
- გ) „აბბა“.

2. რას ეძახიან ბილიარდის მოთამაშეები გურთულას, რომელზეც ერთიანი გამოსახულია?



- ა) „ტუზს“;
- ბ) „ჯოკერს“;
- გ) „ბლექ ჯეკს“.

3. რომელ მხეხანაში გამოიგონეს ძოღა?



- ა) იაპონიაში;
- ბ) ინგლისში;
- გ) ჩინეთში.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ოვოს აერობორტადან მიფრინავენ. ე. ი. ყველაფერი მოლაპარაკებისამებრ დამთავრდება.

დასწლოებით 40 წუთის შემდეგ, მანქანა ტერფისკის მოედანზე უშიშროების კომიტეტის მისაღებთან გაჩერდა, ყველანი გადმოვიდით და შევედით შენობაში ერთ-ერთ ოთახში შემოვიყვანეს და მარტო დამტოვეს. სუთ წუთში ფორმანი პოლკოვნიკი შემოვიდა რაღაც ქაღალდები შემომიტანა და მაგიდას მივუსხელით. თავაზიანად მომესალმა და მიხოვა პატარა ტესტი უნდა გავიაროთო. კითხვებზე პასუხები 5 წუთში უნდა გამეცა. 50 კითხვა იყო, დაწვებული საცვლების ფერიდან, დამთავრებული ინტეგრირი საკითხებით. მეც საქმეს შევედექი და 12 წუთში პასუხები მზად მქონდა. ილაკას თითი დავაჭირე და ის პოლკოვნიკი შემოვიდა, მოხრა – მალაღეც არც ისე ცუდააო.

მერე მეოთხე სართულზე უფროსთან კაბინეტში ამიყვანეს. მაგიდასთან გენერალ-ლეიტენანტის ფორმაში გამოწყობილი, 50 წლის ჭადარაბურული ოფიცერი დამხვდა. თბილად მომესალმა, ხელი ჩამომართვა და მითხრა – დავალებული გვაქვს, თბილისში თქვენი ჩაყვანა, ბილეთს ავიღებენ, რომელიც ღირს 37 მანეთი, თან ხელზე მოგცემენ 5 მანეთს სახლში მისასვლელად; ორი დღე დაისვენეთ, ხოლო 13 ნოემბერს დილით მიხვალთ საქართველოს უშიშროების კომიტეტში მეორე სართულზე 21-ე ოთახში და ამ თანხას – 52 მანეთს მიუტანთ ამხანაგ გივი აბრამიშვილსო. ასე დაამთავრა საუბარი გენერალმა და გზა დამლოცა.

ქვევით, პირველ სართულზე რომ ჩავედი, იატაკზე იღო ჩემი შავი ჩანთა. ავიღეთ და იმ გამცილებლებთან ერთად ისევ იმ შავ „ოკლათონში“ ჩავსხედით. იქნებოდა ასე, საღამოს ექვსი საათი.

მივდივართ აერობორტ ვენუკოვოს მმართველებთან და პატარა ეჭვი მაინც მტრუნის, რომ თბილისის აერობორტში გამაძწარებენ. ამასობაში, მოვადექით ქუჩოვოს აერობორტს. ვილაკამ ბილეთი მიმიტანა, მოჰკიდეს ჩემს ჩანთას ხელი და სამთავრობო გასასვლელიდან გამიყვანეს ფეხით მივედი იქვე ანლოს მდგარ „ტუ-104“-თან, რომელიც თბილისში მოფრინავდა ერთ-ერთმა მათგანმა აირბინა ტრაპზე და ეკიპაჟის უფროსი ჩამოიყვანა, რომელსაც ჩააბარეს ჩემი თავი, ჩანთა და ბილეთი ხელში მისცეს, დამეშვიდობნენ და წავიდნენ. ჯერ ჩასხდომა დაწვებული არ იყო და მეზავრებიც არ ჩანდნენ. ეკიპაჟი მოსკოველების აღმოჩენაში, უფროსიც რუსი იყო. ამიყვანა თვითმფრინავში, ჩანთაც იქვე კაბინასთან პატარა საკანში შედგა და კეთილი მეზავრობა მისურვა. ჩემს კითხვაზე – თბილისში რომელ საათზე ვიქნებით-მეთქი? – მიპასუხა – თქვენი დროით თერთმეტს რომ თხუთმეტი დააკლდებაო.

რამდენიმე წუთში, ხმაური შემომესმა, მეზავრები ამოდიდნენ. ქართულ ლაპარაკს მონატრებულმა, ყურები ვცქვიტე ვვრძობდი, თუ რა საიმოვნებას მანიჭებდა ტკბილი და

თბილი ქართული სიტყვების გაგონება...

ვზივარ და გონებაში ერთმანეთს ვადარებ „ბი-747“-ს თავისი 350 უხმაური მეზავრით და „ტუ-104“-ს 100 ხმაურიანი და მხიარული მეზავრით. იმ დასკვნაზე მივდივარ, რომ რეისის თბილისი-მოსკოვი ასეთივე დიდი 350-კაციანი თვითმფრინავი ესაჭიროება, რათა ქართველმა კაცმა თავი გაღალბებულად და თავისუფლად იგრძნოს, ალბათ, ასეთი დროც დადგება.

ჩამთვლიმა. ყურში მესმის რუსული სიტყვები – „ჩერეხ 30 მინუტ ნამ სამალოტ პრიზემლიტსია ვ აერობორტუ სტალიცი გრუხი ვ გოროდე ტბილისი, ტემპერატურა ვიზღესა პლიუს 12 გრადუსოვ“.

ზუსტად განრიგით დათქმულ დროს – 10 საათსა და 45 წუთზე ჩამოვფრინდით. ტრაპი მოაყენეს, კარი გაიღო და აპა, თბილისური ჰაერის პირველი შესუნთქვა. დახს, აქ პერიციკი სხვანაირი სურნელია. ეკიპაჟის მეთაური გამოვიდა და ჩავედი. აქეთ-იქით ვინებუბოდი, ხომ არავინ მხვდება-მეთქი, მაგრამ ვინმე სერიოზულს თვალი რომ ვერსად მოვკარი, მივხვდა, ანტიბოვმა თავისი სიტყვა პატრონსად შესურულა.

საათს დავხვდე, 11 საათი გამხდარიყო...

ერთი სული მაქვს, როდის ჩავეხუტები ჩემს საყვარელ მეუღლეს, ჩემს შვილებს. აი, მოუხვებე მეოთხე სართულზე. ერთი სართულია დამჩნა. ტემპს მოუკელო, თავი მოვიწესრიგე და საათს დავხვდე თორმეტს ათი წუთი აკლდა, ჯერ ისევ ჩემი დაბადების დღე იყო. ამასობაში, მეხუთე სართულზე აღმოვჩნდი. ერთი ღრმად ამოვიხუნთქე და ილაკას თითი დავაჭირე.

გული წამიერად გამჩერდა... მესმის ჩემი გოგოს ხმა და კარი იღება... ხელში ვაყიშვითი შემჩნა. გადავეხვებო. მერე ქალიშვილს მიკუაღერესე. იქით მორიდებით დგას ჩემი საყვარელი მეუღლე, რომელმაც ალბათ, ახლაც კი, როცა ამ სტრუქტურებს ვწერ, არ იცის, რომ ყველაზე მეტად ის მიყვარს. ისიც გამოიწია ჩემკენ, მოვეყვრე ცრემლები წამოვიფიდა...

13 ნოემბერს, პირობის თანახმად, უშიშროების კომიტეტში, მეორე სართულზე, 21-ე ოთახში ბატონ გ. აბრამიშვილს მივაკითხე და მივეუტანე ვალი – 52 მანეთი, თან ერთი საათი ვისაუბრეთ და ამით დამთავრდა ჩემი პირველი მოგზაურობა ამერიკაში. მერე ქალაქში ხმა გავარდა, ვოდერძის უშიშროებაში უხუმავა, კონტრდაზვერვის პოლკოვნიკი. ზოგი იმასაც ამბობდა, ამერიკიდან ხელბორკილებით ჩამოიყვანესო...

დრო გადიოდა, ცხოვრება ახალ-ახალ სიურპრიზებს მიმსაღებდა, მე ისევ და ისევ აკვიატებული მქონდა აზრი, იმდენი ფული მეშოვა, რომ მივსულიყავი ამერიკის საელოში და მეთქვა – აი, თქვენ ჩემი ვალი – 35.000 დოლარი და ახლა მსურს, როგორც ტურისტია, ისე ჩავიდე თქვენს ქვეყანაში-მეთქი. ■

Peugeot-ის „ცხრიანი“

სპორტულმა ავტომობილმა – Peugeot 907 – პარიზის ბოლო ავტოსალონზე ნამდვილი სენსაცია მოახდინა. ექსპერტთა აზრით, ამ მანქანით და მასში ჩადგმული 12-ცილინდრიანი ძრავითი ფრანგული ავტოგიგანტი საკუთარ სათავეებს უბრუნდება. საქმე ის გახლავთ, რომ ჯერ კიდევ 1917 წელს, „პეჟო“ ჩაატარა ექსპერიმენტი, რომლის დროსაც 600 ცხ.ძ-ის მქონე უშველებელი საავიაციო აგრეგატი გამოიყენა, რომლის ცილინდრების მოცულობა 42 ლ-ს აღწევდა. ახალი „პეჟოს“ შესაბამისი მაჩვენებლები რამდენადმე უფრო მოკრძალებულია: სიმაღლე – 500 ცხ.ძ., საშუალო მოცულობა – 6 ლ-ს აღწევს.

კონსტრუქტორებმა ახალი ძრავა როდი შექმნეს – მათ ორი 6-ცილინდრიანი აგრეგატი შეაერთეს. Peugeot 907 100 კმ/სთ სიჩქარეს 4,2 წმ-ში ავითარებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი – 300 კმ/სთ-ია. ამგვარი შედეგი მანქანის იდე-



მანქანის პარამეტრები ასეთია: სიგრძე – 4370 მმ, სიგანე – 1880 მმ, სიმაღლე – 1210 მმ; საბორბლე ბაზა 2500 მმ-ა. რაც შეეხება მანქანის დიზაინს – ის XX საუკუნის 60-70-იანი წლების სტილშია შესრულებული. მისი სილუეტი Ferrari



ალური წონითი ბალანსის, (50X50), ძრავას ცენტრში განთავსებისა და უკანა ამძრავის წყალობითაა მიღწეული.

275 GTB-ს მოგვაგონებს, ხოლო უკანა მხრიდან – Chrysler Crossfire-ს. სალონი საოცარი მოხდენილობით გამოირჩევა:

ფუფუნების ატმოსფეროს, ფირმა Recaro-ს სპორტული საკარძილები, ნატურალური ტყავი, ხის მასალისგან დამზადებული დეტალები ქმნის. Peugeot 907-ის სერიული წარმოების შესახებ გადაწყვეტილება ჯერჯერობით მიღებული არ არის. კომპანიასთან დაახლოებულ წრეებში გავრცელებული მოარული ხმების თანახმად, შეზღუდული ტირაჟით (3000 ცალი) გამოშვების შემთხვევაში, მანქანა 150 ათასი ევრო ეღირება. ■

სპორტული მანქანა ჯორჯული მუსრულაბით

სამხრეთკორეული ფირმა – Proto Motors, რომელიც სპორტული ავტომობილების წარმოებაშია დახელოვებული, ამ ცოტა ხნის წინ, სეულში წარმოადგინა მოდელი – Spirra GT. ეს მოდელი უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით და მასალებითაა დამზადებული: ჩარჩოში – ალუმინი და ფოლადი, ხოლო ძარას კონსტრუქციაში ნახშირბადის ბოჭკოებია გამოყენებული. ახალი მოდელი 4,6 ლ საშუალო მოცულობის 8-ცილინდრიანი ძრავითაა აღჭურვილი, რომელიც Ford Mustang-ში



გამოიყენება. 100 კმ/სთ სიჩქარეს Spirra GT 4,4 წმ-ში ავითარებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 305 კმ/სთ-ს აღწევს. მანქანას 6-საფეხურიანი მექანიკურ გადაცემათა კოლოფი აქვს. მისი სიგრძე 4,32 მ-ს, საბორბლე ბაზა კი – 2,66 მ-ს შეადგენს. ამ მანქანის ყველაზე სრულყოფილი ვერსია კორეაში დაახლოებით 75 ევრო ღირს. კომპანიას აშშ-ისა და ზოგიერთი ევროპული ქვეყნის ბაზარზე ახალი „სპირას“ გატანა აქვს დაგეგმილი. ■



უკანასკნელ ხანს, სანდრა ბალოკმა არჩევანი გააკეთა. მას რომანტიკული კომედიის გმირი გოგონების ბანალური სახე მოჰპებურდა და კომედიური გმირის ახალი ტიპის შექმნას ცდილობს. „ჩემს სიახლეზე მაყურებლის რეაქციას სიამოვნებით დაფაკვირდები... კომედია სომ ურთულესი ჟანრაა, რომელსაც მსახიობისთვის ან უდღესი წარმატება მოაქვს, ან სრული ფიასკო. საშუალო — არ არსებობს!“ — ამბობს იგი. რეჟისორები მსახიობ ქალებს მხოლოდ რომანტიკულ კომედიებში იწვევენ. დანარჩენი კომედიური ჟანრები მათთვის ხელმიუწვდომელია. ბალოკი ამ სტერეოტიპის დამსხვრევას ლამობს და თავის გმირებს სიმამაცესა და მცირეოდენ უხეშობასაც მატებს.

სანდრა ბალოკი

საუკეთესო ჯანდიდატურა მათ შორის, ვისაც სხვების განწყობილების ამაღლება ძალუძთ

სანდრა ანეტ ბალოკი 1964 წლის 26 ივლისს ვაშინგტონში დაიბადა. მომავალი კინოვარსკვლავი არლინგტონში გაიზარდა. ის სახელგანთქმული საოპერო მომღერლის, ჰელგა მეიერის უფროსი ქალიშვილია. დედის პროფესიის გამო სანდრას ბავშვობამ ევროპის ქვეყნებში მოგზაურობაში განვლო. ოჯახი საცხოვრებელ ადგილს ხშირად იცვლიდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის იოლად ეგუებოდა ახალ გარემოს და უცხო ადამიანებთან საერთო ენას მუდამ პოულობდა. სანდრას მამა მუსიკოსი იყო, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ შობილები პირველ შვილს ბავშვობიდანვე მუსიკალური კარიერისათვის ამზადებდნენ. პატარა სანდრას აკენიდანვე ვოკალის ხელოვნებასა და ფორტეპიანოზე დაკვრას ასწავლიდნენ, მაგრამ როგორც ხშირად ხდება ხოლმე, აღზრდის ამგვარმა მეთოდმა სანდრას კლასიკური მუსიკა შეაჯავრა და მან ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ მუსიკალურ სკოლაში სწავლისაგან თავი დაეღწია.

სანდრა 12 წლის იყო, როდესაც ოჯახი ამერიკაში საბოლოოდ დასახლდა. ნახევრად გერმანელ გოგონას თანატოლები დიდხანს უცხოელად თვლიდნენ და თავის წრეში არ იღებდნენ. მაგრამ მომხიბლავმა, ხალისიანმა გოგონამ ახალი ნაცნობების გული უცვბ მოიგო და მალე საფეხბურთო გუნდის მხარდამჭერთა ჯგუფის ლიდერიც კი გახდა; ხოლო არლინგტონის უმაღლეს სკოლაში სწავლისას, მან ასეთი ტიტულიც კი მი-

იღო: „საუკეთესო კანდიდატურა მათ შორის, ვისაც სხვების განწყობილების ამაღლება ძალუძთ“. უნდა ითქვას, რომ სანდრასთან ერთად არლინგტონის სკოლაში ჰოლივუდის მომავალი ვარსკვლავები უორენ ბიტი და მისი და — შირლი მაკლეინი სწავლობდნენ.

უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდეგ, სანდრამ აღმოსავლეთ კაროლინის უნივერსიტეტში ჩააბარა და დრამატული ხელოვნებისა და იურისპრუდენციის შესწავლა დაიწყო. მომავალმა მსახიობმა კარგად იცოდა, რომ ღიდება და სახელი თავისით არ მოდის, ამიტომ სამსახიობო კარიერის დაწყება სწავლის დამთავრებამდე სცადა. შობილების ნებართვით უნივერსიტეტი დატოვა, ბარგი აკრიბა და ნიუ-იორკს მიამურა. 22 წლის დამწყებმა მსახიობმა ნიუ-

იორკში ჩასვლისთანავე წარმატების მისაღწევად ინტენსიური პროგრამა შეიმუშავა. მან სამსახიობო ოსტატობის საღამოს ფასიან კურსებზე განაგრძო სწავლა. სწავლის საფასურის გადასახდელად სანდრამ მოდელიბა და სტიუარდესად მუშაობა სცადა, მაგრამ სამწუხაროდ, სამუშაო ვერ იშოვა და იაფფასიან კაფეში ოფიციალურად მოეწყო. იმ ავადსახსენებელ კაფეში სანდრა ბალოკმა 3 წელი გაატარა, ამ წლების განმავლობაში წარმატების მიღწევას ამაოდ ცდილობდა. უამრავ კინოსინჯში მონაწილეობდა და ბოლოს, ბედმა გაუღიმა. 1989 წელს კრიტიკოსმა ჯონ საიმონმა ერთ-ერთ სპექტაკლში სანდრას საოცარი სამსახიობო მონაცემები შეამჩნია და რეცენზიაში მოიხსენია. ეს სტატია სანდრა ბალოკის კარიერისათვის შესანიშნავი ბიძგი აღმოჩნდა — დამწყებმა მსახიობმა მაშინვე ორ სერიალში მიიღო როლი. მიუხედავად ამისა, რომ ორივე პროექტი წარუმატებელი აღმოჩნდა და მალევე დაიხურა, მათში მონაწილეობამ სანდრა ბალოკს ფილმში — „სიყვარულის სასმელი №9“ (1992) როლი მოუტანა. ეს სურათიც ჩასავარდნად იყო განწირული, მაგრამ სამაგიეროდ, გადაღებებზე სანდრამ მსახიობი ტივ ღონოვანი გაიცნო, რომელიც 3 წლის მანძილზე მისი საქმრო იყო.

სანდრა ბალოკი ჰოლივუდის მსახიობის სტატუსს თანდათანობით იკვიდრებდა. 1993 წელს მან 5 სურათში ითამაშა. ამ ფილმებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი, ბოევიკი — „დამანგრეველი“ აღმოჩნდა, სადაც სანდრა სტალონესა და უესლის სნაიპსს უწევდა პარტნიორობას. „დამანგრეველმა“ სანდრა ბალო-





კი სუპერვარსკვლავად ვერ აქცია, მაგრამ სურათის რეჟისორმა ჯოელ სილვერმა მსახიობი რეჟისორსა და პროდიუსერს ჟან დე ბონს გააცნო. დე ბონმა სანდრა კიანუ რიგზეთან ერთად თავის ახალ ფილმში მიიწვია. ეს ბენდინერი შეხვედრა ბალოკის კარიერაში გარდატეხის ტოლფასი აღმოჩნდა. დე ბონის ფილმმა – „სიჩქარე“ სანდრა კინოვარსკვლავად აქცია. მან მყურებლის უდიდესი სიყვარული და კრიტიკოსთა მოწონება დაიმსახურა, რამაც მსახიობს მომდევნო სურათებში მილიონიანი ჰონორარები მოუტანა.

წარმატებით ფრთაშესხმული ბალოკი უდიდესი ენთუზიაზმით შეუდგა მუშაობას. მოკლე ხანში რომანტიკულ კომედიაში – „სანამ შენ გეძინა“ და ტრილერში – „ქსელი“ სანდრამ მთავარი გმირები განასახიერა. სურათებს უდიდესი წარმატება ხვდა წილად, მაგრამ მომდევნო სურათებმა: „სიყვარულსა და ომში“, „მშვიდობით, იარაღო!“ და „ორნი ზღვის ნაპირას“ სანდრას კარიერას ვერაფერი შემატა. „სიჩქარე-2“ კი სამარცხვინოდ ჩავარდა, მაგრამ სანდრა ბალოკს ფარხმალი არ დაუყვრია, პირიქით, მან საქმონის ნიჭიც გამოავლინა, საკუთარი პროდიუსერული კომპანია Fortis Films შექმნა და თავისი ლეიბლით ფილმი



„იმედის ნაპერწკალი“ გამოუშვა. მორიგი მელოდრამით – „პრაქტიკული მაგია“ სანდრამ მყურებლის სიყვარული დაიბრუნა. მან „დისნეის კინოსტუდიის“ მულტიფილმში – „ეგვიპტის უფლისწული“ ერთ-ერთი პერსონაჟი გაასახიერა, შემდეგ კი რომანტიკულ კომედიაში – „ბუნების ძალები“ (ბენ აფლეკთან ერთად) და სურათში – „28 დღე“ ითამაშა, სადაც ნორმალიური ცხოვრებისაკენ შემობრუნებული ალკოჰოლიკი განასახიერა.

სანდრა ბალოკის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული როლი ფილმში „მის კონგენიალურობა“ შექმნილი ფედერალური ბიუროს აგენტის – გრეისი ჰარტის სახეა.

თუ არ ჩავთვლით ტრილერ – „მკვლელობათა ათვლა“ და 2004 წელს გამოსულ დრამას – „კრეში“, სადაც მსახიობი ორგანულად ჩაეწერა მეტ დილონის, დონ ჩილისა და ბრენდან ფრეიზერის მამაკაცურ კოლექტივში, რომანტიკული კომედიის მომხიბვლელი მსახიობის ამბლუსათვის სანდრა ბალოკს არც მომდევნო ფილმებში უდალატია. მისი რეპერტუარი სურათებში „ქალური სოლიდარობის ღვთაებრივი საიდუმლოებანი“ (2002), „სასიყვარულო შეტყობინება“ (2002), „ზუსტად 3 საათსა და 30 წუთზე“ (2003) ნათამაშებმა როლებმა გაამდიდრა.

სანდრა ბალოკის შემოქმედებითი ბიოგრაფია მისმა პროდიუსერულმა ნამუშევრებმაც შეავსო („ჩვენი მამიკო“, „სხვისი ტერიტორია“). მან სცენარისტობა და რეჟისორობაც სცადა და 1998 წელს საკუთარი სურათი „სენდვიჩების მომზადებისას“ გამოუშვა. სანდრა მუსიკასაც წერს. ფილმის – „ის, რასაც სიყვარული ჰქვია“ საუნდტრეკის ცნობილი სიმღერა Heaven Knocking On My Door სწორედ სანდრას ეკუთვნის.

ამჟამად მიმდინარეობს ფილმის – „ოროქლი“ გადაღებები, სადაც ბალოკი რაღფ ფანისთან ერთად ითამაშებს. სულ მალე, სურათის – „განთიადი“ გადაღებებიც დაიწყება. ამ ფილმში სანდრა ლევინდარულ მერილ სტრიპს გაუწევს პარტნიორობას.

აპრილში ამერიკის კინოკრანებზე გამოვიდა სანდრა ბალოკის ახალი ნამუშევარი – „მის კონგენიალურობა-2“, რომელიც მსახიობის პროფესიონალური მსოფლმხედველობის კარდინალურ ცვლილებაზე მეტყველებს.

მსახიობის პირადი ცხოვრების შესახებ კი შეგვიძლია გითხრათ, რომ 40 წლის სანდრა ბალოკი გათხოვილი არ



არის. მაგრამ კინოში მოღვაწეობის მანძილზე მის ბოიფრენდთა რიგებში ტეიტ ღონოვანის გარდა, დენის ლირის, კიანუ რივზს, ბენ აფლეკსა და მეთიუ მაქკონაჰისაც მოიხსენიებენ და როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, ეს სიაც არასრულია. სანდრა თავის უმცროს დასთან ჯეზინასთან და სამი ძაღლთან ერთად ცხოვრობს. მას სამი დიდი ვაჭაცება აქვს: კლდეზე ცოცვა, ცეკვა და ინტერნეტი. როგორც ამბობენ, სანდრას ტრილერის – „ქსელი“ – გადაღება, სწორედ ინტერნეტის სიყვარულმა შთააგონა. მსახიობის ვაჭაცების შესახებ მისი თავყვანისმცემლებისთვისაც ცნობილია და ამიტომ ელექტრონული გზავნილებით თავს აბეზრებენ, მაგრამ როგორც მსახიობმა აღიარა, მას თავისი ფანები არ უყვარს და ამიტომ გზავნილებს არასოდეს პასუხობს.


ჯორჯ ლუკასი ინდიანა ჯონსის ბრენდის განვითარებას იწყებს

„ვარსკვლავური ომების“ დასრულებით სთანვე, ჯორჯ ლუკასმა წარსულის კიდევ ერთი შემოსავლიანი პროექტის რეანიმაციას მოჰკიდა ხელი. ინტერნეტგამოცემა Comingsoon-ის ცნობით, ლუკასმა უკვე წაიკითხა და მოიწონა ინდიანა ჯონსის თავგადასავლების ამსახველი სცენარის მეთხუთხეტი ნაწილი. სცენარს სტივენ სპილბერგიც გაეცნო, რომელიც მომავალი ფილმის რეჟისორი იქნება. ახლა საქმე მთავარი როლის შემსრულებელ კარისონ ფორდზეა, რომელსაც ჯეკ ნათანსონის სცენარი ჯერ არც კი გადაუშლია. შემოქმედებითი კოლექტივი სურათზე მუშაობას 2006 წელს დაიწყებს. ამ დროისათვის სპილბერგმა ევროპაში გამგზავრება და იმ ფილმის



გადალება უნდა მოასწროს, რომელიც მიუნხენის 1972 წლის ოლიმპიადაზე მომხდარ, მძევლების აყვანის დრამატულ ამბავს ასახავს. მომავალი წლის დასაწყისისთვის, რეჟისორმა, აბრამ ლინკოლნისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო ომისადმი მიძღვნილი ისტორიული ფილმიც უნდა გამოუშვას.

მანამდე კი, „ვარსკვლავური ომების“ III ნაწილის ტრიუმფული სვლა გრძელდება. მხოლოდ პირველ 12 დღეში სურათის შემოსავალმა უკვე 520 მლნ დოლარს გადააჭარბა და მსოფლიო კინემატოგრაფიის არსებობის მანძილზე ყველაზე წარმატებული ბლოკბასტერების სიაში 32-ე ადგილი დაიკავა.



მი მი კინგმა საჩუქრად... მუზეუმი მიიღო

ლევენდარული ბლუზგიტარისტი ბი კინგი 80 წლის იუბილეზე არაჩვეულებრივ საჩუქარს მიიღებს. მის მშობლიურ ქალაქ ინდიანოლში (მისისიპის შტატი) „ბლუზის მეფის“ ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მუზეუმი გაიხსნება. მუსიკოსი დაბადების დღეს, 16 სექტემბერს იზეიმებს, მაგრამ ამ დღისთვის სამუშაოს დასრულება ვერ მოესწრა. როგორც ორგანიზატორები ვარაუდობენ, მუზეუმი დამთავალიერებლების მიღებას 2007 წლის დასაწყისში შეძლებს, სამშენებლო სამუშაოები 10 ივნისს დაიწყება. მომავალი მუზეუმის

საძირკვლის ჩაყრის საზეიმო ცერემონიას თავად ბი ბი კინგი დაესწრება. მუზეუმის ექსპოზიციაში წარმოდგენილი იქნება მუსიკოსის პირადი ნივთები, მისი შემოქმედების ამსახველი დოკუმენტური მასალა, ჩანაწერები და სხვა. მნახველს საშუალება ექნება, მოისმინოს ლექციები ბი ბი კინგის ცხოვრების შესახებ და მისი სიმღერები. მუზეუმის ასაშენებლად საჭირო თანხის ნაწილი სახელოვანი ბლუზმენის თაყვანისმცემლებმა შეაგროვეს, თანხის ძირითადი ნაწილი კი, მისისიპის შტატის ფონდმა გამოყო.

უესტმინსტერის საამაფთ მის კედლებში „და ვინჩის კოდის“ გადაღმას კბდალავს

ლონდონის ვესტმინსტერის სააბატოს წინამძღვარმა და საბჭომ 900-წლიანი ისტორიის მქონე სააბატოში, სადაც ინგლისის მონარქთა მეფედ კურთხევის ცერემონია ტარდება ხოლმე, „და ვინჩის კოდის“ გადაღებები აკრძალა. დენი ბრაუნის წიგნი – „და ვინჩის კოდი“ ანგლიკანური და კათოლიკური ეკლესიების მესვეურებმა არაერთხელ გააკრიტიკეს. სააბატოს ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ რომანის მიხედვით, იესო, მარია მაგდალინელზე იყო დაქორწინებული და მათ შვილებიც ჰყავდათ, ეკლესიამ კი ეს ფაქტი დამალა... „და ვინჩის კოდი“ საინტერესო წიგნია, მაგრამ ეკლესია მიიჩნევს, რომ ის მდარე ხარისხის, მავნე შინაარსის ნაწარმოებია და მას უფლება არ აქვს, წიგნის ტენდენციურ რელიგიურ და ისტორიულ დასკვნებს დაუჭიროს მხარი. სააბატოს დეკანი დოქტორი უესლი კარი დარწმუნებულია, რომ სააბატოს ტერ-

იტორიაზე გადაღებების აკრძალვა სწორი ნაბიჯია. ვესტმინსტერის უძველესი სააბატო ბრიტანეთის კულტურისა და საზოგადო მოღვაწეთა განსასვენებელი ადგილია. მის მოსახლეობებლად უამრავი ტურისტი მიდის. სააბატოს წარმომადგენელი ამბობს, რომ ტურისტები სულ უფრო ხშირად ითხოვენ იმ ადგილების მათთვის ჩვენებას, რომელიც დენი ბრაუნის წიგნშია ნახსენები. ამიტომ ექსკურსიამძღვლებმა მიიღეს ინსტრუქცია, რომლის თანახმადაც მნახველებს, ნაწარმოებში დაშვებული შეცდომების შესახებ უნდა აუწყონ. წიგნში დაშვებული შეცდომებიდან ყველაზე თვალში საცემია ის ეპიზოდი, სადაც აღექსან-

დრე პოუპი ისაკ ნიუტონის დაკრძალვაზე სიტყვით გამოდის. პოეტმა ცნობილ მეცნიერს ეპიტაფია მართლაც მოუძღვნა, მაგრამ დაკრძალვას არ დასწრებია. ცოტა ხნის წინ, ინგლისის აღმოსავლეთით მდებარე ქალაქ ლინკოლნის ტაძარმა გადაღებულ ვიდეოში ზოგიერთი სცენის გადაღების ნება დართო.



ფრანცისკა ვან ალმსიკი ერთ-ერთი იმ სპორტსმენთაგანია, რომელიც საზოგადოებისა და მასმედიის მუდმივი ყურადღების ცენტრში მხოლოდ თავისი სპორტული მიღწევებით როდია მოქცეული. უკვე დიდი ხანა, რაც იგი გერმანიაში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს, ხოლო მამაკაცთათვის საოცნებო ქალად ითვლება.

ფრანცისკამ გერმანელთა სიყვარული ჯერ კიდევ 14 წლის ასაკში დაიწყო, როდესაც ბარსელონის 1992 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ცურვაში ერთბაშად 4 მედალი მოიპოვა. იგი აღმოსავლეთ ბერლინში დაიბადა და იზრდებოდა. თუმცა გერმანიის გაერთიანების შემდეგაც, ყოფილი გდრ-ის პოლიტიკურ რეჟიმზე ცუდი არაფერი დასცდენია. „ჩემი ბავშვობის შესახებ მხოლოდ კარვის თქმა შემიძლია, მიუხედავად იმისა, რომ სხვებმა შესაძლოა, რაღაც ცუდი გადაიტანეს, – ამბობს გერმანელი სექსსიმბოლო, – რა თქმა უნდა, წარსული არ უნდა წავივიწყოთ, მაგრამ გარემომცველი სამყაროს ისეთად აღქმა უნდა ვისწავლოთ, როგორც არის“.

ფრანცი ე.წ. მაღალი საზოგადოების ცხოვრების ზოგიერთი ფორმის მიმართ დღესაც სკეპტიკურადაა განწყობილი. გალაწარმოდგენებზე შესვლისას „ვიპერსონათათვის“ დაგებულ წითელ ხალიჩაზე გავლას, „უკანა კარით“ სარგებლობას ამჯობინებს. ზოგიერთი ვარსკვლავის ფუფუნებაში ცხოვრება ღიმილს ჰგვრის. საერთოდ ცდილობს, შეუმჩნეველი დარჩეს. რამდენიმე წლის წინ გაკეთებული, ცხვირის სასუნთქი გზების ოპერაციის გამო კი ყოველთვის



ცოცხალი წინ, ფრანცისკა ვან ალმსიკა სპეციალური ინტერნეტაუქციონი გამართა...

ფრანცისკა ვან ალმსიკი: სექსი ჩემთვის საუხეთესო დოზინგია!

ხუმრობს: ახლა ვხვდები, რომ ცხვირში ონკანები მეყენაო...

მთელი გერმანია მოუთმენლად ელოდა ალმსიკის გამოსვლას ათენის ოლიმპიურ თამაშებზე. ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ 200 მეტრის დისტანციაზე თავისუფალი სტილით ცურვაში, რომელშიც ფრანცის მსოფლიო რეკორდი ჰქონდა დამყარებული (1 წუთი და 56,64 წამი), მას კონკურენციას ვერავინ გაუწევდა, მაგრამ ლამაზმანიცა და მისი ქომაგებიც მოულოდნელად იმედგაცრუებულნი დარჩნენ. ფრანცისკა მხოლოდ მეხუთე აღმოჩნდა. „თითქოს შიგნით ყველაფერი ჩამწყდა, ველარაფერს ვგრძნობდი, წყლის შეგრძნება დაგკარგე“, – აღმოხდა მამინი მოცურავეს, რომელმაც 4X200 მ-ზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში უკეთესად იასპარეზა, მაგრამ სანატრული ოქრო მაინც ვერ მოიპოვა. მას მხოლოდ ბრინჯაოს მედალი ერგო. მწვრთნელი, ნორბერტ ვარნაჩი პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებდა და აცხადებდა, რომ სპორტსმენთა მომზადებისას შეცდომები დაუშვა, თუმცა ამით მაინც ვერ ამშვიდებდა ფრანცის. „ოჰ, რატომ მიცავს?!“ – წუხდა მწვრთნელის ნათქვამის გამო გერმანელი მამაკაცების კერპი, რომელმაც ოლიმპიადაზე განცდილი მარცხის შემდეგ გარკვეული ხნით სარეკლამო გადაღებებში მონაწილეობაზეც კი უარი თქვა. სხვათა შორის, მას არაერთ ცნობილ ფირმასთან ჰქონდა გაფორმებული სარეკლამო კონტრაქტი – მაგალითად, ისეთ გიგანტებთან, როგორებიცაა Opel, „ჟან პასკალის შვატანსაჰმელი“, Jacobs-Kaffee, Joop და ა.შ. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან ფრანცი დიდი მონღომებით ემზადებოდა ბოლო ოლიმპიადისთვის. ყოველდღიურად 5 საათს ვარჯიშობდა. ამიტომ, ვერავის აეხსნა, თუ რა მოუვიდა მას ათენში.



ზემოთ ხსენებული ხელსაყრელი სარეკლამო კონტრაქტების წყალობით, ფრანცისკას გვარიანი შემოსავალი აქვს. გავრცელებული ხმების თანახმად, ის ყოველთვიურად 160 ათას ევროზე მეტს გამოიმუშავებს. უფროს ძმასთან, სებასტიანთან ერთად ფირმის – Underwater Entertainment Gmbh – მფლობელია, რომელიც სპორტულ პროდუქციას აწარმოებს. საკუთარი ბიზნესი აქვთ მოცურავის მშობლებსაც. მამამისმა არაერთი სახლი და ოფისი ააშენა, დედამ კი, მთელი სოფელი შეიძინა და იქ გასართობი ცენტრი დააარსა. ერთი სიტყვით, გერმანელებზე ალმსიკების გვარი დღეს მაგიურ ზემოქმედებას ახდენს. მიუხედავად ამისა, მოცურავეს ხანდახან მაინც ალელვებს საკუთარი მომავალი. არცთუ ისე დიდი ხნის წინ, მან ფენსაცემლის კოლექცია წარმოადგინა, რომელსაც „თხისზონარებიანი

ფლოსტები უწოდა“, თუმცა სახელწოდებით უკმაყოფილო დარჩა. – „სახელის მოგონებაზე უფრო მეტად უნდა მეტყვია თავი“, – განაცხადა მან,

სექსსიმბოლოს ვერ გადაუწყვეტია, მოდელირების პროფესიას სერიოზულად მოკვიდოს ხელი თუ არა. „არა ვარ დარწმუნებული, რომ შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი ვარ“, – ამბობს ფრანცი, რომელმაც არ ისურვა მსახიობობა, რაზეც წლების წინ ოცნებობდა. აი, ფლოსტების დიზაინის შექმნა კი, მას უფრო მოეწონა.

თავისი სპორტული კარიერის მან-

ძიმართ შიშს განიცდის. ეს, მისი თავ-ვანისმცემლებისათვის ნამდვილი შოკის მომგვრელი აღმოჩნდა. თუმცა მოგვიანებით მათ შეიტყვეს, რომ ფრანცის არა ზოგადად წყლის, არამედ ზღვის სტიქიისა ეშინია. „ნაპირიდან შორს არასოდეს შემიცურავს, რადგან ყოველთვის იმის აუტანელ შიშს განვიციდი, თუ რა იმყოფებოდა წყალში ჩემ ქვემოთ“, – დასძენს ევროპის ხუთგზის ჩემპიონი. საინტერესოა ისიც, რომ ამას წინათ, ლამაზმანმა მაინც მიიღო მონაწილეობა სარეკლამო რგოლის გადაღებაში, რომლის სცენარის თანახმად,

მას ატლანტიკური ოკეანე ევროპიდან ამერიკამდე უნდა გადაეცურა. „გადაღებებში მონაწილეობაზე მხოლოდ მას შემდეგ დაეთანხმდი, რაც სცენარს გავეცანი, – იხსენებს გერმანელი სპორტსმენი, – ერთადერთი, რაც მევალებოდა, ის გახლდათ, რომ ნაპირიდან რამდენიმე მეტრი უნდა გამეცურა. გარდა ამისა, ჩემს თანხმობაში მნიშვნელოვანი როლი საკონტრაქტო თანხამაც შეასრულა, რომლის შეტყობისთანავე შიში უმალვე გამიქრა“.

ცოტა ხნის წინ, ფრანცისკა ვან ალმსიკმა სპეციალური ინტერნეტაუქციონი გამართა, რომელში გამარჯვებულსაც მასთან ერთად საცურაო აუზში მთელი დღის განმავლობაში ყოფნის უფლება მიეცემოდა. გამარჯვებულს ეს სიამოვნება 2.321 გირვანქა სტერლინგი დაუჯდა. ამ უჩვეულო ვაჭრობაში სულ მოცურავის 77 ფანი მონაწილეობდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ვარსკვლავმა მთელი თანხა გერმანიაში ბავშვთა სპორტის განვითარების ფონდში გადარიცხა.

ფრანცისკა ვან ალმსიკი თავისუფალი ქვევითაც არის ცნობილი. რამდენიმე წლის წინ მან ასევე ცნობილ მოცურავე ჰანან სტოკაბაურთან ერთად ჟურნალ Maxim-ის მოწყობილ ერთტიკულ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. მოგვიანებით კი, გერმანელმა სექსსიმბოლომ Bild-ისთვის მიცემულ ინტერვიოში განაცხადა, რომ სერიოზული შეჯიბრებების წინ, განსაკუთრებუ-

ლი მეთოდით ემზადება, რაც საყვარელ ადამიანთან ერთად საცურაო აუზში სექსით ტკბობაში მდგომარეობს. „სექსით მაშინ ვარ დაკავებული, როდესაც მომესურვება და ამას იქ ვაკეთებ, სადაც მინდა. განსაკუთრებულად კი, სიყვარულით ტკბობა საცურაო აუზში მომწონს. ჩემთვის სექსი ცხოვრებაში ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამაა. და თუ მამაკაცთან ერთად ყოფნა მომინდა, ვერაფერი შემაჩერებს. ამ დროს არაფრად მიღირს ჩემი მომავალი სპორტული შედეგიც. უფრო მეტიც – საყვარელ მამაკაცთან ერთად სექსი ჩემთვის საუკეთესო დოპინგია, რომელიც მართლაც, ენერჯით მავსებს“, – ამბობს ის.

არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ფრანცისკა ხელბურთულ შტეფან კრეტცშმარს ხვდებოდა. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელიც იზიარებდა სპორტსმენზე სექსის ზემოქმედების ალმსიკისეულ „თეორიას“ და მწვრთნელის აკრძალვასაც არად დაგიდევდათ. ალმსიკი მეტიმეტად გააღიზიანა მასმედის წარმომადგენელთა მხრიდან მის პირად ცხოვრებაში ჩარევამ, როდესაც საყვარელს დაშორდა: „კრიზისი მართლაც დამიღვა, მაგრამ ამაზე ვიღაცები ხელის მოთბობას ცდილობდნენ. მათ ჩემი და შტეფანის ურთიერთობაზე საუბარი მკაცრად აუკრძალე. ჩვენ ხომ „ოფიციალური“ წყვილი არ ვყოფილვართ“. ისე კი, ფრანცის საკმაოდ კარგი ურთიერთობა აქვს პრესასთან. „კრიტიკას შევგუებები, – ამბობს ის – მაგრამ მუხანათობასა და გესლის ნთხევას ვერ ავიტან“. მასმედის ზეწოლის ქვეშ მოექცა იგი 1996 წელსაც, როდესაც ატლანტის ოლიმპიადაზე მარცხი იწვნია. მალე სხვადასხვა ქვეყნის ყვითელმა გამოცემებმა გამოაქვეყნეს მოცურავის ფოტო, რომელზეც იგი სივარტითა და ღვინით სავსე ჭიქით ხელში იყო აღბეჭდილი. საერთოდ, გერმანული პრესა მას არასოდეს მიუტევებს სპორტულ წარუმატებლობას. მაგალითად, სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ბრინჯაოს მედლის მოპოვების შემდეგ, ერთ-ერთ გახეთქილ ფრანცის „ნაჯახივით მოცურავე“ უწოდეს. ალმსიკის მიერ მოპოვებული ბრინჯაო გერმანიის ოლიმპიური ნაკრების მამინდელი მწიერი მონაგარისთვის მნიშვნელოვანი გახლდათ. „მიუხედავად ამისა, მათ მაინც მე მაქციეს განტევების ვაცად“, – სევდიანად იხსენებს ამ ამბავს სექსსიმბოლო, რომელიც ახლა, დაოჯახებასა და შვილების ყოლაზე ოცნებობს: „გათხოვება, შვილების ყოლა და ტოსკანაში ლამაზი სახლის შექმნა მსურს“...



ყოველდღიურად 5 საათს ვარჯიშობდა. ამიგომ, ვერავის აეხსნა, თუ რა მოუვიდა მას ათენში.

ძილზე ფრანცისკა ვან ალმსიკს მსოფლიოს არაერთ ცნობილ საცურაო აუზში უასპარეზია, მაგრამ მისთვის შეუცვლელად მაინც მშობლიური Hehenschonhausen რჩება, რომელიც ბერლინში მდებარეობს. ფრანცის თქმით, ეს აუზი მისთვის საწყალოსნო სამოთხე, თავშესაფარი, სამყაროს ცენტრი და ჭეშმარიტი დასაყრდენია. „ვტკბები ყოველი დღით, როდესაც ცურვა არ მიწევს“, – უთქვამს ერთხელ გერმანელ სექსსიმბოლოს, მაგრამ იქვე დაუმატებია: „ოღონდ ვერ გამიგია, როგორ გადავიტან იმას, როცა აუზში ჩასვლის აუცილებლობა აღარ მექნება...“ ასეთი პარადოქსული განწყობილება სხვა ცნობილ სპორტსმენებსაც ხშირად დაუფლვიათ.

ერთხელაც ვან ალმსიკმა განაცხადა, რომ მთელი თავისი ცხოვრება წყლის

მომღერალ იბ ჩანტლაძის, ქართველი მსმენელი სიმღერით — „არ მიყვარხარ“ იცნობს. იას შემოქმედებით კარიერაში, როგორც თვითონ აღნიშნა — სიახლეებია. იგი ცოტა ხანში, ახალ ამბლუაში მოგვევლინება. რა სიურპრიზებს უმზადებს თავის თაყვანისმცემლებს და რა აქვს მას დიდი ხნის ოცნებად ქცეული, მისივე ინტერვიუდან შეიტყობთ.

ოცნებად ქცეული ფიქსი

და... უცნობის მიერ მიძღვნილი ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი

ლიბა ქაჩია

— ძალიან პატარა ასაკიდან დავიწყე სიმღერა, მაგრამ სცენაზე გვიან გამოვჩნდი. პირველად, ვიღაც მაჭარაშვილმა სპეციალურად ჩემთვის დაწერა სიმღერა — „ლურჯი ფრინველი“, რომელიც ძალიან მიყვარს და ვფიქრობ, ახლებური ინტერპრეტაციით ხომ არ წარუვდგინო მსმენელს, მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ იდეის დონეზეა.

— პროფესიით ვინ ხარ?

— დამთავრებული მაქვს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, მთარგმნელ-რეფერენტის სპეციალობით და სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტი. დავამთავრე მაგისტრატურა, ვარ სოციალურ მეცნიერებათა კანდიდატი.

— პროფესიით მუშაობას არ აპირებ?

— აუცილებლად ვიმუშავებ პროფესიით. იმდენი ვისწავლე, რომ უბრალოდ,

საკუთარი თავი შემეცოდება, პროფესიას თუ ვერ გამოვიყენებ. ვფიქრობ, საკმაოდ საფუძვლიანი განათლება მივიღე.

— ვიცი, რომ შენი სიმღერებისთვის ტექსტს თვითონ წერ. მუზას ელოდები ხოლმე თუ ნებისმიერ დროს შეგიძლია, დაჯდე და დაწერო?

— საქართველოში ბევრი კარგი ტექსტის ავტორი გვყავს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მიჩვევია, თვითონ დავწერო იგი და ვიმღერო, რადგან ვფიქრობ, რომ ყველაზე კარგად, მომღერალი თავად გამოხატავს სიტყვებით იმას, რისი თქმაც უნდა სიმღერით. წერა, ნებისმიერ მომენტში არ შემიძლია, მაგრამ თუ ვიცი თემა (დაახლოებით მინც) დავევლები და დავწერ. ხანდახან გამოძღის, ხანდახან — არა. ყოფილა შემთხვევები, როცა ერთი ფრაზის ჩასასმელად, ძალიან დიდხანს მიწვალა, მაგრამ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, უცებ მომიფიქრებია.

— შენი სიმღერები ძირითადად სევდიანია. ვიცი, რომ ახლა გადამწყვიტე, სტილი შეიცვალა და საკუთარ რეპერტუარში სიხალისე შეიტანა. რამ გამოიწვია ეს ცვლილებები?

— გეთანხმები — მე ყოველთვის სევდიან სიმღერებს ვმღერი. ალბათ ეს ჩემს შინაგან სამყაროსთან უფრო ახლოსაა. ძალიან მხიარული მუსიკა ხშირად ტაშ-ფანდურის ხასიათზე მყენებს, რაც ძალიან არ მიყვარს. თუმცა, ამ ბოლო დროს, რატომღაც სურვილი გამიჩნდა, რიტმული სიმღერები ვიმღერო, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იმიჯს და მიმართულებას რადიკალურად ვიცვლი.

— ახალი ალბომის გამოშვებას ხომ არ აპირებ?

— კი, ახალ ალბომზე ვმუშაობ. სხვათა შორის, რამდენიმე რიტმული სიმღერა უკვე ჩავწერე.

— ახალი ალბომისთვის დუეტებსაც ხომ არ წერ?

— არა. თუმცა, საკმაოდ ბევრი დუეტი მაქვს ჩაწერილი. არ ვარ დიდად



დუეტების ჩაწერის მომხრე, რადგან სოლო სიმღერებს ვანიჭებ უპირატესობას. თუმცა, ვაღიარებ, არის ერთი ადამიანი, რომელთანაც წლების განმავლობაში ვვებმავლი დუეტის ჩაწერას, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ვახერხებ.

— ვინ არის ეს ადამიანი?

— ამას ჯერ ვერ გეტყვით.

— ახალი კლიპის გადაღებას ხომ არ გეგმავ უახლოეს მომავალში?

— ახლო მომავალში არა (ამისათვის დრო არ მაქვს), მაგრამ, როცა ახალ ალბომზე მუშაობას დავასრულებ, ერთ-ერთ სიმღერას ამოვარჩევ და კლიპსაც გადავიღებ.

— რამდენი სიმღერაა სულ შენს რეპერტუარში?

— ალბათ, 20.

— რომელია ყველაზე ძვირფასი საჩუქარი, რომელიც თაყვანისმცემელს შენთვის მოუერთმევია?

— საჩუქარს ფასის მიხედვით არ ვაფასებ. ნებისმიერ საჩუქარს ჩემთვის ის დატვირთვა აქვს, რომ ყოველთვის მახსენდება ის ადამიანი, ვინც ესა თუ ის ნივთი მისასწოვრა. აქედან გამომდინარე, რამდენადაც ძვირფასია ჩემთვის ადამიანი, იმდენად ძვირფასია მისგან მორთმეული საჩუქარიც, თუნდაც იაფფასიანი. სხვათა შორის, ასეთი საჩუქარი საკმაოდ ბევრი მაქვს.

— ხომ ვერ გაიხსენებდი შენი თაყვანისმცემლისგან მოწყობილ რომელიმე სიურპრიზს?

— ერთ-ერთ რადიოში პირდაპირ ეთერში გამოვდიოდი და იქ ღარეკა პიროვნებამ, რომლის დავალებითაც მომართვეს ვარდების უზარმაზარი თაიგული. თან გამაფრთხილეს — ფრთხილად გახსენიო. ვარდების თაიგულში ბრილიანტისთვლიანი ბე-



რამდენადაც ძვირფასია ჩემთვის ადამიანი, იმდენად ძვირფასია მისგან მორთმეული საჩუქარიც...



გამუდმებით ჩემი სიმღერის მოსმენის საშისროება არ გემუქრებათ...

ჭელი აღმოჩნდა. სამწუხაროდ, დღესაც არ ვიცი, ვინ არის ის ადამიანი.

— როგორც ჩანს, საკმაოდ დაკავებული ხარ...

— დიახ. როგორც გითხარით, ვმუშაობ ახალ ალბომზე. ახლახან გამოვიდა ჩემი ახალი სინგლი. სიმღერა ეკუთვნის მანუჩარ მანჯავიძეს, ხოლო ტექსტი ჩემი და მანუჩარის ერთობლივი ნამუშევარია. სიმღერა, „სანოს სტუდიაში“ ჩაიწერა. ვცდილობ, დიდი ხნის ოცნება ავისრულლო და ჩამოვყავალიბო მუსიკოსების ჯგუფი, რომელიც სიმღერებს ცოცხლად შეასრულებს.

— ამ ჯგუფისთვის შესაფერისი კანდიდატები თუ გყავს?

— კანდიდატები მყავს, მაგრამ ვინ არიან, ჯერჯერობით ვერ გეტყვით.

— სიმღერისთვის დრო რომ არ გრჩება, ასეთს რას საქმიანობ?

— ახალი რადიო გავხსენით. აქედან გამომდინარე, დრო არაფრისთვის მრჩება.

— ვინ გახსნა და რომელ ტალღაზე?

— ეს არის ბავშვთა ფედერაციასთან არსებული შპს, რომლის დირექტორიც გახლავთ გიორგი გოცირიძე. რადიოს ერთ-ერთი დამფუძნებელი, ბავშვთა ფედერაციის თავმჯდომარე — კობა გილაშვილია. რაც შეეხება მე — მუსიკალური ნაწილის დირექტორი გახლავართ. ჩვენ FM 97,1 ლიპაპაზონზე გავალთ ეთერში.

— ვინ გაფინანსებთ?

— ჯერჯერობით, გრანტი ავიღეთ, მერე, როცა შემოსავალი გვექნება, ჩვენ თვითონ დავაფინანსებთ.

— ეთერში როდის გახვალთ?

— სავარაუდოდ, სექტემბერში. თუმცა, მანამდე საცდელ გადაცემებს გავუშვებთ.

— რატომ გადაწყვიტეთ რადიოში მუშაობა?

— რადიოში მუშაობის დიდი გამოცდილება მაქვს — 5 წელი ცოტა როდია. ეს სფერო ჩემთვის ნაცნობია, ხოლო ის ხალხი, ვინც სათავეში უდგას ამ რადიოს გახსნას, ჩემი მეგობრები არიან. მათ იციან ამ სფეროში ჩემი გამოცდილებების შესახებ, საერთო ინტერესები გვაქვს. შემომთავაზეს და უარს როგორ ვეტყვოდი?

— რომელიმე გადაცემის ნამუშევრად ხომ არ მოგვევლინები?

— საერთოდ, გადაწყვეტილი მქონდა საავტორო გადაცემის გაკეთება, მაგრამ გადაცემის მოსამზადებლად დრო არ მექნებოდა, სხვა სამუშაოც ბევრი მაქვს. ამიტომ გადავიფიქრე.

— ვინ იქნებიან ნამყვანები?

— მოვიწვიეთ ისეთი დიჯეები, რომელთა ნაწილს ამ სფეროში საქმიანობის გამოცდილება აქვს, ზოგს კი — არა, მაგრამ მათ აქვთ მუსიკალური გემოვნება და ის თვისებები, რომლებიც ჩვენს მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

— როგორც ვიცი, მათ შორის რამდენიმე ცნობილი სახეცაა...

— ძირითადად, მე შევარჩიე, რადგან ეს ჩემს ფუნქციებში შედის. რაც შეეხება ცნობილ სახეებს, ესენი არიან თიკა ჯამბურია და გვანცა ზაქარეიშვილი. ისინი მხოლოდ ერთ რუბრიკას — „თხოვნები“ წაიყვანენ.

— რა ასაკის მსმენელზე იქნება გათვლილი თქვენი რადიოტალღა?

— ეს პირველი საბავშვო რადიო იქნება. საერთოდ, ასეთი ცნება არა მარტო საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნებშიც არ არსებობს. აქ გაიყვლებს თითქმის ყველა სტილის მუსიკა, მაგრამ შედარებით იშვიათად გავა ეთერში რები, მძიმე როკი, ძნელად მოსასმენი ჯაზი. იქნება გემოვნებიანი მუსიკა, რომელიც ბავშვებს არ დააფრთხობს... გვექნება შერეული ფორმატი...

— შენი სიმღერებიც ალბათ, ამ რადიოტალღაზე ხშირად იტროალებს, ხომ?

— ჩემი სიმღერები, ისევე გაიყვლებს, როგორც სხვების. საკუთარი პოპულარიზაციის სურვილი რომ მქონდა, 5 წლის განმავლობაში რადიოში ვმუშაობდი, მაგრამ არც ერთი სიმღერა არ გამიშვია... ასე რომ, გამუდმებით ჩემი სიმღერის მოსმენის საშისროება არ გემუქრებათ.

წიფესიით – ექიმი, სუფით – შემოქმედი, საქმიანობით – კონსულტანტი...

თავისა თოთლაძე ტელემ-აყურებულთათვის „ნაცნობია“ ამ შემთხვევაში, მისი შრომის შედეგს ვგულისხმობთ, თორემ, თამუნა ეკრანზე არ ჩნდება და ყოველთვის კადრს მიღმა რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ტელეკომპანია „იმედის“ თანამშრომელი, ამავე კომპანიის მფლობელის, ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის დისშვილია, ის განსაკუთრებული პრივილეგიებით არ სარგებლობს. იმაზე, თუ კონკრეტულად რას საქმიანობს, თავად მოგვითხრობს.


თამუნა თევდორაშვილი

— თამუნა, „იმედში“ რას საქმიანობ?

— გახლავართ კომპანიის გენერალური დირექტორის კონსულტანტი შემოქმედებით დარეში.

— პროფესიით ჟურნალისტი ხარ?

— რასაც ახლა ვეტყვი, გაგიკვირდება: პროფესიით ექიმი-გინეკოლოგი ვარ, დამთავრებული მაქვს სამედიცინო ინსტიტუტი. მაგრამ რომ გითხრა, ექიმობა ჩემი დიდი სურვილი იყო-მეთქი, ვიცრუებ. ამ ინსტიტუტში ჩემი ოჯახის წევრების თხოვნით ჩავაბარე და ვსწავლობდი კიდევ. მაგრამ ექიმს აღამიანის სიცოცხლესთან აქვს საქმე, ამიტომაც ძალიან მაგარი სპეციალისტი უნდა იყოს. ეს ჩემთვის შინაგანად იმდენად უცხო იყო, რომ თავიდანვე ვიცოდი — ექიმი არასდროს ვიქნებოდი...



ყოველთვის ვცდილობ, საღამოს 7 საათზე შინ ვიყო: ძიმა სწორედ ამ დრომდე რჩება ბავშვთან.



კონკრეტულად ვინ უნდა გამოვიდეს ლიზა, ამაზე არ მიფიქრია. ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩემს სურვილებს მას არასდროს მოვახვევ თავს...

— ეი. პროფესიით არასოდეს გამუშავია?

— არა. პარასკევს რომ ვიტყოდი — ორშაბათს სამსახურში უნდა წავიდე-მეთქი, — ბოლო მომენტში ამ გადაწყვეტილების შეცვლა მიხდებოდა... ყოველთვის ხელოვნება მინტერესებდა და ჩემდა სასიკეთოდ, საქმე აქეთ შემოტრიალდა — ამ ამბულაში ძალიან თავისუფლად და კარგად ვგრძნობ თავს.

— ტელევიზიაში მუშაობაზე ბავშვობიდან ოცნებობდი?

— არა. ბავშვობიდან არც ტელევიზიაზე ვოცნებობდი და არც ექიმობაზე, უფრო ხელოვნება, შემოქმედებითი ცხოვრება მიზიდავდა.

— როგორ უთავსებ ერთმანეთს სამსახურსა და ოჯახს?

— ვერჯერობით ამის გამო პრობლემა არ შექმნილა. მართალია, სამსახურში ბევრ დროს ვატარებ, მაგრამ ყოველთვის ვცდილობ, საღამოს 7 საათზე შინ ვიყო: ძიძა სწორედ ამ დრომდე რჩება ბავშვთან.

— გაგვაცანი შენი ოჯახი...

— მყავს დედა, მამა, და და ერთი შვილი. მშობლები მთავრად ცხოვრობენ, მე კი, 7 წელია, ვაკეში ვცხოვრობ შვილთან ერთად.

— სამხარეულოში ხშირად თუ გინებს ტრიალი?

— რომ ვითხრა, არაფრის კეთება არ ვიცა-მეთქი, მოგატყუებ. დედა და ბებია, სანამ გავთხოვდებოდი, ნერვიულობდნენ და ამბობდნენ — ცალკე საცხოვრებლად რომ გადახვალ, მშვიდი მოკვდები... მართალია, ოჯახში დამხმარე ქალი მყავს, მაგრამ როდესაც მართლ ვარ, რაღაც-რაღაცების მომხადებას ვახერხებ. ასე რომ, მშვიდი არ ვრჩები. ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც დგება ისეთი დღეები, როდესაც რაღაცის გაკეთების სურვილი მიჩნდება. ზოგჯერ კი, როდესაც სახლში არ ვარ, მაგრამ ჩემი მეგობრები იქ არიან, ისინი მიმხადებენ სადილს.

— გურმანი თუ ხარ და რომელიმე კერძს სხვებზე ხშირად ხომ არ ამზადებ ხოლმე?

— რა ვიცი... სასაცილოა, მაგრამ როდესაც სამსახურიდან გვიან ვბრუნდები, ყოველთვის ნახევარფაბრიკატებს ვყიდულობ და ისეთ რაძებს ვამზადებ, რაც ადვილად და სწრაფად კეთდება — მაგალითად, ხშირად ვხარშავ პულმენს.

— შენს შვილს — ლიზა მალრადქს ტელემარშულებელი იცნობს კლიბით — „კეთილი ზღაპარი“. მომავალში ვინ გინდა, რომ გამოვიდეს?

— კონკრეტულად ვინ უნდა გამოვიდეს ლიზა, ამაზე არ მიფიქრია. ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩემს სურვილებს მას არასდროს მოვახვევ თავს. პროფესიის არჩევაში თავისუფალი იქნება, მე მხოლოდ მიზნის მიღწევაში დავეხმარები. დაე, აკეთოს ის, რაც მისთვის სასურველი იქნება.

— თათია გიორგობიანიდან დუეტის ჩანერა ლიზას იდეა იყო?

— იმ დღიდან, როდესაც ლიზამ ლაპარაკი დაიწყო, ცეკვავდა და მღეროდა. მას ამის მონაცემები აქვს. იმის სურვილი და ამბიცია, რომ ჩემი შვილი სცენაზე დამდგარიყო, არასდროს მქონია. თათია ჩემი ბავშვობის მეგობარია, ერთად გავიზარდეთ და თვითონ ლიზაც ღამისა, თათიას ხელშია გაზრდილი, ამიტომ მის სიმღერებს ჩემი შვილი ხშირად უსმენდა. ერთ დღესაც, მასთან ერთად სიმღერის სურვილი გაუჩნდა. სწორედ იმ პერიოდში, გაა მაჭარამშვილთან მოვხვდით. მან ლიზა სცენაზე აიყვანა და ამღერა. ვიას გაუჩნდა სურვილი, რომ ლიზასთვის სიმღერა დაეწერა და ეწუქებინა. ასეც მოხდა და მერე ამ სიმღერაზე კლიპიც გადაიღეს. სხვათა შორის, ხშირად მეკითხებიან — ახალ სიმღერას რატომ არ წერსო? ამის სურვილი ბავშვს უნდა გასჩენოდა და ცოტა ხნის წინ თქვა კიდევ — თათიასთან მეორე დუეტის ჩაწერა მიხდა. მაგრამ წელს სკოლაში სიარული დაიწყო, ნაკლები თავისუფალი დრო აქვს, ამიტომ სიმღერის ჩაწერაზე მუშაობა ცოტა ხნით გადავდეთ.

— რამდენად კარგად შეწყვია სკოლას? თაიდან ხომ არ გაუჭირდა?

— ძალიან ვერვიულობდი, რატომღაც მეგონა, რომ სკოლაში ვერ გაჩერდებოდა და მართლაც ასე მოხდა: პირველ დღეს, ისე „მომეწება“, ვერაფრით მოვიცილე. ასე ვიჯექით ორივე გვერდიგვერდ საკლასო ოთახში პირველ მერხზე... მაშინ სერიოზულად შემემინდა — ვაითუ, მეორე დღეს სკოლაში უქმოდ არ დარჩეს ან ჩემი წასვლის მერე ისტერიკაში ჩავარდეს-მეთქი, — მაგრამ საბედნიეროდ, ასე არ მოხდა. ახლა ვხედავ, რომ ლიზას სკოლა მოსწონს, შინ ამაყი და ბედნიერი ბრუნდება ხოლმე.

— თამუნა, თავისუფალ დროს

რას აკეთებ?

— თავისუფალი დრო თითქმის არ მაქვს, მაგრამ თუ გამოვწახე, აუცილებლად მეგობრებთან ერთად ვატარებ.

— დღესასწაულებზე ალბათ, ახლო ნათესავები იკრებიან ხოლმე, არა?

— რა თქმა უნდა. ასეთი დღესასწაულებია — ახალი წელი და ებრაელთა პასეხი. ახალ წელს ყველანი ერთად ვართ და იცი, როგორ ვხვდებით?.. ჯერ — საკუთარ სახლებში, შემდეგ კი, ღამის პირველი საათისთვის, სადმე ვიკრიბებით და ვზეიმობთ.

— შენ მიმართ ბევრი ალბათ განსაკუთრებულ ინტერესს იმის გამო იჩენს, რომ ბატონი ბადრის დისშვილი ხარ. ამაზე როგორ რეაგირებ?

— ბადრი პატარაკაციშვილი საზოგადოებისთვის ცნობილი ფიგურაა. რა თქმა უნდა, ის ჩემთვისაც ავტორიტეტული და ძალზე პატივსაცემი ადამიანია, მაგრამ ბადრი ჩემთვის უპირველესად, ბიძა და ოჯახის წევრია...

— დეიდასთან, პარლამენტის დეპუტატ ნანა პატარკაციშვილთან როგორი ურთიერთობა გაქვს?

— ნანა დედაჩემსა და ბადრიზე უმცროსია (დედასა და ნანას შორის ასაკობრივი



ბადრი ჩემთვის უპირველესად ბიძა და ოჯახის წევრია... (ბადრი და მზია პატარკაციშვილები)

განსხვავება 7 წელია). მე რომ დავიბადე, მაშინ ნანიკოც პატარა იყო, ამიტომ ჩემ მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა. მასსოვს, სადაც არ უნდა წასულიყო, ყველგან თან მივყავდი.

ნანა ჩემთვის დღესაც, არა მართლ დეიდა, არამედ კარგი მეგობარია. ის ძალიან მიყვარს და ყველგან და ყოველთვის მისი იმედი მაქვს. თუ რაიმე სისულელეს ჩავიღწენ, დარწმუნებული ვარ, ნანა გამოვებს. იგი ჩემთვის მეორე დედასავითაა, ოღონდ — მასთან გაცილებით მეტი რამის თქმა შემიძლია, ვიდრე დედასთან...

— დედაშენი — ქალბატონი მზიაც ხომ პარლამენტარია?

— კი და იმის გამო, რომ სულ პარლამენტშია, იშვიათად ვხვდავ.



— ნანას რამდენი შვილი ჰყავს?
 — ერთი შვილი ჰყავს — სანდრო, რომელიც დღეღამის ნათესავებს შორის ერთადერთი ბიჭია. ბადრისაც და დედასაც ორ-ორი გოგო ჰყავთ და სანდროს დაბადება ყველასთვის ძალზე დიდი სიხარულის მომტანი იყო. ამჟამად სანდრო 14 წლისაა და პირველ გიმნაზიაში სწავლობს.

— ნანას ალბათ კახეთში სიარული ხშირად უწევს ძირითადად სად ცხოვრობს — ყვარულში თუ თბილისში?

— მართალია, კახეთში ხშირად დავის და იქ ბინაც აქვს, მაგრამ უმეტესად თბილისშია. გრძობულობაზე ცხოვრობს. ყვარულში შექმნილ მძიმე მდგომარეობას, იმას, რომ ხალხს ძალიან უჭირს, ნანა უზომოდ განიცდის, მაგრამ ამბობს, ყველაფერი კარგად იქნება...

— ბატონ ბადრის რა ასაკის შვილები ჰყავს და სად ცხოვრობენ?

— უფროსი გოგონა 24 წლისაა, გათხოვილია, მეორე — 22 წლის გახლავთ. ორივე მოსკოვში ცხოვრობს.

— თუ არის თბილისში ადგილი, სადაც განსაკუთრებით ხშირად დადის და საამოვნებით ერთობი?

— „ტუსოვეკსა“ და ხალხმრავალ ადგილებში ხშირად ვარ, მაგრამ ოპერის წინ არის ერთი ბარი, სადაც განსაკუთრებით კარგად ვგრძნობ თავს. არ დაგაკონკრეტებ, მაგრამ ეს ადგილი ჩემთვის ტკბილ მოგონებებთან ასოცირდება...

— შენი გარდერობის შესახებაც მოგიყვები: ჩაცმულობის რომელ სტილს ანიჭებ უპირატესობას?

— კარგად ჩაცმა ძალიან მიყვარს, მაგრამ უპირატესობას რომელ სტილს ვანიჭებ, ვერ გეტყვი — დილით რა ხასიათზეც ვავიღვიძებ, იმის შესაბამისად ვიცვამ, მნიშვნელობა არა აქვს, სამსახურში მივდივარ თუ საღამო სხვაგან. უტიკეტს არასდროს ვარდევ, ოფიციალურ შეხვედრაზე სპორტული სამოსით არ გამოვცხადებ. ჩემი აზრით, უნდა იცოდეს, სად, რა და როგორ ჩაიცვა.

— ავთო ცქციტინიძე თუ ზრუნავს შენს ჩაცმულობაზე?

— ავთო ჩემს ჩაცმულობაზე ზრუნავდა მანამ, სანამ ჩემი სიბე გახდებოდა. მე ავთოს ჩვეულებრივი კლიენტის ვიყავი და მასში იცოდა, რა მომწონდა?... ყოველთვის სწორად მიჩვენდა იმას, რაც მინდოდა.

— ძირითადად სად იმოსები?

— თუ საღამო მივდივარ და რაღაც განსაკუთრებული მჭირდება, ავთო მიკრავს. ისე კი, ტანსაცმელს ძირითადად საზღვარგარეთ ვაძლავ. ვერ ვიტყვი, საქართველოში არაფერი მიყვარდა-მეთქი, აქაც მომწონება რაღაც — მაგალითად, ვინისის შარვალი — და შემიძენია.

— დაბოლოს, უახლოესი მომავლისთვის რას გეგმავ?

— არ ვიცი, წინასწარ არაფერს ვგეგმავ, ყოველთვის დროის დინებას მივყვები...

მომღერალ ბიზა კვიციანი ამბობენ — პირველი სიყვარულისგან მიღებული ტკივილის ბრალია, თავის სიმღერებში სულ შეყვარებულს რომ მისტირისო... ვიფიქრე, ამის გარკვევას რა უნდა-მეთქი?! თან რუბრიკაც მიწყობდა ამაში ხელს და ინტერვიუს ჩასაწერად, ხმის ჩამწერ სტუდიაში მივავითხე. პირველად ის დავადგინე, რომ ცნობილ მომღერალს პაემნებში არ უმართლებდა. მეორე კი, ის, რომ გიგა სეროზულად ყოფილა შეყვარებული თავის მენეჯერზე. თუმცა წყვილი თავისი ურთიერთობის ოფიციალურად გაფორმებას თურმე, ჯერჯერობით არ ჩქარობს...

„გოგონამ ბამაჩირა, ჯარ ავტობრავი მთხოვა, მირა ბირილი დაიწყო...“

მერი კობიაშვილი

— ჩემი პირველი შეყვარებული კარგად მახსოვს. საბავშვო ბაღში ყველაზე გამოჩენილი გოგონა იყო. წითელი თმა და ცისფერი თვალები ჰქონდა. სახლში რომ ვბრუნდებოდი, ხუმრობით მეუბნებოდნენ — კესო გიყვარსო. რომ ამბობენ — შეძახილმა ხე გაახმოო, — ჩემს შემთხვევაშიც ასე იყო: იმდენჯერ მითხრეს — კესო გიყვარს, კესო გიყვარსო, — რომ მართლაც შემეყვარდა ბავშვურად. მასთან ერთად ხელიხელაკიდებული დავდიოდი ხოლმე, ერთ ოთახში გვეძინა — მოკლედ, ძალიან შეყვარებული ვიყავი. სხვათა შორის, ეს გრძნობა საკმაოდ დიდხანს — საბავშვო ბაღის დამთავრებამდე გავრძელდა. მოგვიანებით, ის გოგონა აღარც კი მინახავს.

— სკოლაში ბევრი გოგონა მოგნონდა?

— ტინიჯერულ ასაკში, გამოვითყვლებით, ყოფილა შემთხვევა, როცა ერთდროულად 10 გოგო მომწონდა. ფლირტი ყველასთან მქონდა, მაგრამ სიყვარულით არც ერთი არ შემეყვარებია.

— ნამდვილი სიყვარული როდის გესტუმრა?

— ქუთაისში საბავშვო მუსიკალურ თეატრში დავდიოდი. იქ ერთი გოგონა გავიცანი. ძალიან მომეწონა, დავმეგობრდი.

მალევე მივხვდი, რომ ის გოგო სერიოზულად მიყვარდა. მისგანაც ვგრძნობდი სიპატიას. მაგრამ მერე ის გოგონა გათხოვდა და ჩემი სიყვარული წარსულს ჩაჰპარდა.

— ამბობენ, სწორედ ამ, შენი პირველი სიყვარულის ბრალია, სევდიან სიმღერებს რომ მღერო...

— ასე ნამდვილად არ არის. მე გულჩათხრობილი პიროვნება არა ვარ — უბრალოდ, გული მთხოვს ასეთ სიმღერებს და ვმღერო, წინააღმდეგ შემთხვევაში, „ფალშივი“ ადამიანი ვიქნებოდი. ხელოვნური რომ არ არის ჩემი სიმღერები, ალბათ, ხალხს იმიტომაც უყვარს.

— მაინც როგორ დაუთმე შენი შეყვარებული სხვას?

— მოვესხენებო, ქუთაისი ის ქალაქია, სადაც იოლად იტაცებენ გოგონებს. ჩემი შეყვარებულიც მოიტაცეს. ისიც დარჩა. მანამდე ჩემი ურთიერთობა 2 თვის დაწყებული იყო. ალბათ, ძალიან არ ვუყვარდი, თორემ, ხომ დაბრუნდებოდა!?

— უთხარი — დაბრუნდი და ცოლად მოგიყვანო?

— არა. მე ის პიროვნება არ ვარ, ვინმეს უკან გავევიდო...

— პირველი პაემანი როგორ გახსენდება ხოლმე?

— 16 წლის რომ ვიყავი, ერთი გოგონა გავიცანი, რომელსაც ტელეფონით მთელი 3 თვე ვეკონტაქტებოდი. ერთ მშვენიერ დღეს გადავწყვიტეთ, შეხვედროდით ერთმანეთს. მე, როგორც მამაკაცს შევეყვარება,

დათქმულ დროზე ადრე მივედი პაემანზე. დაახლოებით 10 წუთის შემდეგ, ჩემკენ მომავალი ასკილოიანი გოგონა დაეინახე. ჩემი წარმოდგენით, პოლიციური ლამაზმანის მსგავსი გოგონა უნდა მოსულიყო ჩემთან პაემანზე და ამიტომ ძალიან გამიკვირდა, როცა ის ასკილოიანი გოგონა მოვიდა ჩემთან და მკითხა – გიგა თქვენ ხართო? მოულოდნელობისგან გაეშრი. სხვათა შორის, ის მიხვდა ჩემი რეაქციის მიზეზს და მითხრა – არ ელოდი, ასეთი მსუქანი თუ ვიქნებოდიო?... ჩემს თავს გადახდენილი ამ ამბის შემდეგ მივხვდი, რომ ქალსა და მამაკაცს შორის ურთიერთობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის გარეგნობას... სხვათა შორის, ტელეფონით გაცნობილ იმ პუტკუნა გოგონასთან დღემდე კარგი და მეგობრული ურთიერთობა მაქვს. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ჩვენი პირველი პაემნის შემდეგ, ტელეფონით დიდხანს აღარ გვილაპარაკებია... პაემნებში კარგა ხანს არ მიმართლებდა ხოლმე. ერთხელ, ჩემი მამაკაცის დაბადების დღეზე გავიციანი გოგონა. ძალიან მომეწონა და თეატრში დავპატარე. სიამოვნებით დამთანხმდა, მაგრამ არ მოვიდა. ვიდრე და ნახევარი საათი მაინც ველოდი. მერე ერთმა მეგობარმა გამოიარა და თეატრის წინ ტყუილად დგომას, ვარჩიე, სპექტაკლი მასთან ერთად შენახა. საღამოს სახლში რომ მივედი, გაბრაზებულმა დაფურეკე იმ გოგონას და ვკითხე – რატომ არ მოხვედი-მეთქი? თურმე, დღემდის არ გამოუშვია მართლ და სპექტაკლზე ისიც წამოსულა. მაგრამ მე დარბაზში არც ერთი არ შემომჩნევია.

— ფილოსოფოსებსა და მეცნიერებს ვერაფრით აუხსნიათ, თუ რა არის სიყვარული. ზოგს აგვიფებს, ზოგსაც — პირიქით, აჭკვიანებს. შენზე როგორ მოქმედებს სიყვარული?

— სიმათლე ვითხრათ, მე იმ ადამიანთა შორის ვარ, ვისაც ყველაფერი გულთან ახლოს მაქვს. არ მიყვარს, როცა შეყვარებულებს შორის რაიმე პრობლემა და გაურკვევლობაა. ამიტომ მაქსიმალურად ვცდილობ, დათმობებზე წავიდე. ზოგჯერ ეს ჩემთვის წამგებანიც არის. მაგრამ ჩემი აზრით, მამაკაცმა უფრო მეტი უნდა დათმოს, ვიდრე ქალმა. ქალბატონი მაინც ქალბატონია.

— შეყვარებულის ფანჯარასთან სერენადები თუ გიმღერია?

— ფანჯარასთან – არა, მაგრამ ტელეფონით მიმღერია ძალიან ბევრჯერ. ისედაც, ყველა ჩემი სიმღერა ჩემს შეყვარებულს ეძღვნება.

— მოდი, შენს ახლანდელ შეყვარებულზე გვიამბე. როგორ გაცნაობთ ერთმანეთი?

— უკვე თითქმის ერთი წელია, ერთმა-

ნეთს ვიცნობთ. ნინო კლუბში გავიცანი და მისი უბრალოებით და კარგი ადამიანობით, ერთი შეხედვით მოვიხიბლე. მომეწონა, რომ მას ჩემთან ურთიერთობა იმიტომ კი არ უნდოდა, რომ გიგა კვენეტაზე ვარ – ქალების უმრავლესობა კი, მხოლოდ ამიტომ ცდილობს ჩემს გაცნობას.

— ფანები ძალიან გაბეზრებენ ხოლმე თავს?

— ახლაც, თქვენთან შესასვედრად რომ მოვიდიოდი, რუსთაველზე ვიდაც გოგონამ გამაჩერა, ჯერ ავტოგრაფი მთხოვა, მერე ტირილი დაიწყო... ასეთ სიტუაციაში ცოტა ვიბნევი ხოლმე და არ ვიცი, რა გავაკეთო. ამას წინათ კი, შუა კახეთში, კერძოდ – თელავში მქონდა კონცერტი. ძალიან ბევრი ხალხი მოვიდა. კონცერტის ბოლოს, აუტირებული გოგონები ამოვიდნენ სცენაზე. იქვე დაცვის ორი წევრი იდგა, მაგრამ მათ დანახვაზე დაიბნენ. მე აღარ ვიცოდი, რა მქონდა. ვიდაცამ ხელი მომიკიდა და კულისებისკენ გამაქცია. გოგონების გუნდი უკან გამოიყვანა. ამ დროს, ჩემი შეყვარებულის – ნინოს განწირული ყვირილი მომესმა: გიგა, აქ არ დამტოვო! გაჩერდი და უკან დაუბრუნდი. ვიფიქრე, ყველაზე ცუდი ის იქნება, თუ გადამივლიან, საუკეთესო შემთხვევაში კი, ავტოგრაფს მომიხოვენ-მეთქი... ყველაფერი კარგად დამთავდა.

— ჩვენი საუბრის ბოლოს, მოდი, იმ ტინეიჯერებს მიეცი რჩევა, ვინც პირველად აპირებენ პაემანზე წასვლას.

— კარგი იქნება, თუ ჩემს შემთხვევას გაითვალისწინებენ და წინასწარ ილუზიებს არ შეიქმნიან. პირველ პაემანს იშვიათად მოჰყვება ოჯახის შექმნა. ამიტომ არ ღირს ბევრი ნერვიულობა...



ადრე მივედი პაემანზე. დაახლოებით 10 წუთის შემდეგ, ჩემკენ მომავალი ასკილოიანი გოგონა დაეინახე...

ბესტი პრედიქსიაზე

1. ნათლობის გარდა, ჩვეულებრივ ადამიანს სიცოცხლის განმავლობაში შირონს ალარ სცხვებან. ვინის ხვედრია, ბირონის ბეორად ცხეხა?



- ა) პატრიარქთა;
- ბ) მეფეთა;
- გ) დედოფალთა.

2. რა პრეხვა ხაშურს 1928-1954 წლებში?



- ა) სტალინი;
- ბ) მინაილოვი;
- გ) საბჭოთა ველი.

3. რომელი საშუაუნის დასაწყისში შექმნა დანიელ ფარანგეიტიმა პირცხლისწყლის თიარ-მომეტირი?



- ა) მე-18-ში;
- ბ) მე-20-ში;
- გ) მე-19-ში.

4. 1982 წელს სოფი ლორენმა 17 დღე ცინხეში გაატარა, რატომ?



- ა) გადასახადების გადაუხდელობის გამო;
- ბ) ნასვამ მდგმარეობაში ავტომანქანის მართვის გამო;
- შ) შეთანხმებული როლის თამაშზე უარის გამო.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

კვირის

(9 - 15 ივნისი)

ასპროლოგიური პროგნოზი

შპქი - 21/III-20/IV

შესაძლოა, უმნიშვნელოდ გააგრძელდეს მდგომარეობა როგორც სამსახურში, ისე ოჯახში, ამიტომ, მოიშველიეთ მიღებული თქვენი ვონებასაზვილობა, რათა მოსალოდნელ კონფლიქტებს თავი აარიდოთ. რაიმე უსიამოვნების დროს უაზრო ფაციფუცს კი ნუ დაიწყებთ, არამედ მშვიდად დაუმტკიცეთ მოწინააღმდეგეს თქვენი სიმართლე. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და ლომთან, ნეგატიური - კირჩხიბსა და ღრიანკალთან. **პოზიტიური დღეები:** 10, 12, 13. **ნეგატიური დღეები:** 9, 14.

შპქი - 21/IV-21/V

ამ პერიოდისთვის თქვენი ენერჯია გაორმაგდება და შეეცადეთ, მოახერხოთ საკუთარი თავის გაკონტროლება, რათა ზედმეტმა აქტიურობამ შეცდომები არ დაგამუშავებინოთ. ასევე, მოიმატებს თქვენი ვნებიანობაც, ეს კი ხელს შეუწყობს რომანტიკული ურთიერთობების გაღრმავებას, თუმცა, შეცდომების დაშვების ალბათობა ამ სფეროშიც არსებობს. ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და თევზებთან, ნეგატიური - ღრიანკალსა და მშვილდოსანთან. **პოზიტიური დღეები:** 9, 11, 15. **ნეგატიური დღეები:** 10, 14.

შპქი - 22/V-21/VI

მოსალოდნელია, წინა კვირიდან გამოყოლილმა პოზიტიურმა განწყობილებამ ყურადღება მოგდუნოთ და ამის გამო ქაოსურ სიტუაციაში მოხვდეთ, რაც თქვენს ნერვულ სისტემას ოდნავ დაძაბავს. დაგვირდებით უფრო მეტი შრომა, რათა თავი გაართვათ მოძალდებულ პრობლემებს. სიფრთხილე გამოიჩინეთ ხალხმრავალ ადგილებში, ნუ იქნებით რადიკალური. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩბივსა და სასწორთან, ნეგატიური - ვერძსა და კუროსთან. **პოზიტიური დღეები:** 10, 14, 15. **ნეგატიური დღეები:** 11, 13.

შპქი - 22/VI-22/VII

ამ პერიოდში მოეცემათ საშუალება, რათა გაბეჯულად იმოქმედოთ. იაქტიურეთ და თამამად აიღეთ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა. შეეცადეთ, მეტი იშრომოთ - შედეგს უახლოეს მომავალში მოიპოვებთ. გასოვდეთ, ინიციატივა წინსვლის საწინდარია. ორგანიზატორული ნიჭი და დისციპლინირებულობა დაგეხმარება უფროსობის კეთილგანწყობის მოპოვებაში. ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და ქალწულთან, ნეგატიური - მარჩბივსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები:** 9, 10, 11. **ნეგატიური დღეები:** 12, 14.

ლქი - 23/VII-23/VIII

გამოიჩინეთ სიფრთხილე ადამიანებთან ურთიერთობისას, განსაკუთრებით ეს სამსახურში დაგვირდებათ. ასევე, სიფრთხილე გამართებთ ელექტროხელსაწყოებთან, ბასრ და მჭრელ საგნებთან შეხებისას. ნუ იმოქმედებთ იმპულსურად და დაუფიქრებლად. ასევე, არასასიამოვნო სიახლეები გელით ფინანსებთან დაკავშირებით. ასე რომ, მიუერიდეთ სესხის აღებას. ურთიერთობები პოზიტიურია ლომსა და სასწორთან, ნეგატიური - თხის რქასა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები:** 11, 13, 15. **ნეგატიური დღეები:** 9, 14.

ქალწული - 24/VIII-23/IX

თქვენთვის ეს კვირა პოზიტიური იქნება, გათავისუფლდებით წინა პერიოდიდან გადმოყოლილი ნეგატიური ენერჯიისაგან. შეძლებისდაგვარად მოგიწესრიგდებათ ნერვული სისტემა. მთავარია, დამშვიდდეთ და გააკონტროლოთ თქვენ გარშემო მომხდარი მოვლენები. არ გირჩევთ, ოჯახის წევრებთან უბრალო კამათისას შეწინააღმდეგებას, ასე სიტუაციას უფრო გაამძაფრებთ და დაძაბვთ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და თხის რქასთან, ნეგატიური - მარჩბივსა და მშვილდოსანთან. **პოზიტიური დღეები:** 9, 12, 15. **ნეგატიური დღეები:** 10, 11.

სასწორი - 24/IX-23/X

მეტნაკლებად თქვენთვის დადებითი პერიოდი და შეეცადეთ, გამოიყნოთ. ამ კვირაში დაგვემთხვევა პირადი თუ საქმიანი შეხვედრა, ასევე, მნიშვნელოვანი პროექტები და პარალელურად მათ განხორციელებასაც შეუდექით. გირჩევთ, გამოავლინოთ ორგანიზებულობა, შრომისმოყვარეობა, მოთმინება, ეს ყოველივე დაგეხმარებათ თქვენი მიზნების ასრულებაში. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩბივსა და სასწორთან, ნეგატიური - ვერძსა და ლომთან. **პოზიტიური დღეები:** 12, 13, 14. **ნეგატიური დღეები:** 9, 15.

ღრიანკალი - 24/X-22/XI

მთავრდება თქვენთვის ნეგატიური პერიოდი და რამდენად მოახერხებთ „ახალ რელსებზე“ გადასვლას, მთლიანად თქვენზე იქნება დამოკიდებული. უბრველესად კი საჭიროა, თქვენში გააძლიეროთ შრომისმოყვარეობა და მიზანსწრაფვა. ნუ გაფლანგავთ ფულს, იყავით პრაქტიკული. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია, საკუთარ ბიუჯეტს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოთ. ურთიერთობები პოზიტიურია თხის რქასა და თევზებთან, ნეგატიური - მშვილდოსანსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები:** 10, 11, 12. **ნეგატიური დღეები:** 13, 15.

მშვილდოსანი - 23/XI-21/XII

გრძელდება თქვენთვის კრიტიკული პერიოდი. ნუ იქნებით მელანქოლიური, ნუ მიიღებთ ალკოჰოლსა და ფსიქოტროპულ მედიკამენტებს. გააგრძელეთ მძაფრი შეგრძნებებისა და გადაჭარბებული სიამოვნების მიღების სურვილი, ამას კი მოსალოდნელია, ახალი უსიამოვნებები მოჰყვეს. შესაძლოა, ზედმეტმა ემოციურობამ თქვენი სულიერი გადაღლა გამოიწვიოს. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და კუროსთან, ნეგატიური - კირჩხიბსა და თხის რქასთან. **პოზიტიური დღეები:** 9, 12, 14. **ნეგატიური დღეები:** 10, 15.

თხის რქა - 22/XII-20/I

წინა კვირებთან შედარებით კიდევ უფრო შესუსტდება თქვენი იდენტიანობა, რის გამოც მოსალოდნელია, გარკვეული პრობლემებიც შეგექმნათ. კვირის ბოლოს, არ გირჩევთ, ვინმესთან (განსაკუთრებით, პარტნიორებთან) დაპირისპირებას, ეს სიკეთეს არ მოგიტანთ. გამოიჩინეთ კეთილგონიერება. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და ღრიანკალთან, ნეგატიური - ლომსა და სასწორთან. **პოზიტიური დღეები:** 13, 14, 15. **ნეგატიური დღეები:** 9, 12.

მერწყული - 21/I-19/II

ეს კვირა თქვენთვის პოზიტიური იქნება. მოეცემათ შანსი, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგათ ცხოვრებაში. ეს ძირითადად დაკავშირებული იქნება თქვენი მატერიალური ბაზის გამყარებასთან, ახალი პროექტებისა თუ საქმიანი წინადადებების განხილვასთან. ამასთან ერთად, გამოიცხადდება არ არის, ახალი, ანდა დამატებითი სამსახურიც დაიწყეთ. ურთიერთობები პოზიტიურია სასწორსა და მშვილდოსანთან, ნეგატიური - ვერძსა და კუროსთან. **პოზიტიური დღეები:** 10, 11, 14. **ნეგატიური დღეები:** 12, 15.

თევზები - 20/II-20/III

ამ პერიოდში განსაკუთრებულად მოიმატებს თქვენი სასიცოცხლო პოტენციალი და მეტი სიმეტად აქტიურიც გახდებით, თუმცა, ამ მოჭარბებული ენერჯიის გამო, შესაძლოა, ახლობელ ადამიანთან კონფლიქტიც კი მოგივიდეთ. ამიტომ, თქვენი ყოველი სიტყვა თუ მოქმედება განსაკუთრებულად გააკონტროლეთ, რათა უნებლიეთ უსიამოვნების მიზეზი არ გახდეთ. ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და ღრიანკალთან, ნეგატიური - მარჩბივსა და ქალწულთან. **პოზიტიური დღეები:** 9, 12, 13. **ნეგატიური დღეები:** 10, 11.



აწმქრობები

ძალი მანქანას საყარაულოდ მოუსვენს. დილით პატრონს ბორბლები მოსწონილ დახვდა, მინაზე კი - ქალაქი წარწერით: „ძალს არ გაუწერე, მონღოლებით ყველა“.



არა ვარ.

- ადრე ნასამართლევი ხართ?
- არა, ეს ჩემი პირველი ქურდობა იყო.

- ექიმმა დღეში 100 გრამის დაღვევის ნება დამართო.

- მერე ასრულებ?
- კი... თანაც გადაჭარბებით. 2035 წლამდე გვემა შესრულებული მაქვს.

ექიმი-ექსპერტი პრაქტიკანტს ჰკარნახობს:

- დაწერეთ: „თავის ქალის ტრავმა...“
- იქნებ, ტვინიც დაზიანებულია?
- სად უნდა ჰქონდეს ტვინი?! ცოლის დაბადების დღეზე საყვარელთან ერთად მივიდა!

მდივანი - ტელეფონის ყურმილიში:
- იცით, თქვენი ქმარი სადღაც აქ არის! მისი მარგალი ავერ, სკამზეა გადაკიდებული.

- ბიჭო, რა მივწყლული გაქვს ცხვირი? მოკრივე ხარ?
- არა, ქალების აბანოში ფანჯრების მშენებელი...



კახეთში განათლების სამინისტროს თანამშრომლები ჩავიდნენ და არ იცნან, სად არის სკოლა. იქვე, ხის ძირას არხეინად წამოწოლილ მიხოს ჰკითხეს.
- იქა, შესახვევში რომ შაუხვევით, მიტოს სიდედრის ტრაკივით თეორ შენობას დაინახათ და იქვეა თქვენი სკოლაცა...

- ხუთი ლარით დამეხმარეთ, მშვიერი ვარ.
- მეც მშვიერი ვარ.
- მაშინ, 10 ლარი მომეცი და დაგპატიუებ, შე მათხოვარო.

- ანზორა, შენი გოგონა დედას ჰკავს?
- არ ვიცი, ჯერ ლაპარაკი არ დოუწყია.

ქალმა, რომელსაც ქმარი მოუკვდა, საფლავის ქვაზე გააკეთებინა წარწერა: „ამ დანაკლის ვერ გადავიტან...“ რამდენიმე თვის შემდეგ იგი გათხოვდა და წარწერას სამი წერტილის მერე კიდევ ერთი სიტყვა მიამატა: „...მარტო“.

- გოგონი, რა ლამაზი სვიტრი გაცვია...
- ეს ნამდვილი აქლემის ტყავია, შე გოიმო...
- ჰო, მაშინვე მივხვდი... კუზით.

პოლიციამო:
- ქალბატონო, სად გქონდათ ფული?
- ლიფში.
- მერე, რატომ არ შეეწინააღმდეგეთ?
- მეგონა, კეთილი ზრახვები ჰქონდა.

რეკლამა:
„დავიზადებთ ტუალეტის ქალაქს, თქვენი მტრის გამოსახულებით“.

- ბიჭო, რა მოწყენილი ხარ, რა გვირს?
- ჩემს ცოლს შიდას აღმოაჩნდა... ვინუმრე, ბიჭებო, რამ გაგაფითრათ?!

- სიდედრი გარდამეცვალა!
- რა ჰქონდა?
- არაფერი ისეთი... მაგიდა, სერვანდი და ერთი ტახტი დაგვრჩა.

მიხოს სახლში მდიდის და ხედავს, რომ მუზობელი ქალი, ქეთო წაკუნულა და რაღაცას ებებს მაგიდის ქვეშ. ის მიხოს, თავისი ცოლი ევონება და მაღვება... ქალი გამოხედავს და ეუბნება:
- რას შერები, მიხო? მარო კი არა, ქეთო ვარ, ქეთო!
- ქეთო კი არა, ვიგო, აწი, თუ ვინდა, აწიკო იყავი - მაგათ აღარა აქ მნიშვნელობა!

კინოში:

- მიხლო, დღეს რა ცივი ხარ?
- მარო, ხელი გაუშვი ჩემ „მაროუნსა“!

- ვინ არის თქვენი ოჯახში უფროსი?
- ჩემი ქმარი, ის ულაპარაკოდ ასრულებს ყველა ჩემს დავალებას.

**

- მიტო, მამაშენთანა ეწვევი?!
- რატო არ უნდა მოვსწიო, რა, გაზის ბალონია, რო აფეთქდეს?!

განცხადება:
ყურადღება! გუშინ ზოობარკიდან გაიქცა კუ. მპონენოს ვთხოვთ, 180 გრამისით შემობარუნოს.

- გეფიცებით, პატივცემულო მოსამართლე, დამნაშავე



- ჩემს ცოლს აღერსიანად ვეძახი ხოლმე - „ჩემო ბაჭია, ჩემო ლიფსიტავ, ჩემო ჩიტუნავ“...
- ის რაღას შერება?
- ყურებს ცქვეტს, თვლებს კარკლავს და ნისკარტს აქნევს.

რაოდენად პარგად იხსნება ქალის ფსიქოლოგია?

მამაკაცთა უმრავლესობა თავს ქალის ფსიქოლოგიის ექსპერტად მიიჩნევს. ძვირფასო მამაკაცებო, დაფიქრდით, ხომ არ ცდებით? ამას სულ იოლად გარკვევთ, თუკი საკუთარ მოსაზრებებს ტესტის შედეგებს შეადარებთ.

ყურადღებით გაეცანით შეკითხვებს და შეარჩიეთ პასუხების თქვენთვის ყველაზე მისაღები ვარიანტი.

1. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ქალები უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე მამაკაცები. თქვენი აზრით, რატომ ხდება ასე?

ა) სერიოზული ცხოვრებისეული პრობლემები ხომ მძიმე ტვირთად სწორედ მამაკაცებს აწევთ მხრებზე;

ბ) სირთულეების დაძლევის ხომ მამაკაცები უდიდეს ძალისხმევას ახმარენ;

გ) ამის თავიდათვი ქალის ფსიქოფიზიკური კონსტიტუცია განსაზღვრავს.

2. შეურაცხყოფილად ხომ არ გრძნობთ თავს, როცა თქვენი თანდასწრებით, თქვენსავე პროფესიულ სფეროში, ქალი უფრო მეტ ცოდნას ამჟღავნებს?

ა) დიას;

ბ) არა;

გ) ძნელია ამის თქმა.

3. თქვენ აზრით, რომელი პროფესია შეეფერება ქალს ყველაზე მეტად?

ა) მასწავლებლის;

ბ) ექიმის;

გ) ნებისმიერი, ეს დამოკიდებულია კონკრეტული ქალის ნიჭიერებისა და მისი ინტერესების სფეროზე.

4. პოლიანდრია — არის:

ა) დიდგვაროვანი ქალბატონის სახელი;

ბ) ჯანმრთელობისთვის საშიში ქალური დაავადება;

გ) მრავალქრიანობა.

5. ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ შესაძლებელია ნებისმიერი ქალის რომანზე დათანხმება, თუკი მეორე მხარე ამისათვის სათანადო ძლისხმევას არ დაიშურებს?

ა) დიას;

ბ) არა;

გ) ძნელი სათქელია.

6. ჩატარდა ექსპერიმენტი, რომლის მიზანიც გახლდათ, მამაკაცებისა და ქალთა ჯგუფების ინტელექტუალური დონის გარკვევა. თქვენი აზრით, როგორია მისი შედეგები:

ა) მამაკაცთა ჯგუფში ბევრად უფრო მეტი მაღალი ინტელექტის მქონე ადამიანი აღმოჩნდა;


ბ) ჯგუფებს შორის საგრძნობი უპირატესობა არ დაფიქსირებულა;

გ) ქალებმა ბევრად უფრო მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს.

7. ქვემოთ ჩამოთვლილ ქალთაგან ამოარჩიეთ ერთ-ერთი, რომელიც ყველაზე ახლოს დგას თქვენს იდეალთან:

ა) მარია სკლოდოვსკაია-კიური;

ბ) მერილინ მონრო;



გ) მარგარეტ ტეტჩერი.

8. თქვენი აზრით, საკუთარი ქმედების დროს, უმრავლეს შემთხვევაში, რა ამოძრავებთ ქალებს?

ა) ლოგიკა;

ბ) გრძნობა;

გ) ლოგიკაცა და გრძნობაც, ეს დამოკიდებულია სიტუაციასა და ქალის პიროვნულ თვისებებზე.

9. ისტერია — ფსიქიკური დაავადებაა, რომელიც გამოუვლინდება:

ა) მხოლოდ ქალებს;

ბ) როგორც ქალებს, ისე მამაკაცებს;

გ) ზოგიერთ მამაკაცს.

10. ქალების ხასიათის ხშირი ცვლადობის მიზეზი გახლავთ:

ა) მათი ეგზალტირებულობა და შინაგანი დისციპლინის არქონა;

ბ) არასწორი აღზრდა;

გ) მათი პიროვნული წყობის სპეციფიკა.

დაავაზიმი ქულაში: დაავაზამეთ ქულები. 5 ქულა დაინერეთ: 1, 2, 3, 4, 5, 8, 9, 10 შეკითხვების „გ“ ვარიანტის პასუხებში, მე-6 შეკითხვის „ბ“ ვარიანტში და მე-7 შეკითხვის „ა“, „ბ“ და „გ“ ვარიანტებში. დანარჩენ შემთხვევაში დაინერეთ 0 ქულა.

ტესტის შედეგები

45-50 ქულა: ქალის ფსიქოლოგიის შესანიშნავი მცოდნე ბრძანდებით და ძალიან კარგად უგებთ სუსტი სქესის წარმომადგენლებს. ქალს სრულფლებიან პარტნიორად აღიქვამთ და არასოდეს ცდილობთ მისი დამცირების ხარჯზე საკუთარი უპირატესობის დამტკიცებას. ქალებთან ურთიერთობისას არასოდეს ხელმძღვანელობთ იმ არქაული მეთოდებითა და დამკვიდრებული ცრურწმენებით, რომლებიც არაერთ მამაკაცს ურთულებს ცხოვრებას. თქვენ გიყვართ ქალები, სიამოვნებით ატარებთ დროს მათ საზოგადოებაში და თქვენდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათაც არანაკლებ უყვარხართ. თუკი თქვენს პარტნიორ ქალს ასევე კარგად ესმის მამაკაცების, უნდა ვივარაუდოთ, რომ მასთან ერთად წინ წარმატებულთა და ბედნიერი დღეებით აღსავსე ცხოვრება გელით.

25-40 ქულა: ეჭვგარეშეა, რომ ქალთან კონტაქტისას, გუმანით გრძნობთ მის განწყობილებას და

ხასიათის შეწყობას ცდილობთ. ამის წყალობით, უამრავ წარმატებასაც აღწევთ, მაგრამ სულის სიღრმეში, თქვენ ქალებს შედარებით უფრო დაბალი კასტის წარმომადგენლებად მიიჩნევთ, რომელთაც უამრავი ისეთი ნაკლი და უსიამოვნო თავისებურება აქვთ, რაც არ ახასიათებთ მამაკაცებს. მიუხედავად ამისა, საკუთარ თავს ჭეშმარიტ ჯენტლმენად მიიჩნევთ, მაგრამ დაფიქრდით, რამდენად გამართლებულია თქვენი ასეთი თვითშეფასება?

25 ქულაზე ნაკლები: ქალის ფსიქოლოგიის თქვენეული ცოდნა ბანალური ცრურწმენების ჩარჩოებს ვერ სცდება, სწორედ ამის გამოა, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლებთან ურთიერთობისას თქვენ უამრავ შეცდომას უშვებთ. თუკი მათთან ურთიერთობის მონეწილება გსურთ, ძალისხმევა არ უნდა დაიშუროთ იმისათვის, რათა თქვენი გარემომოქმედების ქალების ჭეშმარიტი სახის დანახვა შეძლოთ.

იმიგრანტები ბოთლმა გადაარჩინა

მიუხედავად იმისა, რომ საფოსტო მტრელები და ბოთლით ვაზანილები კარგა ხანია წარსულს ჩაჰბარდა, კოსტა-რიკელი იმიგრანტები, რომლებიც კონტრაბანდისტებმა შუა ზღვაში უიმედოდ მიატოვეს, სიკვდილისგან სწორედ ამ მოძველებულმა მეთოდმა იხსნა.

კონტრაბანდისტები როცა დარწმუნდნენ, რომ გემი კოსტა-რიკის ნაპირებამდე ვერ მიაღწევდა, თავს უშველეს და ყველანაირი საკომუნიკაციო საშუალება, მათ შორის, რადიოც კი, თან გაიფლეს. სასოწარკვეთილებამ



ჩავარდნილმა 86-მა იმიგრანტმა – რომელითა უმრავლესობას ეკვადორელი და პერუელი მოზარდები შეადგენდნენ – სხვა რომ აღარაფერი დარჩენოდა, წერილჩადებული ბოთლი ზღვაში მოისროლა.

საბედნიეროდ, ბოთლი მალევე, ადგილობრივ მეთევზეს ჩაუვარდა ხელში. იმ დროს, გემი ნაპირიდან 600 კმ-ის მოშორებით, უკაცრიელ კუნძულ კოკოსის მახლობლად იმყოფებოდა. ეს კუნძული ბუნებრივ ნაკრძალს წარმოადგენს და მასზე მხოლოდ პარკის თანამშრომლები ცხოვრობენ. სწორედ მათ მიმართა მეთევზემ დასახმარებლად. კუნძულის მცხოვრებლები გემის საბუნებლად გაემართნენ და მის კვალს მალევე მიაგნეს. უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ იმიგრანტებთან – რომლებმაც ზღვაში სამი დღე-ღამე, მშვიდმწყურვალებმა გაატარეს – ექიმები და საიმეორაციო საშუალების ოფიცერი გაგზავნეს.

როგორც კოსტა-რიკის ხელისუფლების წარმომადგენელი ამბობს, იმიგრანტები გვატემალაში მიემგზავრებოდნენ, შემდეგ კი მექსიკის საზღვრის გადაკვეთას აპირებდნენ.

ბრიტანელი მედიკოსები საზღვარულ ღანების გამოყენებას ურჩავენ

ლონდონის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის სამმა ბრიტანელმა ექიმმა, საზოგადოებას მოუწოდა, ხმარებიდან ამოიღონ გრძელი, ბასრწვერიანი სამზარეულო დანები. ისინი ირწმუნებიან, რომ უმეტეს შემთხვევაში, სწორედ ეს ცივი იარაღი გამოიყენება ჩხუბის დროს და ხშირად მკვლელობის მიზეზიც ხდება. „მიუხედავად იმისა, რომ არანაირი ოფიციალური სტატისტიკა ამასთან დაკავშირებით არ არსებობს, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე და ასევე, პოლიციელებსა და პათოლოგანატომებთან საუბარზე დაყრდნობით დავადგინეთ, რომ კრიმინალური შემთხვევების ნახევარზე მეტი სწორედ სამზარეულო დანების გამოყენებით ხდება. ჩხუბი და მკვლელობა ხომ ხშირ შემთხ-



ვევაში, სახლებში ხდება და მისი მიზეზი ძირითადად, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების გადაჭარბებული მიღებაა. სწორედ ამიტომ არის სამზარეულო დანები აგრესიულად სახიფათო – ისინი ხომ შინებისმიერ ინგლისელს მოეპოვება“, – აღნიშნეს მათ. სტატისტიკის თანახმად, 16-17 წლის ასაკის ბიჭების 24% აღიარებს, რომ ჯიბის დანას ყოველთვის თან ატარებს. მიუხედავად იმისა, რომ მოზარდები ხშირად ბეისბოლის ვოხებით, სახრახნისებითა და ჯაჭვებითაც არიან შეიარაღებულნი, ინგლისში დანა, მაინც ცივი იარაღის ყველაზე გავრცელებულ სახეობად ითვლება.

ძალღებს SMS-ის გაგზავნას უსწავლიან


ერთ-ერთი სამხრეთკორეული ფიჭური ოპერატორი აბონენტებს ახალ მომსახურებას სთავაზობს. ამიერიდან ძალღების პატრონებს შესაძლებლობა ექნებათ, თავიანთ ოთხფეხა მეგობრებს SMS-ის საშუალებით დაუკავშირდნენ.

ამ სერვისით სარგებლობის მსურველმა, ტელეფონი აუცილებლად უნდა ჩართოს ინტერნეტში, შემდეგ კი, თავისი ძალღი ფიჭური კომპანიის საიტზე დაარეგისტრიროს – გაგზავნოს ინფორმაცია ძალღის ჯიბის, ასაკისა და სხვა მონაცემების შესახებ. ამის შემდეგ, შესაბამისი სამსახური ჩაიწერს ძალღის ყეფას რამდენიმე ვარიანტში – ცხოველის გუნება-განწყობილების მიხედვით. ეს სისტემას, „ძალღური ენის“ „ადამიანურზე“ გადათარგმნაში დაეხმარება. მომხმარებელს შეეძლება, ნებისმიერ მომენტში მიიღოს SMS, რომლის მეშვეობითაც შეიტყობს, როგორ გრძნობს თავს მისი ოთხფეხა მეგობარი. მაგალითად, შეტყობინებაში ჩაწერილი იქნება: „მე თავს ბედნიერად ვგრძნობ“ ან „ცუდ სასაათზე ვარ“.



საინტერესოა, რომ „ადამიანური ენის“ „ძალღურზე“ გადათარგმნაც შესაძლებელია. ოღონდ, ნებისმიერ შემთხვევაში, ამ შეტყობინების მისაღებად, ძალღს საკუთარი, „ძალღური მობილური ტელეფონი“ უნდა ჰქონდეს.

ფოტოკუჩიონები



642/10

№12(98) 9.VI.-22.VI.2005

ოჯახის

მკურნალი

სამედიცინო ჟურნალი

ფასი 70 თეთრი

მწვანე
ნაწლებური
ინფექციები

ნამცუსა
პიგანტი

ჩვილთა
ეგზეზა და
საბორავ

როგორ
დავამარცხოთ
ნაფროზი

ორსულობა და
პიელონეფრიტი

მარდ-კენჭოვანი
დაავადება

მთავარი თემა:
ალკოჰოლიზმი

როგორ
მოვნიბლოთ
მამაკაცი

თქვენი და

თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის